

K 216 167  
2

მ. ნ. მუსხიშვილი

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

საქართველოს  
ეკლესიის  
სტრუქტურა-  
კულტურული  
კონსტრუქცია



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური კოლეჯი

01.02.87  
გეგმა

პირიან ხუციშვილი

საქართველოს ეკლესიის  
სოციალურ-პოლიტიკური კოლეჯის  
XIX—XX საუკუნეებში



გაეროვნული მეცნიერებათა  
თბილისი  
1987



გამოკვლევა ემყარება დოკუმენტურ მასალას, მოძიებულს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და პარტიულ არქივებში.

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის (საეგზარქოსოს) პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX—XX საუკუნეებში; მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის შმართველობის, საეკლესიო-სასულიერო განათლებისა და სასულიერო-სამისიონერო სფეროში გატარებული ორგანიზაციული ღონისძიებების მიზნები და ამოცანები; საეგზარქოსოს ადგილი და როლი თვითმპყრობელობის მიერ გატარებულ ღონისძიებებში მიმართული ანტირეგიონული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. ეკლესიის საწინააღმდეგო გამოსვლები XIX—XX საუკუნეებში.

მოძიებული მასალა საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობა როგორც შმრომელი მასების პროტესტი პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ. ნაშრომში გაშუქებულია მართლმადიდებლური ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა მოდერნიზაციის საკითხი და მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის თავისებურებანი საბჭოთა საქართველოში.


საქართველოს ეკლესია XIX—XX საუკუნეებში

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი შ. ხ ა ნ თ ა ძ ე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატი ი. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი და ფილოსოფიურ მეცნ. კანდიდატი თ. მ ე ნ ა ბ დ ი შ ვ ი ლ ი

ბ 040300000  
M 607(06)—87 242—87

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987



## შესავალი

წარსულის ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში ეკლესიისა და რელიგიის არსებობა განპირობებული იყო სოციალური ფაქტორებით, რომლებმაც არა მარტო წარმოშვეს და დაამკვიდრეს რელიგია, არამედ მისცეს მას სრულიად კონკრეტული სახე, ჩამოაყალიბეს და დახვეწეს მისი სტრუქტურა.

ჩვენს ეპოქაში არსებულ ყველა საზოგადოებაში ეკლესია და რელიგია მკიდროდ იყო დაკავშირებული გაბატონებულ მმართველ კლასებთან და ასრულებდა უაღრესად რთულ და მაშინდელი დროისათვის საჭირო პოლიტიკურ-სამართლებრივ და იდეოლოგიურ ფუნქციას, მოსახლეობაში ამტკიცებდა აზრს არსებული რეჟიმის ღვთაებრივ წარმოშობაზე, მის მუდმივობასა და შეუცვლელობაზე. დროთა ვითარებაში, თანდათანობით, ეკლესია შეიჭრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გახდა მისი შემადგენელი და აუცილებელი ნაწილი, გადაიქცა მძლავრ ფეოდალურ ორგანიზაციად. ეკლესია საუკუნეების მანძილზე კონტროლს უწევდა და ზოგიერთ ქვეყანაში ახლაც უწევს მთელი ქვეყნის საზოგადოებრივ და კერძო ცხოვრებას.

ეკლესიის ისტორიის ფართო, მეცნიერული შესწავლა, როგორც მძლავრი ფეოდალური ორგანიზაციისა და შემდეგში უკვე როგორც სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი და წარმმართველი ძალისა, აუცილებელია და ეს აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს. დღეს ჩვენ წარმოუდგენლად მიგვაჩნია საზოგადოების ისტორიის ობიექტურად შესწავლა და გაშუქება ეკლესიის ისტორიის გარეშე. ეკლესიის ისტორიის გარეშე სახელმწიფოს სამოქალაქო ისტორია არ იქნებოდა სრულყოფილი და, უეჭველია, დიდ შეცდომას ვუშვებთ, როდესაც ვცდილობთ გავაშუქოთ მრავალი სოციალური თუ პოლიტიკური საკითხი ეკლესიის ისტორიის გარეშე, მისგან დამოუკიდებლად.

კლასობრივ საზოგადოებაში ეკლესიის პოლიტიკური და სოციალური როლის შეფასებისათვის საჭიროა კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა, რომელიც უეჭველად უნდა ეყრდნობოდეს რელიგიისა და ეკლესიის შესწავლის მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას. ამ დროს, უეჭველად მხედველობაში უნდა გვქონდეს ეკლესიისა და რელიგიის

ისეთი სპეციფიკა, როგორცაა ადგილი და დრო, ეპოქა, კლასობრივი ძალების განლაგება, რელიგიური ორგანიზაციებისა და საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია, როდესაც ვაფასებთ ეკლესიის როლს სახელმწიფოს ისტორიაში, როგორც რეაქციულს, მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ ეს რელიგიური ორგანიზაციები, განსაკუთრებული სოციალურ-პოლიტიკური მიზეზების გამო, ხშირად თავის თავზე იღებდნენ საერო ფუნქციებსაც. ამ შემთხვევაში რელიგიისა და ეკლესიის ისტორიის შეფასებისას საზოგადოებაში საჭიროა დიფერენციალურ-დიალექტიკური მიდგომა რელიგიური მოძრაობისადმი, მათი ლოზუნგებისა და პროგრამისადმი. ამ კონკრეტულ ვითარებაში მათ შეიძლება ჰქონოდათ და ეტარებინათ როგორც პროგრესული, ასევე რეაქციული ხასიათი. მაშასადამე, „მთელი საქმე ის არის, თუ როგორია რეალური შინაარსი ამა თუ იმ მოძრაობისა“<sup>1</sup>.

ხშირ შემთხვევაში საეკლესიო მოღვაწეთ ეკავათ პროგრესული პოლიტიკური პოზიცია, თანაუგრძნობდნენ და თავისი წვლილი შეჰქონდნათ ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ და ხშირად რევოლუციურ მოძრაობაშიც კი. თუ ჩვენი ქვეყნის მაგალითს მივმართავთ, ფეოდალურ ხანაში საქართველოს ეკლესია გამოდიოდა ქვეყნის გაერთიანების ინიციატორად, ფეოდალური დაქუცმაცების წინააღმდეგ, ე. ი. თავის თავზე იღებდა იმას, რასაც აკეთებდა მართლმადიდებლური ან კათოლიკური ეკლესია რუსეთსა და ევროპაში. თავის დროზე ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ცდილობდა იდეოლოგიურად გაერთიანებინა ყველა ქართული საზოგადოება, შეექმნა ერთიანი რწმენა საქართველოს მთლიანობისა და განუყოფელობისა. ამასთან, შუა საუკუნეებში ქართული ეკლესია სათავეში ჩაუდგა და თავის თავზე აიღო მთელი ერის კულტურული ცხოვრება. ქართული შუასაუკუნეების მწერლობა, ისტორიოგრაფია დიდად არის დავალებული ეკლესიის მსახურებისაგან, რომლებმაც თავიანთი დაუღალავი შრომით შემოინახეს და თაობებს დაუტოვეს საქართველოს ისტორიის მრავალი ბრწყინვალე ძეგლი.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება დავეთანხმოთ აზრს, თითქოს ქართული კულტურა, განსაკუთრებით ხელოვნება და მისი ძეგლები მთლიანად ეკლესიის მსახურთა საქმიანობის ნაყოფია. როდესაც ეკლესიის მსახურები ამას ქადაგებენ, ისინი ივიწყებენ ქართული საზოგადოებრივი აზრის ანტირელიგიურ და ეკლესიის საწინააღმდეგო შეხედულებებს და ტრადიციებს, მშრომელი მოსახლეობის ბრძოლას ეკლესიის მიწათმფლობელობის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ადრეულ შუასაუკუნეებში. ივიწყებენ ქართული ისტორიული აზ-

<sup>1</sup> სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XXVI ყრილობაზე. თბ., 1981, გვ. 9.

რის მატერიალისტურ ტრადიციებს, ხოლო XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში კი მშრომელი მასების ბრძოლას ეკლესიისა და მისი მსახურების წინააღმდეგ.

ფეოდალურ საზოგადოებაში ეკლესია მჭიდრო და განუყოფელ კავშირში იყო სახელმწიფო მართვის აპარატთან, წარმოადგენდა მის ორგანულ ნაწილს და თავისი საქმიანობით ხელს უწყობდა მას სათანადო პოლიტიკური კურსის განხორციელება-გატარებაში. პოლიტიკისა, რომელიც მიმართული იყო არსებული რეჟიმის განმტკიცებისა და მოსახლეობის ფართო მასების დამორჩილებისაკენ.

იცავდა რა გაბატონებული კლასების ინტერესებს, ეკლესია ამავე დროს თვითონ გვევლინებოდა მსხვილ ფეოდალურ ორგანიზაციად. ეკლესია-მონასტრები ფლობდნენ დიდი რაოდენობით მამულებს, საზნაუ-სათეს მიწებს, საძოვრებს, სათევზაო ადგილებს, საცხოვრებელ ბინებს, წისქვილებს, სამხატვრო და სამღებრო სახელოსნოებსა და სხვ. ერთი სიტყვით, ეკლესია თავისი საქმიანობით არაფრით ჩამორჩებოდა სხვა მიწათმფლობელებს. მრევლისაგან იღებდა სხვადასხვა სახის გადასახადებს, როგორც ფულით, ასევე ნატურით. მეფის მთავრობა ყველაფერს აკეთებდა ეკლესიის ავტორიტეტის განსამტკიცებლად და ასამაღლებლად. სახელმწიფო კანონი სასტიკად სჯიდა ყველას, ვინც ხმას აიმაღლებდა სარწმუნოებისა და ეკლესიის წინააღმდეგ. მოსახლეობის ფართო მასებში ეკლესიის ავტორიტეტის განმტკიცების მიზნით XIX—XX საუკუნეებში მთავრობამ შეიმუშავა მრავალი კანონი.

წესად იყო მიღებული, რომ მთავრობის ყოველგვარი ბრძანებუ-ლებები, მანიფესტები და სხვა ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც გამოდიოდა იმპერატორის სახელით, უნდა წაკითხულიყო ეკლესი-ებში. წირვის შემდეგ. სახელმწიფო კანონი ითვალისწინებდა სასჯელს ისეთი ქადაგებებისათვის, რომელნიც უწინააღმდეგებოდნენ ქრისტიანუ-ლი ეკლესიის სწავლებას, მის მორალურ ნორმებს. იგივე კანონი აღი-არებდა, რომ რუსეთის იმპერატორი, როგორც ქრისტიანი ხელმწიფე, არის უმაღლესი და უზენაესი მფარველი ქრისტიანული სარწმუნოების დოგმებისა, შემსრულებელი მართლმადიდებლობისა და ეკლესიის ყო-ველგვარი სიწმინდისა.

მთავრობა, აცისრებდა რა ეკლესიას მოსახლეობის აღზრდას თვით-მპყრობელური რეჟიმის ერთგულებით, ამავე დროს მოხერხებულად იყენებდა მის შესაძლებლობებს შემოერთებულ — დაპყრობილ ქვეყნებ-ში. სადაც მისიონერების საშუალებით ავრცელებდა თავის იდეოლოგიას.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, მეფის მთავრობამ საეკლესიო სფეროში გაატარა მრავალი რეფორმა. კერძოდ, 1811 წელს გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო 1815 წელს დააარსა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა.

ამრიგად, საქართველოში შეიქმნა სრულიად ახალი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც აქ ასრულებდა იგივე როლს, რასაც სხვა ჩრდილონიკური ორგანიზაციები.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ სახელმწიფოსა და ეკლესიის კავშირი იყო ის დიდი ძალა, რომლის საშუალებითაც თვითმპყრობელობა ცდილობდა საქართველოში და შემდეგ მთელს კავკასიაში თვითმპყრობელურ-კოლონიური პოლიტიკის გავრცელება-დამკვიდრებას.

საქართველოში თვითმპყრობელობის მიერ გატარებული საეკლესიო პოლიტიკის არსი უფრო გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ XIX საუკუნესა და განსაკუთრებით კი XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის ვრცელ იმპერიაში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მართლმადიდებლური ეკლესიის როლი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ეკლესია ცდილობდა დაებრუნებინა დაკარგული უფლებები და დაეკავებინა გაბატონებული მდგომარეობა. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ამ დროს მართლმადიდებლური ეკლესია „იყო ზებრძოლი კლერიკალიზმი. მისი მსახურები იყვნენ ფეოდალური მანგატების წარმომადგენლები, ესენი თვითონვე იყვნენ მემამულეები, მიწათმფლობელები“<sup>2</sup>, რომლებიც ემსახურებოდნენ და იცავდნენ გაბატონებული კლასების ინტერესებს. რუსეთის იმპერიაში, როგორც ფეოდალურ, ასევე კაპიტალიზმის ეპოქაში, ეკლესია ერთგულად ემსახურებოდა მონარქიას. იცავდა მის ინტერესებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ.

როდესაც ვიხილავთ თვითმპყრობელობის საეკლესიო პოლიტიკას შემოერთებულ-დამორჩილებულ ქვეყნებში, ამ შემთხვევაში საქართველოში, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გატარებული ღონისძიებები არ იყო თვითონ ეკლესიის მიერ შემუშავებული დამოუკიდებელი კურსი. ეკლესია ამ შემთხვევაში მოქმედებდა ხელისუფალთა მითითებით და წარმოადგენდა თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს. აქედან გამომდინარე, თვითმპყრობელობის საეკლესიო პოლიტიკის შესწავლა და მისი მეცნიერულად, თანამედროვეობის თვალთახედვით გაშუქება აუცილებელი პირობაა XIX—XX სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი ისტორიის მრავალი საკითხის მართებულად გაშუქებისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვითმპყრობელობის საეკლესიო პოლიტიკა კავკასიასა და საქართველოში განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება. იმპერიის სხვა, განაპირა ქვეყნებისაგან განსხვავებით ეს მხარე დასახლებული იყო მრავალი სარწმუნოების წარმომადგენლებით, რომელთა შორისაც მთავარი ადგილი ეკავა საქართველოს

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი. რელიგიის შესახებ. 1955, გვ. 85.

ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ ეკლესიას. აქ თვითმპყრობელობის საეკლესიო პოლიტიკა უნდა შეგუებოდა და ეგუებოდა კიდევაც მისთვის უცხო რელიგიურ მიმდინარეობებს, მუსლიმანურსა და სომხურ-გრიგორიანულს. ამავე დროს უნდა შეემუშაებინა განსაკუთრებული პოლიტიკა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ. რუსეთის სახელმწიფო მართლმადიდებლური ეკლესია ანგარიშს უწევდა კავკასიის მოსახლეობის რელიგიურ თავისებურებებს, და არა მართლ ანგარიშს უწევდა, ზოგიერთ შემთხვევაში მართლმადიდებლობა უკანაც იხევდა და ეს „მესამე რომის“ ეკლესია მოთმინებით თანამსახურობდა სომხურ-გრიგორიანულ, კათოლიკურ, ებრაულ, მუსლიმანურ და სხვა ეკლესიებთან. მთავრობა დასახელებული ეკლესიების შესვეურებს განსაკუთრებულ შეღავათებსაც კი აღწევდა. სათანადო კურსის გატარების შედეგად ეს ეკლესიები ერთვულად ემსახურებოდნენ თვითმპყრობელობას.

XIX ს. დასაწყისშივე მომხდარმა პოლიტიკური და სოციალური ხასიათის ძვრებმა ძირფესვიანად შეცვალა საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების გზა და სრულიად ახალი მიმართულებით წარმართა იგი. მეფის რუსეთი საქართველოში ნერგავდა სახელმწიფო მმართველობის ახალ სისტემას. წარმოების ახალ წესებს, რომელიც ამზადებდა ნიადაგს ფეოდალური რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისათვის. ამასთან ერთად „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევედა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაქცილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“<sup>3</sup>. ობიექტურად ამ პროცესს საქართველოს შემდგომი განვითარებისათვის პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა და დადებით გავლენას ახდენდა მასზე. მაგრამ მეფის მთავრობის მიერ მთელი რიგი ახალი, ისეთი ბარბაროსული წესები ინერგებოდა, რომ XIX ს. დასაწყისშივე ქართველმა ხალხმა ხმა აიმაღლა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. ცარიზმის ბატონობის მთელი ისტორიის მანძილზე, ეს ბრძოლა მეტ-ნაკლები სიმძაფრით მიმდინარეობდა და ხშირად საფრთხესაც უქმნიდა აქ მის ბატონობას.

საქართველოს შემომტკიცებასა და აჯანყებული მოსახლეობის დამორჩილების მიზნით, თვითმპყრობელობა შეიარაღებული ძალების გვერდით მოხერხებულად იყენებდა ქრისტიანულ ეკლესიასაც. როგორც მოსახლეობის ფართო მასებზე იდეოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთ ძლიერ და ქმედით საშუალებას.

თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის განმტკიცებას ამიერკავკასიაში საქართველოს საეგზარქოსო ემსახურებოდა. ამ საეკლესიო ორგანიზაციის უაღრესად რეაქციული და ანტიხალხური დონის-



ძიებები დიდ გავლენას ახდენდნენ საქართველოს საზოგადოებრივ-პო-  
ლიტიკური ცხოვრების ყველა მხარეზე. საეგზარქოსოს რეაქციული  
ბუნება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა ცარიზმის მიერ ეროვნულ-  
განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის წინააღმ-  
დეგ წარმოებულ ბრძოლაში.

თვითმპყრობელობისა და საეგზარქოსოს ანტიხალხური საქმიანო-  
ბის თანამიმდევრული გაშუქება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ  
რა დიდი და მომქანცველი ბრძოლა უზღებოდა საქართველოს პროგ-  
რესულად მოაზროვნე საზოგადოებას აქედან გამომდინარე ყველა დამ-  
ლუპველი შედეგების უვნებელსაყოფად.

საქართველოს სამეფოს დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ  
თვითმპყრობელობამ საეკლესიო მმართველობაში ჩატარებული რეფორ-  
მებით ეკლესია დამოკიდებული გახადა და თავის სამსახურში ჩააყენა.  
ამის შემდეგ მართლმადიდებლური ეკლესია ხელს უწყობდა საქართვე-  
ლოში თვითმპყრობელურ-კოლონიური მიზნების განხორციელებას.  
ასეთი ღონისძიებების გატარების შემდეგ, საუკუნის დასაწყისშივე სა-  
ქართველოს ეკლესიამ დაჰკარგა თავისი ეროვნული სახე და ჩადგა იმ  
ჩინოვნიკური აპარატის რიგში, რომელიც საქართველოში ნერგავდა  
თვითმპყრობელურ რეჟიმს და იბრძოდა მისი განმტკიცებისათვის.

XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში საქართველოს ეკლესიის  
ისტორიის შესწავლას მრავალი ნაშრომი და გამოკვლევა მიეძღვნა, რო-  
გორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე, ქართულ და რუსულ პერიოდი-  
კაში გამოქვეყნდა საინტერესო წერილი და სტატია.

ქართველი მოღვაწეებიდან, რომლებმაც თავისი შესწავლის საგნად  
აქციეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია, საყურად-  
ღებოა პ. იოსელიანის, ა. ფურცელაძის, მ. ჯანაშვილის, ალ. ხახანაშვი-  
ლის, ა. ცაგარელის, ივ. ჯავახიშვილის, ევ. ნიკოლაძის, ეპისკოპოს კი-  
რიონის, ვ. და დ. კარბელაშვილების, დეკანოზ დამბაშიძის, თ. ჟორდა-  
ნიას, მ. კელენჯერიძისა და სხვათა ნაშრომები.

დასახელებული შკვლევრები თავიანთ შრომებში ეხებოდნენ სა-  
ქართველოს ისტორიას, მისი იერარქიის საკითხს, ეკლესიის როლს ერის  
კულტურულ ცხოვრებაში, სამღვდლოების სასულიერო-საგანმანათ-  
ლებლო საქმიანობას. შეფასებას აძლევდნენ საეგზარქოსოს საქმიანო-  
ბას, აკრიტიკებდნენ მის ანტიქართულ ღონისძიებებს. დასახელებული  
ნაშრომები გვაძლევენ მდიდარ და საინტერესო მასალას ქართული ეკ-  
ლესიის მრავალი საკითხის გასარკვევად, მაგრამ ისინი ნაკლებად ეხები-  
ან ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხს, ამ კავშირის  
ანტიხალხურ საქმიანობას. მათ არ გააჩნიათ კლასობრივი მიდგომა ეკ-  
ლესიის ისტორიის საკითხებშიაღმე ან შეგნებულად გვერდს უვლიან  
მას. ეს გასაგებიცაა, თვითმპყრობელობის მკაცრი ცენზურის პირობებ-

ში შეუძლებელიც იყო აღნიშნული საკითხის ობიექტურად შესწავლა და შეფასება.

ქართველმა ისტორიკოსებმა და მკვლევრებმა საქართველოს საეკვარქოსოს პოლიტიკურ და სოციალურ პოზიციაზე, მის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაზე შეაჩერეს თავიანთი ყურადღება. XX ს. დასაწყისში, კერძოდ 1905—1907 წლების რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში, როდესაც მშრომელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან ერთად, საქართველოს სასულიერო წოდებამ დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ქართველი სასულიერო წოდება ცდილობდა ეს ბრძოლა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად და მშრომელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობისათვის დაეკავშირებინა, გამოეყენებინა ის თავისი ინტერესებისათვის. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სამღვდლოებამ ამას ვერ მიაღწია. საქართველოს მშრომელებმა უარი თქვეს, სამღვდლოების ეს მისწრაფება თავისი ბრძოლის ნაწილად გაეხადათ.

საქართველოს საეკვარქოსოს სოციალურ-პოლიტიკური პოზიციის ანტიხალხურობასა და ეკლესიის მსახურთა ურთიერთობაზე დამსჯელ ორგანიზაციებთან XX საუკუნის დასაწყისში ყურადღება გაამახვილა ივ. ჯავახიშვილმა.

საქართველოს საეკვარქოსოს პოლიტიკური და სოციალური მხარის შესწავლას, მის დამოკიდებულებას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოძრაობასთან თითქოს მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. 30—40-იან წლებში დასახელებული საკითხის შესწავლაზე მხოლოდ მკვლევართა ერთმა ნაწილმა გაამახვილა ყურადღება. მათი ნაშრომები ძირითადად იბეჭდებოდა ჟურნალებსა და გაზეთებში. იმ ჟურნალებიდან, რომლებიც ეწეოდნენ მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდას, აღსანიშნავია „მებრძოლი უღმერთო“ (1932—1934 წწ.), „მებრძოლი ათეისტი“ (1934—1935 წწ.), „რელიგიის წინააღმდეგ“ (1930—1931 წწ.). აქ გამოქვეყნებული მასალები ასახავენ იმ დიდ საქმიანობას, რომელსაც ეწეოდა საქართველოს კომუნისტური პარტია რელიგიური გადმონათების დაძლევის საქმეში, ანალიზს უკეთებდნენ ადგილობრივ უღმერთოთა უჯრედების მუშაობას, აშუქებდნენ რელიგიის ანტისაზოგადოებრივ არსს და სხვა. დასახელებული ჟურნალ-გაზეთების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა უნდა ყოფილიყო ეკლესიის როლის გარკვევა საზოგადოების ისტორიაში, კერძოდ, მისი დამოკიდებულება ეროვნულ-

\* ბ. ლომინაძე, ეკლესიის რეაქციული როლი 1905—1907 წლების რევოლუციაში. თბ., 1959, გვ. 58.

განმათავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობასთან, მაგრამ ამ საკითხს აქ მცირე ადგილი ჰქონდა დათმობილი. დასახელებული ჟურნალებიდან თავისი შინაარსით გამოირჩევა ჟურნალი „მებრძოლი ათეისტი“, რომელმაც თავისი არსებობის ოთხი წლის მანძილზე მრავალი საინტერესო მასალა გამოაქვეყნა საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან. ამ ჟურნალში თავიანთ ნაშრომებს აქვეყნებდნენ ი. იმედაშვილი<sup>5</sup>, გ. მანტკაევა<sup>6</sup>, ივ. ვართაგაევა<sup>7</sup>, ალ. ბილანიშვილი<sup>8</sup>, ა. მელიხოვი<sup>9</sup> და სხვ.

საქართველოს საეგზარქოსოს პოლიტიკური და სოციალური არსის გარკვევისათვის უკანასკნელ წლებში ჩვენთან ჩატარდა გარკვეული სამუშაოები. ქართველმა ისტორიკოსებმა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესწავლასთან ერთად ნაწილობრივ შუქი მოჰფინეს ჩვენს მიერ საკვლევად აღებულ საკითხსაც, მაგრამ დღემდე ეს საკითხი მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის.

ქართველი საბჭოთა მეცნიერებიდან, რომლებიც თავიანთ ნაშრომებში ნაწილობრივ შეეხნენ და გააშუქეს ჩვენს მიერ საკვლევად აღებული საკითხი, აღსანიშნავია ა. კიკვიძის „საქართველოს ისტორია“ (XIX ს.) ტ. I, თბ., 1954; მისივე „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და თბილისის სასულიერო სემინარია“ (სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXIV — ა, 1948); ვ. გაგოიძის „ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში“ (თბ., 1964); ბ. ლომინაძის „ეკლესიის რეაქციული როლი 1905—1907 წლების რევოლუციაში“ (თბ., 1959); ნ. მახარაძის „იმერეთის აჯანყება 1819—1820 წწ-ში“; შ. ხანთაძის „სოციალური ბრძოლის ერთი ეპიზოდი გვიანფეოდალური ხანის საქართველოში“ (საქ. სახელმწ. მუზეუმის შრომები, ტ. XX, თბ., 1954); ა. იოსელიანის „80-იანი წლების რეაქცია და საქართველოს საზოგადოებრივი ძალები“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970) და სხვა. უკანასკნელ დროს გამოქვეყნებული ნაშრომებიდან აღსანიშნავია დ. გეგეშიძის, ა. სილაგაძის, ლ. მელიქსეთ-ბეგის, ი. ჩხარტიშვილის, ვ. ტარტარაშვილისა და სხვათა ნაშრომები.

აღნიშნულ საკითხს გაცვრით შეეხნენ რუსი საბჭოთა ისტო-

5 ი. იმედაშვილი, რელიგია ცარიზმის სამსახურში. — „მებრძოლი ათეისტი“, 1937, № 4, 5; 1938 № 4, 5, 10.

6 გ. მანტკაევა, როგორ შეხვდა სამღვდლოება 1905 წლის რევოლუციას. — „მებრძოლი ათეისტი“, 1938, № 1.

7 ივ. ვართაგაევა, ქართული ეკლესია და რევოლუცია. — „მებრძოლი ათეისტი“, 1938, № 3.

8 ალ. ბილანიშვილი, გამოსვლები სამღვდლოების წინააღმდეგ გური-აში 1905 წელს. — „მებრძოლი ათეისტი“, 1941, № 3.

9 ა. მელიხოვი, 1905 წლის რევოლუცია და ქართული ეკლესია. — „მებრძოლი ათეისტი“, 1939, № 2, 3.

რიკოსები და მკვლევრები: ა. პრიტიკინი<sup>10</sup>, გრეკულოვი<sup>11</sup>, მ. შახნოვი-ჩი<sup>12</sup>, ნ. პლატონოვი<sup>13</sup> და სხვები.

ნაშრომზე მუშაობისას ვეყრდნობით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებს რელიგიისა და ეკლესიის შესახებ, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს, განსაკუთრებით ვრცლად ვიყენებთ ვ. ი. ლენინის ნაშრომებს ეკლესიისა და რელიგიის შესახებ.

წიგნზე მუშაობისას ჩვენ ვხელმძღვანელობდით ვ. ი. ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ „რელიგიასთან ბრძოლა არ შეიძლება შეეზღუდოთ აბსტრაქტულ-იდეოლოგიური ქადაგებით, არ შეიძლება ასეთი ქადაგებით განესაზღვროთ; ეს ბრძოლა უნდა დაუწყავიროთ რელიგიის სოციალური ფესვების აღმოფხვრისაკენ მიმართული კლასობრივი მოძრაობის კონკრეტულ პრაქტიკას“<sup>14</sup>.

ნაშრომისათვის უაღრესად საინტერესო მასალაა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოქვეყნებულ აქტებში, მეფის ნაცვლების, მთავარმართებლების, სასულიერო და სამხედრო პირთა ანგარიშებში და მოხსენებით ბარათებში, ქართველი მკვლევრების მიერ გამოქვეყნებულ საეკლესიო საბუთებში, აგრეთვე სასულიერო უწყებების ყურნალებში, მაგ., „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე“ (1891—1906 წწ.), „მწყემსი“ (1889—1910 წწ.), „საქართველოს სასულიერო მახარობელი“ (1864—1868 წწ.), საეგზარქოსოს საქმიანობასა და მის დამოკიდებულებაზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობასთან საინტერესო მასალას გვაწვდის იმ დროის ქართული და რუსული პერიოდიკა, სამრევლოს მღვდლების, ბლალოჩინების, ეპისკოპოსებისა და სხვა სასულიერო პირთა ანგარიშები და მოხსენებები.

სასულიერო პერიოდიკა საინტერესო და მრავალმხრივი წყაროა იმ დროის საქართველოს ქრისტიანი მოსახლეობის რელიგიური განწყობილებების გასაშუქებლად. ეკლესიასა და მრევლს შორის არსებული წინააღმდეგობებისა და მათი გამომწვევი მიზეზების დასადგენად. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებული საბუთების შემდგენლე-

<sup>10</sup> Притыкин Я. Ленинская «Искра» против религии и церкви. — Сборник По этапам развития атеизма в СССР. Ленинград, 1967.

<sup>11</sup> Грекулов Е. Церковь, самодержавие, народ (2-я половина XIX — начало XX в.). М., 1969.

<sup>12</sup> Шахнович М. В. И. Ленин о православной церкви. — Ежегодник музея истории религии и атеизма, IV. М.—Л., 1960.

<sup>13</sup> Платонов Н. Православная церковь в борьбе с революционным движением в России (1900—1917 гг.) — Ежегодник музея истории религии и атеизма, т. IV, М.—Л., 1960.

<sup>14</sup> ვ. ი. ლენინი რელიგიის შესახებ. 1955, გვ. 24.

ბი ქართველებს გადაჭარბებულად მიაწერდნენ ურწმუნობას, ჩვენი აზრით, ამით სურდათ თავი ემართლებინათ ხელისუფალთა წინაშე, რომელიც, შექმნილი რთული ვითარების გამო, მათგან გადაწყვეტ მოქმედებას მოითხოვდა...

მიუხედავად ზემოთ დასახელებული შრომების სიმრავლისა და იქ გამოქვეყნებული მასალების მნიშვნელობისა, წიგნზე მუშაობისას ძირითადად ვიყენებდით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა არქივებში დაცულ დოკუმენტებს. საინტერესო მასალებია დაცული საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ისტორიულ არქივებში მოსკოვსა და ლენინგრადში, სახელმწიფო სამხედრო ისტორიულ არქივში, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში, ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის სახელმწიფო არქივებში მოსკოვსა და თბილისში.

განსაკუთრებით ძვირფასი მასალაა საბჭოთა კავშირის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის (ლენინგრადი) შემდეგ ფონდებში: სინოდის კანცელარიის (ფ. 796), სინოდის ობერპროკურორის (ფ. 797), სინოდის სამოსწავლო კომიტეტის (ფ. 802), სამხედრო და საზღვაო სამღვდლოების პრესვიტერის სასულიერო მმართველობის (ფ. 806), კავკასიის კომიტეტის (ფ. 1268), მინისტრთა კომიტეტის (ფ. 1152), მინისტრთა საბჭოს (ფ. 1276), საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივის, საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიის (ფ. 488), საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის (ფ. 489), კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის (ფ. 113), ცენტრალური სახელმწიფო სამხედრო ისტორიული არქივის ფონდში (ფ. 1309) და სხვ.

სასულიერო სასწავლებლები და კერძოდ თბილისის სასულიერო სემინარია თვითმპყრობელობის ხელში წარმოადგენდა იმ იარაღს, რომელიც მთავრობას ეხმარებოდა ცარიზმის მიერ საქართველოში წარმოებული კოლონიური პოლიტიკის განხორციელებაში, მშრომელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოსახლეობაში სარწმუნოების განმტკიცების საქმეში და სხვა. სწორედ ამიტომაც ნაშრომში ყურადღება გავამახვილეთ ამ სასწავლებლების პროგრამებზე, სწავლების ხერხებსა და მეთოდებზე, რაშიც ასე თვალნათლივ ჩანს თვითმპყრობელობის სასულიერო-საგანმანათლებლო პოლიტიკის კოლონიური ბასიათი, მისი არსი და მიზანი. ეს საჭიროდ მივიჩნიეთ იმისდა მიუხედავად, რომ ამ საკითხებისადმი რამდენიმე საფუძვლიანი გამოკვლევა აქვთ მიძღვნილი ა. კიკვიძეს, ტრ. ხუნდაძეს, გ. თავზიშვილს, თ. ბეგიაშვილს, ო. ბაკურაძესა და სხვებს. გარდა ამისა, ყურადღება გავამახვილეთ ისეთ ფაქტებზე, რომლებიც უშუალო კავშირში არიან და ნათელს ფენენ მოსწავლეთა რელიგიურ განწყობას, მათ დამოკიდებულებას საზოგადოებრივ მოძრაობისადმი.

ამასთანავე, ამ საკითხის მეცნიერულად შესწავლა და მისი მიტანა მოსახლეობის ფართო მასებამდე უაღრესად მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ასეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა იდეოლოგიურ აღზრდას, როგორც ვიცით, ამ დარგში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია ეკლესიის კრიტიკას, რის გარეშეც დღევანდელ პირობებში თითქმის წარმოუდგენელია ათეისტური პროპაგანდის წარმოება. საჭიროა, რომ მოსახლეობის ფართო მასები იცნობდნენ ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიას, მის ბუნებასა და საქმიანობას. ამავე დროს ეკლესიის კრიტიკა არ უნდა იყოს ზერელე და მყვირალა, არაფრის-მთქმელი ფრაზების შემცველი. აუცილებელია, რომ ასეთი ნამუშევრები დამყარებული იყოს დოკუმენტურ საარქივო მასალაზე, აქედან გამომდინარე ყოველგვარი ლოგიკური დასკვნით. კრიტიკა არ უნდა იყოს ეკლესიისა და მის მსახურთა თავაწყვეტილი ლანძღვა, რასაც, ჩვენი აზრით, სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.

6. ბერძენიშვილი თავის ნაშრომში „საქართველოს ისტორიის საკითხები“ სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „საკმაო არაა ქრისტიანული რელიგიის რეაქციულობის ჩვენება. საჭიროა ქრისტიანული ეკლესიის, როგორც ფეოდალური ორგანიზაციის წარმოჩენა, მისი აღმავლობისა და დაცემის ჩვენება, საჭიროა იმის წარმოჩენა, თუ როგორ და როდის იქცნენ „უდაბნოების ქალაქად მყოფელი“ საეკლესიო მოღვაწენი მუქთახორა მჭამელებად, საბალზო ქონების გამნიავებელ მრუმე ლოთებად, ტყვეებით მოვაჭრე ყაჩაღებად“<sup>15</sup>.

1917 წლის 12 მარტს საქართველოს სასულიერო წოდებამ მცხეთაში მრავალი საერო პირის დასწრებით გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და აირჩია კათალიკოს-პატრიარქი. ამ აქტით საქართველოს ეკლესია ორგანიზაციულად გამოეყო რუსეთის უწმინდეს სინოდს. დროებითმა მთავრობამ თითქმის შეუცვლელად დატოვა ეკლესიის პრივილეგიები და სათანადოდ დააფინანსა კიდევაც.

ძირფესვიანად შეიცვალა ეკლესიის მდგომარეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. კომუნისტურმა პარტიამ გააჩაღა შეურიგებელი ბრძოლა ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგ, რომლის მსახურებიც ხშირად აქტიური მონაწილენი იყვნენ ყოველგვარი ანტისაბჭოური შეთქმულებებისა და გამოსვლებისა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ათეისტური მუშაობა გახდა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. პარტიისა და ხელისუფლების თანამიმდევრულ-

15 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. I, გვ. 327.

მა ბრძოლამ მშრომელთა განთავისუფლებისათვის ეკლესიისა და რელიგიის გავლენისაგან, თავისი შედეგი გამოიღო. შედარებით მოკლე ისტორიულ დროში ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მასობრივი ათეიზმის რესპუბლიკად.

დღეს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას გამთავისუფლებული იალური პოლიტიკა უკავია საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ. სხვა პროგრესულ ორგანიზაციების გვერდით აქტიურად არის ჩაბმული მშვიდობისათვის ბრძოლაში. ისტორიკოსის ვალია ობიექტურად შეათვასოს ქართველი მართლმადიდებლური ეკლესიის როლი როგორც რევოლუციამდელ, ასევე საბჭოთა საქართველოში.

## საპარტიზოლოს შეერთება რუსეთთან და ქართული პარტიზმადიდებლური ეკლესია

§ 1. ცვლილებები საპარტიზოლოს ეკლესიის მმართველობაში.  
ავტოკეფალიის გაუქმება და საეკლესიო გაშვებულების რეორგანიზაცია

თვითმპყრობელურ მეფის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ვიდრე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, ქართველი ხალხი იზიარებდა იმ მძიმე ხვედრს, რომელიც წილად ზედა რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ყველა სხვა ერს. ქართველმა ხალხმა თავის თავზე გადაიტანა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მთელი სიმძიმე. მთავრობა საქართველოში ამყარებდა „ახალ წესრიგს“, არსებულთან შედარებით პროგრესულს, რომელიც ხელს უწყობდა ჩვენში ფეოდალურ-კარჩაქეტილი მეურნეობის რღვევას, მაგრამ ყველა ეს ისეთი ბარბაროსული მეთოდებით ინერგებოდა, რომ XIX ს. დასაწყისშივე ქართველმა ხალხმა ხმა აიმაღლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. კოლონიური და ეკონომიკური ჩაგვრის სიმძიმემ ბიძგი მისცა მშრომელთა საპროტესტო გამოსვლებს, რომელიც საქართველოში თვითმპყრობელური რეჟიმის ბატონობის მთელი ისტორიის მანძილზე მეტნაკლები სიმძაფრით მიმდინარეობდა და ხშირად საფრთხესაც უქმნიდა მის ბატონობას. ახალი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო მმართველობაში გატარებულ ღონისძიებებს, და საერთოდ საქართველოს შეერთებას რუსეთთან, მტრულად შეხვდა პრივილეგიური წოდების ერთი ნაწილი, მათ შორის სასულიერო პირებიც. სამღვდელოება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაუქმებას ვერ შეეგუა და მტრულად განეწყო ყოველგვარი რუსულისადმი.

მხარის შემომტკიცებისა და ათვისების საქმეში მთავრობა, შეიარაღებული ძალების გვერდით, განსაკუთრებულ როლს აკუთვნებდა ქრისტიანულ პარტიზმადიდებლურ ეკლესიას. ეკლესიას უნდა მოემზადებინა მტკიცე იდეოლოგიური საფუძველი ცარიზმის ბატონობისათვის საქართველოსა და კავკასიაში. ეკლესიის მსახურებს ევალებოდათ მოსახლეობაში გაეცრცელებინათ აზრი, რომ მთავრობის პოლიტიკა საქართველოში ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების



დაცვისა და კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული. მათვე ევალებოდათ მოსახლეობის აღზრდა რომანოვების სამეფო ტახტისა და არსებული პოლიტიკური რეჟიმის ერთგულების სულისკვეთებით. ასეთი საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტას კი მთავრობა ქართულ ეკლესიას ვერ მიანდობდა, რადგან თვლიდა, რომ ის თავისი სტრუქტურითა და სასულიერო პირთა შემადგენლობით ამ საქმისათვის არ გამოადგებოდა. მთავრობამ დაიწყო მზადება საქართველოს ეკლესიის მმართველობის რეორგანიზაციისათვის. X

X ქართული ეკლესიის მმართველობის წესი მთლიანად განსხვავდებოდა რუსეთის ეკლესიაში XIX საუკუნის დასაწყისში არსებული მართვის წესისაგან. ამ დროისათვის ქართული ეკლესია წარმოადგენდა ფეოდალურ ორგანიზაციას, რომელსაც სათავეში კათალიკოსი ედგა. იგი აღჭურვილი იყო დიდი უფლებებით. ის უმეტეს შემთხვევაში სამეფო გვარის წარმომადგენელი იყო და საეკლესიო საქმეებს განაგებდა თავისი შეხედულებებისამებრ, საერო ხელისუფლება ეკლესიის საქმეებში თითქმის არ ერეოდა. XIX საუკუნის დასაწყისში ქართული ეკლესია ფლობდა დიდი რაოდენობის სახნავ-სათეს მიწებს, ტყეებს, სანთლის ქარხნებს, სათევზაო ადგილებს, წისქვილებს, შენობებსა და სხვა ქონებას, რაც მას ეკონომიკურად დამოუკიდებელი ერთეულის სახეს აძლევდა. სულ სხვა იყო ამ დროის რუსეთის ეკლესიის მართვის წესი. შემოღებული იყო კოლეგიალური მმართველობა უწმინდესი სინოდის სახით, რომელსაც, როგორც წესი, საერო პირი — სინოდის ობერპროკურორი ედგა სათავეში. პატრიარქობა გაუქმებული იყო. X

რუსეთში საერო ხელისუფლებისადმი ეკლესიის დამორჩილების გზით პირველი ნაბიჯები გადადგა პეტრე I-მა, რომელმაც 1721 წელს გააუქმა ეკლესიის მეთაურის პატრიარქის თანამდებობა და მის ნაცვლად დააწესა კოლეგიალური მმართველობა უწმინდესი სინოდის სახით. სინოდს 1722 წლიდან სათავეში ედგა ობერპროკურორი, რომელიც, როგორც წესი, საერო პირებიდან ინიშნებოდა და დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი. მართალია, სინოდში პირველი ადგილი ეკავა პეტერბურგის მიტროპოლიტს, მაგრამ მეფესთან ეკლესიის საკითხებზე შესვლის უფლება მხოლოდ ობერპროკურორს ჰქონდა. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ XX ს. დასაწყისში სახელმწიფო დუმაში ეკლესიის საკითხის განხილვისას, სასულიერო წოდება ცდილობდა რუსულ ეკლესიაში აღედგინა პატრიარქობა, მიეღწია დამოუკიდებლობისათვის და განთავისუფლებულიყო საერო ხელისუფალთა მეურვეობისაგან. რუსეთის სამღვდლოების წარმომადგენელი სახელმწიფო დუმას უმტკიცებდა, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო ეკლესიის შინაურ საქმეებში.

X პეტრე I-ის დროიდან მოკიდებული ეკლესიის დამორჩილების პროცესი საერო ხელისუფლებისადმი არ შეჩერებულა და რუსეთის

გომდეგნო მმართველებმა იგი ბოლომდე მიიყვანეს. 1784 წელს ეკატერინე II-მ დაასრულა ეკლესიის დამორჩილების პროცესი. მან გაატარა საეკლესიო-სამონასტრო მამულების მთლიანი სეკულარიზაცია, რის შედეგადაც სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში გადავიდა აქამდე სასულიერო უწყების კუთვნილი 910866 ყმა გლეხი და დიდძალი მიწათმფლობელობის ადგილ-მამული. ამავე დროს ეკატერინე II მიუთითებდა, რომ ეკლესიის მსახურების მოვალეობას შეადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიის მართვა და ხალხში რწმენის დაცვა-განმტკიცება, ამ ღონისძიების გატარებით მთავრობა მთლიანად ემორჩილებოდა ეკლესიას და ხდებოდა მისი სურვილების უსიტყვო შემსრულებელი და მეორეც, სახელმწიფო თავის განკარგულებაში ღებულობდა ეკლესიამონასტრების დიდძალ უძრავ და მოძრავ ქონებას.

საქართველოს ეკლესიის მმართველობის რეორგანიზაციისათვის საქირო ყოველგვარი ცნობების შეგროვება და სათანადო პროექტის შედგენა დაევალა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ანტონ II-ს, რომელსაც არაორაზროვნად ჰპირდებოდნენ, რომ მისი შრომა უშედეგოდ არ ჩაივლიდა და სათანადოდ იქნებოდა შეფასებული პეტერბურგში<sup>1</sup>.

საქართველოში საეკლესიო რეფორმის დროულად გატარებას მთავრობა სახელმწიფო მნიშვნელობას ანიჭებდა.


საქართველოს ეკლესიის (ამ შემთხვევაში ქართლ-კახეთის) რეფორმა ითვალისწინებდა აქ სასულიერო დიკასტერიის შექმნას, რომლის საქმიანობაზედაც, იმპერიის სასარგებლოდ, თვითმპყრობელობა დიდ იმედებს ამყარებდა. მისი შექმნით უნდა დაწყებულიყო ქართლ-კახეთის ეკლესიის მოწესრიგება, რომელიც, მეფის მოხელეთა აზრით, ძალზე ქაოსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დიკასტერიას უნდა ეხელმძღვანელა სასულიერო საგანმანათლებლო სამუშაოებისათვის. დიკასტერიის პირველი რიგის ამოცანა იყო ეკლესია-მონასტრების ქონების აღწერა და შემოსავლის დაზუსტება, სასულიერო პირთა რაოდენობის დადგენა და სამრევლოების მოწესრიგება<sup>2</sup>.

ზრუნავდა რა სასულიერო უწყების ქონების დაზუსტებაზე, მთავრობას განზრახული ჰქონდა მისი გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავდა საქართველოს ეკლესიის ეკონომიური დამოუკიდებლობის მოსპობასა და სახელმწიფოებისადმი მის სრულ დამორჩილებას. საეკლესიო ქონების ერთი ნაწილი ახალგაზრდა-სასულიერო პირების აღზრდა-განათლების საქმეს უნდა მოხმარებოდა. დიკასტერიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო თვით-

საქართველოს ეკლესიის მმართველობის რეორგანიზაციისათვის საქირო ყოველგვარი ცნობების შეგროვება და სათანადო პროექტის შედგენა დაევალა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ანტონ II-ს, რომელსაც არაორაზროვნად ჰპირდებოდნენ, რომ მისი შრომა უშედეგოდ არ ჩაივლიდა და სათანადოდ იქნებოდა შეფასებული პეტერბურგში.

1 В. Е. Титов. Православие. М., 1967, с. 99.  
2 Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею (შემდეგში აქტები). ტ. 1, გვ. 529, § 647.

2. მიზიან ხუციშვილი



მპყრობელობის ერთგული სასულიერო პირების აღზრდა რისთვისაც მთავრობა თბილისში აარსებდა სასულიერო სემინარიას. X

სსრკ-ის სემინარი

X სასულიერო სემინარიის დაარსებით მთავრობა აპირებდა მოემზადებინა მონარქისტულ-კრელიკალურ იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდა სასულიერო წოდება, რომელიც ერთგული იქნებოდა მთავრობის პოლიტიკის. სასულიერო სემინარიაში უნდა მომზადებულიყვნენ სასულიერო მისიონერებიც, რომელთა საქმიანობაზე დიდად იყო დამოკიდებული კავკასიის მთიან რაიონებში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება და აქ რუსეთის ავტორიტეტის განმტკიცება<sup>3</sup>

სასულიერო სემინარია და სასწავლებლები პირველ რიგში უნდა დაკომპლექტებულყო სასულიერო პირებისა და ღარიბ აზნაურთა შვილებით. ყველა ეს და სხვა მრავალი საკითხი, რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს ეკლესიის საშინაო საქმეებთან, უნდა მოეწესრიგებინა სასულიერო დიკასტერიას<sup>3</sup>.

საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელად დატოვეს საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II. მის მესაყდრედ კი დანიშნეს ვარლამ ერისთავი, რომელსაც განათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული და კარგად იცნობდა რუსული ეკლესიის წყობას. მთავრობა საქიროდ თვლიდა დიკასტერიის შემადგენლობაში რუსული ორიენტაციის სასულიერო პირის შეყვანას<sup>4</sup>.

დიკასტერიის შექმნის პერიოდისათვის საქართველოს ეკლესიის ეკუთვნოდა (ქართლსა და კახეთს) 2850 კომლი გლეხი. მისი წლიური შემოსავალი შეადგენდა დაახლოებით 40000 მანეთს. ეკლესია შედგებოდა 13 ეპარქიისაგან.

საეკლესიო რეფორმის გატარების დროს მთავრობა ცდილობდა ეკლესიის მმართველობიდან ჩამოეცილებინა ისეთი სასულიერო პირები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ მთავრობის პოლიტიკით და რომელთა ერთგულებისა და მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა. როგორც ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, ასეთ ღონისძიებებს მთავრობა სისტემატურად ატარებდა საქართველოში თავისი ბატონობის მთელი ისტორიის მანძილზე.

კათალიკოსი ანტონ II დიდხანს არ დარჩენილა საქართველოს ეკლესიის მეთაურად. იგი როგორც დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაური და სამეფო გვარის შთამომავალი, დიდი გავლენით სარგებლობდა ეკლესიის მსახურებსა და მოსახლეობაში. იგი განაწყენებული იყო იმ ღონისძიებებით, რომელიც მთავრობამ გაატარა საქართველოში. რა თქმა უნდა, ასეთი პირის ეკლესიის მეთაურად ყოფნა მთავრობას არ აწყობდა. ანტონ II-ის საქართველოს ეკლესიის საქმეებიდან ჩამოცი-

3 აქტები, ტ. 4, გვ. 139-140, § 217.

4 იქვე.

ლებას საქართველოში რუსული საქმის სასარგებლო ღონისძიებად მიიჩნევა. 1810 წლის 3 მარტს კათალიკოსი ანტონ II ვითომდა საქართველოს ეკლესიის საქმეების მოწესრიგების მიზნით თითქმის ძალით გაიწვიეს პეტერბურგში.

ანტონ II-ის პეტერბურგში გაწვევის შემდეგ საქართველოს დიკასტერიის მეთაურად, როგორც ეს იყო წინასწარ ნავარაუდევო, დანიშნეს ვარლამ ერისთავი, რომელსაც უბოძეს საქართველოს ეგზარქოსის ტიტული და ითვლებოდა რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრად.

საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც ვარლამმა წარუდგინა მთავარმართებელ ტორმასოვს (1809—1811) პეტერბურგში თითქმის უცვლელად დაამტკიცა 1811 წლის 30 ივლისს. ამის თანახმად, საქართველოში შეიქმნა სასულიერო დიკასტერია. კათალიკოს პატრიარქის მაგივრად დაწესდა ეგზარქოსის თანამდებობა. დიკასტერიის ხელმძღვანელი იყო რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრი. საეკლესიო რეფორმა ითვალისწინებდა ეპარქიებისა და საარქიმანდრიტოების შემცირებას. ქართლ-კახეთის 13 ეპარქიიდან დარჩა 2,9 საარქიმანდრიტოდან კი 5. ამ ღონისძიების გატარებით მთავრობას საშუალება ეძლეოდა დამატებითი ხარჯების გარეშე გაეუმჯობესებინა სასულიერო პირების ეკონომიკური მდგომარეობა<sup>6</sup>. ეპარქიების შემცირებას ცარიზმი საქართველოში შემოსვლის პირველი დღეებიდანვე მიმართავდა. ჯერ კიდევ მთავარმართებელმა ციციანოვმა (1802—1806) ქართლში არსებული 6 ეპარქიიდან დატოვა 3. შემცირების შედეგად გამსხვილებულ ეპარქიებში ინიშნებოდა მთავრობისათვის სასურველი პირი. ამის შესახებ ციციანოვი წერდა, რომ ეს ღონისძიება იყო ყველაზე უმტკივნეულო საშუალება მთავრობისათვის არასასურველი პირების თავიდან მოცილებისა<sup>7</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ვარლამი ენერგიულად ხელმძღვანელობდა ეკლესიის საქმეებს, თვითმპყრობელობას ამ თანამდებობაზე ქართველი კაცის დატოვება მიზანშეწონილად არ მიაჩნდა და 1817 წელს ისიც გაიწვიეს პეტერბურგში<sup>8</sup>. მის ადგილზე კი დაინიშნა რუსი მღვდელმთავარი თეოფილაქტე რუსანოვი (1817—1821). ამ დროიდან მოკიდებული საქართველოს ეკლესიის მეთაურად მხოლოდ რუსი ეროვნების მღვდელმთავრები ინიშნებოდნენ, რომლებიც, როგორც წესი, რუსეთის შიდა გუბერნიებიდან იგზავნებოდნენ.

5 აქტები, ტ. 4, გვ. 139—140, § — 217.

6 სსრ კავშირის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი ლენინგრადში (შემდგომში ცსიალ), ფ. 727, ანაწ. 2, საქ. 469, ფურც. 58—65.

7 ცსიალ, ფ. 797, ანაწ. 2, საქმე, 4679, ფურც. 79—82, 1—5, 58—69, 1809.

8 აქტები, ტ. 2, გვ. 269, § 525; აგრეთვე, ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1954, გვ. 103—106.

9 ცსიალ, ფ. 1263, ანაწ. 1, საქ. 122, ფურც. 812—819.

ჩამოსული მღვდელმთავრები გამოირჩეოდნენ მეფის თვითმპყრობელობის ერთგულებითა და მკაცრი ხასიათით. ისინი თავის ცოდნასა და გამოცდილებას არ ზოგავდნენ საქართველოში თვითმპყრობელობის პოლიტიკის განმტკიცებისათვის. ეგზარქოსების საქმიანობის პროგრამა კარგად იყო ჩამოყალიბებული შავრაზმელ მღვდელ ვოსტორგოვის სიტყვაში, რომელიც აღნიშნავდა: „საქართველოს ეგზარქოსს, უპირველესად ყოვლისა, უნდა ახსოვდეს, რომ ის ვალდებულია მთელი თავისი ენერჯია მოახმაროს ქართველთა გარუსების საქმეს რელიგიურ საფუძველზე“<sup>10</sup>. რუსეთის იმპერიისათვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანა. ეგზარქოსს უნდა განეხორციელებინა აკრძალვის, ჩახშობისა და აღკვეთის უხეში საშუალებებით, სახელმწიფო ორგანოებთან კავშირში და, რა თქმა უნდა, მათი შეხედულებებისამებრ.

ახლად დანიშნული ეგზარქოსი ენერგიულად შეუდგა საქართველოს ეკლესიის საქმეების მოწესრიგებას. პროექტი, რომელიც თეოფილაქტემ შეიმუშავა, ითვალისწინებდა თუ რამდენი ეპარქია უნდა ყოფილიყო საქართველოში და რა უფლებები უნდა ჰქონოდა კომისიას. აღნიშნული პროექტი 10 სექტემბერს განიხილა მინისტრთა კომიტეტმა და თითქმის უცვლელად დაამტკიცა. პროექტი ძირითადად ითვალისწინებდა იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და ოსეთის კომისიის საქმიანობის მოწესრიგებას. ამ აქტით უნდა გარკვეულიყო ეკლესია-მონასტრების სასულიერო პირებისა და მრევლის რაოდენობა; შეემციობინათ სასულიერო პირთა რაოდენობა და არ ეკურთხათ მღვდლად არცინ სათანადო განკარგულებამდე; დაენიშნათ ზედამხედველები საბლალოჩინოებში; შეემუშავებინათ ახალი საშუალებები საეკლესიო შემოსავლის გაზრდისათვის; მოეწესრიგებინათ საეკლესიო-სასულიერო განათლების საქმე.

ეგზარქოსმა ანალოგიური ღონისძიებები გაატარა დასავლეთ საქართველოში. 1819 წელს იმერეთი გაერთიანდა ერთ ეპარქიად. თითო ეპარქია დარჩა გურიასა და სამეგრელოში.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს 12 ეპარქიიდან დარჩა 3 ეპარქია. ეგზარქოსი ამცირებდა სამღვდელოების რაოდენობასა და ეკლესიებს. დიდი რაოდენობის სასულიერო პირები რჩებოდნენ შტატგარეშე. სამღვდელოება მტრულად შეხვდა მთავრობის ღონისძიებებს. ეკლესია-მონასტრების მამულებისა და შემოსავლის აღწერა-დაზუსტების საქმეში ეგზარქოსი ისე დაურიდებლად მოქმედებდა, რომ მის

<sup>10</sup> По поводу речей протоиерея И. Восторгова об убиенном русском экзархе Грузии, преосвященного архиепископа Никона. М., 1908, с. 5.



მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა 1819 წელს გამოიწვია აჯანყება, რომელიც მთელს იმერეთსა და გურია-სამეგრელოს მოედო! X

საქართველოს ეკლესიის რეფორმის მომზადებისა და გატარების პერიოდში მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა სასულიერო-სამოსიონერო სამუშაოების გაძლიერებას საქართველოსა და საერთოდ კავკასიის მთიანეთის არაქრისტიან მოსახლეობასა და იმ რაიონებში, სადაც, მთავრობის აზრით, სუსტი იყო მისი გავლენა. X

ეკლესიის რეფორმის გატარებისას მთავრობა ცდილობდა ნაკლებად გავლენიანებას სასულიერო პირები და შეძლებისდაგვარად მოეგო მათი გული. ზოგიერთ შემთხვევაში მთავრობა ეკლესიას უკან უბრუნებდა სხვადასხვა დროს ჩამორთმეულ ქონებას. აიკრძალა საეკლესიო გლეხებისა და მამულების გაჩუქება-გასხვისება. ეკლესიის კუთვნილი სხვადასხვა საწარმოები (წისქვილები, სამღებროები და სხვ.) განთავისუფლეს ბეგარისაგან, მთავრობის დადგენილებით უქმდებოდა ყველა დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა ამ საკითხს და გაცემული იყო 1801 წლის შემდეგ. X

სასულიერო პირების გადასაბირებლად და მათი გულის მოსაგებად მთავრობა მარტო დასახელებული ღონისძიებებით არ კმაყოფილდებოდა. როგორც ცნობილია, დაბალი სამღვდელოების ერთი ნაწილი ბატონყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. 1807 წლის 7 დეკემბერს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის ძალითაც ქართველი სამღვდელოება უფლებრივად გაუთანასწორდა რუსეთის შიდა გუბერნიების სამღვდელოებას<sup>12</sup>. ამიერიდან საქართველოს სამღვდელოება სრულიად განთავისუფლდა როგორც ბატონყმური დამოკიდებულებისაგან, ასევე ყოველგვარი გადასახადებისაგანაც. ანალოგიური ღონისძიებები, მხოლოდ ცოტა მოგვიანებით, გაატარა მთავრობამ დასავლეთ საქართველოში. 1821 წელს, სინოდის გადაწყვეტილებით, იმერეთის ეპისკოპოს სოფრომს დაევალა მოემზადებინა საბუთები იმერეთის სამღვდელოების ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ და შეემუშავებინა სათანადო აზრი აქაურ საზოგადოებაში. X

X 1829 წელს საქართველოს ეგზარქოსმა იონამ მთავარმართებელ პასკევიჩს (1827—1831) წარუდგინა საბუთები, რომლითაც იმერეთის თავადაზნაურობა თანხმობას გამოთქვამდა ბატონყმობისაგან გაენთავისუფლებინა სამღვდელოება და მათი შვილები, რომლებიც დაბადებულნი იყვნენ 1810 წლის შემდეგ. 1837 წლიდან აღნიშნული კანონი

<sup>11</sup> Восстание в Имеретии 1819—1820 гг. — В кн.: Материалы по истории Грузии и Кавказа. Тбилиси, 1942, с. 37.

<sup>12</sup> აქტები, ტ. 4, გვ. 152, § 234.

გავრცელდა კავკასიის მთელ მართლმადიდებლურ სამღვდლოებაზე<sup>13</sup>. ბატონყმობისაგან განთავისუფლებულ სასულიერო პირებს ეძლეოდათ შეღავათები — სახლის ასაშენებლად ერთ დესეტინამდე მიწის ნაკვეთი, რომელსაც ისინი ღებულობდნენ მემამულეებისაგან. უკეთ რომ ვთქვათ, მემამულე მათ ანთავისუფლებდა თავისი მიწით. X

ამავე დროს სამღვდლოებას რჩებოდა უფლება ძველი ადათებით დაწესებული გადასახადების აკრეფისა. ეს კი ცოტა არ იყო. ამ კანონითვე სასულიერო წოდების საკუთრებაში რჩებოდა დიდი რაოდენობის სახნავ-სათესი მიწები. სათევზაო ადგილები, აბანოები და სხვ. ქართლსა და კახეთში 1818 წლისათვის ეკლესიას ეკუთვნოდა 4260 კომლი სულ 15000 გლეხი, ხოლო იმერეთისას 1808 კომლი 7072 სულით. ქართლ-კახეთის საეკლესიო გლეხები თავისი პატრონის სასარგებლოდ იხდიდნენ: დალას — ხორბლის შემოსავლის 1,5; 1,6; 1,7 და 1, 1,10 ნაწილს. სურსათს — ყოველი კომლიდან 3 კოდი მარცვლეულის რაოდენობით (ორი წილი ხორბალი და ერთი წილი ქერი); მახტას (ფულადი გადასახადი) ახდიდნენ მხოლოდ საეკლესიო გლეხები, რომლებიც ცხოვრობდნენ თბილისში და ეკუთვნოდნენ მცხეთის მონასტერს. ეს გადასახადი უდრიდა წელიწადში 120 მანეთს; კულუხს — ღვინის გადასახადს. გლეხი იხდიდა მიღებული ღვინის 1/10 ნაწილს. ღვინის შემოსავალი საეგზარქოსოს წელიწადში აძლევდა დაახლოებით 39584 მანეთს. 1818 წლისათვის ფულადი შემოსავალი ღვინის და პურის გადასახადისგან შეადგენდა 23709 მან. და 45 კაპ. ამის გარდა იჯარით გაცემული მამულეებისაგან ეკლესია იღებდა 36418 მანეთსა და 25 კაპ. ამავე დროს ეკლესიას ეკუთვნოდა 20270 დესეტინა აღწერილი და დაახლოებით 115000 დესეტინამდე აღუწერავი ტყე<sup>14</sup>.

ასეთი ღონისძიებების გატარების შემდეგ ეკლესია საკმაოდ დიდი შემოსავლის პატრონი რჩებოდა. 1847 წლის ცნობით, მარტო საეკლესიო გლეხობიდან მისი შემოსავალი უდრიდა 60 ათას მანეთს. მისი უძრავი ქონება იძლეოდა 97000 მანეთ შემოსავალს. ეს მაშინ, როდესაც ეკლესიის საჭიროებაზე იხარჯებოდა მხოლოდ 51 ათასი მანეთი<sup>15</sup>.

1818 წელს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ეკლესიისათვის ახალი საშტატო განრიგი, რითაც განისაზღვრა ეკლესიების და მის მსახურთა რაოდენობა. ამავე დოკუმენტით მოწესრიგდა სამრევლოების რაოდენობაც. საშტატო განრიგი ძალაში შევიდა 1819 წლიდან. ახლა ყოველ 80—100 კომლიდან იქმნებოდა ერთი სამრევლო. სამღვდლო-

<sup>13</sup> იქვე. ტ. 9. გვ. 107—108, §142; ცხილ. ფ. 1268, ანაწ. 1, საქმე 73, ფურც. 1—19.

<sup>14</sup> ა. ფანცხავეა. დასახ. ნაშრომი, გვ. 74—79; ცხილ. ფ. 1268, ანაწ. I, საქმე 406-ა, 1843—1869, ფურც. 1—3, 483, 506.

<sup>15</sup> Б. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. 1907, т. I, с. 78.

ეზას რჩებოდა უფლება დრამისა და სხვა ძველი ადათებით დაწესებული გადასახადების აკრფისა<sup>16</sup>. 1818—1860 წლებში საბოლოოდ დადგინდა იმ ეკლესიათა რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფოს თავის ხარჯზე აპყავდა. მთავრობის ეს ღონისძიება ზღვარს უდებდა სასულიერო წოდების განუსაზღვრელ ზრდას, ამავ დროს სახელმწიფომ დააღვინა იმ სამრევლოებისა და მრევლის რაოდენობა, რომლებიც შედიოდნენ ოსეთის სასულიერო კომისიის განკარგულებაში და იმყოფებოდნენ მის ხარჯზე<sup>17</sup>.

ერთი შეხედვით იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს სახელმწიფო თავის თავზე იღებდა სამღვდლოების უზრუნველყოფას. სინამდვილეში კი სასულიერო პირების რჩენა ისევ მშრომელი მოსახლეობის კისერზე გადადიოდა. ახალი სამტატო განრიგით თელავის მაზრაში 5580 კომლზე მოდიოდა 71 ეკლესია, სიღნაღში 4284 კომლზე 59 ეკლესია, გორის მაზრაში 4754 კომლზე 95, თბილისში 740 კომლზე 10 ეკლესია და სხვ. თუ მარტო ჩამოთვლილი მაზრების მიხედვით ვიმსჯელებთ, დაახლოებით 70 კომლზე მოდიოდა ერთი ეკლესია. თუ ბარის რაიონებში 80—100 კომლზე ერთი სამრევლო იქმნებოდა, მთაში, დასახლების თავისებურების გამო, 40 კომლზე ერთი ეკლესია იყო. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების დროს 80 000 მართლმადიდებლურ მოსახლეს 800 მღვდელი ემსახურებოდა. მღვდლების სიმრავლეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ რაიონში ყოველი 100 სული მოსახლე 3—4 სასულიერო პირს არჩენდა<sup>18</sup>. რაც შეეხება მთის მოსახლეობას, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში არ ჰქონდა საშუალება ეკლესიის შენახვისა და მისი მსახურების რჩენისა, მთავრობამ ისინი გაანთავისუფლა ყოველგვარი საეკლესიო ვალდებულებებისაგან და იქ მომუშავე სასულიერო პირები თავის ხარჯზე აიყვანა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მთავრობის ამ ღონისძიებას პოლიტიკური საფუძველი ედო. მთის მოსახლეობაზე საეკლესიო გადასახადების გაწერას შეეძლო საქმე ისე შეებრუნებინა, რომ ახლად გაქრისტიანებულ მოსახლეობას უარი ეთქვა სარწმუნოებაზე, რაც ნიშნავდა არა მარტო ქრისტიანული სარწმუნოების გავლენის შესუსტებას, არამედ მთავრობის მარცხსაც. ცოტა მოგვიანებით მთავრობამ ხელახლა გადასინჯა სამრევლოების მდგომარეობა და მიიღო გადაწყვეტილება, თითოეულ სამრევლოში ყოფილიყო არა ნაკლებ 300 კომლისა, რომელსაც უნდა მომსახურებოდა შხოლოდ ორი მღვდელი.

<sup>16</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (შემდგომში საქ. ცსა), ფონდი 488, საქმე 25393, 1905, ფურც. 4.

<sup>17</sup> Еп. К. [ирион]. Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие. Тифлиси, 1901, с. 224.

<sup>18</sup> საქ. ცსა, ფ. 488, საქ. 22483, 1905, ფურც. 2.



სამრევლოების ასეთი გადანაწილება ითვალისწინებდა სასულიერო პირების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე.

რეფორმის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო საეკლესიო-სამონასტრო მამულების აღწერა, შემოსავლის დაზუსტება და მათი სახელმწიფო ხაზინაზე გადაცემა. ამით მთავრობა სასულიერო პირებს ანთავისუფლებდა ვითომდა იმ „არასასიამოვნო მოვალეობის შესრულები-საგან“ როგორც იყო უძრავი ქონების მოვლა-პატრონობა, რაც თითქოს სამღვდელეობას საშუალებას არ აძლევდა შეესრულებინა თავი-სი პირდაპირი მოვალეობა<sup>19</sup>. 1852—1864 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მიწები მთლიანად გადაეცა სახელმწიფო ხაზინას, რის საზღაურადაც სამღვდელეობამ მიიღო 72653 მან. და 51 კაპ. გარდა აღნიშნულისა, ეკლესიის განკარგულებაში რჩებოდა ამ მამულების შემოსავალი სამი წლით, ხოლო მომავალი ცხრა წლის განმავლობაში — შემოსავლის ნახევარი ხმარდებოდა ამ მამულების მოვლა-სა და ეკლესიისათვის საჭირო თანხების დაგროვებას.

შვე 1863 წელს ეკლესია სახელმწიფოსაგან იღებდა 76084 მანეთსა და 89,1/2 კაპიკს<sup>20</sup>.

1869 წელს საეკლესიო მამულები მთლიანად გადაეცა სახელმწიფო ხაზინას<sup>21</sup>.

1853 წელსვე გადაწყვეტილი იყო დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრების კუთვნილი მიწების გადაცემა სახელმწიფო ხაზინისათვის, მაგრამ ამ ღონისძიებების გატარებას ხელი შეუშალა თურქეთთან დაწყებულმა ომმა.

იმერეთისა და გურიის მამულების მდგომარეობის გარკვევის მიზნით, მეფის ნაცვალმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელმაც დააზუსტა მამულების შემოსავალი და მდგომარეობა. შალე კომისიამ მეფის ნაცვალს წარუდგინა ცნობა, რომელიც ადასტურებდა, რომ იმერეთის საეკლესიო მამულების შემოსავალი უდრიდა 29641 მანეთს, ხოლო გურიის — 1113 მანეთს. 1873 წელს აღნიშნული ეპარქიების მამულებიც გადავიდა სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში: საზღაურად ორივე ეპარქიას მიეცა 30000 მანეთი. აქედან იმერეთისას 28886, ხოლო გურიისას — 1114 მანეთი<sup>22</sup>. ცოტა მოგვიანებით სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში გადავიდა სამეგრელოს საეკლესიო-სამონასტრო მიწებიც, რის სანაცვლოდაც სახელმწიფოსაგან მიიღო 20000 მანეთი<sup>23</sup>.

<sup>19</sup> Отчет Оберпрокурора св. синода за 1869 г., с. 272—273.

<sup>20</sup> ეპისკოპოსი კირიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 90.

<sup>22</sup> ცხილ დ. 7, კარადა 15, თარიღი 2, № 1, 1871.

<sup>23</sup> იქვე.

საეკლესიო რეფორმის გატარებისას თვითმპყრობელობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სასულიერო წოდების მატერიალური პირობების გაუმჯობესებას.

აღნიშნულის გარდა, მთავრობა ეკლესიის მსახურებს უწევდა ერთდროულ დახმარებასაც. 1873 წელს სინოდის ობერპროკურორმა დააკმაყოფილა მეფის ნაცვლის თხოვნა და საქართველოს სოფლის სამღვდელთა საჭიროებისათვის გამოყო 62140 მანეთი<sup>24</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1879 წლიდან სინოდი სახელმწიფოსაგან ერთდროული დახმარების სახით იღებდა 50000 მანეთს, რისი განსაზღვრული ნაწილიც, რა თქმა უნდა, საქართველოს სამღვდელთა სახარებასაც ხმარდებოდა. ამის გარდა მთავრობამ იზრუნა სამღვდელთა უზრუნველყოფაზე იმ სამტატო განრიგის მიხედვით, რომელიც შემუშავებული იყო 1843 წელს რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებისათვის.

თანხა, რომელსაც მთავრობა ხარჯავდა სასულიერო პირების ხელფასზე, ყოველწლიურად იზრდებოდა. თუ 1843 წელს ეს თანხა ერთ მილიონ მანეთს უდრიდა, 1863 წლისათვის ამ ხარჯებმა უკვე 3315000 მანეთს მიაღწია. სახელმწიფო თვლიდა, რომ ჯამაგირის დანიშვნით იგი სასულიერო წოდებას ათავისუფლებდა გადასახადების აკრფის არასასიამოვნო მოვალეობისაგან, რაც ხშირად იყო უთანხმოების მიზეზი მღვდელსა და მრევლს შორის. ხელისუფალთა აზრით, ეს ღონისძიება ხელს უწყობდა სამღვდელთა ავტორიტეტის ამაღლებას. სამღვდელთა არ იქნებოდა დამოკიდებული შემთხვევით შემოსავლებზე და ეს ღონისძიება მას „ხალხის ნამდვილ მწყემსად აქცევდა“<sup>25</sup>. სამღვდელთა კი სულ სხვა აზრისა იყო. ის შეაშფოთა დრამისა და სხვა საწესო გადასახადებზე უარის თქმის მოსალოდნელმა აუცილებლობამ და თვლიდა, რომ სასულიერო წოდების მხოლოდ ხელფასით უზრუნველყოფა საბოლოოდ გააღარიბებდა მათ. დეკანოზი ლამაზიძე ამ ღონისძიების გატარების თაობაზე წერდა: „ახლა სამრევლოში მღვდელი იღებს 1000 მანეთს და ის რომ 600 მანეთზე დაესვათ ხომ შიმშილით მოკვდებოდნენ“<sup>26</sup>. მაგრამ სამღვდელთა შიში არ გამართლდა. ცარაზში სრულიად არ აპირებდა სასულიერო წოდების განაწყენებას. 900-იანი წლებისათვის ქართლ-კახეთში უზრუნველყოფილი იყო 1534 სასულიერო პირი, იმერეთში — 508, სოხუმის ეპარქიაში — 101, გურიაში — 358. სულ 2501 კაცი, რომელთა შესანახადაც სახელმწიფო აძლევდა 426417 მანეთსა და 22 კაპიქს<sup>27</sup>. ამასთანავე, ძალაში რჩებოდა საეკლესიო გადასახადის აკრფის ძველი წესი. მთავრობის ასეთი ღონისძიების გატარებამ გამოიწვია გლეხობის უკმაყოფილება, რომე-

<sup>24</sup> იქვე. ფ. 1172. ანაწ. VIII. საქ. 388, 1870.

<sup>25</sup> ცხალ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 997, 1883, ფურც. 27.

<sup>26</sup> „მწყემსი“, 1890, № 13, გვ. 2.

<sup>27</sup> ეპისკოპოსი კირონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 251.

ლიც საერთოდ წინააღმდეგი იყო საეკლესიო გადასახადებისა და თვლიდა, რომ, რადგანაც სამღვდელოება სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდა, სახელმწიფოსვე უნდა ეზრუნა მათ შენახვაზე.

მთავრობის ზრუნვა სამღვდელოების ეკონომიკურ უზრუნველყოფაზე გამოიხატა აგრეთვე მათთვის პენსიის დანიშვნაში. 1836 წლის ბრძანებულებით იმ მღვდლებს, რომლებმაც სასულიერო უწყებაში იმსახურეს 35 წელი, პენსიის სახით წელიწადში ეძლეოდათ 70 მან. 1967 წლიდან ეს კანონი გავრცელდა დაბალი რანგის სასულიერო პირებზედაც. 1876 წელს გადაიდგა ახალი ნაბიჯი სასულიერო პირების ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათი პენსია გაიზარდა 90 მანეთამდე. 1879 წლიდან კი 130 მანეთამდე. პენსიები ენიშნებოდათ სასულიერო პირთა ოჯახის წევრებსაც. მღვდლის ქვრივს, უმცროს ან მოზარდი შვილების პატრონს წელიწადში ეძლეოდა 65 მანეთი, მცირეწლოვანი ბავშვების ან ბავშვის პატრონს კი 90 მანეთამდე. 1890 წლიდან პენსია დაენიშნათ დიაკვნებს 90 მანეთის რაოდენობით. მათ ქვრივებს შვილიანს 50, ხოლო უშვილოს 40 მანეთი<sup>28</sup>.

ყველა ზემოთ ხსენებულთან ერთად, მეფის მთავრობამ სასულიერო პირებზე თავისი ზრუნვა გამოხატა იმათაც, რომ 1863 წლიდან, რუსეთის მაგალითისამებრ, საქართველოშიც შეიქმნა ე. წ. განსაკუთრებული საგუბერნიო სამზრუნველოები მართლმადიდებლური სამღვდელოების ყოფის გასაუმჯობესებლად. თბილისსა და ქუთაისში ასეთი სამზრუნველოები შეიქმნა 1864 წელს. მათ ევალებოდათ გამოეჩაბათ ადგილობრივი და კერძო საშუალებები საერთოდ სამღვდელოების და კერძოდ სოფლის სამღვდელოების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. მთავრობა თვლიდა, რომ ეკლესიისა და მისი მსახურების შენახვაში მოსახლეობას აქტიური და უშუალო მონაწილეობა უნდა მიეღო<sup>29</sup>. 1890 წლიდან ასეთი სამზრუნველოები შეიქმნა გურია-სამეგრელოში. ამავე ხანებში სამღვდელოებას გამოეყო ე. წ. „ნადელები“ 12 დღიურის ოდენობით. 1893 წლიდან კი ამიერკავკასიის მართლმადიდებლურ სამღვდელოებას მიეცა იმავე ოდენობის „ნადელები“, რამდენიც ეილეოდა რუსეთის შიდა გუბერნიების სამღვდელოებას<sup>30</sup>.

სასულიერო წოდების მატერიალურად უზრუნველყოფის საქმეში მთავრობა ამითაც არ დაკმაყოფილდა. 1893 წლიდან რუსეთის იმპერიის მართლმადიდებლურ ეკლესიას მთავრობამ ერთდროული დახმარების სახით გამოუყო 250000 მანეთი და ამასთანავე მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც აღნიშნული თანხა გაიზრდებოდა მანამდე,

28 ებ. კორიონი. დასახ. ნაშრომი, გვ. 251.

29 საქ. ცსა, ფ. 488, საქ. 2683, ფურც. 7. 1905.

30 იქვე, ფ. 8.

სანამ იმპერიის მთელი სამღვდლოება არ იქნებოდა უზრუნველყოფილი ხელფასით<sup>31</sup>.

ასეთი ხასიათის იყო ის ღონისძიებები, რომლებიც გაატარა თვითმპყრობელობამ საქართველოს სასულიერო წოდების მატერიალურად უზრუნველყოფისა და თავის სამსახურში ჩაყენების მიზნით. მთავრობის ამ ღონისძიებით საქართველოს ეკლესია გაუთანაბრდა სხვა ჩინონიკურ სახელმწიფო აპარატს, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ დაეჭარბინათ საქართველოში თვითმპყრობელურ-კოლონიური რეჟიმის დამკვიდრება.

## § 2. ანტირევოლუციური გამოსვლაში საქართველოში და მართლმადიდებლური ეკლესია

როგორც ვნახეთ, საეკლესიო სფეროში გატარებული რეფორმა, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებდა ისეთი ხასიათის ღონისძიებებს, რომელიც მთავრობას საშუალებას მისცემდა უფრო მოქნილად გამოეყენებინა საქართველოს სასულიერო წოდება თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის.

✦ საქართველოში თვითმპყრობელური რეჟიმის დამყარებით პირველი დღეებიდანვე მთავრობა სისტემატურად მიმართავდა ეკლესიას და ცდილობდა სასულიერო ცხოვრების ყოველივე წვრილმანი გამოეყენებინა საქართველოს მოსახლეობაში რუსეთის სამეფო ტახტისა და თვითმპყრობელური რეჟიმის ავტორიტეტის ასამაღლებლად. ✧

ამ მიზნით გამოიყენა თვითმპყრობელობამ წმინდა ნინოს ჯვრის გადმოსვენების ცერემონიული პეტერბურგიდან თბილისში. ეს ჯვარი წინ მოუძლოდა საქართველოსაკენ მომავალ რუსეთის ჯარს. ჯვრის გადმოსვენებას საქართველოში პეტერბურგი სახელმწიფო მნიშვნელობას ანიჭებდა. მთავრობა მიუთითებდა გენერალ კნორინგს, რომ აღნიშნული ცერემონიული უნდა გამხდარიყო მაჩვენებელი რუსეთის მეფის კეთილი განწყობისა და მამობრივი ზრუნვისა საქართველოს მკვიდრთა მიმართ, რათა მოსახლეობას შემოსული ძალა ქვეყნის მფარველად წარმოედგინა<sup>32</sup>. სამეფო კარის აზრით, ამ დღესასწაულზე ქართველ ხალხს საშუალება უნდა მისცემოდა გამოემჟღავნებინა თავისი კეთილი გრძნობები და სიყვარული რუსეთის იმპერატორისადმი. იმ მამობრივი სიყვარულისა და ზრუნვის საპასუხოდ, რომელსაც ვითომდა ის იჩენდა ქართველებისადმი<sup>33</sup>. ამავე მიზნით სათანადო აღგილი ჰქონდა დათმობილი საქართველოს სასულიერო წოდებას რუსეთის

31 ევ. კირიონი. დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

32 ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია (XIX ს.), ტ. I, გვ. 28.

33 აქტები, ტ. I, § 3, გვ. 652.

იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცების რიტუალში. მთავრობამ საქი-  
როდ მიიჩნია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტი  
ხალხისათვის გაეცნო სასულიერო პირებს<sup>34</sup>. მთავრობა დარწმუნებუ-  
ლი იყო, რომ ამ მანიფესტის გამოცხადება ხალხში სასულიერო პი-  
რების მიერ უფრო დამაჯერებელი და ავტორიტეტული იქნებოდა.

საქართველოში შემოსვლის პირველი დღეებიდანვე მთავრობა ეკ-  
ლესიის მსახურებისაგან მოითხოვდა მოსახლეობის აღზრდას სამეფო  
ტახტისა და არსებული პოლიტიკური რეჟიმის ერთგულებით. ამავე  
მიზნით მთავარმართებელი ციციანოვი სასულიერო პირებს ავალებდა,  
რომ როგორც ყოველდღიური წირვის დროს, ასევე საეკლესიო დღე-  
სასწაულებში ედიდებინათ რომანოვების გვარი, გაეხსენებინათ გან-  
სვენებული იმპერატორები და სხვ. მღვდელი ვალდებული იყო ყოვე-  
ლი ასეთი ღონისძიება აღერიცხა სპეციალურ უფროსში, რომელიც  
მთავარმართებელმა ამ საქმისათვის პეტერბურგიდან გამოითხოვა<sup>35</sup>.

საქართველოში თავისი გავლენის გაძლიერებისათვის მთავრობის  
მიერ გატარებულ ღონისძიებებში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი  
პრივილეგიურებულ წოდებას, განსაკუთრებით კი სამღვდლოებას. ჯერ  
კიდევ 1802 წელს გენერალი კნორინგი მოითხოვდა დაწვრილებით შე-  
ესწავლათ საქართველოს შინაგანი მდგომარეობა, საჩქაროდ შედგენი-  
ლიყო გორის, ღუშეთის, თბილისის გეგმები, სადაც ყველაფერთან ერ-  
თად ნითითებული იქნებოდა ეკლესიებიც<sup>36</sup>.

დასავლეთ საქართველოში დაპყრობითი ომების წარმოების  
დროს გენერალი ტორმასოვი დიდ ყურადღებას უთმობდა სამღვდე-  
ლოებას. თავის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში იგი ატყობინებდა იმ-  
პერიის სამხედრო მინისტრს „იმერეთი მთელი თავისი ციხესიმაგრე-  
ებით ერთი თვის განმავლობაში დავიბყარით. იმერეთის თავადობა, სამ-  
ღვდლოება და ხალხი... დაფიცებულია რუსეთის ქვეშევრდომობაზე“<sup>37</sup>.  
იგივე ტორმასოვი იმერეთში ოპერაციების წარმოების დროს 1809  
წელს პოლკოვნიკ სიმონოვიჩისაგან მოითხოვდა, იმერეთში მოქმედე-  
ბის დროს განსაკუთრებით გაემახვილებინათ ყურადღება იმერეთის  
ეკლესიის მეთაურებზე და ამავე დროს ასეთივე მიზნებისათვის მოემ-  
ზადებინათ გურიისა და რაჭის როგორც თავადაზნაურობა, ასევე სამ-  
ღვდლოება<sup>38</sup>.

იმერეთის მიტროპოლიტის თხოვნაზე, საქართველოში დაებრუნე-  
ბინათ მეფე სოლომონი, გენერალმა ტორმასოვმა უპასუხა, რომ ის სა-  
სულიერო პირები, რომლებიც დაუკავშირდებოდნენ მეფე სოლომონს,

34 იქვე, ტ. 1, გვ. 536, § 655.

35 იქვე, ტ. 2, გვ. 269, § 254.

36 იქვე, გვ. 384.

37 აქტი, ტ. 4, გვ. 330; ა. კიკვიძე, დსახ. ნაშრომი, გვ. 71.

38 იქვე, გვ. 267, § 341.

დასჯებოდნენ კანონის მთელი სიმკაცრით. ტორმასოვი სასულიერო პირებისაგან მოითხოვდა, რომ მათ ყოველდღიურად ეზრუნათ იმპერატორის ავტორიტეტის განმტკიცებაზე დაქვემდებარებულ სამრევლოებში და შეეკავებინათ მრევლი ყოველგვარი მავნე მოქმედებებისგან<sup>39</sup>. ამავე წერილით იმერეთში მოქმედი ჯარების სარდლისაგან მოითხოვდა რა გადამწყვეტ მოქმედებას, ტორმასოვი ატყობინებდა იმ პირების გვარებს, რომლებსაც შეიძლებოდა დაყრდნობოდა იმერეთის საქმეების მოწესრიგების დროს. სხვა მაღალი წოდების წარმომადგენელთა შორის მთავარსარდალი მოიხსენიებს მღვდლებს — იასე გრიგოლაშვილს და სიმონ გოგლიჩიძეს. ეს სასულიერო პირები, სხვა იმ პირებთან ერთად, რომლებიც მეფე სოლომონს არ გაჰყვნენ თურქეთში, გენერალმა გაგზავნა სიმონოვიჩთან, რომელსაც ისინი უნდა გამოეყენებინა იმერეთის აჯანყებულ ხალხთან მოლაპარაკების დროს. ამ სამსახურისათვის მათ ჰპირდებოდნენ იმ მამულების დაბრუნებას, რომლებსაც ისინი ადრე ფლობდნენ. თვითონ სიმონოვიჩის დავალებით სოლომონთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ იმერეთის მიტროპოლიტები<sup>40</sup>.

თვითმპყრობელობა სასულიერო პირთა განსაკუთრებულ მოწოდებას ხედავდა რუსული მმართველობისა და თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლების ჩახშობასა და დაწყნარებაში. მთავრობის ერთგული სასულიერო პირები მოხერხებულად შედიოდნენ აჯანყებულთა რიგებში, იმსახურებდნენ მათ ნდობას, იგებდნენ მათ ზრახვებს და შემდეგ საჭირო ცნობებს აწვდიდნენ ხელისუფლებას.

კახეთის 1812 წლის გლეხთა აჯანყების დასაწყნარებლად მთავრობამ განკარგულება გასცა ადგილობრივ ხელისუფალთ შეეჩერებინათ სურსათის შეგროვება, ხოლო მოურაგებსა და სამღვდელოებს მოუწოდებდა, ემოქმედათ აჯანყებულ მასებზე<sup>41</sup>. კახეთის აჯანყების ჩახშობაში სხვა პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლებთან ერთად სამღვდელოების წარმომადგენლები ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდნენ. გენერალმა პაულუჩმა აჯანყებული კახელების წინააღმდეგ ბრძოლის დროს თავის ერთგულ თანაშემწედ გაიხატა არქიმანდრიტი ელეთერი. არქიმანდრიტი მოხერხებულად შედიოდა აჯანყებულთა რიგებში, იგებდა მათ ზრახვებს, სწავლობდა მათ ძალებს და ასრულებდა ყველაფერს, რასაც დაავალებდნენ<sup>42</sup>. 1812 წელს პაულუჩი წერილით მიმართავდა მიტროპოლიტ ვარლამს, რომელშიც ატყობინებდა ახმეტის, თიანეთისა და მატნის გლეხობის გამოსვლებზე და სთხოვდა სასულიერ-

39 აქტი, ტ. 4, გვ. 280—290.

40 აქტები, ტ. 4, გვ. 188; ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, ტ. 1, გვ. 66.

41 იქვე, ტ. 5, გვ. 69.

42 იქვე.

რო წოდებას აქტიური მონაწილეობა მიეღო მათ დაწყნარებაში. პა-  
ულუჩი წერდა „ბრბო დასტოვებს თავის ბოროტ განზრახვებს, მაგრამ  
ამ მხრივ წარმატების შესახებ არ მაქვს ცნობები და ფრიალ მნიშვნე-  
ლოვანი იქნება, თუ სასულიერო ხელისუფლება გამოიყენებს მღვდელმ-  
თავრულ შეგონებით ზომებს, რომელთაც შეეძლება მოქმედება ბრბო-  
ზე. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს აღმატებულებას, არ და-  
აყოვნოს და რაც შეიძლება ჩქარა, გაგზავნოს კახეთში სამი სასული-  
ერო პირი პატივისცემით აღჭურვილი, რომლებიც შეძლებენ დაარ-  
წმუნონ ხალხი. ამის გარდა, ძლიერ სასარგებლო იქნებოდა თუ თქვენ  
ყველგან ადგილებზე მისწერდით სამღვდლოებს, რათა მათ ყველა  
ლონე ეხმარათ და შეეკავებინათ ხალხი არასასიკეთო ქცევისაგან“<sup>43</sup>.  
ამავე დროს თხოვდა ეცნობებინა მისთვის, თუ რა ღონისძიებები იქნე-  
ბოდა გატარებული ვარლამის მიერ. აქვე გენერალი მადლობას უხდის  
ნინოწმინდის არქიებისკოპოს სტეფანეს იმ დახმარებისათვის, რაც მან  
გაუწია მთავრობას აჯანყებულთა დაწყნარების საქმეში. ასეთივე მოქ-  
მედებისათვის მადლობა დაიმსახურა მიტროპოლიტმა იოანე ბოდბელ-  
მა. საბასუხი წერილში მიტროპოლიტი მადლობას უხდის მთავარმარ-  
თებელს მისი საქმიანობის ასეთი შეფასებისათვის და ატყობინებს,  
რომ მას ეს არ დაუმსახურებია, რადგან შეასრულა ქრისტეს კანონი —  
სამოციქულო ნცნება, რომელიც გვასწავლის მთავრობის მორჩილე-  
ბას, ვინაიდან ყოველი მთავრობა ღვთისაგან არის დაწესებული. ვინც  
ეწინააღმდეგება მთავრობას, ის ეწინააღმდეგება ღმერთს. „მე რო-  
გორც უღირსმა მღვდელმთავარმა ჩემი მოვალეობა შევასრულე“<sup>44</sup> —  
ასრულებს თავის სამადლობელო წერილს იოანე ბოდბელი. სასული-  
ერო პირებისაგან პაულუჩი მოითხოვდა ეცნობებინათ აჯანყების მი-  
ზეზი და ჰპირდებოდა, რომ მათი რუსეთის სასარგებლო საქმიანობის  
შესახებ უუქველად აცნობებდა იმპერატორს<sup>45</sup>.

მიტროპოლიტ ელეფთერის გამცემლურ მოქმედებაზე ვრცლად  
შეჩერდა ალ. ფრონელი თავის ნაშრომში „ამბოხება კახეთისა“ 1812 წ.  
ისტორიული ამბავი. სამღვდლოების ანტიხალხურ საქმიანობაზე გა-  
ამახვილა ყურადღება ა. კიკვიძემ თავის ნაშრომებში<sup>46</sup>.

ალ. ფრონელმა დასახელებულ ნაშრომში დაგვიხატა არქიმანდ-  
რიტ ელეფთერის, როგორც ხალხის მოღალატის სახე. აი რას წერს  
ის: „ღამარცხებულ კახელობას, რა თქმა უნდა, არც კარის წინამძღვა-  
რი არქიმანდრიტი ელეფთერ ზუკაკიშვილი დააყრიდა ხეირსა. ელეფ-“

43 ა. კიკვიძე, საქ. ისტორია, ტ. I, გვ. 94.

44 აქტები, ტ. 5, გვ. 82—83; ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95; ა. კიკვი-  
ძე, თხზულებათა კრებული, თბ., 1940, გვ. 215.

45 აქტები, ტ. 5, გვ. 82—83, § 99.

46 ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა (1812 წ.), ისტორიული ამბავი, ტფ.,  
1907, გვ. 209—210; ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 82—99.

თიერმა დაიჭირა ჩაოდენივე მღვდელნი და დიაკონნი უბრალონი, რომელთაც ხელითა თვისითა ჰსცემდა და აგლეჯდა წვერთა. ნაცემ-ნაგვებნი გაგზავნა ქალაქს მიტროპოლიტ ვარლამ ერისთვიშვილთან; რომელმაც გაკრიჷნა და წარგზავნა ციმბირს სრულიად უდანაშაულონი; ხოლო უკეთუ მღვდელმან რომელმა მისცეს ასი თუმანი მიტროპოლიტ ვარლამს ქრთამი, იგი განტევებულ იქნებოდისო“<sup>47</sup>. რა თქმა უნდა, ყველა მღვდელი როდი იქცეოდა ისე, როგორც არქიმანდრიტი ელეფთერი.

ქართველ სასულიერო პირებში იყვნენ ისეთებიც, რომელნიც თავიანთი მოქმედებით წინ აღუდგნენ მეფის რუსეთის აღვირაზსნილ კოლონიურ პოლიტიკას და იარაღით ხელში მონაწილეობას ლებულობდნენ სახალხო გამოსვლებში. კახეთის 1812 წლის აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მღვდლები გიორგი ჩახტაური და ესტატე მოწამეთელი, რომლებიც შემდეგში მთავრობამ ამ საქმიანობისათვის ციმბირში გადაასახლა. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი მოქმედებისათვის დასჯილ სასულიერო პირებს მთავრობა განსაკუთრებული სიმკაცრით ექცეოდა. კახეთის აჯანყების მონაწილე თავადაზნაურობა, რომლებიც გადასახლებულნი იყვნენ ციმბირში, სულ რამდენიმე წლის შემდეგ გაანთავისუფლეს, ეს მაშინ, როდესაც დასჯილ სასულიერო პირებისათვის ასეთი შეღავათები არ მიუციათ<sup>48</sup>.

როგორც ცნობილია, სასულიერო პირების დიდი ნაწილი ერთგულად ემსახურებოდა თვითმპყრობელობას და ყველაფერს აკეთებდა, რათა მისი კეთილგანწყობა დაემსახურებინა. სასულიერო წოდება მოსახლეობას მოუწოდებდა უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ ხელისუფალს, როგორი მკაცრიც და აუტანელიც არ უნდა ყოფილიყო მათთვის ახლად დამყარებული რეჷიმი.

როგორც აღვნიშნეთ, კახეთის აჯანყების ჩახშობაში აქტიურ მონაწილეობას ლებულობდნენ საქართველოს სასულიერო დიკასტერიის მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის მიტროპოლიტი ვარლამი და არქიმანდრიტი ელეფთერი, რომლებიც მთავრობამ დააჯილდოვა კიდევაც. გენერალი რტიშჩევი სინოდის ობერპროკურორს სთხოვდა, რომ დასახელებული პირების საქმიანობა რუსეთის სამეფო ტახტის სასარგებლოდ პეტერბურგში სათანადოდ ყოფილიყო შეფასებული<sup>49</sup>. ამავე დროს მთავრობა ფიზიკლად ადევნებდა თვალყურს სამღვდლოების განწყობილებას და მათ დამოკიდებულებას ანტირეჷიმიულ გამოსვლებთან. სინოდის ობერპროკურორი სთხოვდა იმერეთის მიტროპოლიტ სოფრომს, ეცნობებინა მისთვის, თუ როგორ შეხვდა მისდამი და-

47 ა. ლ. ფრონელი. ამბობება კახეთისა (1812 წ.), ისტორიული ამბავი. ტფ., 1907, გვ. 209—210.

48 ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი მოსკოვში. შემდეგში ცსიამ, ფ. 109.1 ექსპედიცია, 111 განყოფ., საქ. 225, 1883.

49 აქტები, ტ. 5, გვ. 402—403, § 481.



ქვემდებარებული სასულიერო წოდება გურიის გლეხთა გამოსვლებს 1841 წელს. პროკურორს აინტერესებდა მათი დამოკიდებულება ამ მოძრაობისადმი და მონაწილეობდა თუ არა სასულიერო წოდება მასში<sup>50</sup>. სასულიერო პირები აქტიურად მონაწილეობდნენ მთავრობასთან ერთად. საქართველოს ეგზარქოსმა თვითონ შესთავაზა ეს სამსახური და თავად არდუტინსკ-დოლგორუკთან სამი სასულიერო პირი ვაგზავნა, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ აჯანყებული მოსახლეობის დაწყნარება<sup>51</sup>.

1845 წელს სვანეთის საქმეების მოსაწყესრიგებლად და მისი მთავრის თათარყანის მთავრობის მხარეზე გადმოსაბირებლად ვორონცოვმა იქ ვაგზავნა მღვდელი ქუთათელაძე. მღვდელმა თავისი მისია კარგად შეასრულა, თათარყანმა ფიცი დადო რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე და ერთადერთი შვილი მეფის ნაცვალს მძევლად გაუგზავნა<sup>52</sup>. სასულიერო წოდების დახმარებით მთავრობა ცდილობდა ამ მეზობლი ხალხის დამორჩილებას. 1855 წელს მეფის მთავრობამ სვანეთში ვაგზავნა მღვდელთა დიდი ჯგუფი სპეციალური დავალებით, რაც შეიძლება დიდხანს დარჩენილიყვნენ იქ და ხელისუფლების სასარგებლო აგიტაცია გაეწიათ მოსახლეობაში. სვანეთის აჯანყების დროს (1855—1857 წწ.) რაქის ერისთავმა გიორგი წერეთელმა უშუალოდ ვაგზავნა დების მღვდელი ვავაშელაშვილი, რომელსაც დაავალა ეწარმოებინა მოლაპარაკება აჯანყებულ სვანებთან<sup>53</sup>.

სასულიერო წოდება ასევე ეხმარებოდა მთავრობას აჯანყებული სამეგრელოს დაწყნარებაში 1857 წელს, როდესაც სამეგრელოს ეკლესიის მეთაურმა ჰუკონდიდელმა მეამბოხეთა შორის მთავრობის სასარგებლო აგიტაციის გასაწევად და მათი დაწყნარების მიზნით დარაზმა სამეგრელოს მთელი სამღვდლოება<sup>54</sup>.

საქართველოში თავისი ბატონობის მთელი ისტორიის მანძილზე თვითმპყრობელობამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელიც მიმართული იყო ქართველი ხალხის ასიმილაციისაკენ. სხვა ღონისძიებების გვერდით, საქართველოსა და კავკასიის კოლონიზაციის საქმეში თვითმპყრობელობა დიდ იმედებს ამყარებდა აქ უცხო ელემენტის, განსაკუთრებით რუსი ეროვნების წარმოშობის მოსახლეობით დასახლებაზე<sup>55</sup>. ეს საკითხი გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც ქრისტიანულ ეკლესიას სათანადო ამოცანის გადაწყვეტა ეკისრებოდა.

50 იქვე, ტ. 9, გვ. 402, § 139.

51 ცხილ, ფ. 797, ანაწ. 3, საქ. 29006, 1841, ფურც. 1—4.

52 აქტები, ტ. 2, გვ. 42, § 35.

53 „ივერია“, 1895, № 22.

54 აქტები, ტ. XII, გვ. 253—254; ა. კიკვიძე, საქ. ისტორია, ტ. 1, გვ. 259.

55 პ. გუგუშვილი, საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკური განვითარება

XIX—XX სს. ტ. 1, გვ. 355—747; საქართველოს და ამიერკავკასიის კოლონიზაცია 1801—1820 წწ.

რუსეთის მთავრობამ მხარის კოლონიზაციაზე ყურადღება გაამახვილა მისი შეერთების პირველი დღეებიდანვე.

მთელი XIX ს. მანძილზე თვითმპყრობელობა აქტიურად ატარებდა საქართველოს ტერიტორიის კოლონიზაციას უცხო და განსაკუთრებით, რუსული ელემენტებით. 1829 წელს რუსეთის მიერ ახალციხის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოერთების შემდეგ, ხელისუფლებამ ადგილობრივი მოსახლეობა ისეთ მძიმე პირობებში ჩააყენა, რომ ისინი აიძულებულნი გახდნენ (მისი საკმაოდ დიდი ნაწილი) ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ. მთავრობამ მათ ნაცვლად თურქეთიდან სომხები ჩამოასახლა.

საქართველოს კოლონიზაციის საქმეს დიდი ყურადღება მიაქცია და სახელმწიფო მნიშვნელობის საქმემდე აიყვანა მეფის ნაცვალმა ვორონცოვმა 1844—1854 წლებში. საქართველოს და, საერთოდ იმპერიის განაპირა რაიონების კოლონიზაცია თვითმპყრობელობას მიაჩნდა თავისი პოლიტიკის ერთ-ერთ პირველ ამოცანად<sup>56</sup>. ციციანოვის დროიდან საქართველოში დაიწყო ბერძნების, სომხების, რუსების, გერმანელებისა და სხვათა მასობრივი ჩამოსახლება. 1865 წელს ასეთი პოლიტიკის შედეგად სამხრეთ საქართველო (ახალქალაქი და ახალციხე) სომხებით დასახლდა. [ცარიზმის მიერ გატარებულმა კოლონიური და რელიგიური ჩაგვრის პოლიტიკამ აფხაზების დიდი ნაწილი აიძულა მიეტოვებინათ თავიანთი სამშობლო და თურქეთში გადასახლებულიყვნენ. მათ ნამოსახლარზე კი გადმოსახლეს სექტანტები რუსეთის შიდა გუბერნიებიდან, ცოტა მოგვიანებით აქვე ჩამოსახლეს სომხები. ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო მასიური გადმოსახლება სექტანტებისა — დუხობორებისა და მოლოკნების — რუსეთის შიდა გუბერნიებიდან<sup>57</sup>. ასეთი ღონისძიებებით ცარიზმი ორ საქმეს აკეთებდა: რუსეთის გუბერნიებს წმენდდა მისთვის არასასურველი რელიგიური მიზდინარეობისაგან და მეორე, საქართველოში ქმნიდა რუსულ კოლონიას, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის გარუსების მეტად სერიოზული ფაქტორი იყო და მესამეც, დუხობორთა და მოლოკნების დიდ ნაწილი, თუ მთლიანად არა, დაასახლა სამხრეთ საზღვარზე თურქეთისა და საქართველოს საზღვრების გაყოლებაზე.]

ასეთი პოლიტიკის შედეგად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩნდებოდნენ რუსული სოფლები და დასახლებები. როგორც წესი, კოლონისტებს ეძლეოდათ საუკეთესო მიწები და საკმაო რაოდენობის ფულადი დახმარება პირველმოწყობისათვის. რუსი და უცხო ქრისტი-

<sup>56</sup> Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем генерал-губернатора графа Воронцова-Дашкова. СПб., 1907, с. 87.

<sup>57</sup> იქვე.

ანი კოლონისტების დამკვიდრებაში საქართველოს ტერიტორიაზე დიდი როლი ეკისრებოდა ეკლესიას. კოლონისტთა რელიგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საქართველოში შენდებოდა ეკლესია-მონასტრები, მიმდინარეობდა ძველი, სანახევროდ დანგრეული მონასტრების აღდგენა და მათი რუსი ეროვნების ბერძონაზნობით დასახლება. ეკლესია-მონასტრების მახლობლად მთავრობა ქმნიდა რუსულ დასახლებებს. 1872 წელს შეაკეთეს ბიჭვინთის მონასტერი, 1875 წელს ახალი ათონის, 1882 წელს დრანდის. ამ მონასტრებს ეძლეოდათ დიდი რაოდენობის სახნავ-სათესი მიწები და სხვა სავარგულები. მაგ., ახალი ათონის მონასტერს მთავრობამ გამოუყო 1327 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა, რომელზედაც მონასტერმა საკმაოდ დიდი მეურნეობა გააშენა<sup>58</sup>. ეკლესია-მონასტრების შშენებლობებს დიდი ყურადღება ეთმობოდა სასაზღვრო რაიონებში, სადაც სხვა სარწმუნოების გავრცელების საშიშროება იყო.

1878 წელს თურქეთთან ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთის ჯარის გამარჯვების აღსანიშნავად, ბათუმში აშენდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესია. ამ რელიგიურ-ნაციონალური ძეგლის აშენების ინიციატორი იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სმეკალოვი. ეკლესია აშენდა მოსახლეობის მიერ გაღებული შეწირულებებით. ამ ეკლესიას თვითმპყრობელობა თვლიდა „კავკასიის დაწყნარების ძეგლად“, რომელიც „უნდა მომსახურებოდა ამ რაიონში არარუსი ხალხების გარუსებას“. 1908 წელს ეს ეკლესია გადაეცა სამხედრო უწყებას, რადგანაც „ეკლესია აშენებული კი არ იყო ბათუმის მცხოვრებთათვის, არამედ რუსი და სხვა ხალხების გაქართველების წინააღმდეგ“<sup>59</sup>.

საქართველოში ჩამოსული ჩინოვნიკებისა და კოლონისტების ხარჯზე ყოველდღიურად იზრდებოდა რუს მორწმუნეთა რიცხვი. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ ბევრი ქართული ეკლესია რუს მორწმუნეთა სარგებლობაში გადავიდა. რუსულ ენაზე წირვა-ლოცვა დაწესდა ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, რადგანაც იგი სამხედრო უწყებას გადაეცა<sup>60</sup>. ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა აიკრძალა ბათუმის ეკლესიაში<sup>61</sup>.

1817 წელს რუსეთიდან ახლად ჩამოსულმა ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა რუსეთის სიონის ტაძრის წინამძღვარს ფალავანდოვს მისცა მითითება, რომ გარდა კვირა და უქმე დღეებისა, ან დიდ

58 Грекулев Е. Ф. Церковь, самодержавие, народ. М., 1969, с. 52.

59 საქ. ცსა, ფ. 488, საქ. 24580. ფურც. 3. 1906; ცსილ ფ., 1276. ანაწ. 4, საქ. 826. 1908.

60 აქტები, ტ. 4, გვ. 151, § 231—232.

61 ცსილ ფ. 1276, ანაწ. 4, საქ. 826, 1908.

რელიგიური დღესასწაულებისა, ტაძარში ლოცვა უნდა ჩატარებინათ რუსეთიდან მასთან ერთად ჩამოსულ ბერებს კვირაში სამ დღეს. კერძოდ, ორშაბათს, პარასკევსა და შაბათს<sup>62</sup>. რუსი ეროვნების მოსახლეობის მომსახურეობისათვის აღადგინეს ბეთანიის მონასტერი, სადაც რუს ბერთა სამყოფელი დაწესდა<sup>63</sup>. მონასტრის აღდგენა დაჯდა 64 ათასი მანეთი. მასვე გამოეყო 150 დღიური სახნავ-სათესი მიწა.

### § 3. საეკლესიო-სასულიერო განათლების ორგანიზაცია საქართველოში

საქართველოში თვითმპყრობელურ-კოლონიური პოლიტიკის გატარებას სასულიერო-საგანმანათლებლო დაწესებულების დიდი ქსელი ემსახურებოდა. მომავალი თაობის კლერიკალურ იდეებზე აღზრდას თვითმპყრობელობამ დიდი ყურადღება მიაქცია საქართველოში დამკვიდრების პირველი დღეებიდანვე და აქ თავისი პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად საკითხად აქცია. მთავარმართებელი ტორმასოვი მიიჩნევდა, რომ ერთ-ერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტაზედაც პირველ რიგში უნდა ეზრუნა ადგილობრივ ხელისუფლებას, იყო საქართველოში სასულიერო დიკასტერიის შექმნა და სასულიერო სასწავლებლების დაარსება<sup>64</sup>. ეხებოდა რა აღნიშნულ საკითხს, ტორმასოვი აღნიშნავდა, რომ ამ სასწავლებლებში პირველ რიგში უნდა მიეღოთ სასულიერო წოდებისა და სხვა პრივილეგიურებული წოდების პირთა შვილები. ამავე საკითხის შესახებ სინოდმა 1811 წელს მიიღო დადგენილება, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოში სამღვდლო და ეკლესიის სხვა მსახურთა შვილების სწავლებისა და მათი სასულიერო პირებად მომზადების მიზნით თბილისში გიმნაზიის ნაცვლად დაარსდებოდა სასულიერო სემინარია, ხოლო სამაზრო სასწავლებლები გაეხსნათ იმ დროისათვის, როდესაც საამისოდ აქ მომზადდებოდნენ მასწავლებელთა შესაფერისი კადრები. სემინარიის შესანახი საჭირო თანხა უნდა გაეღო საქართველოს ეკლესიას თავისი შემოსავლებიდან<sup>65</sup>.

თბილისის სასულიერო სემინარია გაიხსნა 1817 წელს. სემინარიას შესანახი თანხა (24 ათასი მანეთი) გამოეყო ოსეთის სასულიერო კომისიის ფონდებიდან. სემინარიის მასწავლებელთა შტატი უნდა დაკომპლექტებულიყო რუსი ეროვნების მასწავლებლებისაგან, რომლებიც ეგზარქოსმა რუსეთიდან ჩამოიყვანა. გასაგებია, რომ მარტო სემინარია ვერ გადაწყვეტდა მთავრობისათვის ერთგული სასულიერო კადრების მომზადებას. ამიტომ საქართველოში სხვადასხვა დროს გაიხსნა

62 ეპისკოპოსი კირიონი. დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

63 იქვე, გვ. 326—327.

64 ქტები, ტ. 2, გვ. 140.

65 იქვე, ტ. 4, გვ. 169.

დაბალი ტიპის სასულიერო სასწავლებლები, რომლებსაც უნდა მოემზადებინათ, როგორც ეკლესიის მსახურები, აგრეთვე კადრები სასულიერო სემინარიისათვის. სასულიერო სასწავლებლები გაიხსნა თბილისში 1818 წელს, თელავში — 1825 წელს, გორში 1818 წელს, ქუთაისში 1825 წელს, ოზურგეთში 1846 წელს, ახალციხესა და სიღნაღში 1838 წელს. სასულიერო სასწავლებლების საქიროებას ამა თუ იმ რაიონში სამისიონერო მუშაობის აუცილებლობაც განსაზღვრავდა. ზოგერთ შემთხვევაში მთავრობა სასულიერო სასწავლებლებს აარსებდა იმ რაიონებში, სადაც მაჰმადიანი ან სხვა სარწმუნოების მიმდევარი ხალხები ცხოვრობდნენ და საშიშროება იყო უცხო სარწმუნოების გავრცელებისა. ასეთ ადგილებად საქართველოში მიჩნეული იყო გურია, რომელიც აჭარის მეზობლად მდებარეობდა და განიცდიდა მის გავლენას; ახალციხის მაზრა და საქართველოს მთიანეთი.

აარსებდა რა სასულიერო სასწავლებლებს საქართველოში, თვითმპყრობელობა თვითმიზნად არ ისახავდა ხალხის განათლებას. ცარიზმის მიერ საქართველოში დაარსებული ყველა სასწავლებელი, როგორც სასულიერო ასევე საერო, უპირველეს ყოვლისა, ემსახურებოდა ქართველთა გარუსების და თვითმპყრობელური ჩინოვნიკური აპარატისათვის ადგილობრივი კადრების მომზადების პოლიტიკას. როგორც რუსეთის იმპერიის სხვა განაპირა რაიონებში, აქაც განათლების ორგანიზაციის საქმეში კარგად შეღავნდებოდა „მთავრობის გონებამახვილური პოლიტიკა ინოვაციების რუსეთთან ერთ ეროვნებად შერწყმისა“<sup>66</sup>.

სასულიერო სასწავლებლების საშუალებით, თვითმპყრობელობისათვის ერთგული სასულიერო კადრების მომზადებით მთავრობა ცდილობდა პირველ რიგში შეეცვალა ეკლესიის მსახურთა ძველი თაობა, რომლის ერთი ნაწილიც მისი პოლიტიკის წინააღმდეგი იყო.

მთავარმართებელი ტორმასოვი (1809 წ.) მოახსენებდა რა ქართველი სასულიერო წოდების სიმრავლისა და მისი ძირითადი ნაწილის მიერ წერა-კითხვის უცოდინარობის შესახებ, მოითხოვდა სასულიერო პირთა რაოდენობის შემცირებას, აგრეთვე თბილისში სასულიერო სემინარიის დაარსებას, სადაც ასწავლიდნენ მხოლოდ მღვდლის შვილებს, რათა ამით მომავლისათვის განათლებული სასულიერო წოდება მოემზადებინათ. აცნობს რა თავის აზრს საქართველოს ეკლესიის საქმეების მოწესრიგების თაობაზე, რაც ითვალისწინებდა აქ დიკასტერიის დაარსებას, ითხოვს, რომ სასულიერო პირთა შვილებისათვის აუცილებლად გაიხსნას თბილისში სასულიერო სემინარია. მაგრამ, რადგანაც

66 საქ. ცსა, ფ. 488, საქ. 26588, 1874; ა. კიკვიძე, თბილისის სასულიერო სემინარია და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში, სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 34-ა, 1948, გვ. 406.

ჯერჯერობით დადგენილი არ იყო საქართველოს ეკლესიის შემოსავალი, საჭიროდ მიაჩნდა ამ საქმის დროებით შეჩერება<sup>67</sup>. ავითარებდა რა თავის აზრს საქართველოში და კერძოდ თბილისში სასულიერო სემინარიის დაარსების თაობაზე 1811 წელს მთავარმართებელი მოითხოვდა, რომ ეს სასწავლებელი, უპირველეს ყოვლისა, მისაწვდომი უნდა ყოფილიყო მღვდლებისა და დიაკვნთა შვილებისათვის. სასულიერო სასწავლებლების გახსნასთან ერთად მთავრობა საჭიროდ მიიჩნევდა საერო სასწავლებლების დაარსებასაც, სადაც განათლებას მიიღებდნენ აზნაურთა და მოქალაქეთა შვილები. დასახელებული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ ბეჯითობითა და კარგი სწავლით, უფლება მიეცემოდათ გაეგრძელებინათ სწავლა თბილისის კეთილშობილთა სამხედრო სასწავლებელში, მღვდლების შვილებს კი სასულიერო სემინარიაში. 1811 წ. პეტერბურგში სინოდმა ოამტკიცა აღნიშნული წინადადება<sup>68</sup>. თავის გადაწყვეტილებაში სინოდი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ახალგაზრდა სასულიერო პირები უნდა გამოეყენებინათ მისიონერებად და ამისათვის ისინი სპეციალურად უნდა მოემზადებინათ. ამ მიზნით თბილისის სემინარიაში ისწავლებოდა თათრული და ოსური ენები. ცოტა გვიან მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომელიც ავალებდა თბილისის სასულიერო სემინარიის მოემზადებინათ მისიონერები მთაში სამუშაოდ. ამავე მიზნით აქ უნდა გაძლიერებულიყო ოსური და თათრული ენის სწავლება<sup>69</sup>.

თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხელისუფლება სასულიერო განათლების ორგანიზაციას ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი: სვანეთსა და აფხაზეთში მომუშავე სასულიერო მისიებს მთავრობამ საკმაოდ დიდი თანხა გამოუყო. ეს თანხა, როგორც წესი, ახლად მონათლულთა გულის მოსაგებად და საჩუქრების შესაძენად იყო განზრახული. მიუხედავად იმ დიდი მნიშვნელობისა, რომელიც ენიჭებოდა მისიების მუშაობას დასახელებულ რაიონებში, მეფის ნაცვალმა ვორონცოვმა მიზანშეწონილად მიიჩნია ამ თანხის დიდი ნაწილის დახარჯვა საგანმანათლებლო სამუშაოებზე. 1846 წელს იგი აფხაზეთის ეპარქიის ხელმძღვანელს ატყობინებდა, რომ მას ეს თანხა კი არ დაეხარჯა ახლად მონათლულთა დასაჯილდოებლად (მისი აზრით, აფხაზები და სვანები ხშირად ფულისა და საჩუქრებისათვის ინათლებოდნენ ქრისტიანულად, ხოლო შემდეგ ისევ უბრუნდებოდნენ ძველ სარწმუნოებას და ასრულებდნენ ძველ რიტუალებს), არამედ სასულიერო განათლების ორგანიზაციის საქმეს მოხმარებოდა. იგი წერდა რომ, მართალია, „ქრისტიანობის გავრცელება სასულიერო სასწავლებლების საშუალებ-

67 იქვე, ფურც. 4.

68 ცსიკლ, ფ. 797, ანაწ. 2, საქ. 4679, ფურც. 58—65, 1809.

69 იქვე, ფ. 802, ანაწ. 2, საქ. 885, ფურც. 41—44, 1840.

ბით ძნელია, მაგრამ მოგვიტანს ისეთ ნაყოფს, რომლის მიღწევა ჩვენ არ შეგვიძლია მნიშვნელოვანი თანხების გაღების შემდეგაც კი<sup>70</sup>.

მეფის მთავრობა საქართველოს სასულიერო სასწავლებლებს, რუსეთის შიდა გუბერნიებისაგან განსხვავებით, სხვა ამოცანებს უსახავდა: თუ „რუსეთის შიდა გუბერნიების სახალხო სკოლების ამოცანა იყო მოსახლეობის გონებრივი დონის ამაღლება-განვითარება... კავკასიის სახალხო სკოლის ამოცანას წარმოადგენდა სხვა ენებზე მოლაპარაკე ხალხებში დაენერგა რუსული სიტყვა, რომელიც, ექვს გარეშეა, გახდებოდა განაპირა ხალხების იმპერიასთან გაერთიანების ძირითადი ფაქტორი“<sup>71</sup>. აქედან გამომდინარე, გასაგებია თვითმპყრობელობისათვის „ადგილობრივი (ქართველების, — მ. ხ.) მოსახლეობის განათლების მცნება ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათი გარუსების მცნებასთან“<sup>72</sup>.

იმპერიაში შემავალი პატარა ერების რაც შეიძლება სწრაფად შემოერთებისა და მათი გარუსების საქმეს ემსახურებოდა აგრეთვე 1865 წელს რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ მოწვეული იმპერიის არარუსი ხალხების არქიერების ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება იმპერიაში საეკლესიო-სამრევლო სკოლების ქსელის გაფართოებისა, როგორც ხალხთა რუსიფიკაციის ძირითადი კერებისა<sup>73</sup>.

✕ საქართველოში თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელების საქმეში მეფის მთავრობა განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ქალთა რელიგიურ განათლებას. მთავრობა თვლიდა, რომ ქალს, როგორც დედასა და დიასახლისს, რომელზედაც დამოკიდებულია მომავალი თაობის აღზრდა, დიდი როლის შესრულება შეეძლო ოჯახში რელიგიურობის დანერგვისა და აქედან გამომდინარე თვითმპყრობელური რეჟიმის ერთგული თაობის აღზრდის საქმეში. ძირითადად სწორედ ამით იყო განპირობებული საქართველოში ქალთა საეპარქიო სასწავლებლების დაარსება. პირველი ასეთი სასწავლებელი თბილისში გაიხსნა 1866 წელს, 1868 წელს კი მიიღეს ქალთა საეპარქიო სასწავლებლების წესდება. სასწავლებლების შესანახი თანხების გაღება დაეკისრა ეპარქიებს<sup>74</sup>.

მიუხედავად იმ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობისა, რომელსაც მთავრობა ამ სკოლებს ანიჭებდა, სახელმწიფო მათ შესანახად არავითარ ხარჯებს არ კისრულობდა. 1876 წლისათვის ქალთა საეპარქიო სასწავლებლების რიცხვი საქართველოში 16-მდე გაიზარდა. ამთვან

70 აქტები, ტ. 10, გვ. 225—233.

71 თ. ბაკურაძე, თბილისის სასულიერო სემინარია — სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, ტ. 1, 1937, გვ. 107—108.

72 პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65კ.

73 ე. გრეკულოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

74 საქ. საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე, 1891, № 15, გვ. 3.

ხუთი იყო ექვსკლასიანი და 1900 მოსწავლე სწავლობდა. სულ მოკლე ხანში, 1887 წლისათვის, მათმა რიცხვმა 50-ს მიაღწია. ამათგან 32 სასწავლებელი იყო სრული კურსით — 6-წლიანი სწავლებით, რომელშიც უკვე ამ დროისათვის 9500 მოსწავლე სწავლობდა. ქალთა საქარქიო სასწავლებლებში ისწავლებოდა საღვთო სჯული, ძველი და ახალი აღთქმა, ვრცელი კატეხიზისი, საეკლესიო ისტორია, როგორც რუსეთის ასევე საქართველოსი; რუსული და საეკლესიო სლავიანური ენები. სიტყვიერების თეორია და რუსული ლიტერატურის ისტორია, საეკლესიო ვალობა. სწავლობდნენ აგრეთვე ხელსაქმეს, ისწავლებოდა სამოქალაქო ისტორია, როგორც რუსული ასევე ზოგადი არითმეტიკისა და გეომეტრიის საფუძვლები, ფიზიკა და პედაგოგიკა<sup>75</sup>.

ქართველთა რაც შეიძლება სწრაფად „რუსეთთან ერთ ეროვნებად შერწყმის“ მიზნით, ხელისუფლებამ ბრძოლა გააჩაღა ქართული ენის წინააღმდეგ. ქართული ენა აიკრძალა, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ასევე ყველა ტიპის სასწავლებელშიც.

ქართველი პედაგოგები, რომლებიც ცდილობდნენ მოსწავლეებში გაეღვიძებინათ სურვილი დედაენის სწავლებისა, დირექციას აღრიცხვაზე ჰყავდა აყვანილი და პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე ითხოვდა სამსახურიდან. ამ ღონისძიების გატარებაში ეკლესიას ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკისრებოდა. მეფის მთავრობა ცდილობდა შეექმნა ცალკეული დამწერლობა სვანებისა და მეგრელებისათვის, რომლებსაც ის რატომღაც ქართველებად არ მიიჩნევდა. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მთავრობამ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ქართული ენის სწავლებას სამეგრელოს სასწავლებლებში. ამ საქმის ტონის მიმცემი იყო საეგზარქოსოს რუსოფილური სამღვდლოება. დაბალი ფენის სასულიერო წოდება არ იზიარებდა ამ აზრს, რითაც მათი გულისწყრომა დაიმსახურა, რადგანაც ეს წოდება თურმე ცდილობდა „გაეგრეცელებინა ქართული ენა მეგრელებსა და სვანებს შორის, რასაც მთავრობა საშიშ აქტად მიიჩნევდა“<sup>76</sup>.

საეგზარქოსოს მესვეურთა გალაშქრებამ ქართული ენის წინააღმდეგ აღშფოთება გამოიწვია მოსახლეობის თითქმის ყველა ფენაში. აღსანიშნავია, რომ მთავრობის ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა ქართველი უმაღლესი სასულიერო წოდების წარმომადგენლობის ერთმა ნაწილმა. იმერეთის ეპისკოპოსი, გაბრიელი, აღშფოთებული ხელისუფალთა ასეთი პოლიტიკით, ვრცელი წერილით მიმართავს ეგზარქოსს და პროტესტს გამოთქვამს მთავრობის ასეთი პოლიტიკისადმი<sup>77</sup>. ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით გაძლიერდა 1905 წლის რევოლუციის წლებში და მის შემდეგ.

75 სასულიერო მოამბე, 1891, № 15. ფურც. 3.

76 ცსილ. ფ. 796, ანაწ. 185, საქ. 219, 1904.

77 საქ. ცსილ. ფ. 488, საქ. 26588, 1893.



მშობლიური ენის დასაცავად და მისი სიწმინდისათვის იბრძოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც ყველა ღონეს ხმარობდა დაეკანონებინა ქართულ ენაზე სწავლება სასულიერო სასწავლებლებში. თავის საქმიანობაში საზოგადოება დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა საეგზარქოსოს მესვეურთაგან. აი, ერთი ამისი მაგალითი. აღნიშნულმა საზოგადოებამ მიიღო ქართული ენის სწავლების უფლება გალის საეკლესიო-სამრევლო სკოლაში. გავიდა ცოტა ხანი და ქართული ენის სწავლებას დაეთმო ბოლო მეექვსე გაკვეთილი. არ გასულა დიდი დრო და სოხუმის ეპისკოპოსის განკარგულებით ქართული ენის სწავლება სავალდებულოდ არ იქნა მიჩნეული და პროგრამიდან მთლიანად ამოიღეს<sup>78</sup>.

მთავრობა ათასგვარ ხერხებს მიმართავდა ქართული ენის სწავლების შეზღუდვისა და პროგრამებიდან მთლიანად ამოღებისათვის. ამის დასასაბუთებლად საკმარისია აღინიშნოს, რომ სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის მასწავლებლებს, მიუხედავად ნამსახური წლებისა, პენსია არ ენიშნებოდათ. და ის დრო, რომელიც მათ ამ საგნის სწავლებას მოანდომეს, პედაგოგიურ მოღვაწეობის სტაჟში არ ეთვლებოდათ. ამას თვალნათლივ გვიმტკიცებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლის კონსტანტინე მაჭავარიანის საქმე. კ. მაჭავარიანმა 1878 წელს თხოვნით მიმართა სასწავლებლის რექტორს, რათა დაენიშნათ მისთვის პენსია. რადგან რექტორს ამის შესახებ არავითარი საბუთი არ გააჩნდა სინოდმა ეგზარქოსს სთხოვა ეცნობებინათ, ირიცხებოდა თუ არა სასულიერო სასწავლებლის სტაჟში ქართული ენის მასწავლებელი და შეუძლია თუ არა მას ისარგებლოს სასულიერო სასწავლებლების სხვა საგნების მასწავლებლების თანაბრად პენსიაზე გასვლის დროს<sup>79</sup>.

მოსახლეობის აღზრდას მონარქისტულ-კლერიკალურ საფუძვლებზე ემსახურებოდა აგრეთვე ეკლესია-მონასტრებთან დაარსებული ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ფართო ქსელი, რომლებიც ძირითადად კომპლექტდებოდა სასულიერო-მონარქისტული შინაარსის წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით.

რუსეთის ამ დროის განათლების მინისტრის ტოლსტოვის აზრით, კავკასიაში დაწყებითი და საბალხო სკოლების საკითხი მკვიდროდ უკავშირდებოდა ადგილობრივ მკვიდრთა — „ინოროდცების“ გარუსების საკითხს. მისი აზრით, ამ დარგში „განათლების სამინისტროსა და

78 სოხუმის ცსიკა ფ. 1, საქ. 7669, ფურც. 4, მომართა მუხუმის ასპირანტმა გ. ჩიგოგიძემ.

79 ცსიკალ ფ. 796, ანაწ. 171, საქ., 499, 1894.

მართლმადიდებლურ ეკლესიას ფართო მეგობრული ასპარეზი ეშლებათ წინ<sup>80</sup>.

თვითმპყრობელობის საგანმანათლებლო პოლიტიკა მიმართული იყო ადგილობრივი კავკასიელი ტომებისა და ხალხების რუსეთთან ზნეობრივი დაახლოებისაკენ და, მთავრობის აზრით, წარმოადგენდა ფრიად საჭირო ღონისძიებას. ამ პოლიტიკის ავტორთა განცხადებით, „თუ სიმართლეა, რომ სასულიერო იარაღს შეუძლია საბოლოოდ დაასრულოს და შემოიმატოს ყველა დამორჩილებული ხალხები, მაშინ ეს ყველაზე მართებულია კავკასიის მთიელთა მიმართ. მთავრობა დაჟინებით მოითხოვდა ადგილობრივ ხელისუფალთაგან განსაკუთრებით გაემანვილებინათ ყურადღება სასულიერო განათლების გავრცელებაზე ამ ხალხებს შორის, რათა მათ არ ეძებნათ გზა საწინააღმდეგო მხარეს“<sup>81</sup>. ამრიგად, მასების განათლება ხელისუფლების მიზნების უეჭველი გათვალისწინებით, იყო მეფის მთავრობის უახლოესი და ძირითადი ამოცანა<sup>82</sup>.

ამ თავში ჩვენ დაწვრილებით არ შევჩერდებით სასულიერო სასწავლებლების, სემინარიისა და საერო სასწავლებლების პროგრამებსა და გაკვეთილების განაწილებაზე, რაც ნათლად მოწმობს თვითმპყრობელური რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის ხასიათსა და მიზნებს. ამ საკითხისადმი მიძღვნილი აქვთ გამოკვლევები ა. კიკვიძეს, უშ. ობოლაძეს, რ. საყვარელიძეს, ტრ. ხუნდაძეს, გ. თავაზიშვილს, თ. ბაგრატიონს, თ. ბეგიაშვილს, ნ. პაპავასა და სხვებს.

ჩვენს მიზანს შეადგენდა გვეჩვენებინა ძირითადად სასულიერო სასწავლებლების მიზნები და ამოცანები, რაც უფრო ნათელს ჰფენს ჩვენს მიერ გასაშუქებლად დასმულ საკითხს და გვეხმარება მის გადაწყვეტაში.

#### § 4. სასულიერო მისიების ადგილი და როლი ცარიზმის საგარეო პოლიტიკაში

ოსეთის სასულიერო კომისია საუკუნეების მანძილზე კავკასიაში ერთმანეთს ხვდებოდნენ რუსეთისა და თურქეთ-სპარსეთის ინტერესები. თითოეული მათგანი ცდილობდა საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის გაძლიერებას ამ მხარეზე. თავისი პოლიტიკის გატარებისას საქართველოში რუსეთი ემყარებოდა ქართველთა საუკუნეობრივ მისწრაფებას რუსეთისაკენ, რუსეთთან კავშირში

<sup>80</sup> უშ. ობოლაძე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში. თბ., 1961, გვ. 25.

<sup>81</sup> Всеподданнейший отчет Главнокомандующего Кавказскою армиею по военно-народному управлению за 1863—1869 гг. СПб., 1870, с. 98—99.

<sup>82</sup> იქვე.



ქართველი მოღვაწეები ხედავდნენ ერის ფიზიკურ გადარჩენის გზას, ამასთანავე, რუსეთი მოხერხებულად იყენებდა ქართველთა და რუსეთის რელიგიური რწმენის ერთიანობას. ამის საპირისპიროდ სპარსეთ-თურქეთი ეყრდნობოდა კავკასიის მთიანეთის მაჰმადიანურ მოსახლეობას, რომელთა დახმარებითაც ცდილობდა შეეჩერებინა რუსეთის წინსვლა ამიერკავკასიაში, ორივე სახელმწიფო ფარულად მოქმედებდა და ახერხებდნენ რა თავისი ნამდვილი განზრახვების შენიღბვას, მოხერხებულად იყენებდნენ სასულიერო მისიების მოქმედებას.

XVIII საუკუნეში განსაკუთრებით გაძლიერდა თურქულ-სპარსული გავლენა საქართველოს ჩრდილო მეზობლებზე. რუსეთი, რომელიც ამ დროს საკმაოდ აქტიურად მოქმედებდა კავკასიაში, ყოველმხრივ ცდილობდა თავისი პოზიციების გამაგრებასა და განმტკიცებას. ამის მისაღწევ ერთ-ერთ საშუალებად იგი თვლიდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას კავკასიის მთიანეთის მაჰმადიანურ და წარმართული სარწმუნოების მიმდევარ მოსახლეობაში. როგორც ცნობილია, რუსეთ-საქართველოს მკვიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობას სხვა მიზეზებთან ერთად ხელს უშლიდა კავკასიის ჩრდილო ფერდობებზე დასახლებული მაჰმადიანური მოსახლეობა, რომელსაც საქართველოსაკენ მომავალი სტრატეგიული მნიშვნელობის გზები ეკავა.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში უკვე მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა — მიურადიზმი. ამიტომ, ბუნებრივია, მეფის რუსეთის უპირველესი მიზანი, უპირველეს ყოვლისა, იყო ერთგული მოკავშირის გაჩენა და პოზიციების გამაგრება ისლამის მალიარებელ მოსახლეობას შორის. ასეთ მოკავშირედ შთაფრობას მიიჩნდა ერთმორწმუნე ხალხი. ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებაში ცარიზმი სასულიერო პირებს ერთ-ერთ წამყვან როლს აკუთვნებდა. ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ცნობების შეგროვებას, კავკასიის მოსახლეობის რუსეთის ერთგულებაზე დაფიცებას თვითმპყრობელობა, ხშირად სასულიერო მისიონერების საშუალებით ახორციელებდა. საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს კი ცარიზმი საპიროდ თვლიდა ყოველ მძიაში სასულიერო პირების მონაწილეობას, დიპლომატიურ შისიებში, რომლებიც რუსეთიდან იგზავნებოდა საქართველოში, აქტიურად მონაწილეობდნენ სასულიერო წოდების წარმომადგენლები. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ორი ელჩობა: თავად შიშეცკის ელჩობა თეიმურაზ I-ის კარზე (1640—1644), ხოლო ათი წლის შემდეგ ტოლჩანოვის ელჩობა იმერეთში ალექსანდრე III-ის კარზე. ორივე ელჩობის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სასულიერო პირები. მეფის რუსეთი თვლიდა, რომ ქართველებისათვის სარწმუნოებრივი ერთიანობა, სისხლის ერთიანობაზე შალა იდგა და სურდა ესარგებლა კიდევ

ამით, თვითმპყრობელობის ასეთი მისწრაფებით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ მან ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ნება დართო ქართველ სასულიერო პირებს, მოსკოვის ზნავენსკის მონასტრის წინამძღვარ ნიკოლოზ და არქიეპისკოპოს პოროშს ჩრდილო კავკასიაში მოსახლე არაქრისტიან ოსებს შორის ქრისტიანული სარწმუნოება ექადაგათ<sup>83</sup>.

1743 წელს, დასახლებული ქართული ბერების ხელმძღვანელობით, შეიქმნა ოსთა შორის ქრისტიანული სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო მისია, რომელიც რუსეთის უწმინდესმა სინოდმა უზრუნველყო მუშაობისათვის საჭირო თანხებით. ამ დროს რუსეთ-თურქეთი ეზზადებოდა მომავალი შეტაკებისათვის და ორივე მხარე გაფაციცებით ეძებდა მომხრეებს კავკასიაში. ამით იყო ნაკარნახევო, რომ ჩრდილო კავკასიაში თურქეთის სამეურვეო მაჰმადიანურ სარწმუნოებას რუსეთმა ქრისტიანული სარწმუნოების პროპაგანდით უპასუხა. ამრიგად, სარწმუნოებრივი საკითხი ორივე მხარისათვის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს წარმოადგენდა. ჩრდილო კავკასიის ხალხებში ქრისტიანობის გავრცელება რუსეთის პოლიტიკური გაძლიერებისა და თურქეთის გავლენისაგან კავკასიის მთიელების განთავისუფლების ერთ-ერთი ფაქტორი იყო<sup>84</sup>. ამასთანავე, ცარიზმს ჩინოვნიკური აპარატი ცდილობდა თავისი საქმიანობა აქ შეენიღბა, რისთვისაც სასულიერო მისიის მუშაობა ქართველთა საშინაო საქმედ გამოაცხადა<sup>85</sup> დადგენილებაში, რომელიც მთავრობამ მიიღო ოსეთში სასულიერო მისიის გაგზავნის თაობაზე, ნათქვამი იყო, რომ ოსთა შორის სამუშაოდ მისიონერებად გაიგზავნებოდნენ მხოლოდ ქართველები და არავითარ შემთხვევაში რუსები. აქვე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მისიონერებისათვის რუსეთის მთავრობას არავითარი ინსტრუქცია არ უნდა მიეცა. სასულიერო მისიის მუშაობისა და ამოცანების ასეთი შენიღბვით მეფის მთავრობა ცდილობდა თურქეთი და სპარსეთი, რომლებიც გაფაციცებით აღევნებდნენ თვალყურს კავკასიაში რუსეთის წინსვლას ნაადრევად არ გაეღიზიანებინა<sup>86</sup>.

1745 წ. ქართველი ბერების მეთაურობით, სასულიერო მისია გაემგზავრა კავკასიაში. მისიის წევრებმა აქტიურად მოკიდეს ხელი ქრისტიანობის გავრცელების საქმეს, მაგრამ სინოდი მაინც უკმაყოფილო იყო მათი მუშაობით. ამის მიზეზი იყო ჯერ ერთი ის, რომ მისიის წევრთა შორის თავი იჩინა უთანხმოებამ, მეორეც, პეტერბურგში ღრმად

83 შ. ხანთაძე, ქართველი მოღვაწეები ჩრდილო კავკასიაში მე-18 საუკუნეში საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX — ა. XXI — გ. 1957, გვ. 403.

84 იქვე, გვ. 405.

85 იქვე.

86 მასალები ოსეთის ისტორიიდან (რუს. ენაზე), ტ. I. 1933, ფურც. 49; ბ. სკიტსკი, ოსეთის ისტორიის ქრესტომათია, ქაუჯიკაუ, ტ. I. 1949.

სწამდათ, რომ მისიონერები ახლად მონათლულ ოსებს ქართველ მეფეთა ერთგულებაზე აფიცებდნენ და, რომ აქ ისინი საერთოდ ქართულ საქმეს აკეთებდნენ. ამიტომაც სინოდმა მიზანშეწონილად ჩათვალა ქართველი მისიონერების მაგიერ ოსეთში რუსი სასულიერო პირების გაგზავნა. ქართველი მისიონერები დაუმორჩილა რუსებს, მისიაც უკეთ უზრუნველყო მატერიალურად. სინოდის მითითებით ქრისტიანობის გავრცელება უნდა დაწყებულიყო რუსეთის იმპერიის მოსახლერე ხალხებში და შემდეგ მათივე დახმარებით გაფართოებულიყო. მისიები საკმოდ ენერგიულად მუშაობდნენ, მაგრამ შეიმჩნეოდა ნაკლიც. კერძოდ მისიონერების სხვა ადგილზე გადასვლის შემდეგ ახლად მონათლულებთან არ რჩებოდა მღვდელი და არ შენდებოდა ეკლესია, არ იქმნებოდა სამრევლოები, ე. ი. არ კეთდებოდა ის, რასაც ხელი უნდა შეეწყო ახლად მონათლულთა შორის სარწმუნოების განმტკიცებისა და დამკვიდრებისათვის. ქრისტიანობას დაბრკოლებებს უქმნიდნენ ადგილობრივი სასულიერო პირებიც; ხშირი იყო მისიონერთა ძარცვის შემთხვევებიც, რის შიშითაც მისიონერები დასახლებული ხეობების სიღრმეში ვერ შედიოდნენ, რაც ხელს უშლიდა ქრისტიანობის სწრაფად და ფართოდ მასებში გავრცელებას.

მიუხედავად ასეთი ნაკლოვანებებისა, ცარიზმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ შესაძლებლობებს, რომელიც შეეძლო შეესრულებინა ქრისტიანობის გავრცელებას კავკასიის ათვისების საქმეში. ოსეთის სასულიერო კომისიის უკეთ წარმართვისათვის, 1771 წელს რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიამ განიხილა სასულიერო კომისიის მუშაობის საკითხი და მისი გაუმჯობესების მიზნით დასახა კონკრეტული ღონისძიებები. კოლეგიის გადაწყვეტილებით, სასულიერო მისიის საერთო ხელმძღვანელობა დაევალი ატრაბახანის ეპისკოპოს იაკობს, რომელმაც მიიღო დაწვრილებითი ინსტრუქციები კომისიის შემდგომი მუშაობის შესახებ. ინსტრუქცია მისიონერებისაგან მოითხოვდა წინდახედულ დაკვირვებულ მუშაობას და აფრთხილებდა, რომ არ ემოქმედათ ძალდატანებით. ქრისტიანობის ქადაგებასთან ერთად მისიონერებს ადგილობრივი მოსახლეობა უნდა დაეფიცებინათ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. მისიონერებს ევალებოდათ ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის შთაეგონებინათ ქრისტიანული სარწმუნოების უპირატესობა მაჰმადის სარწმუნოებასთან შედარებით და მამასადაძე. რუსეთის ქვეშევრდომობაში მათი შესვლის უპირატესობა. მთავრობა მისიონერებს მკაცრად აფრთხილებდა, ემოქმედათ პირადი ინიციატივით და სახელმწიფოებრივი დავალება სრული საიდუმლოებით დაეცვათ<sup>87</sup> |

სასულიერო მისიები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ

87 „მწყემსი“, 1888, № 8—9, გვ. 17.

მოზარდ თაობასთან მუშაობას. მათ აღზრდას ქრისტიანული დოგმებისა და იმპერატორისადმი ერთგულებით. ამ მიზნით მოზდოკში დაარსდა სკოლა ოსი ბავშვებისათვის, რომელშიც პირველად 48 აღზრდელი ჩარიცხეს. სკოლაში რელიგიურ საგნებთან ერთად ისწავლებოდა ქართული და რუსული ენები. ქართული ენის სწავლა აუცილებელი იყო, რადგანაც ამ დროისათვის ოსური ანბანი არ არსებობდა და სასულიერო წიგნებიც არ იყო თარგმნილი. როგორც ერთი, ისე მეორე, ქართველმა მისიონერებმა გააკეთეს, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი<sup>88</sup>. ამავე სკოლაში უნდა აღეზარდათ მომავალი მისიონერებიც.

კავკასიის მთიანეთის მაჰმადიან მოსახლეობაში ქრისტიანული სასულიერო მისიის დაარსება, რუსეთის მონარქიის აღმოსავლეთისაკენ შორს გამიზნულ პოლიტიკას ემსახურებოდა. ოსების გაქრისტიანებით მეფის მთავრობა ერთგულ მოკავშირეს იძენდა კავკასიაში და კერძოდ, საქართველოსკენ მომავალ სტრატეგიული მნიშვნელობის გზებზე. ახლად მონათლულებს ევალეზობდათ საქართველოსაკენ მომავალი ერთადერთი სამხედრო მნიშვნელობის გზის შეკეთება, ფოსტისა და შიკრიკთა უზიფათოდ გატარება. ახორციელებდა რა ასეთ ღონისძიებებს, მეფის მთავრობა, რა თქმა უნდა, შორს იყო იმ აზრისაგან, რომ ასეთი სახელმწიფოებრივი ამოცანების გადასაწყვეტად მხოლოდ ჯვრის ძალითა და ძლიერებით ემოქმედა. მისიონერებს ევალეზობდათ ადგილობრივი გავლენიანი პირებისა და „რიგითი“ მოსახლეობის მოსყიდვა-მოქრთამვა, რისთვისაც სახელმწიფო საჭირო თანხებს იღებდა კიდევაც.

პირველ რიგში მიმდინარეობდა ოსთა ფეოდალების, მამასახლისებისა და სხვა გავლენიანი და შეძლებული პირების მოსყიდვა-მოქრთამვა. ოსებს მიეცათ უფლება ჩამოსახლებულიყვნენ ჩრდილო კავკასიის ბარში და იქ დაეკავებინათ სახნავ-სათესი მიწები. როგორც სხვა რაიონების კოლონისტებს, მათაც საუკეთესო მიწებს აძლევდნენ. საინტერესოა, რომ ოსთა ბარში ჩამოსახლების უფლება ჯერ კიდევ ქართველმა ბერებმა გამოსთხოვეს იმპერატორს<sup>89</sup>. ახლად მონათლულებს უხვად ურიგებდნენ საჩუქრებს. საჩუქრებს გარდა მათ ეძლეოდათ ფულიც. მამასახლისებს 10 კაპიკი, ხოლო „რიგითებს“ — 3. მათვე ჰქონდათ უფლება ევაჭრათ რუსეთში ბევარის გარეშე. ასეთი ღონისძიებების გატარებით მეფის მთავრობა ორ საქმეს აკეთებდა: ოსების ბარად ჩამოსახლებით და მათთვის ვაჭრობის უფლების მიცემით ისინი უახლოვდებოდნენ რუს მოსახლეობას, მათ კულტურასა და ყოფას, რაც აჩქარებდა რუსული კულტურის ზიარებასა და რუსებთან შედა-

<sup>88</sup> შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი გვ. 406.

<sup>89</sup> Б. Скитский. Роль православия в колониальной политике царизма в Дигори, Орджоникидзе, 1933, с. 9.

რებით მცირე მოსახლეობის ასიმილაციას, მათ გათქვეფას პრავაგლორ-ცხოვან სლავიანურ ტომებში.

საჩუქრების სახით მისიონერები მოსახლეობაში ხშირად და უხვად არიგებდნენ სახალათე ტილოებს, ჯვარ-ხატებს და სხვა სახის წმინდა ნივთებს. მთავრობა მისიის წევრებს ხშირად თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდა. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების წინა 1768 წელს მეფის მთავრობამ საქართველოში გამოგზავნა ოსეთის სასულიერო კომისიის წევრი გრიგოლ რომანიშვილი საქართველოს მეფეებთან მოსალაპარაკებლად. მას ქართველი მეფეები უნდა დაეყოლიებინა, მონაწილეობა მიეღოთ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში<sup>90</sup>.

ასეთი იყო ის პირველი ნაბიჯები, რომლებიც გადადგა მეფის მთავრობამ კავკასიაში თავისი გავლენის გასაძლიერებლად.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ოსეთის სასულიერო მისიის მუშაობას თავისი დადებითი მხარეც გააჩნდა. უპირველეს ყოვლისა, იგი ოს და სხვა არარუს მოსახლეობას კულტურულად აახლოებდა ამ მხრივ გაცილებით მაღლა მდგომ რუსეთთან. მეორეც, ქართველმა სასულიერო პირებმა საფუძველი ჩაუყარეს ოსი ხალხის წესჩვეულებებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლას; ქრისტიანობის გავრცელებას თან მოსდევდა წერა-კითხვის გავრცელება. როგორც ცნობილია, ქართველმა ბერებმა შექმნეს ოსური ანბანი და შემდეგ ოსურ ენაზე თარგმნეს სასულიერო წიგნები და სხვ.<sup>91</sup>)

თავისი საქმიანობის მიხედვით ოსეთის სასულიერო კომისიის მუშაობა შეიძლება გავყოთ ორ პერიოდად. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების შემდეგ. საქართველოში მეფის რუსეთის დამკვიდრებამ ხელი შეუწყო და დადებითად იმოქმედა ოსეთის სასულიერო მისიის შემდგომ საქმიანობაზე. მეფის მთავრობა ახლა აღარ ერიდებოდა თურქეთ-სპარსეთის წყენას და უფრო გაბედულად დაიწყო მთის მოსახლეობის დამორჩილება, როგორც იარაღით ასევე სარწმუნოების საშუალებით.

მეფის მთავრობის მიერ ცალკეულ ხარჯებს უქმად არ ჩაუვლია და თავისი დანიშნულება გაამართლა. მუშაობის 21 წლის მანძილზე (სასულიერო მისია შეიქმნა 1745 წ.) ოსეთის კომისიამ გააქრისტიანა 1242 ოსი. 1772—1792 წლებში კი 6657<sup>92</sup>. ყველა ესენი მეტნაკლებად რუსეთის მომხრენი იყვნენ და საჭირო შემთხვევაში რუსეთის დასაყრდენს წარმოადგენდნენ ამ მხარეში.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, მთავრობამ საჭი-

<sup>90</sup> ბ. სკიტსვი, დასახ. ნაშრომი.

<sup>91</sup> შ. ხანთაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 408.

<sup>92</sup> Обзор деятельности Общества восстановления православного христианства на Кавказе. 1860—1910 гг. Тифлис, 1912, с. 182.

როდ მიიჩნია ოსეთის სასულიერო მისიის მუშაობის მეთოდებისა და ხერხების გადასინჯვა. ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნევს მისიის ადგილსამყოფელის გადმოტანას მოზდოკიდან თბილისში. თბილისი, როგორც ამიერკავკასიის კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების ცენტრი, ამ მხრივ ხელსაყრელ ადგილზე მდებარეობდა. აქედან უფროს ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი იყო ქრისტიანობის გავრცელება მთიანეთში. მისიის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით; მთავრობამ სასურველად მიიჩნია მასში ქართველი სასულიერო პირების ჩაბმა. 1815 წელს აღნიშნული მისიის ხელმძღვანელად დაინიშნა დოსითეოსი, რომელსაც თელავისა და ამიერკავკასიის ეპისკოპოსის ტიტული ებოძა. გატარდა კომისიის მმართველობის ცენტრალიზაცია, რაც გამოიხატა მის დაქვემდებარებაში საქართველოს ეგზარქოსისადმი. შეიცვალა კომისიის სამტატო შემადგენლობაც. ახლა აქ ირიცხებოდა 19 სასულიერო პირი. სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად, რაც, რა თქმა უნდა, ძირითადად დაკავშირებული იყო ქრისტიანობის ქადაგებასთან; გამოეყოთ 14750 მანეთი. ცოტა მოგვიანებით ამ თანხას დაუმატეს კიდევ 7000 მანეთი. 1816 წელს კი 52823 მანეთი, ხოლო 1825 წელს კავკასიის მთიანეთში ეკლესიების მშენებლობის საქიროებისათვის მთავრობამ გამოჰყო 49000 მანეთი<sup>93</sup> ვერცხლით. ვარდა აღნიშნულისა დოტაციის სახით საქართველოს ეკლესიის შემოსავლებიდან ყოველწლიურად დამატებით ეძლეოდა 1250 მანეთი<sup>94</sup>.

ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის ჩამოსვლის შემდეგ სასულიერო კომისიამ მუშაობა საკმაოდ გამოაცოცხლა. შესამჩნევად გაიზარდა კომისიის წევრთა ხელფასი. ახლა აქ დაკავებულ მღვდლების ხელფასი შეადგენდა 13250 მანეთს. ოსეთის მამასახლისებისა და სხვა გავლენიანი პირების „მოსაალერსებლად“ გამოყოფილი იყო 1500 მანეთი. სახალათე ტილოებისა და სხვა წვრილმანი ხარჯებისათვის 3000 მანეთი. სულ წელიწადში მისია იღებდა 17500 მანეთს. ამავე ხარჯებში იყო გათვალისწინებული კვების ფული იმ ახლად მონათლულთათვის, რომლებიც ჩამოდიოდნენ თბილისში სხვადასხვა საჩივრების გასარჩევად<sup>95</sup>. მისია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახლად მონათლულთა საჩივრების სწრაფად გარჩევა-დაკმაყოფილებას. დოსითეოსის განკარგულებით არაგვის, ვერისხევის, დიდი ლიახვის, ხევსურეთისა და სხვა რეგიონების ადგილობრივ ხელისუფალთ, რომლებზედაც ვრცელდებოდა ოსეთის სასულიერო მისიის უფლებები, ევალეობდათ დაუყოვნებლივ გაეცათ პასუხი ახლად მონათლულთათვის და არ გაეკიანურებინათ მათი საქმეების განხილვა. დოსითეოსი ითხოვდა, რომ

<sup>93</sup> ეპისკოპოსი კირიონი, დასახ. ნაშრომი გვ. 99.

<sup>94</sup> იქვე.

<sup>95</sup> იქვე.



საჩივრები დროულად ყოფილიყო განხილული და უმეტეს შემთხვევაში მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. ამავე მითითებით გაქრისტიანებულ ოსებს უფლება ეძლეოდათ სურვილისამებრ აერჩიათ დასახლების ადგილი<sup>96</sup>. ადგილობრივ ხელისუფალთ თვალყური უნდა ედევნებინათ, რათა არავის შეევიწროებინა ახლად გაქრისტიანებულებში ისინი ვალდებულნი იყვნენ აღმოეჩინათ ყოველმხრივი დახმარება ოსეთში მომუშავე სასულიერო პირებისათვის<sup>97</sup>. ამჟამადაც სასულიერო მისიის ყურადღების ცენტრში იყო ზრუნვა მოზარდ თაობაში რელიგიური ცოდნის გავრცელებაზე.

ოსეთის სასულიერო მისია თავის გავლენის სფეროს ავრცელებდა ოსებზე. თუშებზე, ფშავ-ხევსურებზე, სვანებზე, აფხაზებზე, აჭარლებსა და სამცხე-ჯავახეთის მაკმადიანურ მოსახლეობაზე. იმ ოფიციალური ცნობების მიხედვით, რომელიც ეგზავნებოდა ეგზარქოსს თბილისში ოსეთის სასულიერო მისიის მიერ, 1817—1820 წლებში ქრისტიანობამიუღია 28592 ოსი, 3405 ხევსურს, 1820—1822 წლებში გაქრისტიანებულა 13442 ოსი, 821 უდი, 186 ქისტაი, 668 ინგუში სულ 1815—1825 წლებში გაქრისტიანებულა 58228 კაცი. ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცებისათვის ადგილზე შენდებოდა ეკლესიები და იქმნებოდა სამრევლოები. სულ ამ დროის განმავლობაში შექმნილა 67 სამრევლო. თუ საქართველოს ბარში ეკლესიებისა და სასულიერო პირების შენახვა მოსახლეობას, მრევლს ეკისრებოდა, აქ, გამონაკლისი შემთხვევის გარდა, ეკლესიების მოვლა და სასულიერო პირების შენახვას მთავრობა კისრულობდა<sup>98</sup>. ვასაგებია, რომ განსაკუთრებით კარგად მიდიოდა ოსეთის კომისიის საქმეში იმ რაიონებში, რომლებიც ძველთაგანვე საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებულნი და ქართული კულტურის გავლენას განიცდიდნენ. მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ აღნიშნულ რაიონებში მიმდინარეობდა ქრისტიანობის აღდგენა და არა მისი გავრცელება.

ახლად გაქრისტიანებულ რაიონებში ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრების საქმეში დიდი როლი ეკისრებოდა აქ ეკლესიების აშენებას. ათი წლის განმავლობაში მთიანეთში აგებული იქნა 28 ჭვი-სა და 16 ხის ეკლესია, რომლის მშენებლობაზეც სახელმწიფომ დაზარჯა 36 500 მანეთი<sup>99</sup>. XIX საუკუნის დასაწყისში სასულიერო მისიამ ექვსი სასულიერო სასწავლებელი გახსნა, სადაც 107 ბავშვი სწავლობდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სასწავლებლებს ზშირად აკლდათ საჭირო განათლების მქონე სასულიერო პირები, რომლებიც მასწავ-

<sup>96</sup> აქტები. ტ. § 74, გვ. 318.

<sup>97</sup> იქვე.

<sup>98</sup> Обзор деятельности..., с. 84.

<sup>99</sup> იქვე, გვ. 83.

ლებლად გათვალისწინებულნი, სასწავლებლებმა მაინც დიდი როლი შეასრულეს კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში ქრისტიანული იდეოლოგიის გავრცელების საქმეში<sup>100</sup>. მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვა თბილისის სასულიერო მისიაზე გამოიხატა იმაშიც, რომ ეპისკოპოს დოსითეოსის განკარგულებაში ხელისუფლებამ გამოყო 100 კაზაკი და 30 საეკლესიო გლეხი, რომელთაც ევალებოდათ მისიონერების გაცილება სამუშაო რაიონებში და საჭირო შემთხვევაში მათი დაცვა<sup>101</sup>. ეს ფაქტი იმაზეც მიუთითებს, რომ ქრისტიანობის გავრცელება კავკასიონის მთიანეთის ზოგიერთ რაიონში არც ისე უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა, როგორც ამას აღწერენ თავიანთ მოხსენებით ბაროებში იქ მომუშავე მისიონერები და სხვა სასულიერო პირები. როგორც ჩანს, ბევრგან ახალი სარწმუნოება ძალდატანებით ვრცელდებოდა. ეს რომ ასე იყო იქიდანაც ჩანს, რომ მეფის ნაცვალი იძულებული გახდა შეეხსენებინა ეგზარქოსისათვის, რომ ძალდატანებით და მიუღებელი მეთოდებით ქრისტიანობის გავრცელება ამ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს არათუ სარგებლობას მოუტანდა, არამედ უფრო ავნებდა<sup>102</sup>.

როგორც ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში მისიონერების ქადაგება სახელმწიფო საფუძვლებს ეწინააღმდეგებოდა. ზოგჯერ მისიონერები არწმუნებდნენ ახლად მონათლულებს, რომ ქრისტიანობის მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო გადასახადებისა და სხვა ვალდებულებებისაგან. ასეთი ქადაგებების შედეგი იყო ის, რომ გაქრისტიანებული ოსების ერთი დიდი ნაწილი ხშირად უარს ამბობდა გადასახადის გადახდაზე. ზოგიერთ შემთხვევაში კი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დაუსჯელები რჩებოდნენ<sup>103</sup>. ზრუნავდა რა თვითმპყრობელობის საფუძვლების განმტკიცებაზე სინოდი დოსითეოსს მიუთითებდა, გაეფრთხილებინა მისიონერები, რათა მოსახლეობისათვის შთაევონებინათ ხელისუფლებისადმი მორჩილება, რომ გაქრისტიანების შემდეგაც ისინი ვალდებულნი იყვნენ მემამულეებს დამორჩილებოდნენ<sup>104</sup>. მთავრობას მიაჩნდა, რომ ახლად მონათლულთა ასეთი მოქმედებები გამოწვეული იყო მისიონერთა გაუნათლებლობით და საქმის უცოდინარობით. და მართლაც, მისიონერთა უმეტესობას დაბალი სასულიერო განათლება ჰქონდა, ბევრი მათგანი სუსტად იცნობდა, ან საერთოდ არ იცნობდა ადგილობრივი აბორიგენი მოსახლეობის ადათებსა და წესებს. ბევრს არ გააჩნდა სასულიერო მი-

100 Обзор деятельности..., с. 84.

101 იქვე.

102 იქვე.

103 იქვე, გვ. 83.

104 აქტებო, ტ. 5, § 516, გვ. 436—437.

სიაში მუშაობის გამოცდილება. ისინი ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ან ცოტას მუშაობდნენ კასპიის ზღვის სანაპიროზე და საქართველოს მაკმადიანურ რაიონებში (სამცხე-ჯავახეთი). ალბათ, სხვა ნაკლებ ბევრი შეიგრძნობოდა, რადგანაც 50-იან წლებში ჩამოყალიბდა აზრი ოსეთის სასულიერო მისიის რეორგანიზაციის შესახებ.

კავკასიაში მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოება. კავკასიაში, და კერძოდ საქართველოში, თვითმპყრობელობის რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი გამტარებელი იყო სინოდის მიერ 1818 წელს ოსეთის სასულიერო კომისიის მაგიერ დაარსებული „კავკასიაში მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოება“. ამ საზოგადოების შექმნა მიზნად ისახავდა ქრისტიანული სარწმუნოების ინტენსიურ გავრცელებას კავკასიაში, რაც ხელს შეუწყობდა აქ მთავრობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას<sup>105</sup>. ამით მთავრობა აპირებდა იმ ნაკლოვანებების გამოსწორებასაც, რომელიც თავის მუშაობაში გააჩნდა ოსეთის სასულიერო მისიას. როგორც ოსეთის სასულიერო კომისიის, ასევე „საზოგადოების“ მიზანი იყო კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებით ხელი შეეწყო ამ მხარის რუსეთთან რაც შეიძლება სწრაფად დაახლოებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად მთავრობის მიერ გაწეული დიდი ხარჯებისა, ოსეთის კომისიამ მთლიანად მაინც ვერ გააძარტლა თვითმპყრობელობის იმედები აზიტიმ სათანადო ორგანოებში შეიქმნა აზრი მისი რეორგანიზაციის შესახებ.

ხელისუფალთა აზრით, ახლად შემოერთებული რაიონების მოსახლეობის შემომტკიცების საქმეში სამღვდელოებას დიდი როლის შესრულება შეეძლო. ცარიზმი თვლიდა, რომ მას ყურადღება უნდა გაემახვილებინა არა მარტო საერო ხელისუფლების ღონისძიებებზე, არამედ სასულიერო პირების მიერ თავიანთი მოვალეობის ზუსტად შესრულებაზე. სარწმუნოებრივი ზემოქმედება მთავრობას მიაჩნდა ადამიანთა გონებაზე მოქმედების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად<sup>106</sup>.

„საზოგადოების“ მიზნები და მუშაობის ძირითადი პრინციპები ბევრით არ განსხვავდებოდა „მისიის“ მიერ გადასაწყვეტ ამოცანებისაგან. შეიცვალა მხოლოდ ზოგიერთი მუხლი. მაგ., წესდების მეოთხე მუხლის ახალი განმარტებით, მისიის მუშაობის პირველ ეტაპზე მთავრობა შესაძლებლად მიიჩნევდა ქართველი ეროვნების სასულიერო პირების მონაწილეობას; მაგრამ, რადგანაც მათ რუს სასულიერო პირებთან შედა-

105 აქტები, ტ. 8, გვ. 246, § 193.

106 აქტები, ტ. 8, § 193, გვ. 246.

რებით განათლების დაბალი დონე ჰქონდათ, იმუშავებდნენ მანამ, სანამ „საზოგადოება“ განათლებულ მისიონერებს მიიღებდა. ახალი წესდების პროექტში ყურადღებას იქცევდა XV მუხლი, სადაც განმარტებული იყო ის მეთოდები და ხერხები, რითაც მისიონერებს უნდა ეხელმძღვანელათ თავიანთ მუშაობაში.

ოსეთის სასულიერო მისიის მუშაობის დროს, ოსთა სოფლის მამასახლისებსა და გავლენიან პირებს ფულით და საუკეთესო მიწებით ასახუქრებდნენ, გარდა ამისა აძლევდნენ სხვადასხვა შეღავათებსაც. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც საჩუქრების მიღების შემდეგ ისინი ისევ ძველ სარწმუნოებას უბრუნდებოდნენ, მონაწილეობას ღებულობდნენ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში და სხვა. ახალი დებულებით მამასახლისების და მემამულეების დაჯილდოება მისიონერებს აღარ შეეძლოთ, სანამ არ იქნებოდა ამაზე მთავრობის განკარგულება, ან თანხმობა. საჩუქრების გაცემამდე საჭირო იყო მთავრობის აზრის გაცემა იმის შესახებ, თუ რამდენად სანდო იყო დასახელებული პიროვნება და რა დამოკიდებულებაში იმყოფებოდა მთავრობასთან. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ მოსახლეობის გაქრისტიანებაზე ხარჯებს ძირითადად იღებდა მთავრობა და არა ეკლესია, რადგანაც სარწმუნოების მიღების შემდეგ ისინი სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდნენ<sup>107</sup>.

ახალი წესდებით საზოგადოებას ყურადღება უნდა გაემახვილებინა მოზარდი თაობის აღზრდაზე. სასწავლებლებში მისაღები ბავშვების შერჩევის დროს, მისიონერები წინასწარ უნდა შეთანხმებოდნენ ბავშვების მშობლებს, მამასახლისებსა და მემამულეებს იმის თაობაზე, რომ სასწავლებელში შერჩეული ბავშვები არც სწავლების დროს და არც მის შემდეგ მშობლებს არ დაუბრუნდებოდნენ. მხოლოდ ასეთი თანხმობის შემდეგ მიიღებდნენ ისინი სასულიერო სასწავლებლებში.

1834 წელს საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა მიტროპოლიტი ევგენი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელების როგორც ხელისშემწყობი, ასევე ხელისშემშლელი მიზეზები და დასახა კონკრეტული ღონისძიებები მათ გამოსასწორებლად.

„საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი, მეფისნაცვალი ბარიატინსკი ასაბუთებდა რა მისი დაარსების აუცილებლობას, წერდა, რომ საქართველოს მთიანეთში მოსახლე ტომები (მას მხედველობაში ჰყავდა ხევსურები და ოსები) ნეიტრალურნი იყვნენ და ჯერჯერობით არ თანაუგრძობდნენ არც ქრისტიანობას და არც მაჰმადის სარწმუნოებას. ამიტომ ახლად დაარსებულ „საზოგადოებას“ პირველ რიგში, ყურადღება უნდა გაემახვილებინა ძირითადად ამ ხალხებზე.

„მით უმეტეს, რომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ზოგჯერ მათგანს ჰქონდა და აქვს ჩვენთვის (რუსეთისათვის. — მ. ხ.) განსაკუთრებული მნიშვნელობა. ოსები და ხევსურები ფლობენ საქართველოს სამხედრო ვზას, ერთნი დასავლეთიდან, მეორენი კი აღმოსავლეთიდან და ეს გზები მხოლოდ იმიტომ რჩებიან ჩვენს უდავო ბატონობაში, რომ გადის იმ ხალხების მიწაზე, რომლებიც ჩვენი მტრები ჯერ არ გამხდარანო“<sup>108</sup>. ამიტომაც, მას საჭიროდ მიაჩნდა, რაც შეიძლება სწრაფად სამისიონერო სამუშაოების გაშლა“ თუნდაც მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობის გამო. „მეფისნაცვალის მოითხოვდა, დაეჩქარებინათ აქ ეკლესიების აღდგენა-აშენება, გაეხსნათ სასულიერო სასწავლებლები და სხვ. „ამ სასწავლებლების შექმნა არის მართლმადიდებლური სახელმწიფოს ვალი, საქმე ეხება საკითხს, რომლის მიმართ რუსეთს არ შეუძლია დარჩეს გულგრილი — განმარტავდა ის. თვითმპყრობელობას იმედი ჰქონდა, რომ ახალი საზოგადოება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ კავკასიით. მისი შექმნის ინიციატორები იმედოვნებდნენ, რომ „დროთა განმავლობაში მას შეეძლო თავისი მოღვაწეობა გაეცრცელებინა აღმოსავლეთით“<sup>109</sup>.

ბარიატინსკის მიმართვის საფუძველზე კავკასიის კომიტეტმა განიხილა საზოგადოების დაარსების საკითხი და თავის გადაწყვეტილებაში ამის თაობაზე აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოების დაარსება კავკასიაში<sup>110</sup>. აქვე იყო მითითებული, რომ მისი ადგილსამყოფელი იქნებოდა თბილისში, რადგანაც სიშორის გამო მისი პეტერბურგიდან ხელმძღვანელობა შეუძლებელი იქნებოდა და საქმეს გაართულებდა. 1857 წელს დამტკიცდა მომავალი საზოგადოების წესდება, 1860 წელს კი მეფისნაცვალს გამოუგზავნეს სიგელი კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების დაარსების შესახებ. სიგელში ხაზგასმული იყო ამ საზოგადოების შექმნის პოლიტიკური მნიშვნელობა.

ითვალისწინებდა რა ოსეთის სასულიერო მისიაში არსებულ ნაკლოვანებებს, რაც გამოიხატებოდა კადრების არასწორად შერჩევასა და მათ განაწილებაში, მთავრობა ცდილობდა მის დაკომპლექტებას კარგად მომზადებულნი. განათლებული სასულიერო პირებით. მისიონერების შერჩევა უნდა მომხდარიყო მათი პოლიტიკური და ზნეობრივი ნიშნების მიხედვით. პირველ რიგში საჭიროდ მიაჩნდათ მისიონერებად ისეთი პირების მომზადება, რომლებმაც განათლება მიიღეს რუსეთის სასწავლებლებში და რუსული ორიენტაციისანი იყვნენ. სამისიონერო სას-

108 ცსილ. ფ. 1268, ანაწ. 9, საქ. 445, ნაწ. 1, 1857—1864, ფურც. 13—15.

109 იქვე.

110 იქვე.

წავლელის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მისიონერებს უნდა ემსახურათ „საზოგადოებაში“ არა ნაკლებ ხუთი წლისა. მათთვის შექმნილი იყო სწავლისა და ცხოვრების კარგი პირობები, რათა სხვებსაც თავიანთი შვილები იქ მიეყვანათ<sup>111</sup>. საზოგადოება ზრუნავდა მისიონერთა დაცვაზე იმ უსამაოვნებისაგან, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა მათში მათი მუშაობის დროს. მისიონერს შეუბღალავ ქრისტიანულ ზნეობასთან ერთად, ფართო სასულიერო და ზოგადი განათლება უნდა ჰქონოდა. მისიონერი ვალდებული იყო განსწავლული ყოფილიყო იმ ხალხისა და მხარის ისტორიაში, სადაც მათ მოუხდებოდათ მოღვაწეობა. მისიის წევრებს ევალეობდათ მედიცინის ელემენტარული საკითხების ცოდნა, რაც გაზრდიდა მათ ავტორიტეტს მთიელებში, რომლებიც დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ მკურნალებს. მისიონერებად შერჩევის დროს უპირატესობა ეძლეოდათ რუსი ეროვნების სასულიერო პირებს.

სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად ყველა მისიონერი ვალდებული იყო განემტკიცებინა და დაეცვა, როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების ინტერესები. ეგზარქოსი მიუთითებდა, რომ მათ თავიანთ ქადაგებებში არ გაეკიცხათ არსებული წყობა, პოლიტიკური რეჟიმი, არ შეხებოდნენ კერძო საკუთრებას, ვისიც არ უნდა ყოფილიყო ის, ხელისუფლება თვალყურს ადევნებდა მისიონერთა ყოველდღიურ საქმიანობას და იმას, თუ როგორი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდნენ ისინი ადგილობრივ მოსახლეობაში.

მეფის მთავრობა დიდ იმედებს ამყარებდა საზოგადოების კარგ მუშაობაზე და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ამ საქმეში არ დაეშვა თუნდაც მცირე შეცდომა.

კავკასიის მთიელთა შორის ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა. რელიგიურ მისიას ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად მოხერხებულად უნდა შეეთავსებინა პოლიტიკური მიზნებიც. ხელისუფლება თვლიდა, რომ მთიანეთის მოსახლეობა, რომელიც უკვე კარგა ხანია იმყოფებოდა რუსეთის ბატონობის ქვეშ, უკანასკნელ დრომდე მხოლოდ ნაწილობრივ ემორჩილებოდა სახელმწიფოს და მაშასადამე, მათი განათლება ქრისტიანული მოძღვრებით მიზნად ისახავდა მათ დაახლოებას რუსეთთან. ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნეოდა, რომ ქრისტიანულ მოძღვრებასთან ერთად მათ მიეღოთ ისეთი ცოდნაც, რაც მოსახლეობას შეუქმნიდა ჭეშმარიტ წარმოდგენას იმ სახელმწიფოზე, რომელსაც ისინი უახლოვდებოდნენ, რომლის შემადგენლობაშიც მომავალში უნდა შესულიყვნენ. ამიტომ, მისიონე-

<sup>111</sup> ცსიალ, ფ. 126, ანაწ. 9, საქ. 445, 1857—1864, ფურც. 13—15.

რები ვალდებულნი იყვნენ მდაბიო ხალხისათვის გასაგები ენითა და ცოცხალი მაგალითებით დაერწმუნებინათ მოსახლეობა რუსეთის კავშირით დიდებაში, მის ძლიერებაში.

სულიერი მოძღვრის მთელი ცოდნა იქითკენ უნდა წარმართულიყო, რომ ახლად მონათლულები დაეახლოვებინა რუსულ წეს-ჩვეულებებთან, დაერწმუნებინა მათდამი კეთილგანწყობაში<sup>112</sup>.

„კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ შექმნის შემდეგ, ოსეთის სასულიერო კომისია კარგავდა თავის მნიშვნელობას და ამიტომ, კავკასიის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ნისი გაუქმებისა და აღნიშნულ საზოგადოებასთან შეერთების შესახებ. ახალი სასულიერო საზოგადოების შექმნას აჩქარებდა ის გარემოებაც, რომ XIX საუკუნის სამოციან წლებში დაიწყო კავკასიის მუსლიმანთა შორის განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამის გამო, ის მაჰმადიანები, რომლებმაც ცოტა ხნის წინ აღიარეს ქრისტიანული სარწმუნოება, მასობრივად ტოვებდნენ მას და ისევ ძველ სარწმუნოებას უბრუნდებოდნენ. ეს პროცესი ძალიან აღელვებდა და აფიქრებდა ხელისუფლებას, რადგან ასეთ მოძრაობას შეეძლო ბევრის მიმხრობა.

მიურადიზმის გავლენა დღითიდღე იზრდებოდა ოსებს შორისაც, რომლებსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკავათ საქართველოსაკენ მონათლული სტრატეგიული გზა. ასეთი მოძრაობით შეშფოთებული ბარანტინსკი კავკასიის კომიტეტს სთხოვდა მიეღო გადაწყვეტილება ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისათვის კავკასიაში. ის მიუთითებდა, რომ ამ მხარეში დაწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად, ქრისტიანობა ისეთსავე მდგომარეობაში მოექცა, როგორც საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე იყო. მეფისნაცვალის მოითხოვდა ანტირუსული მოძრაობისადმი, მისი ზრდისადმი დაეპირისპირებინათ კონტროლისძიება, რომელიც შეაჩერებდა მტრის (იგულისხმებოდა მუსლიმანთა განმათავისუფლებელი მოძრაობა) წარმატებას. მეფისნაცვლის აზრით, საჭირო იყო ეფექტათ იმის თაობაზე, რომ კავკასიისაკენ მიმავალ სტრატეგიულ მიწებზე ქრისტიანული სარწმუნოების შესუსტებით ადგილობრივ მოსახლეობაში რუსეთის ქარს ბრძოლით მოუხდებოდა გზის გაკაფვა ოსთა შორის, ისევე, როგორც დაღესტანში. რადგან ამ დროისათვის მუსლიმანობა კავკასიის მაჰმადიანურ მოსახლეობაში (და არა მარტო მაჰმადიანურში) ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა, რომელიც მიმართული იყო თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. ადგილობრივი მოსახლეობა უბრუნდებოდა რა მუსლიმანობას, მტრულად იმსკვილე-

<sup>112</sup> აქტები, ტ. 7, § 172, გვ. 255.

ზოდა რუსეთის მთავრობისა და ყოველგვარი რუსულისადმი; და რადგანაც რწმენასთან ბრძოლა შეიძლება მხოლოდ რწმენის საშუალებით, თვითმპყრობელობას საჭიროდ მიაჩნდა აქ სასულიერო საქმეების მოწესრიგება, რაც პირველ რიგში უნდა გამოხატულიყო სამისიონერო საქმეების მოწესრიგებაში<sup>113</sup>.

ოსეთის სასულიერო კომისიის თანხა, რომელიც დარჩა მისი გაუქმების შემდეგ, მთლიანად გადადიოდა საზოგადოების განკარგულებაში. ეს თანხა შეადგენდა 231172 მან. და 9295 კაპ. ახლად დაარსებულ საზოგადოებას შეფობას უწევდა იმპერატორის მეუღლე, რომელმაც მას შესწირა 119738 მანეთი. საზოგადოებისათვის საჭირო ფონდის შექმნის მიზნით იმპერიის ყველა ეკლესიაში დადგეს ყულაბები. პირველი შეგროვების თანხა შეადგენდა 31876 მანეთსა და 43 კაპიკს. საწვევრო გადასახადები მუდმივი წევრებისაგან შეადგენდა 7799 მანეთსა და 18 კაპ. შეწირულებანი სხვადასხვა პირებისაგან 2837 მანეთსა და 31,5 კაპ. ასეთი ღონისძიებების გატარების შედეგად საზოგადოება გახდა საკმაოდ დიდი თანხის მფლობელი. 1863—1909 წლებში საზოგადოების სახელზე სხვადასხვა წყაროებიდან შემოსული თანხა უდრიდა 1.475842 მანეთსა და 0,4 კაპ.<sup>114</sup> გარდა აღნიშნულისა, 50 წლის განმავლობაში ბანკი ყოველწლიურად ურიცხავდა საზოგადოებას განსაზღვრულ თანხას. ამიერკავკასიაში საზოგადოებას გამოეყო 100000, ხოლო ყიზლარში 3000 დესეტინა მიწა. მოგვიანებით, 1885 წელს, ყიზლარის მიწები, როგორც საზოგადოებისათვის გამოუყენებელი, შეისყიდა სახელმწიფომ და მის ნაცვლად კი საზოგადოება ყოველწლიურად იღებდა 25 ათას მანეთს. სახელმწიფომ ამ სასულიერო მისიას აპატია ის ვალი, რომელიც ოსეთის კომისიას ჰქონდა აღებული. მთავრობამ ერთხელ უარი თქვა 30000, ხოლო 1885 წელს 99334 მანეთზე<sup>115</sup>. 1833 წელს იმპერატორის ოჯახის წევრებმა საზოგადოებას შესწირეს 53000 მანეთი. ასეთი დიდი რაოდენობის თანხა საზოგადოებას მუშაობის გაშლის დიდ საშუალებას აძლევდა.

ცარიზმი თავისი კოლონიური მიზნების დროულად განხორციელებისათვის კავკასიაში ითხოვდა ადგილობრივ საერო და სასულიერო ხელისუფალთა შეთანხმებულ მოქმედებას. მთავრობა მოითხოვდა, რომ ორივე მხარეს გამოენახა ახალი, უფრო მოქმედი საშუალებანი, რათა დაეჩქარებინათ ადგილობრივი მოსახლეობის მთლიანი შერწყმა იმპერიასთან. საერო ხელისუფალნი ვალდებულნი იყვნენ შეეგროვებინათ ცნობები ადგილობრივ მცხოვრებთა ფაქტების პირებზე, რომელთა გამოყენებასაც მთავრობა საჭიროდ ჩათვლიდა. სასულიერო მისიო-

113 აქტები, ტ. 7, გვ. 172.

114 Обзор деятельности..., с. 95—96.

115 იქვე.



ნერებს ხელთ უნდა ჰქონოდათ ცნობები მისიის სამოქმედო რაიონის სულიერ განწყობაზე, მათ ზნე-ჩვეულებებზე, მათ დამოკიდებულებაზე მთავრობასთან, დამყარებულ რეჟიმთან და ა. შ. მისიონერებს ევალებოდათ მოსახლეობაში სასულიერო-საგანმანათლებლო სამუშაოების ჩატარებაც. რადგანაც ქრისტიანობის ქადაგებასა და მის დამკვიდრებას ხელს უშლიდა საჭირო სასულიერო წიგნების უქონლობა ადგილობრივი ხალხის ენაზე, მთავრობა ცდილობდა ასეთი ხარვეზის გამოსწორებასაც. მისიონერები გაბატონებული ხალხებისათვის ადგენდნენ ალფავიტს, თარგმნიდნენ სასულიერო წიგნებს, აარსებდნენ სასულიერო სასწავლებლებს და სხვა<sup>116</sup>. საზოგადოების საქმიანობის ფართოდ გაშლის მიზნით და ოპერატიული მოქმედებისათვის შეიქმნა განყოფილებები: ვლადიკავკაში, სამეგრელოში, სვანეთში, აფხაზეთში, გურიაში, მოზდოქსა და პიატიგორსკში.

თვითმპყრობელობა უყურადღებოდ არ ტოვებდა იმ პირებს, რომლებიც ეხმარებოდნენ მას და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქრისტიანობის გავრცელებაში. სასულიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის მრავალი მისიონერი და სასულიერო პირი დააჯილდოვეს. ოსური ანბანი შექმნა მღვდელმა იალღუზიძემ, რისთვისაც ის სინოდმა წარადგინა სახელმწიფო ჯილდოზე. მანვე თარგმნა ოსურ ენაზე სახარება და სხვა სასულიერო შინაარსის წიგნები<sup>117</sup>. ანალოგიური მოღვაწეობისათვის ჯილდოზე წარადგინეს თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი გამრეკლოვი<sup>118</sup>.

იბრძოდა რა საქართველოს მოსახლეობის სწრაფი გარუსებისათვის, მრავალ სხვა ღონისძიებასთან ერთად, რომელსაც ის ატარებდა ამ მიმართულებით (განათლება რუსულ ენაზე, წირვა-ლოცვის აკრძალვა მშობლიურ ენაზე და სხვ.) სასულიერო ხელისუფლება გამოდიოდა ინიციატორად ახალი ანბანის შექმნისა ქართველი ტომებისათვის, რომელსაც ის რატომღაც ქართველებად არ მიიჩნევდა. სვანებისათვის შეიმუშავეს ანბანი, რომელსაც საფუძვლად რუსული შრიფტი დაედო. „ჩვენთვის სასარგებლოა სვანებში შემოვიღოთ მღვდელთმსახურება რუსულ ენაზე, რომელიც დააკავშირებს ამ ხალხს ჩვენთან“ — წერდა ერთ-ერთი ეპისკოპოსი 1864 წელს. სვანებისათვის საზოგადოების ინიციატივით გამოიკა ანბანი ე. წ. „ლუშნუ ანბან“, რუსული შრიფტით, რამაც სვანების დიდი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია<sup>119</sup>. რუსული შრიფტი დაედო საფუძვლად აფხაზეთისათვის შექმნილ ანბანს. საზოგადოება ცდილობდა ასეთივე ღონისძიებების გატა-

<sup>116</sup> აქტები, ტ. 7, § 172, გვ. 258.

<sup>117</sup> იქვე.

<sup>118</sup> ცსიკალ, ფ. 796, ანაწ. 131, საქ. 1799, 1850, ფურც. 1—5.

<sup>119</sup> ბ ნ ი ქ რ ა ძ ე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 27.

რებას სამეგრელოში, რომლის სკოლებშიც აპირებდა ქართული ენის სწავლების აკრძალვას.

„კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ ახლად მონათლულთა შორის სარწმუნოების დაპყვიდრებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკლესიების მშენებლობას და ადგილობრივზე მღვდლების დატოვებას. 1850—1860 წლებში მრავლად აშენდა პატარ-პატარა ეკლესიები თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის სოფლებში. ჩვეულებრივად ეკლესიები შენდებოდა ამ სოფლების ჯვარ-ხატების ადგილზე. სწორედ ამ დროს განეკუთვნებიან ეკლესიები აშენებული ქვარბოსელში, შენაქოში, დართლოში, ომალოში, ილურთაში. შუაფხოში, მალაროსკარში, თამარლელეში და სხვ. ეკლესიები შენდებოდა სვანეთსა და აფხაზეთში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკლესიების მშენებლობას კავკასიის მუსულმანურ მოსახლეობაში. ამ დროს ეკლესიები აშენდა დერბენდში, ნახჭევანში, შემახაში. შემახაში დაანგრიეს მეჩეთი და მისი მასალით დაიწყეს ეკლესიის მშენებლობა, რისთვისაც დაიხარჯა 24715 მანეთი და 18 კაბ.<sup>120</sup> ეკლესიების მშენებლობას, როგორც წესი, მთავრობა მშრომელთა ხარჯზე ეწეოდა. რისთვისაც შეწირულები გროვდებოდა იმპერიის ყველა ეკლესიაში.

„ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ ამავე დროს ახალგაზრდა სასულიერო კადრების მოსამზადებლად აარსებდა სასულიერო სასწავლებლებს. საზოგადოების მიერ აშენებული სასწავლებლების ჩაოდენობა 1864—1871 წლებში მერყეობდა 35—40 შორის, რომლებშიც სწავლობდა 1155 ბავშვი. 1070 წელს ასეთივე ტიპის სკოლების მშენებლობაზე საზოგადოებამ დახარჯა 33316 მანეთი<sup>121</sup>. საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქალთა განათლების საკითხს, რომელსაც როგორც მომავალ დედებსა და ოჯახის დისახლისებს ქრისტიანობის გავრცელებასა და დამკვიდრებაში დიდი როლი ეკისრებოდათ. ამ დროისათვის საზოგადოებას ჰქონდა ქალთა სამი სკოლა. სპეციალური მითითებით ამ სასწავლებლებში პირველრიგში იღებდნენ: აფხაზებს, თუშებს, ოსებს, ფშაველებს, ხევსურებს, ე. ი. იმ ხალხის წარმომადგენლებს, რომლებზედაც ვრცელდებოდა საზოგადოების გავლენა.

ოსეთის სასულიერო კომისიასთან შედარებით, საზოგადოებამ გააფართოვა ძველი, დაზიანებული ეკლესია-მონასტრების შეკეთება და ახლების მშენებლობა. აფხაზეთში აღადგინა ბიჭვინთის მონასტერი, რომელიც მეფისნაცვლის აზრით, უნდა გამხდარიყო აფხაზთა გარუსებისა და გაქრისტიანების ცენტრი. ამავე დროს ის პოლიტიკურად და-

<sup>120</sup> ცხილ., გ. 797, ანაწ. 131, საქ. 121, 1850, ფურც. 1—3, 9—38.

<sup>121</sup> საქართველოს საეგზარქოსო სასულიერო მახარობელი, 1891, № 7, გვ. 13.

ახლოებდა რუსულ ელემენტთან. ამიტომაც, მეფის ნაცვალს მიზანშეწონილად მიაჩნდა ამ მონასტრის გადაქცევა რუს ბერთა საწყობად. აქვე არსდებოდა რუსული კოლონია<sup>122</sup>. განსაზღვრული იყო მონასტერთან სასულიერო სასწავლებლის დაარსება. აფხაზთა შორის რუსული გავლენის გაზრდის მიზნით, მონასტრის ახლოს მიმდებარე თავისუფალ მიწაზე უნდა დაესახლებინათ რუსები, საერთოდ, როგორც აფხაზეთის, ასევე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რუსი მოსახლეობის ასეთ კომპაქტურ დასახლებას მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა. ამის მაგალითები მრავალია ჩვენთან ცარიზმის ბატონობის მთელი ისტორიის მანძილზე. 1904 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეერჩია საჭირო თავისუფალი მიწები კოლონისტებისათვის. 1906 წლისათვის ამ კომისიამ მართლაც შეარჩია 1700000 დღიური მიწა (მთელ კავკასიაში). აქედან, სამოსახლოდ ვარგისი იყო 835.000 დღიური. ამავე წლებში კოლონისტების დასახლებისათვის გურიაში გამოყვეს 60 000 დესეტინა, აჭარაში კი 35000<sup>123</sup>.

მართლმადიდებლური ეკლესიების მშენებლობებს დიდი ყურადღება ექცეოდა სასახლერო რაიონებში, სადაც ეკლესიას ევალეობოდა, ისევე როგორც სხვაგან, მოსახლეობის აღზრდა რელიგიურ-მონარქისტული სულისკვეთებით.

1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, ბათუმში, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ინიციატივით აშენდა ეკლესია, რომელიც აკურთხეს ალექსანდრე ნეველის სახელზე. გუბერნატორის აზრით, ეს ეკლესია იყო როგორც სიმბოლო ცარიზმის მიერ საქართველოს დამორჩილებისა, მთავრობის აზრით, აღნიშნული ეკლესია აშენებული იყო არა ბათუმის მოქალაქეთა სულაერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, არამედ იქ მცხოვრები რუსი და სხვა არაქართველი მოსახლეობის გაქართველების საწინააღმდეგო საშუალებად. მალე ამ ეკლესიაში აიკრძალა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე და გადაეცა სამხედრო უწყებას.<sup>124</sup>

ამ დროს საქართველოში სასულიერო-სამისიონერო სამუშაოებს ეწეოდნენ უცხო სახელმწიფოს მიერ გამოგზავნილი სასულიერო პირები. მისიონერები განსაკუთრებულ საქმიანობას ეწეოდნენ ქართველებს შორისაც. ისინი დიდ მამულებსაც იძენდნენ, რომლის შემოსავლის ერთი ნაწილი გადიოდა უცხოეთში, ხოლო დანარჩენი ხმარდებოდა ადგილობრივ ხარჯების და მამულის მოვლა-პატრონობას<sup>125</sup>. რუსუ-

<sup>122</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>123</sup> Всеподданнейшая записка Воронцова-Дашкова, 1905, с. 67—71.

<sup>124</sup> საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მახარობელი, № 3—4, 1905, გვ. 10—12. აგრეთვე საქართველოს ცსია ფ. 488, საქ. 24580, 1906, № 3; აგრეთვე, ცსიალ ფ. 1276, ანაწ. 4, საქმე 826, 1908.

<sup>125</sup> Обзор деятельности..., с. 122.

ლი მართლმადიდებლური ეკლესია მისიონერებში თავის იდეურ მო-  
წინააღმდეგეს ხედავდა. ამიტომაც გააფთრებულ წინააღმდეგობას  
უწევდა მათ საქმიანობას. სამღვდელოების ასეთ საქმიანობას მხარს  
უჭერდა ხელისუფლება. მეფის ნაცვალმა ერმოლოვმა ჯერ კიდევ 1827  
წელს მიმართა რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას წერი-  
ლით, სადაც გამოთქვა აზრი უცხოელი სასულიერო მისიების საქართველოში  
არსებობის არასასურველობის შესახებ. ერმოლოვი მოითხოვ-  
და უცხო მისიონერების საქმიანობის აკრძალვას, რათა რუს სასული-  
ერო პირებს შესაძლებლობა მისცემოდა ქართველი და რუსი ხალხე-  
ბის სარწმუნოებრივი ერთიანობის მაქსიმალურად გამოყენებისა. უცხო  
მისიონერთა მუშაობა საქართველოში მეფისნაცვალს დაუშვებლად მი-  
აჩნდა იმიტომაც, რომ ჩამოსული სასულიერო პირები ხშირად დაკავ-  
შირებული იყვნენ თავიანთი სახელმწიფოს დაზვერვის ორგანოებ-  
თან<sup>126</sup>.

მთავრობის ყურადღების ცენტრში იდგა სამისიონერო სამუშაო-  
ების გაფართოების საკითხი აფხაზეთში. რუსეთის უწმინდესი სინო-  
დი სამართლიანად თვლიდა, რომ ქრისტიანობის გავრცელებას აფხაზ-  
თა შორის დიდი ტრადიციები ჰქონდა ქართველებთან მეზობლობისა  
და ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი გავლენის გამო.

აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და დამ-  
კვიდრების მიზნით, ჯერ კიდევ 1831 წელს შეიქმნა არქიერის სასული-  
ერო კათედრა, რომელიც მხარის მიუღდგომლობისა და უგზობობის გამო  
მალე გააუქმეს. 1866 წელს ის შეუერთეს იმერეთის ეპარქიას. მიუხე-  
დავად სამისიონერო მუშაობის ასეთი სირთულისა, აფხაზეთის გაქ-  
რისტიანების საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

1851 წელს ვორონცოვმა მოიწონა ქრისტიანული მისიის შექმ-  
ნის იდეა აფხაზეთში, რის აუცილებლობაზედაც უფრო ადრე პეტერ-  
ბურგი მიუთითებდა. აფხაზთა შორის სასულიერო მისიის შექმნას და  
ქრისტიანობის გავრცელებას მთავრობა დიდი სიფრთხილით ეკიდე-  
ბოდა. მეფის ნაცვალს ქრისტიანობის გავრცელება მისიონერთა საშუ-  
ალებით იმდენად საპასუხისმგებლო და სასიკეთო ამოცანად მიაჩნდა  
(როგორც ქრისტიანობის გავრცელების, ასევე პოლიტიკური მიზნები-  
სათვისაც), რომ ამ საქმეში მცირეოდენი რისკის გაწევაც კი საზიანო  
შეიძლება ყოფილიყო. ამიტომაც ვორონცოვი ობერპროკორორს  
სთხოვდა, ნება დაერთო საქართველოს ეგზარქოსისათვის შეერჩია მი-  
სიონერები ქართველთაგან; მისივე აზრით, გამორიცხული არ იყო მი-  
სიონერების დანიშვნა რუსი ეროვნების სასულიერო პირებიდანაც, თუ  
ეგზარქოსი საამისოდ ყველა საჭირო პირობას დაინახავდა<sup>127</sup>.

<sup>126</sup> იქვე.

<sup>127</sup> ვ. დაშკოვი, დასახ. წერილი, 1905, გვ. 70.

მთავრობა, როგორც სხვაგან, აქაც არ ერიდებოდა გავლენიანი პირების მოსყიდვასა და გულის მოგებას. აფხაზეთის სასულიერო მისიის ხელმძღვანელად მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნდა აფხაზეთის მთავრის შერვაშიძის კარის მოძღვრის — გერმანის დანიშვნა. ამ აქტით სურდათ, როგორც მთავრის გულის მოგება, ასევე მისი ავტორიტეტის გამოყენება, როგორც ქრისტიანობის გავრცელებაში, ასევე რუსული ორიენტაციის გაზრდისათვის. მეფის ნაცვალი დაიწინააღმდეგებდა გერმანის დანიშვნას და მიაჩნდა, რომ ამ საქმის თუნდაც დროებითი გადადება და შეყოვნება ცუდ შედეგს მოუტანდა სახელმწიფოსაც პოლიტიკური თვალსაზრისით და მართლმადიდებლური საქმის კეთილად დაგვირგვინებასაც.<sup>128</sup> მთავრობის ასეთი მისწრაფებით იყო გამოწვეული ის გარემოებაც, რომ სასულიერო მისიონერები ცდილობდნენ გავლენიანი პირების მოსყიდვას.

1860 წელს აფხაზეთის მთავარი მოძღვარი ვასილ მიქაბერიძე ეპარაქიის უფროსს გერონტის სთხოვდა, რომ მიეცათ ერთდროული დახმარება ან დაენიშნათ პენსია ახლად გარდაცვლილი თავადის არყვა ანჩაბაძის ქვრივ მარიამისათვის, რადგან „შვილნი ამა ახლად ნათელღებულისა კნეინა მარიამისანი, შეადგენენ მათი ცოლშვილით არა უმცირესა ოცის სულისა, და ყმანი რომელთაც ფლობენ ისინი, უმეტესსა ორასი კომლისა, სადაც აქამდე ქრისტეს მქადაგებელნი, არავინ შეწყნარებულ არს“<sup>129</sup>. მიქაბერიძის აზრით, თუ ახლად მონათლული მიიღებდა მატერიალურ დახმარებას, მაშინ მისი ქვეშევრდომიც ადვილად მიიღებდნენ ქრისტეს ქადაგებას, რადგან „ახლად მოსულ ქრისტიანსა სარწმუნოებასა ზედა (ჯერ ვითარცა ყრმა) ოდესაც სულიერსა განათლულსა და სიმდიდრესა თანა, იხილავს ხორციელსა ყურადღებასა და პატივისცემასა მთავრობისაგან, მაშინ იგი ხელს შეუწყობს ქრისტიანობის გავრცელებას“<sup>130</sup>.

როგორც მოსალოდნელი იყო, საკითხი სწრაფად გადაწყდა. ანჩაბაძის ქვრივს დაენიშნა პენსია წელიწადში 100 მანეთის ოდენობით. მთავრობას სჯეროდა რომ ამის შემდეგ ის ხელს შეუწყობდა მრავალი მაჰმადიანისა და კერპთაყვანისმცემლის ქრისტიანულად მონათვლას.

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი თავის ქადაგებებში, რომელსაც ის ატარებდა აფხაზთა შორის, მსჯელობდა და არწმუნებდა რა ქრისტიანული სარწმუნოების უპირატესობაში... კიდევ უფრო ვრცლად და დამაჯერებლად უსაბუთებდა მათ, რომ მათთვის აუცილებელია ქრისტიანად მოქცევა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისითაც. იგი აფხაზებს არწმუნებდა, რომ მეფეს და უმაღლეს ხე-

<sup>128</sup> აქტები, ტ. 10, § 238, გვ. 230—231.

<sup>129</sup> საქართველოს ცსია. ფ. 488, საქმე 25402, 1861, ფურც. 1—6.

<sup>130</sup> იქვე.

ლისუფალთ ესია მოგნებოდათ მათი მონათვლა, რადგან ეს ახლოვებდა მათ რუსეთთან. და მაშასადამე, ხელს შეუწყობდა არა მარტო სულიერი, არამედ პოლიტიკური, მიწიერი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც<sup>131</sup>. მთავრობა ახლად მონათლულებს სხვადასხვა შეღავათებთან ერთად, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი, აფხაზებს ანთავისუფლებდა სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან. „ღღეს მართლმადიდებელ აფხაზთა და მათ სამღვდლოთა სასიხარულოდ უნდა გამოვაცხადოთ, რომ ახლად მონათლულნი აფხაზნი სალდათად არ გაიყვანებიანო, — წერდა ქურნალი „მწყემსი“ 1890 წელს<sup>132</sup>.

მთავრობამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება აფხაზეთთან საქართველოს დამაკავშირებელი სახმელეთო გზების გაყვანასა და რეგულარული ნაოსნობის გახსნაზე შავი ზღვით. ამით მჭიდროდ დაუკავშირდა როგორც საქართველოს, ასევე რუსეთს. 1885 წელს სინოდის დადგენილებით აფხაზეთი ცალკე ეპარქიად გამოყვეს, რაც უთუოდ ეთანხმებოდა მეფის რუსეთის პოლიტიკის იმ კურსს, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს დანაწევრებასა და დაქუცმაცებას მისი მცხოვრებლების გარუსების დაჩქარების მიზნით. აფხაზეთის ცალკე ეპარქიად გამოყოფის მიზნით, რუსეთი ცდილობდა ქართველებსა და აფხაზებს შორის ისტორიულად არსებული კულტურულ-ეკონომიკური ერთობის დარღვევას, მათ შორის შუღლის ჩამოგდებას.

მიუხედავად იმ დიდი ხარჯებისა, რასაც მთავრობა იღებდა აქ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება-დამკვიდრებისათვის, საქმე მაინც მძიმედ მიდიოდა. აფხაზეთში გულგრილად ეკიდებოდნენ ქრისტიანობას და იშვიათად მიმართავდნენ მღვდელს, „ისიც არა შინაგანი რწმენის, არამედ შიშის გამო, რათა არ მიეკათ ისინი პასუხისგებასა და სასამართლოში ქრისტიანული დოგმების დარღვევისათვის“<sup>133</sup>.

კოლონიური მიზნების განხორციელების საქმეში ეკლესია კიდევ უფრო შორს მიდიოდა და ამით ახორციელებდა საერო ხელისუფლების შორს გამიზნულ პოლიტიკას XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში. საქართველოს ფიზიკური მთლიანობის მოსპობისა და ქართველთა გონებიდან იმის შეგნების აღმოფხვრის მიზნით, „რომ მათი სამშობლო ზღვიდან ზღვამდეა გადაჭიმული“<sup>134</sup>, შეადგინეს პროექტი საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციისა და გადანაწილების შესახებ. ამავე დროს, ეს პროექტი მიმართული იყო აგრეთვე რევო-

131 ცსილ. ფ. 796, ანაწ. 440, საქ. 1177, ფურც. 2—4.

132 „მწყემსი“, 1890, № 5, გვ. 6.

133 Обзор деятельности..., с. 9—10.

134 ცსილ. ფ. 796, ანაწ. 445, საქ. 220/05, 1905.

ლუციური მოძრაობის წინააღმდეგაც. საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტი თვალნათლივ გვიჩვენებს თვითმპყრობელობის ნამდვილ მიზნებს საქართველოში და საერთოდ კავკასიაში და ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი არსის მოკლედ განხილვა.

საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტი ითვალისწინებდა საქართველოს საეგზარქოსოდან ერეგვისა და ყარსის ოლქების გამოყოფას. აფხაზეთის ჩამოცილებასა და მის შეერთებას ყუბანის ოლქთან. ცალკე ეპარქიად უნდა გამოყოფილიყო სამხრეთ ოსეთი იმ მიზნით, რომ ის მომავალში შეუერთდებოდა ჩრდილო ოსეთს და შეიქმნებოდა ცალკე ეპარქია.<sup>135</sup>

სოხუმის ეპისკოპოსი არსენი აფხაზეთის ცალკე ეპარქიად გამოყოფას და მის შეერთებას ყუბანთან ასაბუთებდა აფხაზეთის თბილისიდან დაშორებით, რაც ვითომ ართულებდა მის მართვა-გამგეობას და ხელმძღვანელობას. მისივე განცხადებით, აფხაზეთი განიცდიდა რუსეთისათვის არასასურველ ქართულ გავლენას. საქართველოს მთავარმართებელმა გოლიცინმა (1896—1905 წწ-ში) აღნიშნული პროექტი მოიწონა და 1901 წელს თანხმობა მისცა სინოდის ობერპროკურორ პობედონოსცევს მის განხორციელებაზე. გოლიცინი იზიარებდა რა არსენის აზრს აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის გამოყოფა აფხაზი და რუსი მოსახლეობის უმრავლესობით, სასურველი იქნებოდა არა მარტო სასულიერო, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ის საჭიროდ მიიჩნევდა აფხაზეთის სრულ იზოლაციას საქართველოსაგან. ასევე მსჯელობდა საქართველოს ეგზარქოსიც, რომლის აზრითაც საჭირო იყო აფხაზებს ესწრაფათ არა საქართველოსაკენ, არამედ რუსეთისაკენ. ამრიგად, გადაწყვეტილი იყო სოხუმის ეპარქიის შეერთება ყუბანის ოლქთან, რადგანაც ყუბანის ოლქში, რომელიც 171645 მცხოვრებს ითვლიდა, ადვილად გაითქვიფებოდა 75-ათასიანი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მისი მოსახლეობა. აღნიშნული პროექტი უდღეური გამოდგა, რადგან საქართველოში იფეთქა რევოლუციამ და მთავრობას აღარ ეცალა მისი განხორციელებისათვის, მით უმეტეს, რომ ის უფრო გამწვავებდა ისედაც გართულებულ ვითარებას<sup>136</sup>.

ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და დამკვიდრების საქმეს სასაზღვრო და სტრატეგიული მნიშვნელობის რაიონებში. როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ასევე პეტერბურგში უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმით, რომ ფშავლები, თუშები და ხევსურები გულგრილად ეკიდებოდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას. 1829 წელს მიტროპოლიტი იოანე სთხოვდა დუშეთის მაზრის უფროსს, განკარგულება გაეცა ადგილობ-

135 იქვე.

136 საქართველოს ცსია ფ. 488, საქ. 24544, ფურც. 2, 1902.

რევი მმართველობის სათანადო ორგანოებზე, რათა აეძღვლებინათ ფშავ-ხევსურები წმინდად შეესრულებინათ ქრისტიანული წესები<sup>137</sup>. მიტროპოლიტმა იოანემ ეს საკითხი ხელმეორედ აღძრა პასკევიჩის წინაშე და მოითხოვა ფშავ-ხევსურთა დეკანოზების დაპატიმრება, რომლებიც, მისი გაგებით, ხელს უშლიდნენ ამ რაიონებში ქრისტიანობის გავრცელებას<sup>138</sup>. მიუხედავად სასულიერო პირების დაეინებითი მოთხოვნისა, მეფისნაცვალმა ამ ღონისძიებების გატარებაზე არ დათანხმდა. მეფის ნაცვალს მიზანშეწონილად არ მიაჩნდა დეკანოზების დაპატიმრება, რადგანაც ეს გააღიზიანებდა მოსახლეობას და საქმეს გაართულებდა. ის შეახსენებდა მიტროპოლიტს, რომ ეს ხალხი ერთგულია რუსეთის მთავრობისა, მათი დეკანოზების თბილისში ჩამოყვანა და დაპატიმრება გამოიწვევდა ამ ხალხის აჯანყებას. ამიტომ ურჩევდა, ამ ეტაპზე, აქ ქრისტიანობის გამარჯვება და გავრცელება მინდობოდა დროს და იმ სასულიერო პირების კეთილგონიერ მოქმედებას, რომლებიც იქ ქრისტიანობას ქადაგებდნენ. აქვე მიუთითებდა, რომ თუშ-ფშავ-ხევსურები, საქართველოში იცავდნენ სტრატეგიული მნიშვნელობის საზღვარს დალესტანთან და ამ მხრივაც არ იყო სასურველი მათი განაწყენება<sup>139</sup>.

ეს აზრი სრულიადაც არ ნიშნავდა ხელის აღებას ამ საქმეზე და ქრისტიანობის ქადაგების თვითნებაზე მიშვებას. მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაიმორჩილა კავკასიის ჩრდილოეთ კალთებზე მოსახლე ტომები, ის ანგარიშს აღარ უწევდა თუშ-ფშავ-ხევსურების გაღიზიანებას და XIX ს. მეორე ნახევარში ახალი ენერგიით დაიწყო სამისიონერო მუშაობის ორგანიზაცია ამ მხარეში. აქ ახლა იგზავნებოდნენ განათლებული და ენერგიული მისიონერები, ინიშნებოდნენ ქართველი მღვდლები, რომლებმაც კარგად იცოდნენ აქაური ხალხის ზნე-ჩვეულებები. თუმცა ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა მღვდლებისა და დეკანოზების შუღლს.

ამვე დროს დიდი სამისიონერო სამუშაოები გაიშალა ინგილოებს შორის. 1830 წელს პასკევიჩი კახეთის მიტროპოლიტისაგან მოითხოვდა შეერჩია რამდენიმე განათლებული მღვდელი და საიდუმლოდ გაეგზავნა საინგილოში ქართველ მაჰმადიანთა შორის სამუშაოდ. ამავ დროს, მიტროპოლიტს ავალებდა ამ ღონისძიებების საიდუმლოდ შენახვას, რათა მღვდლების ეს საქმიანობა არ შეეტყოთ საინგილოს მეზობელ ლეკებს<sup>140</sup>.

შამილის მეფის რუსეთის საწინააღმდეგო გამოსვლებთან დაკავ-

137 აქტები, ტ. 8, § 195, ფურც. 247.

138 იქვე.

139 აქტები, ტ. 7, § 172, გვ. 250—251.

140 იქვე, § 3, გვ. 20.



შირებით, მისიონერები უფრო გააქტიურდნენ და გაათავოვეს თავიანთი მოქმედების სფერო. ამით მთავრობა ცდილობდა შეეჩერებინა მისიონერული მოძრაობა მთიანეთში. როგორც მოსალოდნელი იყო, შამილის მიერ წამოწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობა თანავრძობას პოულობდა არა მარტო მუსულმანებში. არამედ ქრისტიანებშიც. მუსულმანურ სამყაროში კი ძას სულ უფრო და უფრო მეტი მიმდევარი უჩნდებოდა. ეს მდგომარეობა კი საკმაოდ აფიქრებდა თვითმპყრობელობას. ზოგ შემთხვევაში, მთავრობა საინგილოში გზავნიდა რუსი ეროვნების მისიონერებს, რადგან თვლიდა, რომ ქართველი მისიონერების აქ გაგზავნით მოხდებოდა ამ მხარის მოსახლეობის ხელახალი გაქართველება. რუსი მისიონერები კი, ეგზარქოსის აზრით, მოახდენდნენ პირდაპირ გარუსებას. ამიტომაც უმაღლესი სასულიერო წოდება ბევრს ცდილობდა დამეტკიცებინა, რომ თითქოს ინგილოებმა ქართული არ იცოდნენ და არც ქართველები იყვნენ. ადგილობრივი ქართველი ინტელიგენციისა და სხვა პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლებს დიდი ბრძოლა უხდებოდა აქაურ სკოლებში ქართული ენის შესანარჩუნებლად<sup>141</sup>.

მთავრობის მითითებით სასულიერო წოდება სამისიონერო სამუშაოებს ეწეოდა სვანეთში, სადაც მათ პირველ რიგში მოუმატეს ხელფასი. მისიონერების დახმარებით მეფის მთავრობა ცდილობდა ამ თავისუფლებისმოყვარე ხალხების დამორჩილებას. 1855 წელს მთავრობის დავალებით სვანეთში ავიდა მღვდლების ჯგუფი, რომლებსაც მიუთითეს, რაც შეიძლებოდა მეტხანს დარჩენილიყვნენ იქ და ჩაეტარებინათ მთავრობის სასარგებლო აგიტაცია. 1855 წელს რაჭის ერისთავმა გიორგი წერეთელმა უშგულში გაგზავნა დების მღვდელი გავაშელაშვილი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოლაპარაკებოდა აჯანყებულ სვანებს<sup>142</sup>.

ანალოგიურ ღონისძიებებს ატარებდა მეფის მთავრობა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, სადაც გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ. გაქრისტიანებულ მუსულმანებს მთავრობა დიდ შეღავათებს აძლევდა. იმპერატორის 1819 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებით, ყველა მაჰმადიანს, რომელიც მიიღებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას, თურქეთიდან გადმოსახლებულთა თანაბრად ეძლეოდათ შეღავათები. თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი გადასახადისაგან 6 წლით, ხოლო სხვადასხვა ვალდებულებებისაგან — სამი წლით<sup>143</sup>.

თვითმპყრობელობა ზრუნავდა რელიგიური ზნეობის ამაღლება-სა და ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებაზე იმ რაიონებში

<sup>141</sup> ი. ოქროპირიძე, მოგონებანი, „ლიახვი“, 1963, გვ. 113—120.

<sup>142</sup> „ივერია“, 1895, № 22.

<sup>143</sup> აქტები, ტ. 8, § 167, გვ. 245.

რომელსაც სასახლვრო ტერიტორიები ეჭირა. ასეთი მდგომარეობა იყო აჭარაში. საქართველოს ეგზარქოსმა სამისიონერო სამუშაოების განმტკიცება აქ იმით დაიწყო, რომ აჭარიდან გაანთავისუფლა ქართველი მისიონერები, რომლებიც, მისი აზრით, ხელს უწყობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში ქართული სულის აღორძინებას. მათ ადგილზე კი გაამწესა ბერძენი და რუსი სასულიერო პირები. თუმცა მათი სამრევლოები აჭარაში არ იყო. აქამდე აქ მღვდლებისა და მისიონერების დანიშვნა შედიოდა იმერეთის ეპისკოპოსის ფუნქციებში. ეგზარქოსმა ეს უფლება ჩამოართვა ეპისკოპოსს და ახლა თვითონ ხელმძღვანელობდა ამ საქმეს. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი მოითხოვდა მღვდელ ლუკა ხუნდაძის აჭარის სამრევლოდან განთავისუფლებას და მის სხვაგან გადაყვანას, რადგან ის ამ სასულიერო პირში ხედავდა აქ ქართული საქმისათვის ერთ-ერთ თავდადებულ მებრძოლს<sup>144</sup>. 1902 წელს უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით აჭარაში ჩამოსახლებული რუსებისათვის აშენდა ქვის ეკლესიები. მთავრობა სისტემატურად ზრუნავდა აჭარის სასულიერო პირების ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე. 1859 წელს ქუთაისის გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს ატყობინებდა, რომ აჭარისა და გურიის სამღვდელოებისათვის ხელფასი სახელმწიფო ხაზინიდან დაენიშნათ, რათა მღვდლები დამოკიდებულნი არ ყოფილიყვნენ მრევლზე, რაც გაზრდიდა სამღვდელოების ავტორიტეტს მოსახლეობაში<sup>145</sup>. სინოდის სახელზე ეგზარქოსის მიერ წარდგენილი ანგარიშები შეიცავდნენ დაბეჭითებით მოთხოვნას, რათა ამ რაიონებში ეკლესიების მშენებლობისათვის გამოეყოთ დამატებითი თანხები.

ასეთი იყო იმ სამუშაოების მიზნები და ხასიათი, რომელსაც ატარებდა სასულიერო ხელისუფლება საქართველოში თვითმპყრობელური პოლიტიკის დამკვიდრებისათვის.

<sup>144</sup> ცხიბულაძე, ფ. 796, ანაწ. 195, საქ. 8482, 1912, ფურც. 3.

<sup>145</sup> აქტები, ტ. 13, ნაწ. 2, § 453, გვ. 967.

მორი თავი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში და  
პარტოლგადიდებლური ეკლესია  
(1801—1890 წწ.)

§ 1. ეკლესიის საწინააღმდეგო განწყობილების წიდა საქართველოში

XIX საუკუნეში მომხდარმა პოლიტიკური და ეკონომიკური ხას-ათის ძვრებმა ძირითადად შეცვალეს საქართველოს განვითარების გზა. ფეოდალურმა კარჩაკეტილმა მეურნეობამ გზა დაუთმო ბურჟუაზიულ ურთიერთობას. შექმნილმა პირობებმა ხელი შეუწყო სოფლის მოსახლეობის დიფერენციაციას და მუშათა კლასის ჩამოყალიბებას, რომელიც თავს იყრის საქართველოს მსხვილ სამრეწველო ცენტრებში<sup>1</sup>. თვითმპყრობელობის მიერ გატარებულმა კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკამ და მშრომელთა გაძლიერებულმა ექსპლუატაციამ ჩვენში ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობას.

XIX საუკუნის მიწურულში საქართველოს ახალგაზრდა მუშათა კლასი იწყებს ბრძოლას თავისი პოლიტიკური და სოციალური უფლებებისათვის. 1869 წელს გაიფიცნენ არსენალის მუშები, 1872 წელს მირზოევის საფეიქრო ქარხნის, 1892 წელს კი მანთაშევის მუშები. 1894—1895 წლებში ადგილი ჰქონდა მუშათა გაფიცვებს თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში. ამავე წლებიდან მუშათა გაფიცვებმა თბილისში მასობრივი ხასიათი მიიღო.

XIX საუკუნის 70-90-იანი წლების ქართული პერიოდიკა მკითხველებს აცნობს რუსეთისა და ევროპის ქვეყნების მშრომელთა ბრძოლის მაგალითებს. ამავე დროს ჩვენში გავრცელებას იწყებს მარქსიზმი. საუკუნის მიწურულში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა „მესამე დასი“, რომელიც სათავეში ჩაუდგა მშრომელი მასების ბრძოლას. რევოლუციური მოძრაობა უფრო და უფრო ფართო მასების საკუთრება ხდება. მესამე დასის ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელთა ბრძოლამ ორგანიზებული ხასიათი მიიღო.

<sup>1</sup> ლ. გორგილაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან. თბ., 1967, გვ. 17.

თვითმპყრობელობამ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა მშრომელთა შორის მატერიალისტურ-რევოლუციური იდეოლოგიის გავრცელებას. ცარიზმმა ამ ბრძოლაში დამსჯელ ორგანოებსა და სხვა ჩინოვნიკურ აპარატთან ერთად აქტიურად ჩააბა ეკლესიაც. რევოლუციურმა სიტუაციამ გავლენა მოახდინა მშრომელთა რევოლუციურ განწყობილებაზე, რომელიც ამ დროისათვის საგრძნობლად გაძლიერდა, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად.

XIX საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს მშრომელებში შეიმჩნევა გულგრილი დამოკიდებულება ეკლესიის მსახურებისა და თვით ეკლესიისადმი. ეგზარქოსი ევსევი (1858—1877) იმერეთის ეპარქიების დათვალიერებისას ეკლესიებში მლოცველებს თითქმის ვერ ზედებოდა. რათა საშუალება მისცემოდა მრევლთან შეხვედრისა, ის წინასწარ ატყობინებდა მაზრის უფროსებსა და მამასახლისებს, რომ ამ უკანასკნელთ ბლადოჩინის ცნობისთანავე დანიშნულ დროს შეეგროვებინათ მრევლი ეკლესიაში. ქართველების ასეთი გულგრილი დამოკიდებულება ღვთის ტაძრისადმი ამ დროის საქართველოში საერთო მოვლენა ყოფილა. ისეთი ეკლესიაც კი, როგორც იყო სიონის კათედრალური ტაძარი, სადაც ღვთისმსახურება ყოველთვის გუნდის თანხლებით მიმდინარეობდა, უმეტეს შემთხვევაში ნახევრად ცარიელი იყო. ქართველები უხალისოდ ეკიდებოდნენ და არ იღებდნენ ეკლესიის სასარგებლო შეწირულობებს. გულგრილად უცქეროდნენ ეკლესიის მსახურთა მოთხოვნებს; მრევლი თითქმის არ მონაწილეობდა ეკლესია-მონასტრების აღდგენა-შეკეთებაში, ასეთი სამუშაოები ზშირად სრულდებოდა სახელმწიფოსაგან გამოყოფილი ან ნაჩუქარი მასალით და მრევლის განთავისუფლებით სხვა ვალდებულებებისა და გადასახადებისაგან. ერთ-ერთი საბუთი გვამცნობს, რომ ამ დროის იმერეთის ეპარქიაში შემავალი მრევლი არ გამოირჩეოდა არც რელიგიური გრძნობების სიციხველით და არც ღვთის ტაძრისადმი ერთგულებით. თავისებური, სხვა ეროვნების მლოცველებისაგან განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველებს საეკლესიო დღესასწაულებისადმი. ქართველები სალოცავად შორი გზიდან მოდიოდნენ, მაგრამ მოუწყობოდნენ თუ არა ადგილზე, ეძლეოდნენ მხიარულებას მაშინაც კი, როდესაც ტაძარში მიმდინარეობდა ღვთისმსახურება.

სასულიერო წოდება განსაკუთრებით შეწუხებული იყო ახალგაზრდობის გულგრილი დამოკიდებულებით ეკლესიისა და რელიგიის ინტერესებისადმი. „სამწუხაროდ, — აღნიშნავს ვორის მაზრის ბლა-

2 ცხილ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 469, 1872, ფურ. 2.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე.

ლოჩინი, ახალგაზრდა თაობაში აღარ შეიმჩნევა ის მიმართულება, რაც ადრე იყო, რელიგიური გრძნობები მასში გაცივდა, სარწმუნოებისა და წეს-ჩვეულებების მოთხოვნები ირღვევა დაწყნარებული სინდისით<sup>6</sup>. მოსახლეობის საგრძნობ ნაწილში შეიმჩნევა გულგრილი დამოკიდებულება ქრისტიანული სარწმუნოების ისეთი „წმიდათაწმიდის“ შესრულების დროს, როგორცაა აღსარება და ზიარება. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ჩივის, რომ ქართველები აღარ ასრულებენ „უმთავრესთა და უსაჭიროესთა მცნებათა ქრისტეთა“ და რომ ზოგიერთი მათგანი „წმიდა საიდუმლოს ორ წელიწადში ერთხელ იღებს“<sup>7</sup>. ამ ფაქტმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ ეგზარქოსმა სამრევლოს მღვდლებს მითითება მისცა აღერიცხათ ის პირები, ვინც უარი განაცხადა ან სხვა რაიმე მიზეზის გამო არ ეზიარა. ეგზარქოსი აქვე აღნიშნავს, რომ ქართველები თითქოს დაბეჯითებით უვლიან გვერდს აღსარებას, ნათლობას და წმიდა ზიარების დროულად შესრულებას<sup>8</sup>. გახშირდა სასულიერო პირთა შეურაცხყოფის შემთხვევები; იშვიათი არ იყო წმინდა ნაწილების შეურაცხყოფის ფაქტებიც. ეკლესია-მონასტრების ძარცვამ 90-იან წლებში ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ ეგზარქოსი იძულებული გახდა მეფისნაცვლისათვის ეთხოვა მათ დასაცავად ყარაულების გამოყოფა<sup>9</sup>.

„მართლმადიდებელი ქართველები — ვკითხულობთ ერთ-ერთ ანგარიშში, იშვიათად დადიან ეკლესიებში, ნაკლები სიბეჯითით იღებენ შესაწირს ეკლესიების კეთილმოსაწყობად და ვიდრე რუსები, გულგრილად ეკიდებიან აღსარებას და ზიარებას“<sup>10</sup>.

საეგზარქოსოს სამღვდლოებას განსაკუთრებით აწუხებდა საქართველოს სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიაში შექმნილი მდგომარეობა; ამ სასწავლებლების მოსწავლეთა დამოკიდებულება ეკლესიისა და სარწმუნოების მოთხოვნებისადმი.

სამღვდლოების მრავალმხრივი ცდა, სასულიერო სასწავლებლებში წესრიგის დამყარებისათვის ფუჭი გამოდგა. ახალგაზრდობა აღარ ემორჩილებოდა წლების განმავლობაში დადგენილ რეჟიმს. ბევრი მათგანი აშკარად გამოდიოდა არსებული პოლოტიკური წყობის წინააღმდეგ, ყველას გასაგონად, უარყოფდა ღმერთის არსებობას. მოსწავლეებში შეიმჩნეოდა გულგრილი დამოკიდებულება სასწავლებელში დამყარებული აღზრდის მეთოდებისა და აღმზრდელებისადმი<sup>11</sup>.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 75.

<sup>7</sup> ეპისკოპოსი გაბრიელი. „ქაღაგებანი“, 1913, ტ. 2, გვ. 295—296.

<sup>8</sup> ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 9971, 1883, ფურც. 70.

<sup>9</sup> საქ. ცსია, ფ. 488, საქმე 21776, 1894, ფურც. I.

<sup>10</sup> ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 1441, 1883, ფურც. 70.

<sup>11</sup> ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 1070, 1885, ფურც. 9.

გახშირდა შემთხვევები, როდესაც სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებულები უარს ამბობდნენ გაეგრძელებინათ სწავლა სასულიერო სემინარიასა ან აკადემიაში. ბევრი მათგანი არჩევდა სწავლა გაეგრძელებინა რომელიმე საერო უმაღლეს სასწავლებელში, ან დაეწყო სამსახური სამოქალაქო უწყებაში<sup>12</sup>. შექმნილი ვითარების გამო, საეგზარქოსოში შეიმჩნეოდა განათლებული სასულიერო პირების ნაკლებობა. სწორედ ამ ნაკლის გამოსწორებას ემსახურებოდა ეგზარქოს ვესევის მიერ გატარებული ღონისძიება, რითაც საგრძნობლად გაიზარდა მოსწავლეთა რიცხვი სასულიერო სასწავლებლებში<sup>13</sup>. ზემოთქმულის გამო საუკუნის ბოლოს დამყარდა ერთგვარი შეუფარდებლობა მღვდლების საერთო რიცხვისა და სემინარიის განათლების მქონე მღვდლებს შორის. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიის მოსწავლეთა საერთო რიცხვს შორისაც. ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის სასულიერო სემინარიის 161 მოსწავლე სასულიერო სასწავლებლების საერთო რიცხვის (1056) 14% შეადგენდა. ახალგაზრდობის გულგრილ დამოკიდებულებაზე რელიგიური განათლების მიმართ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 94 მოსწავლიდან, რომლებმაც სასულიერო სასწავლებელი დაამთავრეს 1873—1874 წწ-ში სასულიერო სემინარიაში სწავლის გაგრძელება მხოლოდ ნახევარმა ისურვა<sup>14</sup>.

1873—1874 წლებში ჩატარდა თბილისის სასულიერო სემინარიის რევიზია. რევიზიის აქტში აღნიშნულია, რომ სემინარიის მოსწავლეთა შორის შეიმჩნევა მთავრობის პოლიტიკისადმი შეუფერებელი და არასასურველი განწყობილების ზრდა. სასულიერო სასწავლებლებში, სადაც საუკუნის მანძილზე ყველაფერი ემსახურებოდა თვითმპყრობელობის ერთგული თაობის აღზრდას. კატასტროფიული სისწრაფით ირღვეოდა დადგენილი ტრადიციები და მათი აღდგენა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. საუკუნის მიწურულში ეს სასწავლებლები ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის საკმაოდ მძლავრ კერებად გადაიქცნენ. ამის დასასაბუთებლად ისიც საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამ სასწავლებლებში სწავლობდნენ შემდგომში ისეთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები და რევოლუციონერები როგორებიც იყვნენ: მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ი. ჭულაშვილი, ლ. კეცხოველი და სხვები.

საჭირო წესრიგის შესანარჩუნებლად მოსწავლეებზე დამყარებული იყო მკაცრი კონტროლი. სასულიერო სასწავლებლების მესვეურ-

<sup>12</sup> Керский. Отчет о ревизии дух. уч. завед. в Тифлисе, 1874, с. 103—106.

<sup>13</sup> ცისაღ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 1070, 1885, ფურც. 8.

<sup>14</sup> კერსკი. დასახ. ანგარიში, გვ. 106.

ნი ასეთი მეთოდებით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მოსწავლეთა შორის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და მატერიალისტურ-რევოლუციური იდეოლოგიის გავრცელებისათვის. ასეთი შეზღუდვების შედეგად სასულიერო სემინარიაში ისეთი მკაცრი და აუტანელი რეჟიმი დამყარდა, რომ პროტესტის ნიშნად მოსწავლე ლალიაშვილმა 1886 წელს ხანჯლით მოკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი. როგორც მაშინდელ პრესაში გამოქვეყნებული წერილები და სემინარიის მოსწავლეთა მოგონებები მოწმობენ, ამ ფაქტს მოსწავლეთა უმეტესობა კმაყოფილებით შეხვდა. ჩუდეცკის დაკრძალვის დღეს სემინარიის მოსწავლეები კმაყოფილი სახეებით მიმოდრიოდნენ. დიდი მოთხოვნილება იყო ლალიაშვილის სურათზე, რომელიც საკმაოდ ძვირად ფასობდა, მოსწავლეები მიცვალებულს სიცილით მიაცილებდნენ<sup>15</sup>.

როგორც სემინარიაში, ასევე სხვა სასულიერო სასწავლებლებში, მოსწავლეთა სრული დახასიათებისათვის შემოღებული იყო „კნიგა პოვედენია“, სადაც აღირიცხებოდა მოსწავლეთა თითოეული ნაბიჯი, მისი საქმიანობა, როგორც სასწავლებლებში, ასევე მის კედლებს გარეთ. სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიის ხელმძღვანელები აქ წესრიგის აღსადგენად ხშირად მიმართავდნენ რეპრესიებს. მოსწავლეები აღსაზრდელებს აკონტროლებდნენ, როგორც სასწავლებელში, ასევე მის კედლებს გარეთ, დასვენების დროს და სხვა. სასულიერო წოდება ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მოსწავლეთა შორის არ გავრცელებულიყო მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების შეხედულებები. ამისათვის კეთდებოდა ყველაფერი. შემუშავებული იყო საკითხავი წიგნების სია, მოსწავლეებს აკრძალული ჰქონდათ საჯარო ბიბლიოთეკით სარგებლობა და მრავალი სხვა. მიუხედავად ამისა, აღსაზრდელების უმეტესობა ვატაცებით კითხულობდა აკრძალულ ლიტერატურას, რომელსაც სემინარიის გარედან ლეზულობდნენ.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეკლესია და რელიგია ემსახურება გაბატონებული კლასების ინტერესებს. ეკლესია ცდილობს ხალხის თვალში გაამართლოს არსებული პოლიტიკური რეჟიმი, ხელი შეუწყოს გაბატონებული კლასების მიერ მშრომელი მასების ექსპლოატაციას, მათ მორჩილებაში ყოლას. XIX საუკუნის ბოლოს, საქართველოს მშრომელებმა ახალი ძალით დაიწყეს ბრძოლა პოლიტიკური და სოციალური უფლებების მოპოვებისათვის და იარაღი აღმართეს თვითმპყრობელობის დასაშობად, ქრისტიანული ეკლესია ულაპარაკოდ დადგა გაბატონებული კლასების მხარეზე. უფრო ადრე, საქართველოს საეგზარქოსომ ასეთივე პოლიტიკა განახორციელა საქართველოს მშრომელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ. ქრისტიანული ეკლესიისა და თვითმპყრობელობის ასეთმა მჭიდრო

<sup>15</sup> ცსილ, ფ. 796, ანაწ. 175, საქ. 278, 1894, ფურც. 8,

კავშირმა, მათი ინტერესების ერთიანობამ, მათმა ბრძოლამ მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ ფარდა ახადა ეკლესიას, მშრომელებს აჩვენა მისი ნამდვილი ბუნება. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მშრომელი მასების და ინტელიგენციის განდგომას ეკლესიიდან, მათში ქრისტიანული სარწმუნოების დაცემას. თვითმპყრობელობისა და ეკლესიის ასეთი მჭიდრო ურთიერთობის დროს, მშრომელთა ბრძოლა არსებული სახელმწიფოებრივი წყობის წინააღმდეგ ითვალისწინებს ბრძოლას ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგაც.

მშრომელი მასების განდგომას ეკლესიიდან ხელს უწყობდა თვითონ ეკლესიის შინაგანი ბუნება. ექსპლუატატორულ საზოგადოებაში ეკლესია გვევლინება შეძლებულ ფეოდალად, რომელიც უმოწყალოდ ძარცვავს მრევლს. სწორედ ეკლესიის ასეთი ბუნების წინააღმდეგ გამოთქვამდნენ თავიანთ პროტესტს საქართველოს მშრომელები, როდესაც ხმა აღიმალღეს საეკლესიო გადასახადებებისა და ვალდებულებების წინააღმდეგ.

ქართველი გლეხობა იბრძოდა საეკლესიო გადასახადებისა და ვალდებულებების მთლიანი აკრძალვის ან შემცირებისათვის. იმ საეკლესიო გადასახადებსა და ვალდებულებებს შორის, რომელსაც ეკლესია იღებდა ქრისტიანული წესების შესრულებისათვის, მოსახლეობას ყველაზე მძიმე ტვირთად აწვა „დრამის“ გადასახადი. დრამა საქართველოში ყველაზე გავრცელებული გადასახადი იყო და გამოიხატებოდა მარცვლეულის (ძირითადად ხორბლის) გარკვეული რაოდენობის გადახდაში სასულიერო პირების სასარგებლოდ. ჩვენში დრამის გადასახადი სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო. ადრე, ეს გადასახადი მხოლოდ ხორბლით იყო განსაზღვრული, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში კი „დრამა“ ერთი კოდი ხორბლითა და ნახევარი კოდი ქერით კომლზე განისაზღვრებოდა<sup>16</sup>. დრამისა და სხვა საეკლესიო გადასახადების გარდა, მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვა სახელმწიფო გადასახადებიც. მაგ., 1843—1845 წლებში სახელმწიფო გლეხები მთავრობის სასარგებლოდ იხდიდნენ შემდეგ გადასახადს: პროდუქტების სახით — სურსათს, კოდის პურს, ღალას, ყალანს, ბეგარას, კულუხს; ფულადად საბალახოს, მალი და ფულადი მახდა<sup>17</sup>. ყველა ამასთან ერთად დრამის გადასახადი და ქრისტიანული წესების შესრულებისთვის სხვა გადასახადების გადახდა უჭირდა ისედაც წელში გაწყვეტილ გლეხობას.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეს გადასახადი სხვადასხვა რაოდენობით იყო განსაზღვრული და

16 ი. ვ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

17 ი. ანთელავა, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX ს. 30—50-იან წლებში, იხ. საქ. ისტ. ნარკვევები, თბ., 1970, გვ. 138—154.



მოსახლეობა მას ზოგჯერ ფულით, ზოგჯერ ნატურით იხდიდა. საეკლესიო გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ საქართველოს მთიანეთის მცხოვრებლები, რომლებზედაც ვრცელდებოდა ჯერ ოსეთის სასულიერო მისიის, ხოლო შემდეგ კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების უფლებები. სწორედ ეს გადასახადი და მისი აკრეფის წესი ხშირად იყო უთანხმოების მიზეზი მღვდელსა და მრევლს შორის. ამითაც იყო განპირობებული, რომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. როდესაც ურთიერთობა მრევლსა და მღვდლებს შორის საგრძნობლად დაიძაბა, დღის წესრიგში დადგა დრამის გადასახადის არსებული წესის შეცვლა. ამ საკითხის ირგვლივ გამოითქვა სხვადასხვა აზრი. ზოგიერთი მათგანი ითვალისწინებდა, როგორც დრამის, ასევე სხვა საეკლესიო გადასახადების აკრეფას პოლიციის ან სოფლის მამასახლისების მიერ. ზოგიერთის აზრით, „დრამა“ უნდა შეცვლილიყო ფულადი გადასახადით და შესულიყო სხვა სახელმწიფო გადასახადებში. შემდეგ კი გადასცემოდა სასულიერო წოდებას.

აღნიშნული საკითხი პირველად თბილისში დაისვა 1876 წლის 10 მარტს. დრამის აკრეფის საკითხი განიხილა სინოდალურმა კანტორამ და ეგზარქოს აცნობა, რომ ის ვერ შეცვლიდა დრამის აკრეფის იმ წესს, რომელიც დადგენილი იყო 1818 წლის სამტატო განრიგით. სამაგიეროდ, რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ამ საკითხზე მიიღო სულ სხვა გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებით, საეკლესიო გადასახადები გროვდებოდა სოფლის საზოგადოების მიერ მალაზიებში, საიდანაც დაწესებულ დროზე გადაეცემოდათ სასულიერო პირებს.

სასულიერო ხელისუფალთა აზრით, დრამისა და სხვა საეკლესიო გადასახადების აკრეფის წესის შეცვლით სოფლის სამღვდლოება თავისუფლდებოდა ისეთი „დაპაპირებული მოვალეობის“ შესრულები-საგან. როგორც იყო მოსახლეობაში გადასახადების აკრეფა. სინოდის ასეთი გადაწყვეტილება თბილისის გუბერნატორის მიერ ეცნობა საქართველოს ეგზარქოს იოანიკეს (1877—1882 წწ). 1891 წლის დადგენილებით კი, აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე თვალყურის დევნება და მისი ცხოვრებაში გატარება დაევალით მაზრის უფროსებს. დრამის გადასახადის ირგვლივ განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა დასავლეთ საქართველოს ეპარქიაში. ქუთაისის სოფლის თემებმა ხელწერილები მისცეს სპეციალურ კომისიას, რომლებშიც გათვალისწინებული იყო დრამის ანაზღაურება ფულით და ეფარდებოდა 4 მანეთს<sup>18</sup>.

რადგანაც დასახელებული თანხის გადახდა გლეხობას უჭირდა, შემდეგში მრევლისა და სამღვდლოების ურთიერთშეთანხმებით, შე-

<sup>18</sup> საქ. ცსა, ფ. 488, საქ. 26183, 1905, ფურც. 4.

იცვალა 1—2 მანეთის ფულადი გადასახადით. მაგრამ, როგორც ვხე-  
დავთ, ეს წესი ძალზე გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო. აქ არ იყო  
განსაზღვრული, თუ რომელ ოჯახს რა თანხა უნდა გადაეხადა. 1872  
წელს იმერეთსა, გურია-სამეგრელოსა და ნაწილობრივ აფხაზეთში  
ღრამის ნატურის გადასახადი შეიცვალა ფულადით და უდრიდა 2 მა-  
ნეთს. ახლა თითოეული საეკლესიო კრებულის შემოსავალი მხოლოდ  
ღრამის გადასახადისაგან შეადგენდა 200—400 მანეთს<sup>19</sup>. საეკლესიო  
გადასახადების აკრეფის წესის შეცვლის ირგვლივ საერო და სასული-  
ერო ხელისუფალთა შორის (ასევე თვით სასულიერო პირებშიც) საკ-  
ძაოდ სერიოზული უთანხმოება წარმოიშვა. საქმე იმაშია, რომ თუ სა-  
ერო და სასულიერო ხელისუფალნი მომხრენი იყვნენ სამღვდელოები-  
სათვის ხელფასის დანიშვნისა და ნატურის გადასახადის ფულადით  
შეცვლისა, სამღვდელოება, განსაკუთრებით სოფლისა, ამას ეწინააღ-  
მდეგებოდა და ამ რეფორმას თავის საზარალოდ მიიჩნევდა, ხელს უშ-  
ლიდა მის ცხოვრებაში გატარებას.

მთავრობის აზრით, აღნიშნული რეფორმის ცხოვრებაში განხორ-  
ციელება გააღარიბებდა სასულიერო წოდებას, რადგანაც ის კარგავ-  
და თავისი ძირითადი შემოსავლის წყაროს. დეკანოზი ლამბაშიძე წე-  
რილში „შემცდარი დასკვნა“ ეხება რა სასულიერო პირებისათვის ხელ-  
ფასის დანიშვნის საკითხს წერს: „როგორც რუსეთში, საქართველო-  
შიც იშვიათად შეხვდებით ისეთ მღვდელს, რომელიც ათას მანეთზე  
ნაკლებს იღებდეს სამრევლოში და ზომ დაილუპებოდნენ ასეთი  
მღვდლები, თუ ისინი ათას მანეთიდან 600 მანეთზე ჩამოიყვანესო“<sup>20</sup>.  
„ყველა საჩუქრის აღების უფლება მოუსპეს, ზოგნი ამბობენ: „ღრა-  
მის“ აღება ამცირებს ხალხის თვალში, ჯამაგირის აღება კი სამღვდე-  
ლოებას აამაღლებს მრევლის თვალში. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ამ  
აზრსა“<sup>21</sup>. ხელისუფლება კი დაეინებით მოითხოვდა ამ ღონისძიებე-  
ბის ცხოვრებაში გატარებას, რადგანაც ღრმად სწამდა, რომ ეს მართ-  
ლა გაზრდიდა სამღვდელოების ავტორიტეტს სამწყსოს თვალში და  
ამრიგად სამღვდელოება იქნებოდა სამრევლოს ნამდვილი მწყემსი<sup>22</sup>.  
მაგრამ ამ საკითხში მთავარი ის იყო, რომ ხელფასის დანიშვნით სამღ-  
ვდელოება მთლიანად დამოკიდებული ხდებოდა მთავრობაზე და ხელი-  
სუფლების მთავარი მიზანიც ამ ღონისძიებებში ეს იყო.

სულ სხვა აზრისა იყო მშრომელი მოსახლეობა. ისინი წინააღ-  
მდეგნი იყვნენ ყოველგვარი გადასახადებისა, როგორი წესითაც არ  
უნდა ყოფილიყო აკრეფილი იგი და თავისი მოქმედებით ბოიკოტს

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> საქ. ცსია, ფ. 488, საქ. 26383, 1905, ფურც. 4.

<sup>21</sup> „მწყემსი“, 1900, № 12, გვ. 1.

<sup>22</sup> ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 776, 1878, ფურც. 7.

უცხადებდნენ სამღვდლოებას. ხშირად სულ არ იხდიდნენ გადასახადს ან იხდიდნენ მაშინ, როდესაც ეს მათ აწყობდათ.

დრამის და სხვა საეკლესიო გადასახადების წინააღმდეგ მშრომელთა პროტესტი უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მთავრობამ ხელფასით უზრუნველყო სასულიერო წოდება. მოსახლეობას მიაჩნდა, რომ სასულიერო წოდება უზრუნველყოფილი იყო მთავრობის მიერ და ამიტომაც მათ გადასახადის გაღება აღარ ევალებოდათ. მმართველობის ორგანოებში შედიოდა მრავალი საჩივარი ამის თაობაზე, მაგრამ მთავრობამ ძველებურად დატოვა დრამის, ასევე სხვა საეკლესიო გადასახადების აკრეფის წესი<sup>23</sup>.

1863 წლის 16 ივნისს შაშაბეროს ეკლესიის მღვდელი იოანე რუსიევი ვეზარქოსისადმი გაგზავნილ წერილში უკმაყოფილებას განათქვამდა თავის მრევლზე, რომელიც მას გადასახადს დროულად და დადგენილი წესით არ უხდიდა. მღვდელი ჩიოდა, რომ მისი მრევლის ზოგიერთი წევრი მოუსავლიან წელიწადში მღვდელს უხდიდა მანეთს ვერცხლით, რადგანაც ამ დროს ხორბალი ძვირია და გლეხს ფულის გადახდა ურჩევნია, ხოლო მაშინ, როცა მოსავლიანი წელიწადია და გლეხს ხორბალი ბლომად აქვს და ღირს 80 კაპიკი, მღვდელს დრამას უხდის ხორბლით<sup>24</sup>.

დრამის გარდა მოსახლეობასა და მღვდელს შორის შუღლის და უკმაყოფილების მიზეზი იყო ქრისტიანული წესების შესრულებისათვის განკუთვნილი გადასახადი, რომელიც მშრომელთა ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა.

საეკლესიო წესების შესრულებისათვის 1882 წელს დამტკიცდა გადასახადების ახალი ნიხრი, რომელიც არც აქამდე და არც ამის შემდეგ არათუ მთელ საქართველოში. ხშირად ერთ ეპარქიაშიც კი ერთნაირი არ ყოფილა. აღნიშნული ნიხრი დგინდებოდა მღვდელსა და მრევლს შორის ურთიერთშეთანხმებით, მაგრამ ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც მღვდლები თავიანთი შეხედულებებისამებრ ცვლიდნენ მას. ერთ-ერთი ასეთი ნიხრით, მღვდელს უფლება ეძლეოდა აეღო მრევლისაგან: ქორწინებისათვის (შექმელებული ოჯახიდან) — 10 მანეთი; საშუალოდან — 7 მან., ხოლო ღარიბისაგან — 5 მან; მიცვალებულის ეკლესიიდან გასვენება ყველა საეკლესიო წესის შესრულებით და მისი გაცილებით სასაფლაომდე — (ერთ კილომეტრამდე) სამი მანეთი; ხოლო ერთი კილომეტრის ზევით 50 კაპიკი ყოველი ვერასისათვის. პანაშვიდებისა და სხვა წესების შესრულებისათვის ეკლესიის კრებული იღებდა გასამრჯელოს მიცვალებულის პატრონთან შეთან-

<sup>23</sup> ე. ბ. კ ი რ ი თ ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 250; „სასულიერო მახარობელი...“ 1895, № 10—20, გვ. 4—6.

<sup>24</sup> საქ. ცსია, ფ. 488, საქ. 26339, 1863, ფურ. 1—3.

ხმებით. ერთი შეხედვით, ეს გადასახადი თითქოს მცირე იყო, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ სახელმწიფო გადასახადებსაც, მაშინ გასაგები ხდება თუ მშრომელი მოსახლეობა რატომ იბრძოდა ასე დაეინტენებით მის შემცირებისა ან მთლიანად აკრძალვისათვის. სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ იმ შემოსავალზე, რასაც ეს გადასახადები აღეშენებდა სამღვდლოებს, მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი: საქართველოში საშუალოდ იყო ქორწინების  $6000 \times 7$  ეს იძლევა 112 ათას მანეთს; დასაფლავება  $30000 \times 3$  უდრის 90 ათას მანეთს, ნათლობა  $60000 \times 2$  იძლევა 120 ათას მანეთს, რაც საერთო ჯამში შეადგენს 322 ათას მანეთს<sup>25</sup>. ი. ანთელავას გამოკვლევით კი საქართველოს მართლმადიდებელი ქრისტიანი მოსახლეობა ყოველწლიურად ხარჯავდა: ნათლობაზე — 150000 მანეთს, დღეობებზე (მცხეთობა, ალავერდობა, მარიამობა, გელათობა და სხვა) — 150000 მან. გავსვენებაზე 450000 მან. სულ ეს თანხა საგრძნობლად დიდი იყო და უდრიდა 7350000 მანეთს<sup>26</sup>. ი. ანთელავას ეს ცნობა მოტანილი აქვს ჟურნ. „იმედიდან“ (1883 წ. № 2, 3, 21). 1887 წელს, გარდა აღნიშნულისა, მოსახლეობა ეკლესიის სასარგებლოდ იხდიდა: აღსარებისათვის — 10 კაპ., სახლის კურთხევისათვის — 30 კაპ., მარილის კურთხევისათვის 20 კაპ., ნიშნობის დროს შაქრის კურთხევისათვის, ერთ მანეთსა და ნახევარ თევ შაქარს; ყანაში, პარაკლისისათვის — 50—80 კაპ. ნათლობის დროს მედავითნეს ეძლეოდა 40 კაპ., დიაკვანს — 20 კაპ., მნათეს — 10 კაპ., ქორწინების ოქმის შედგენისათვის — 40 კაპ., პანაშვიდისათვის 2—5 მან., ქორწინების დროს კარის გაღებისათვის — 20 კაპ., ქორწინებისათვის — 7 მან., მღვდლით დამარხვისათვის — 3 მან., მედავითნისათვის — 1 მან და სხვა. სულ 75 მან. და 10 კაპ<sup>27</sup>. აღნიშნულის გარდა, ქრისტიანულ დიდ დღესასწაულებში ჯვრით სიარულისათვის მღვდელი იღებდა ერთ ქათამს თითოეული კომლიდან, ღორის ხორცს, რამდენიმე ნაჭერ პურს, კვერცხს ან ფულს 10 კაპიკიდან ერთ მანეთამდე<sup>28</sup>. თუ ამას დაუმატებთ იმ ხშირ შემთხვევებს, როდესაც მღვდელი თავის სასარგებლოდ გამოძალვის სხვადასხვა ხერხს მიმართავდა, გასაგები იქნება ღარიბი გლეხობის მდგომარეობა და სამღვდლოების წინააღმდეგ მათი პროტესტი. ხშირი ყოფილა შემთხვევები, როდესაც ეკლესიაში საქორწინოდ მოსულთ მღვდელი შუა ჯვრისწერის დროს შეაჩერებდა და დაუწყებდა ვაჭრობას, მექორწინენი იძულებულნი იყვნენ გასამრჯელო მოემატებინათ. ამრიგად, 10 მანეთის მაგივრად

25 საქ. ცსია, ფ. 488, საქ. 26383, 1905, ფურც. 5.

26 ი. ანთელავა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში. თბ. 1967, გვ. 195.

27 „მებრძოლი ათვისტი“. 1941, № 5, გვ. 19.

28 ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 997, 1883, ფურც. 26.

მღვდელი ხშირად იღებდა 15 მან., ან უფრო მეტსაც<sup>29</sup>. თუ გლებს გადასახადის გადახდა არ შეეძლო სიღარიბის გამო, მღვდელი არ დაიმორცხვებდა და პოლიციის საშუალებით უკანასკნელ ნივთს წაართმევდა. თიანეთის მცხოვრებლები უჩივიან ბლალაოჩინ კომორიძეს, რომელსაც არ შერცხვა თავისი წოდებისა და ერთ-ერთ ღარიბ ოჯახს ხორბლის უკანასკნელი მარაგი წაართვა და დატოვა საარსებო პურის გარეშე<sup>30</sup>.

ამრიგად, სამღვდლოება, მემამულეებისა და სხვა ჩინოვნიკების გვერდით, გვევლინება მშრომელი მასების ექსპლოატატორად. მოსახლეობის გულგრილ დამოკიდებულებაზე სასულიერო პირების მიმართ კარგად მეტყველებენ თვით სამღვდლო პირების მიერ შედგენილი ანგარიში და მოხსენებითი ბარათები, რომლებსაც ისინი პერიოდულად უდგენდნენ ზემდგომ ორგანოებს. „თავის საღვდლო პირებს ხალხი თვლის ტუნიადებდად, რომლებიც ცხოვრობდნენ თავიანთი ახლობლების ხარჯზე და ამიტომ ისინი ხშირად არ უცქერიან მას, როგორც კეთილ მწყემსს. სასულიერო წოდება, თავის მხრივ, უკმაყოფილოა ხალხით, იმის გამო, რომ გულგრილად და თანაგრძნობის გარეშე ეკიდება მის მდგომარეობას, არ ცდილობს დააჯილდოვოს ის შრომისათვის და მისცეს ის, რაც დადგენილია კანონით. და თუ აძლევს ამ პროდუქტს, აძლევს ცუდსა და უხარისხოს. ასეთი არანორმალური დამოკიდებულების დროს, რა თქმა უნდა, სამღვდლოების გავლენა ხალხზე არ შეიძლება ისეთი იყოს, როგორიც სასურველი და საჭიროა“<sup>31</sup>. და არც შეიძლება ჰქონდეს მასზე, როგორც ზნეობრივი. ასევე კეთილგონიერი გავლენა. ემსახურება თუ არა ხალხი იმას, ვისაც ის თვლის თავის შემვიწროებლად? რა თქმა უნდა, არა. არ გაჰყვება იმის რჩევას. ვისაც მისგან უკანასკნელი კაპიკი მიაქვს<sup>32</sup>.

სხვა სასულიერო პირები უფრო შორს მიდიან, ისინი პირდაპირ ასახელებენ მიზეზებს, რაც ხელს უშლის მღვდელსა და მრევლს შორის სულიერი ურთიერთობის დამყარებას: „სასულიერო წოდებასა და მრევლს შორის ურთიერთდამოკიდებულება ყველგან დამაკმაყოფილებელი არ არის. უთანხმოება მეტწილად აღმოცენდება საეკლესიო გადასახადების გამო<sup>33</sup>. სხვა მრავალი საბუთი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს აზრს იმის შესახებ, რომ მღვდელსა და მრევლს შორის გამოწვეული უთანხმოების მიზეზი იყო „კოდის პურის“ გადასახადი.

29 საქ. ცსია დ. 488, საქ. 22911, 1896, ფურც. 2.

30 იქვე, საქ. 21888, 1897, ფურც. 1—2.

31 ცსიალ, დ. 796, ანაწ. 442, საქ. 9971, 1883, ფურც. 26.

32 იქვე, ფურც. 27.

33 იქვე, საქ. 1020, 1884, ფურც. 34.

ამავე მიზეზით განაწყენებული მოსახლეობა იშვიათად დაიარებოდა ეკლესიაში<sup>34</sup>.

გლეხები უარს ამბობდნენ აგრეთვე სხვა საეკლესიო ვალდებულებების შესრულებაზე. გორის მაზრის სოფ. ხიდისთავის მღვდელმა მხაქარია დედაბრიშვილმა სასამართლო საქმე აღძრა წმინდა გიორგის მრევლის წინააღმდეგ. რომელმაც უარი განაცხადა მღვდლისათვის ბინის აშენებაზე. საქმე იქამდე მისულა, რომ მამასახლისს გადაუწყვეტია მღვდლის სასარგებლოდ ფულის ძალდატანებით აკრეფა, მაგრამ მოსახლეობას სოლოღაშვილის მეთაურობით უარი განუცხადებია. საქმე კინალამ მკვლელობით დამთავრებულა<sup>35</sup>. აქ მოტანილი საბუთები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოსახლეობის ეკლესიიდან განდგომის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ საეკლესიო გადასახადების სიმძიმე იყო.

ეკლესიის მსახურებისა და მრევლის ურთიერთობა ხშირად იყო ამ დროს ქართული პერიოდიკის მსჯელობის საგანი. გაზეთმა „დროებამ“ 1881 წელს გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც მხილებულია მრევლის ფულის მიმთვისებელი ვინმე მღვდელი გერასიმე დარჩია. მას ეპისკოპოსის ნებართვით მთელი გურია შემოუვლია და შეუგროვებია შესაწირავი ქობულეთში ტაძრის ასაგებად. ხალხს საამისო თანხა გაუღია, მაგრამ გასულა წლები და ქობულეთში ეკლესიის აგებაზე კრინტი არავის დაუძრავს<sup>36</sup>.

მორწმუნეებში ეკლესიის ავტორიტეტის დაცემას, მოსახლეობაზე სასულიერო პირების გავლენის შესუსტებასა და სახელის გატეხვას ხელს უწყობდა თვითონ სამღვდელოებაც, რომელიც ყოველგვარი კანონიერი თუ უკანონო საფუძვლებით ცდილობდა გაეზარდა საკუთარი შემოსავალი. ასეთ შემთხვევებს ხშირად ჰქონდა ადგილი საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში. ჯვრისწერისას მღვდლები ეკლესიაში ვაჭრობდნენ, მიცვალებულს მიწას არ მიაბარებდნენ მანამ, სანამ მოთხოვნილ თანხას არ მიიღებდნენ<sup>37</sup>. გახშირდა შემთხვევები, როდესაც ყალბი ცნობებით აღჭურვილი სასულიერო პირები დადიოდნენ სოფლიდან სოფელში და აგროვებდნენ ფულს ვითომდა ეკლესია-მონასტრების ასაშენებლად და შესაკეთებლად<sup>38</sup>. ერთი სიტყვით, სამღვდელოება ქრისტეს და ღმერთის სახელით ძარცვავდა მოსახლეობას. იშვიათი არ იყო შემთხვევები, როდესაც მღვდლები ითვისებდნენ ეკლესიის კრებულის ხელფასს. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა

34 საქ. ცსია, ფ. 488, საქ. 21775, 1895, ფურც. 38.

35 იქვე.

36 „დროება“, 1881, № 41.

37 აქტები, ტ. 9, გვ. 104, § 141.

38 ცსიალ. ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 469, 1872, ფურც. 12.

ი. მეუნარგიას მიერ გაზეთ დროებაში გამოქვეყნებული კორესპონდენცია, რომელშიც მოთხრობილია, თუ ზოგორ დაატარებდნენ წითელ მალდში გახვეულ ხატს სოფელ-სოფელ. უღირსი მღვდლები ამ ხატს იყენებდნენ თავისი ჯიბის გასასქელებლად. ხატის ქირად ნიხრი იყო დაწესებული: „ერთი გადაცემა — ამდენი მანეთი, ერთი ლოცვა — ამდენი მარჩილი, ერთი დაფიცება — ამდენი, სხვა სოფელში გადასვენება — ამდენი თუმანი და სხვა“<sup>39</sup>. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ხატი იჯარით გაუციათ. ქრისტიანული წესების შესრულებისათვის დაწესებული გადასახადის ზევით თანხის გამოძალვა, მეზობელი მღვდლის სამრევლოში ჩარევის შემთხვევები, ეკლესიებისათვის განკუთვნილი შეწირულების მითვისება ჩვეულებრივ ამბად იქცა. გახშირდა შემთხვევები სამღვდლო პირების მიერ სანთლით სპეკულაციისა<sup>40</sup>.

შექმნილი მდგომარეობის დაფარვა შეუძლებელი იყო. სასულიერო წოდება ცდილობდა საქმის გამოსწორებას. ამ საკითხს სპეციალურად საეპარქიო საეკლესიო კრებებიც კი მიეძღვნა. იმერეთის საეკლესიო კრებაზე ეპისკოპოსი გაბრიელი მღვდლებს არწმუნებდა, სინდისიერად შეესრულებინათ თავიანთი წმინდა მოვალეობა, ბეჯითად და სისტემატურად ჩაეტარებინათ ღვთისმსახურება მრევლთან და ურთიერთშორის ეცხოვრათ მშვიდად და შეთანხმებით, არ ეწყენინებინათ საეკლესიო კრებულის უმცროსი წევრებისათვის, რომლებსაც უყოფდნენ შემოსავლის ნაწილს. საეგზარქოსო სასტიკად სჯიდა დამნაშავე სასულიერო პირებს; დამნაშავეთ ასამართლებდა, გადაჰყავდა ისინი მცირე შემოსავლიან სამრევლოში, აქვეითებდა თანამდებობიდან, აღკვეთდა მონასტერში, ზოგიერთ შემთხვევაში ითხოვდა საშსახურებას<sup>41</sup>.

სასულიერო პირების ასეთმა გადაგვარებამ სათანადო ასახვა პოვა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერალთა შემოქმედებაში. ბატონყმობის წინააღმდეგ მიპართულ ნაწარმოებში „სურამის ციხეში“ მღვდელი გამოყვანილია ხან მოვაჭრედ და ხან ჯაშუშად, რომელიც საიდუმლო აღსარებას ადვილად ჰყიდის ბატონზე. აი, რას წერდა მისი ავტორის შესახებ ზ. კიკინაძე... „საქართველოში გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა სემინარიელი, სემინარიის კედლებს შუა ძველს საგანებზე ნატანჯი, სისხლგამშრალ პირთა ისტორიის კითხვისაგან გაბეზრებული და ჩვენს მამათა იოსელიანებთა და მისთანა ბოდასლოვეებისაგან არაკეთილ და არასაიმედო პირად ცნობილი დანიელ ჭონქაძე, რომელმაც

39 ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 521, ფურც. 5, 1873.  
 40 „დროება“, 1880, № 198; ი. ჩხარტიშვილი, ეკლესიისა და მის მსახურთა კრიტიკა „დროების“ ფურცლებზე. იხ. კრებ. რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, თბ., 1968, გვ. 130.  
 41 ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 1020, 1884, ფურც. 68.

თავისი დროის კვალზე დასწერა გვარიანი მოთხრობა „სურამის ციხე“<sup>42</sup>. ამავე დროს ქართული ზეპირსიტყვიერების მდიდარი ფონდი უზვად შევსებულია სასულიერო პირთა გაუტანლობის სტრიქონებით.

მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების დაქვეითება, ეკლესიის ავტორიტეტის დაცემა უეჭველია განპირობებული იყო სასულიერო პირთა განათლების დაბალი დონით... ამ დროის სამღვდელოების უმეტესობას სახლის განათლება ჰქონდა მიღებული<sup>43</sup>. დუშეთის მაზრის პირველი საბლადოჩინოს ბლადოჩინის, მარკ ტყემალაძის ცნობით, მისდამი დაქვემდებარებულ მღვდლებში, გარდა ერთისა, არავინ იცოდათუ როგორ შეედგინა მეტრიკული ჩანაწერები და არ იცოდნენ შემოსავალ-გასავლის წიგნის წარმოება<sup>44</sup>. იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ცნობით, დასავლეთ საქართველოს 784 ეკლესიას ემსახურებოდა 1000 მღვდელი, რომელთაგანაც სასულიერო უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა მხოლოდ 20 კაცს. იმერეთის ეპარქიის 367 მღვდლიდან საშუალო სასულიერო განათლებით მხოლოდ 14 კაცი იყო<sup>45</sup>.

ყოველივე ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი სასულიერო პირების და კერძოდ სამღვდელოების ერთი ნაწილი ინერტულად ეკიდებოდა თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას. ბევრი სასულიერო პირი თავს არიდებდა წირვა-ლოცვის ჩატარებას, არა მარტო ჩვეულებრივ, არამედ შაბათ და კვირა დღეებშიც კი<sup>46</sup>. ამის მიზეზი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა საქართველოში, რომელსაც ქართველი სამღვდელოების ნაწილი უჭერდა მხარს, და რევოლუციური მოძრაობის ზრდა, რომელსაც სამღვდელოების ერთი ნაწილი მიემხრო.

ეკლესიისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ქართველობაში ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ საქართველოში შემოსვლისთანავე მთავრობამ სახელმწიფო ენად გამოაცხადა რუსული ენა და სახელმწიფო დაწესებულებებიდან განდევნა ქართული. როგორც ზემოთ ვთქვით, ზოგიერთ ეკლესიაში აიკრძალა წირვა-ლოცვის ჩატარება ქართულ ენაზე, მშობლიური ენა განდევნილი იქნა ყველა სასულიერო სასწავლებლიდან. მთავრობის ასეთმა ღონისძიებებმა ქართველობის, მისი მოწინავე საზოგადოების დიდი გულისწყრომა გამოიწვია, ხოლო ის, რომ ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარებას ეკლესია უჭერდა მხარს და, ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ გამოდიოდა ამის ინი-

42 ზ. პიკინაძე, წერილები ქართველ მწერლებზე, თბ., 1888, გვ. 16.

43 საქ. ცსია ფ. 488, საქ. 21775, 1895, ფურც. 38.

44 საქართველოს სასულიერო სასწავლებლის დასახ. ანგარიში გვ. 104—105.

45 საქ. ცსია, ფ. 488, საქ. 21775, 1895, ფურც. 38.

46 ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 1020, 1884, ფურც. 26.



ციატორად, ხელს უწყობდა მოსახლეობის ინდიფერენტობის გაძლიერებას.

XIX საუკუნეში თვითმპყრობელობამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებებისა ქართველი სასულიერო პირების მორჩილებაში მოყვანის მიზნით. ქართველი სასულიერო წოდების ნაწილი ერთგულად ემსახურებოდა მთავრობას, ნაწილი კი დაკავშირებული იყო მთავრობის ოპოზიციასთან. სასულიერო წოდების ეს ნაწილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. სწორედ ამ ნაწილმა, XIX საუკუნის მეორე ნახევრის მიწურულში, მოითხოვა სასულიერო სასწავლებლებში არსებული სასწავლო პროგრამების შეცვლა, რომელშიც მთავარი ადგილი ეკავა ქართული ენისა და სხვადასხვა საგნების ქართულ ენაზე სწავლების საკითხს. ამ საკითხს ისინი სარწმუნოების განმტკიცებისათვის ბრძოლას უკავშირებდნენ. ასეთივე აზრი გამოთქვა „ცერკოვნო ობშესტვენნი ვესტნიკმა“, რომელმაც, ამავე მიზნით აღიარა ქართული ენის სწავლების აუცილებლობა. საქართველოს ეგზარქოსი დათმობაზე წავიდა და ნება დართო საღვთო სჯულის ქართულ ენაზე სწავლებისა<sup>47</sup>. რა თქმა უნდა, ეს დათმობაც განპირობებული იყო მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოების განმტკიცების მიზნით.

საქართველოში ეკლესიის საწინააღმდეგო განწყობილების ზრდას ხელი შეუწყო ქართველ პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეების გამოიღმა, ფართო საქმიანობამ ისტორია-ლიტერატურის, პედაგოგიკის, ხელოვნების, მწერლობისა და სხვა სფეროში.

XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, ბევრი ქართველი ახალგაზრდა განათლებას ღებულობდა უცხოეთში და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. ზოგად განათლებასთან ერთად აქ ისინი ეცნობოდნენ და ითვისებდნენ რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს. რუსეთსა და ევროპაში მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობას გაცნობილნი ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის აზრებს იზიარებდნენ. ქართველი ახალგაზრდობა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ქადაგებდა მათ იდეებს და ცდილობდა ცხოვრებაშიც განეხორციელებინა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში თერგდალეულები სათავეში ჩაუდგნენ ქართველი ხალხის განათლების საქმეს და მის ბრძოლას ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლებისათვის. ხალხში მოწინავე იდეების გავრცელებას ხელს უწყობდა ქართული პრესა. 60—70-იანი წლების ქართული პრესა, რომელსაც უკვე გამომუშავებული ჰქონდა ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზები, დაინტერესდა ახალი მოვლენებით, რის საილუსტრაციოდაც მასალები ევროპის ქვეყნების

<sup>47</sup> ცხილა, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 776, 1878, ფურც. 9.

საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან მოჰქონდა. ვაზ. „დროება“ და ჟურნალი „კრებული“ ქართველ მკითხველს ევროპის ქვეყნებში ინტერნაციონალური და რევოლუციურა მოძრაობის პირველ ნაბიჯებს აცნობს<sup>48</sup>. ამ დროის ქართული პრესა თავის ფურცლებზე ადგილს უთმობდა აგრეთვე ეკლესიის მსახურთა კრიტიკას, ფარდას ხდიდა მათ ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას.

თერგდალეულების გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე დიდი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. მათ თავიანთი „რევოლუციურ-დემოკრატიული განწყობილება მიმართეს არსებული პოლიტიკური წყობისა და ჩამორჩენილობა-უძრაობის წინააღმდეგ“<sup>49</sup>. კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობით თერგდალეულები ხელს უწყობდნენ მოსახლეობაში ეროვნულ-განმანათავისუფლებელი იდეოლოგიის გავრცელებას. სწორედ სამოციანელთა ამ თაობის მეთაურს, ილია ჭავჭავაძეს, ეკუთვნის მესვეურობა ანტონ I-ის სქოლასტიკურ-არქაული სტილის უარყოფისა. მან მძიმე საეკლესიო ენის მაგიერ ყველასათვის გასაგები ენით აამეტყველა თავისი ნაწარმოების პერსონაჟები. ამის გამო პოეტი გრიგოლ ორბელიანი ილიას „ღვთის უარყოფას“ და ენის წახედნას საყვედურობდა. მისდამო საპოლემიკოდ დაწერილ „პასუხის პასუხში“ ილიამ ღვთის ასეთი გაგება მოგვცა:

„ღმერთი არმობის,  
ღმერთი ყალბობის,  
არ ურწმუნია ჩვენსა თაობას;..  
ხოლო გვწამს ღმერთი,  
უქმთა წამწყმედი,  
ტვირთმძიმეთა და მამწვრალთა მხსნელი,  
ღმერთი ტანჯულთა,  
ღმერთი ჩაგრულთა“<sup>50</sup>.

თერგდალეულთა მედროშემ პოემაში „განდგეილი“, რომელსაც საფუძვლად ხალხური გადმოცემა დაედო, ერთმანეთს დაუპირისპირა „სულის კაცი“ განდგეილი და ამქვეყნიური სილამაზე ქალის სახით. ეს დაპირისპირება ამ უკანასკნელის გამარჯვებით მთავრდება. ცხადია, რომ ასეთი ნაწარმოების შექმნა თავისთავად აქარწყლებდა „სულზე“ ზრუნვის მითს.

დიდი და საპატიო ადგილი ქართველ ხალხში განათლების შეტანისა და მის იდეურ ზრდაში უჭირავთ ხალხოსნებს, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე გვევლინებიან როგორც რეალისტები. ხალხოსნებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ უცხოეთისა და

48 ს. ხუციშვილი. ბოსლევლო, თბ., 1967, გვ. 25—27.

49 იქვე.

50 ი. ჭავჭავაძე, თბ. სრული კრებული. თბ., 1951, გვ. 94.

რუსეთის მოწინავე ინტელიგენციასთან. მათ აკრძალულ ლიტერატურასთან ერთად შემოჰქონდათ აკრძალული იდეები. თავიანთი მოღვაწეობის ამ ეტაპზე ხალხოსნებს „...ხალხის შეგნებაში მთავრად რელიგიური განათლების მიზანი და ინტერესი“<sup>51</sup>. იბრძოდნენ რატონის განათლებისათვის, ამავე დროს ხალხოსნები იბრძოდნენ ეკლესიის მსახურებისა და რელიგიური ცრურწმენების წინააღმდეგ. თავიანთ ნაშრომებში ისინი მშრომელებს განუმარტავდნენ რელიგიურ ცრურწმენათა დამლუპველობას. ნილას ხდიდნენ მღვდლებისა და სხვა მისთანათა საქმიანობას, ხალხს უჩვენებდნენ მათ ნამდვილ სახეს. ხალხოსნები ყველა საშუალებას ხმარობდნენ, რათა ახლო მისულიყვნენ ხალხთან. ცდილობდნენ თავიანთი მოქმედებით ხელი შეეწყოთ მათში სასარგებლო აზრების გავრცელებისათვის. თავიანთ ნაშრომებში, სხვა საჭირობოროტო საკითხების გვერდით, მსჯელობდნენ სასულიერო წოდების წარმომადგენლებზე და სასტრკად ამათრახებდნენ მათ. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართველ ხალხოსანთა ბრწყინვალე წარმომადგენელი ნ. ლომოური, რომელიც თავის ნაშრომებში სხვადასხვა ჯურის ჩინოვნიკებთან ერთად ეკლესიის მსახურებსაც ამათრახებდა; ისინი ცრუნი, მატყუარები, ღორმუცელანი არიან. უმეტეს შემთხვევაში უტვინონი და გაუნათლებელნი<sup>52</sup>. თავის ნაწარმოებებში ნ. ლომოური მკაცრად აკრიტიკებს სოფლის მოსახლეობაში გაბატონებულ ცრურწმენებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი დაუმთავრებელი მოთხრობა „ერთობა“, მოთხრობები „ალი“ და „ქაჯანა“.

ხალხოსნებმა თავის დევიზად გამოაცხადეს ხალხთან დაახლოება. ისინი, ისევე როგორც ჩვენი საზოგადოების სხვა პროგრესულად მოაზროვნეები, ემსახურებოდნენ ხალხთა გათვითცნობიერებას. „ჩვენი დრო არის კრიტიკული დრო, ჩვენ ვცხოვრობთ ძველსა და ახალს შუა. ძველი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, მაგრამ ახალი გზა ჯერ არ გავციკვლევია. ჩვენ ვცადოთ გაუნათლოთ ახალს მსვლელობის გზა გონებითი, ზნეობითი და ნივთიერებითი წარმატებისათვის“<sup>53</sup>. ჟურნალ „მნათობში“ ინანიშვილი წერდა: „ბუნების მეცნიერების ნაწილში ისეთი სტატიები იქნება დაბეჭდილნი, რომელნიც შეიცავენ თავისში კაცის სულის აგებულებასა და მისი შინაგანი ცხოვრების აღწერას. ამავე ნაწილში იქნება ბუნების მოვლენების აღწერა, მათი მიზეზები, მნიშვნელობა, ხალხზე გავლენა და საზოგადოდ იმგვარი სტატიები, რომელნიც ჰფხვრიან ხალხში ცრუ და ამოო მორწმუნეობას. აქვე დავებეჭდავთ გიგიენურ სტატიებს, რომელთაც საგნად ექნებათ კაცთმოყვარეობა და ხანგრძლი-

51 ს. ხუციშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25—27.

52 ს. ხუციშვილი, ნ. ლომოური, თბ., 1951, გვ. 12.

53 მ. ი. ხანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. III, თბ., 1938, გვ. 18.

ვი სიცოცხლე. აგრეთვე ყმაწვილების მოვლა და გაფრთხილება... სხვადასხვა საგნის შესახებ სტატიების ნაწილში ისეთ სტატიებს დავბეჭდავთ, რომელთაც საგნად ექნებათ ჩვენი ცხოვრების აწმყო მდგომარეობა და მიმართულება, მისი გაუმჯობესებისათვის საჭირო მოთხოვნებიანი<sup>54</sup>.

ყველა ამასთან ერთად, ქართველი პროგრესული მოღვაწეები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მოსახლეობის ფართო მასებში ზოგადი განათლების შეტანას. XIX საუკუნის მიწურულის საქართველოში ყველა ტიპის სასწავლებლების საკმაოდ დიდი ქსელი შეიქმნა. მართალია, მათი უმეტესობა ძირითადად ემსახურებოდა არსებული წყობილების ერთგული თაობის აღზრდას, მაგრამ საბოლოო ანგარიშში ეს სასწავლებლები თავისდა უნებურად აკეთებდნენ დიდ საშვილოშვილო საქმეს. მოსახლეობის დაბალი ფენების განათლების საქმეში, განსაკუთრებით სოფლისა, დიდი როლი შეასრულეს საეკლესიო-სამრევლო და, საკვირაო და ცოდნის სკოლებმა, რომლებიც ძირითადად დაბალი ფენებისთვის იყო განკუთვნილი და ფართო პოპულარობით სარგებლობდნენ მოსახლეობაში, ერის განათლების საქმეში, მის გათვითცნობიერებასა და გამოფხიზლებაში განსაკუთრებით საპატიო ადგილი დაიკავა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, ქართულმა პერიოდიკამ, თეატრმა და სხვ.

რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწრაფი გავრცელება მოსწავლე ახალგაზრდობაში ხელს უწყობდა მათ განდგომას ეკლესიისა და რელიგიისაგან. ორივე მიმდინარეობა მყარ დასაყრდემს პოულობდა როგორც საერო, ასევე სასულიერო სასწავლებლების აღსაზრდელებში. ამ შემთხვევაში შეეჩერდებით სასულიერო სასწავლებლების დამოკიდებულებაზე ეკლესიისა და რელიგიისათან.

ახალგაზრდობაში მატერიალისტური იდეოლოგიის გავრცელებამ თავისი შედეგი გამოიღო. ახლა ბევრი მოსწავლე უარს ამბობდა ქრისტიანული სარწმუნოების ისეთი აუცილებელი ვალდებულებების შესრულებაზე, როგორც იყო ზიარება და აღსარება, მარხვა და სხვ. მოსწავლე 3-მ ზიარებაზე მისვლამდე დალია რძე და თავს იმართლებდა, რომ მისი ჯანმრთელობისათვის ეს აუცილებელი იყო. ამავე მოსწავლემ წარჩინებული სწავლისათვის ჯილდოდ მიიღო სახარება სათანადო წარწერით და დაჯდა თუ არა თავის მერხზე მაშინვე დახია იგი და იატაკზე დააგდო. სემინარიის მეორე მოსწავლე ი-მ სიკვდილის წინ უარი თქვა ზიარებაზე<sup>55</sup>. ამავე დროს ყველა ტიპისა და უწყების სასწავლებლებში დიდი ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა აღზრდას მონარქის-

<sup>54</sup> შ. მ. ზანდუკელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18—19.

<sup>55</sup> სასულიერო სემინარიის რევიზიის დასახელებული ანგარიში, გვ. 139—140.

ტულ-კლერ-კალურ საფუძვლებზე. სასწავლებლის ხელმძღვანელობა მკაცრად სჯიდა იმ მოსწავლეებს, რომლებიც შემჩნეულნი იქნებოდნენ წირვის დროს წესრიგის დარღვევაში. ასეთი სახის დანაშაული სემინარიის ცხოვრებაში ითვლებოდა განსაკუთრებულ შემთხვევად და ფართო მსჯელობის საგანი ხდებოდა. სემინარიის ხელმძღვანელობას სპეციალურ მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა ის მოსწავლეები, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ აკრძალული წიგნების კითხვისა და გავრცელებაში. სემინარიის მმართველობის სხდომების ეურნალში (1886 წ.) აღნიშნულია, რომ „სასწავლო წლის განმავლობაში სემინარიის ზოგიერთი მოსწავლე ამკლავებდა მიდრეკილებას ანტირელიგიური და სოციალისტური მიმართულების წიგნების კითხვისაკენ, რომლებიც გამოცემული იყო ქართულ ენაზე სამოციან წლებში გაბატონებული მიმართულების დროს<sup>56</sup>.

ამავე სასწავლებლის ერთ-ერთი რევიზორი მოსწავლეთა შორის ასეთი მიმდინარეობის გავრცელების ხელისშემწყობ მიზეზად თვლის მასწავლებელთა იმ კატეგორიას, რომლებიც ემხრობიან მატერიალისტურ იდეოლოგიას. რევიზორის ცნობით, მასწავლებელი გ. თავის ბინაზე იღებდა უფრო ნაკიბ მოსწავლეებს და მართავდა ლიტერატურულ საღამოებს (1863 წ.). მისი აზრით, სწორედ ასეთი ლიტერატურული საღამოების ჩატარების შემდეგ უფრო შესამჩნევი გახდა მოსწავლეთა შორის აკრძალული, მთავრობის საწინააღმდეგო წიგნების კითხვა. ასეთ წიგნებს ზოგიერთი მასწავლებელი თავისი ფულით ყიდულობდა. იმ მასწავლებელთა რიცხვს, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავისი ავტორიტეტით და მოსწავლეთა ნდობით სარგებლობდნენ, ძირითადად მიეკუთვნებოდნენ ისინი, რომლებსაც განათლება რუსეთის უნივერსიტეტსა და სხვა ტიპის სასწავლებლებში ჰქონდათ მიღებული. ეს მასწავლებლები ცდილობდნენ მოსწავლეებში გაეღვიძებინათ სიყვარულს საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო საგნებისადმი. ამის გავლენით ბევრი მოსწავლე უარს ამბობდა ეკლესიაში სიარულსა და ქრისტიანული წესების შესრულებაზე. მაგალითად, მეექვსე კლასის მოსწავლე ალექსანდრე სამადოვი შემჩნეული იყო ღვთისმეტყველების გაკვეთილების გაცდენაში: მეხუთე კლასის მოსწავლე მელიტონ ყანჩაველი, მღვდლის შვილი, საღვთო სჯულის გაკვეთილებს აცდენდა<sup>57</sup>.

მოსახლეობაში ანტირელიგიური მოძღვრების მქადაგებლად ხშირად სემინარიის მოსწავლეები გვევლინებიან. იხილავს რა სარწმუნოებას მდგომარეობას იმერეთის ეპარქიაში, ეპისკოპოსი გაბრიელი 1879 წელს აღნიშნავს, რომ სამწუხარო მოვლენა, რომელიც უკანასკნელ დროს ასე ხშირად მეორდება შიდა რუსეთში, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობაში, სახელდობრ, რწმენაზე თავის არიდება, დამა-

<sup>56</sup> ცხილ, ფ. 796, ანაწ. 175, საქ. 278, 1894, ფურც. 2.

<sup>57</sup> სასულიერო სასწავლებლების დასახელებული ანგარიში, გვ. 105—107.

ხიზგებული და დამანგრეველი სწავლების შეთვისება, გავრცელდა იმერეთის ეპარქიაშიც. ეპისკოპოსის თქმით, ბევრი ახალგაზრდა, რომელმაც განათლება თბილისის ან რუსეთის უმაღლეს სასულიერო თუ საერო სასწავლებლებში მიიღო, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, თანამემამულეთა შორის, განსაკუთრებით მოსწავლეებში, ავრცელებდნენ იქ შეძენილ „ცრუ“ ცოდნას, რასაც „ტუზემცები“ მწუხარებით და თითქმის შიშით უცქერიან<sup>58</sup>.

„როგორც არსებული რეჟიმის, ასევე ეკლესიის საწინააღმდეგო ქადაგებების ავტორებად გვევლინებიან აგრეთვე რუსეთის ან საქართველოს სასწავლებლებიდან პოლიტიკური მოტივებით გარიცხული მოსწავლეები. როგორც ვიცით, ამ გარიცხულ მოსწავლეებს მთავრობა შორეულ ადგილებში ასახლებდა. და სწორედ ისინი გადასახლების ადგილზე ჩასვლისთანავე, უკავშირდებოდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ხოლო თუ ხელახლა მოხვდებოდნენ სასწავლებელში, მაშინ იქ ხდებოდნენ ყოველგვარი საიდუმლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ამ ორგანიზაციების იდეების მქადაგებლები. სწორედ ასეთი პირები ავრცელებდნენ მოსახლეობაში რევოლუციურ იდეოლოგიას<sup>59</sup>. მთავრობა მკაცრ კონტროლს აწესებდა ადმინისტრაციულად გადასახლებულ მოსწავლეებზე. 1894 წელს მთავარმართებელმა შერემეტიევმა (1890—1896) სპეციალური მიწერილობით აცნობა ეგზარქოსს, რომ მისი განკარგულებით მკაცრი კონტროლი წესდება სასულიერო სასწავლებლებიდან გარიცხულ მოსწავლეებზე. პოლიციას მითითება ჰქონდა, თვალყური ედევნებინა ყველასათვის, ვინც დარჩა თბილისში ან გაგზავნეს მშობლიურ სოფელში<sup>60</sup>.

საქართველოში მშრომელთა ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობას XIX საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით უწყობდა ხელს მუშათა კლასის ზრდა, რადგან ბრძოლა პოლიტიკური და სოციალური უფლებებისათვის ყოველთვის ითვალისწინებდა ანტიკლერიკალურ ქადაგებებსა და ბრძოლას რელიგიის წინააღმდეგ. ან შებრუნებით, რელიგიის წინააღმდეგ. „ბრძოლა არაპირდაპირ იმ სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაა, რომლის სულიერი სურნელეა რელიგია არის“<sup>61</sup>.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში გამოდის სხვადასხვა მიმართულებისა და შინაარსის ჟურნალ-გაზეთი, რომელიც თავის ფურცლებზე ფართოდ ამუშავებდა ერის კულტურული განვითარებისა და საზოგადოებრივი წინსვლის საქირბოროტო საკითხებს. თავიანთ

<sup>58</sup> ცხილ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 781, 1873, ფურც. 18.

<sup>59</sup> კ. პ. პობედონოსცევი და მისი კორესპონდენტები. მოსკოვი, 1923, გვ. 458.

<sup>60</sup> საქ. ცხილ, ფ. 488, საქ. 25422, 1884, ფურც. 5—6; იქვე, საქ. 21629, 1879, ფურც. 1.

<sup>61</sup> კ. მარქსი. ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, თბ., 1971,

ფურცლებზე ისინი დიდ ადგილს უთმობდნენ რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმდინარეობასა და მის გამოწვევ მიზეზებს, როგორც უცხოეთში, ასევე რუსეთსა და საქართველოში.

ფრანგი განმანათლებლებისა და რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეებს გაცნობილი და დაწაფებული ქართველი ინტელიგენცია ხელს უწყობდა საქართველოში ზოგადი და პოლიტიკური ცოდნის გავრცელებას. ამავე დროს საქართველოში ჩამოყალიბებას იწყებს მუშათა კლასი, რომელიც დგამს თავის პირველ ნაბიჯებს ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების გაუმჯობესებისათვის. ამავე დროს, ქართულ ენაზე ითარგმნება მარქსისა და ენგელსის ნაშრომები. ჩამოყალიბდა მესამე დასი, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იყო რევოლუციური მოძრაობაში. განსაკუთრებით მისანიშნებელია მემარცხენე ფრთის საქმიანობა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლას თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. როგორც აღვნიშნეთ, ეს ბრძოლა ითვალისწინებდა მშრომელი მასების განთავისუფლებას რელიგიური ბანგისაგან.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტები ნათლად მეტყველებენ, რომ მშრომელთა შორის ანტიკლერიკალური და ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობის ზრდას ხელს უწყობდა მშრომელთა შორის მატერიალისტურ-რევოლუციური იდეოლოგიის გავრცელება. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისათვის გატარებულ ღონისძიებებში ძირითადად მიიჩნეოდა ბრძოლას მოსახლეობაში ამ იდეოლოგიის გავრცელების წინააღმდეგ. ხელისუფლება თვლიდა, რომ მოსახლეობაში ქრისტიანული ზნეობის განმტკიცება საწინდარი იქნებოდა მისი წარმატებებისა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

§ 2. მატერიალისტურ-რევოლუციური იდეოლოგიის გავრცელება საქართველოში და მართლმადიდებლური ეკლესია (XIX ს. 80—90-იან წლები)

XIX ს. 90-იან წლებში რუსეთი მოიცვა რეაქციამ, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო სინოდის ობერპროკურორი პობედონოსცევი. მთავრობამ დაიწყო შეტევა მშრომელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, 1881 წლის 1 მარტს იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ, მოწოდებით მიმართა მორწმუნეებს. რეაქციის სულისჩამდგმელნი მატერიალისტურ-რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას აპირებდნენ მოსახლეობაში კლერიკალიზმის დანერგვა-გამოღობით. ეკლესია, ამასთან ერთად, ცდილობდა შექმნილი ვითარება გამოეყენებინა მასებში თავისი დაცემული ავტორიტეტის აღსადგენად და გასა-

ძლიერებლად. სახალხო განათლების ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა ეკლესიამ თავის ხელში აიღო. სასულიერო განათლება ავიწროებდა და სდევნიდა საეროს. გაძლიერდა მთავრობისა და მონარქის სასარგებლო აგიტაცია. ყოველდღიურად იზრდებოდა ეკლესიის გავლენა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის სათავეები სინოდის ობერპროკურორმა აიღო. ობერპროკურორი ხშირად გამოდიოდა ქადაგებებით, რომელშიც რუსეთის მოქალაქეებს, მორწმუნეებს მოუწოდებდა ხელი აეღოთ ამქვეყნიური ბედნიერებისათვის ბრძოლაზე, მიემართათ ღმერთისათვის და დაკმაყოფილებულიყვნენ არსებული მდგომარეობით. იმპერიის მრავალეროვანმა სასულიერო წოდებამ ერთსულოვნად მიიღო ობერპროკურორის ეს მოწოდება და ერთმანეთს ეცილებოდნენ მშრომელი მასების გაბრუნების ახალი მეთოდებისა და ხერხების შემუშავებაში. თავიანთი ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა გამოაცოცხლეს ყოველგვარმა შავრახმულმა საეკლესიო ორგანიზაციებმა. სოკოებივით ჩნდებოდნენ რელიგიური ორგანიზაციები, საზოგადოებები, რელიგიური კავშირები და სხვა. ისინი მიზნად ისახავდნენ მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას.

იმის გასარკვევად, თუ რა პრაქტიკული შესაძლებლობები ჰქონდა საქართველოს საეგზარქოსოს და როგორი ადგილის დაკავება და რა სახის ამოცანების გადაწყვეტა შეეძლო საქართველოს საეგზარქოსოს თვითმპყრობელობის მიერ რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში, მოკლედ შევჩერდეთ საქართველოს საეგზარქოსოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში.

1894 წლის ცნობით, საქართველოს საეგზარქოსო აერთიანებდა 1667751 მართლმადიდებელს, რომელთა ქრისტიანულ-მონარქისტულ საფუძველზე აღზრდას ემსახურებოდა 134 მონასტერი (ამთგან 65 ქალთა) 943 ბერმონაზვნით, 34 ბერიოთ, 80 მონაზვნითა და 98 ეკლესიის მსახურით. საეგზარქოსოში იყო 24 საკრებულო ტაძარი, 1629 სამრევლო შტატიანი და 720 მიწერილი ეკლესია, სკოლების 18 ეკლესია, 59 სასაფლაოს ეკლესია და მრავალი კარის ეკლესია<sup>62</sup>. სულ საეგზარქოსოში, ამ დროისათვის ირიცხებოდა 2486 ეკლესია-მონასტერი. აღნიშნულის გარდა, 1894 წელს აშენდა და იკურთხა 58, ხოლო მშენებლობის პროცესში იყო 39 ეკლესია. საერთოდ, საქართველოს საეგზარქოსოს ეკლესიებს ემსახურებოდა 3954 უმაღლესი და დაბალი წოდების სასულიერო პირი, მათ შორის 62 პროტოიერეი, 1713 მღვდელი, 2179 პროტოდიაკანი და მედავითნე<sup>63</sup>. დასახელებულ ეკლესია-მონასტრე-

<sup>62</sup> ცსილ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 1494, 1894, ფურც. 24—30.

<sup>63</sup> იქვე, ფურც. 39.



ბის ძირითადი რაოდენობა საქართველოზე მოდიოდა. ამ დროისათვის სომხეთში იყო ერთი, ხოლო ბაქოში ორი მართლმადიდებლური ეკლესია<sup>64</sup>.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა აერთიანებდა საეკლესიო-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქსელს. კერძოდ ამ დროისათვის, საქართველოში არსებობდა 2 სასულიერო სემინარია (თბილისსა და ქუთაისში), 7 სასულიერო სასწავლებელი. 1901 წლისათვის საქართველოს საეგზარქოსოში გახსნილი იყო 485 საეკლესიო-სამრევლო და 200 ცოდნის სკოლა, რომელშიაც 26. 763 ახალგაზრდა სწავლობდა<sup>65</sup>. შემდეგ წლებში ამ სასწავლებლების რიცხვი გამუდმებით იზრდებოდა. თვითმპყრობელობის ინტერესების დაცვას საქართველოში ემსახურებოდა არა ერთი და ორი საეკლესიო-სასულიერო საზოგადოება. სახელმწიფო გამუდმებით ზრუნავდა ეკლესია-მონასტრების შეკეთებაზე, სასწავლო კორპუსების კეთილმოწყობაზე. 1898 წელს ეკლესიების შეკეთებაზე დაიხარჯა 11645 მანეთი, ხოლო სასულიერო სასწავლებლებზე კი 75000 მანეთი<sup>66</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავრობა განსაკუთრებულად ზრუნავდა სასულიერო პირების მატერიალური პირობების გაუმჯობესებაზე, რისთვისაც XIX საუკუნის მანძილზე გაატარა სათანადო ღონისძიებები. საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს სასულიერო წოდება ძირითადად უზრუნველყოფილი იყო როგორც ხელფასით, ასევე პენსიით, მაგრამ თვითმპყრობელობა თვლიდა, რომ ამ მხრივ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა. 1899 წლის ცნობით, ხელფასის სახით, მხოლოდ საქართველოს სამღვდლოებაზე იხარჯებოდა 426417 მანეთი და 22 კაპიკი. ნანგარიშევია 1534 ეკლესიის შტატი<sup>67</sup>. გარდა იმისა, რომ მთავრობამ სასულიერო წოდების დიდი ნაწილი ამ დროისათვის უკვე უზრუნველყო ხელფასითა და პენსიით, ამავე დროს, მას დაუტოვა უფლება ძირითადი საეკლესიო გადასახადებითა და სხვა საეკლესიო ვალდებულებებით სარგებლობისა მოსახლეობიდან, რაც სასულიერო წოდების ძირითად შემოსავალს შეადგენდა. გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფომ ეკლესიას დაუტოვა ისეთი შემოსავლიანი წარმოება, როგორიც იყო სანთლის წარმოება და გაყიდვა. 1890 წელს მთავრობამ მიიღო კანონი სანთლის დამზადებისა და მისი რეალიზაციის შესახებ. ამ კანონის ძალით, არავის არ შეეძლო სანთლის დამზადება და გაყიდვა გარდა სასულიერო უწყებებს დაქვემდებარებულ მალაზიებისა და დუქნებისა<sup>68</sup>.

64 იქვე, ფ. 1151, ანაწ. IX, საქ. 136, 1881, ფურც. 17.

65 იქვე, ანაწ. 442, საქ. 1891, 1901, ფურც. 710—716.

66 იქვე, ფ. 1151, ანაწ. IX, საქ. 136, 1881, ფურც. 17.

67 ებ. კ ი რ ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 259.

68 „მწყემსი“, 1890, № 14, გვ. 14.

1882—1900 წლებში საქართველოში დამზადდა და გაიყიდა 1514249 მანეთის სანთელი<sup>69</sup>.

საეკლესიო მამულების სახელმწიფო განკარგულებაში გადაცემის შემდეგ (1852—1864) მთავრობამ ეკლესიას მაინც დაუტოვა სავარგული მიწების საკმაო ნაწილი. 1885 წლისათვის საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა 218000 დესეტინა მიწა, რაც საკმაოდ დიდ შემოსავალს იძლეოდა<sup>70</sup>. მთავრობა გამუდმებით ზრუნავდა სასულიერო წოდების მატერიალურ უზრუნველყოფაზე და ახლაც ჰპირდებოდა, რომ ყურადღება არ მოაკლდებოდა მანამდე, სანამ სასულიერო წოდება ეკონომიურად მთლიანად უზრუნველყოფილი არ იქნებოდა. მთავრობის ეს დაპირება ლიტონი სიტყვები როდი იყო. თუ 1900 წლისათვის სასულიერო წოდება მთავრობისაგან იღებდა 100 ათას მანეთს, ცოტა მოგვიანებით ეს თანხა გაიზარდა 124000 მანეთამდე<sup>71</sup>.

საქართველოს საეგზარქოსოს დიდი შემოსავალი ჰქონდა უძრავი ქონებიდან. 1899 წლისათვის ეკლესიას მხოლოდ თბილისში ეკუთვნოდა: საცხოვრებელი ქვის შენობები — მონასტრებს 14, ეკლესიებს — 73, სხვადასხვა სახის მალაზიები — მონასტრებს — 1, ეკლესიებს — 2, სავაჭრო ფარდულები მონასტრებს — 2, ეკლესიებს — 5<sup>72</sup>. ამის გარდა, ეკლესია-მონასტრები ფლობდნენ წისკვილებს, სათევზაო ადგილებს, სამღებროებს და სხვ. სასულიერო წოდება საკმაოდ დიდ შემოსავალს იღებდა შეწირულებებისაგან. 1882 წლისათვის ამ გზით, ეკლესიამ მიიღო 19572 მანეთი და 44 კაპიკი<sup>73</sup>. საქართველოს სამღვდელთაზე მთავრობის ზრუნვის შედეგი იყო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული კანონი, რომლის ძალითაც იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიებს მიეცათ 30000 მანეთი, ზოლო 1886 წლიდან, დამატებით კიდევ 11000 მანეთი<sup>74</sup>.

მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ, ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობრივმა ზრდამ მოითხოვა მუშახელი, რომლის რიგებსაც ავსებდნენ სოფლებიდან ჩამოსული მშრომელები, რომლებიც ძირითადად ქალაქების გარეუბნებში სახლდებოდნენ. ამ სახით, XIX საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს სამრეწველო ქალაქებთან — თბილისი, ბათუმი, ხაშური, ჭიათურა და სხვა, შეიქმნა მუშათა მსხვილი დასახლებები. ეკლესიამ სწორედ ამ რაიონებზე გაამახვილა ყურადღება.

1890 წელს, სინოდის ობერპროკურორმა, თავის ანგარიშში, აღ-

69 ე. პ. კირიონი. დასახ. ნაშრომი, გვ. 283.

70 კრებული მეცნიერული ათეიზმის საფუძვლები, თბ., 1963, გვ. 108

71 ე. პ. კირიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 261—262.

72 საქ. ცსია, ფ. 414, ანაწ. 2, საქ. 3, 1894.

73 ცსიალ. ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 1228, 1882.

74 იქვე, ფ. 1152, ანაწ. 10, საქ. 525, 1884, ფურც. 14.

წიშნა, რომ სამრეწველო ქალაქების გარეუბნებში შექმნილი დასახლებები არ განიცდიდნენ ეკლესიის „კეთილ გავლენას“, რადგანაც აქ არ იყო აშენებული არათუ ეკლესიები, სამლოცველო სახლებიც კი. პროკურორის აზრით, შექმნილი მდგომარეობით სარგებლობდნენ სოციალ-დემოკრატთა აგიტატორები, რომლებიც ეწეოდნენ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციას. საინტერესოა, რომ ობერპროკურორი რევოლუციური წარმატების მიზეზად ისევ მშრომელი მოსახლეობის დაბალ რელიგიურ დონეს თვლიდა<sup>75</sup>.

მშრომელთა შორის რევოლუციური იდეოლოგიის გავრცელების გვერდით, როდესაც ამ მოძრაობის მესვეურებად გვევლინებიან განათლებული ადამიანები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა წოდების წარმომადგენლები იყვნენ, ერთგულად იბრძოდნენ მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის. მთავრობა ახლა შეშფოთებული იყო მოსახლეობის მისწრაფებით განათლებისაკენ. ამ დროს საქართველოში მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ხელმძღვანელობით, საფუძველი ჩაეყარა და შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი, რაც საგრძნობლად უწყობდა ხელს მოსახლეობაში მეცნიერული ცოდნის გავრცელებას. ქართული პროგრესული პერიოდული გამოცემები მშრომელებს მოუწოდებდნენ პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების გაუმჯობესებისათვის ბრძოლისაკენ. მოსახლეობის იდეურ ზრდას, მატერიალისტურ-რევოლუციური იდეოლოგიის სწრაფ გავრცელებას, სასულიერო წოდებამ თავისი საქმიანობა დაუპირისპირა. ეგზარქოსმა დავეგმა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც ითვალისწინებდა მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას და მიზნად ისახავდა მშრომელთა აცდენას პროლეტარული რევოლუციის გზიდან. ეს მოძრაობა მიზნად ისახავდა, რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მშრომელი მასების გაერთიანებას რელიგიურ ორგანიზაციებში.

მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცების ერთ-ერთ საჭირო ღონისძიებად სინოდმა მიიჩნია მლოცველებთან წირვის გარეშე საუბრებისა და ქადაგებების ჩატარება. ამ ღონისძიების ორგანიზატორი საქართველოში იყო ეგზარქოსი პავლე (1882—1887 წწ), რომლის უშუალო მითითებებითა და პირადი მონაწილეობით ივეგმებოდა ჩასატარებელი საუბრებისა და ქადაგებების თემატიკა. ეგზარქოსმა თავიდანვე მიაქცია სამღვდლოების ყურადღება ამ საუბრების ორგანიზებულად ჩატარებას. როგორც წესი, საუბრებისა და ქადაგებების ჩატარება ევალეზოდათ განათლებულ სასულიერო პირებს, რომლებიც სხვებში გამოირჩეოდნენ შქვერმეტყველებითა და საუბრის კულტურით.

<sup>75</sup> წმიდა სინოდის ობერპროკურორ კ. პობედონოსცევის უკვეშევრდომარესი ანგარიში მართლმადიდებლობის შალიარებელი უწყებისა 1899 წელს, სპ, 1902.

ქადაგებები და საუბრები ტარდებოდა მრევლის ეროვნული შემადგენლობის გათვალისწინებით, ქართულ ან რუსულ ენაზე<sup>76</sup>. ამ ღონისძიებაში მონაწილეთათვის საეგზარქოსომ სპეციალური მეთოდური ცირკულარიც კი გამოსცა. ამ წერილს საფუძვლად დაედო სინოდის მიერ ცოტა უფრო ადრე გამოცემული ანალოგიური ცირკულარი, რომელიც მან რუსეთის ყველა ეპარქიას დაუგზავნა. ამ მითითების საფუძველზე მღვდლებს ეკლესიებში წირვის დამთავრების შემდეგ უნდა ეკითხათ აკაფისტები, განემარტათ წაკითხულის შინაარსი და აზრი. მორწმუნეებისათვის კარნახის საშუალებით ესწავლებინათ ყოველდღიურად შესასრულებელი ლოცვები და საგალობლები<sup>77</sup>. ამ საქმეში სამღვდლო პირების პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით, სამრევლოს მღვდლებს დაევალა ჩატარებული ღონისძიებების სისტემატური აღრიცხვა. საუბრები და ქადაგებები უნდა ჩატარებულიყო მხოლოდ და მხოლოდ რელიგიურ თემებზე. ეგზარქოსი მღვდლებისაგან მოითხოვდა, რომ უკანასკნელთ მთელი ყურადღება გაემახვილებინათ ქრისტიანული დოგმების განმარტებასა და რწმენის განმტკიცებაზე<sup>78</sup>.

კარგად რომ გავიგოთ ამ ღონისძიებების მიზანი, გავეცნოთ ჩატარებული ღონისძიებების თემატიკას. როგორც წესი, საუბრები მიმართული იყო სამყაროს წარმოშობისა და მისი განვითარების მატერიალისტური გაგების წინააღმდეგ. მაგ., თბილისის კუკიის ეკლესიაში ჩატარდა საუბრები შემდეგ თემებზე: სამყაროს შექმნა ღმერთის მიერ, ადამიანის წარმოშობის შესახებ, საუბრები სამოთხეზე, პირველი ადამიანის ცოდვასა და წარღვნის შესახებ, საუბრები აბრამზე, მოსეზე, ბრავალწამებულ იოანესა და სხვ. დასახელებულ ეკლესიაში შვიდი თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო ასეთი შინაარსის 27 საუბრის ჩატარება<sup>79</sup>. ამ ღონისძიებების გატარებისას სამღვდლოებას ყურადღების გარეშე არ რჩებოდა ისეთი კატეგორიის მოსახლეობაც კი, რომლებიც სამეურნეო საქმიანობის გამო, ხშირად დიდი ხნით მოწყვეტილნი იყვნენ თავიანთ სოფლებსა და ეკლესიებს. ზოგიერთ შემთხვევაში მღვდლები საუბრების ჩასატარებლად მწყემსებთან მიდიოდნენ საძოვრებზე. მოსახლეობაში უფასოდ გასავრცელებელი ლიტერატურის შესაძენად სასულიერო პირებს ხშირად ეძლეოდათ საჭირო თანხა<sup>80</sup>. სასულიერო პერიოდიკა სისტემატურად აქვეყნებდა კვირა და უქმე დღეებში ჩასატარებელი საუბრების თემატიკას, საუბრის ავტორის გვარისა და ეკლესიის მითითებით. 1884 წლისათვის საეგზარქოსოს მიერ რეკომენდებული იყო ასეთი შინაარსის 84 საუბარი.

76 „მწყემსი“, 1890, № 3—4. გვ. 14.

77 ცსილ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 21775, 1894, ფურც. 21.

78 იქვე.

79 საქ. ცსილ, ფ. 488, საქ. 21775, 1894, ფურც. 21.

80 იქვე, ფურც. 16—18.

სასულიერო წოდების დიდი ცდის მიუხედავად, აღნიშნულმა ღონისძიებებმა ვერ გაამართლა ეკლესიის იმედები, რაშიც ეგზარქოსი აღნიშნულდება სამრევლოების სამღვდლოებს, რომლებმაც, მისი აზრით, ვერ უზრუნველყვეს მშრომელი მასების მიზიდვა თავის მხარეზე. ეგზარქოსი მღვდლებისაგან მოითხოვდა განმარტებას აღნიშნული ღონისძიების ჩაშლის თაობაზე. სასულიერო პირები, მოხსენებით ბარათებში დაწვრილებით ჩერდებიან ამ მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებსა და ხელისშემშლელ პირობებზე.

გორის მაზრის მეათე საბლალოჩინოს ბლალოჩინი სერგი დავიდოვი ეგზარქოსის სახელზე გავზავნილ განმარტებით ბარათში აღნიშნავდა, რომ ღონისძიების ჩაშლის მიზეზი მსმენელთა უყოლობააო. ასეთივე შინაარსისა იყო თელავის მაზრის ბლალოჩინის, ნიკოლოზ ხუციევის, მოხსენებითი ბარათი<sup>81</sup>.

ამავე დროს, სასულიერო წოდებამ ყურადღება გაამახვილა მუშათა რაიონებში რელიგიურ-აღმზრდელი ღონისძიებების გატარების შესახებ. მუშათა დასახლებებში განსაზღვრული იყო ეკლესიამონასტრებისა და სამლოცველო სახლების მშენებლობა, რის საჭიროებისათვისაც საქართველოს საეგზარქოსო 1889 წლისათვის გამოყო 11645 მანეთი<sup>82</sup>. საეგზარქოსოს ინიციატივით მუშათა დასახლებებში იქმნებოდა სხვადასხვა რელიგიურ-მონარქისტული ძმობები, საზოგადოებები და კავშირები.

მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას ემსახურებოდა თბილისის სიონის ტაძართან 1885 წელს დაარსებული წმინდა ღვთისმშობლის რელიგიური ძმობა. ძმობის დაარსების ინიციატორი იყო ეგზარქოსი პავლე (1882—1887). ამ ძმობას თავისი კეთილგონიერი გავლენა უნდა მოეხდინა მუშების ზნეობრივ მდგომარეობაზე. მისი თავმჯდომარე იყო თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი ჩუღდუკი<sup>83</sup>. ძმობის ინიციატივით თბილისის გარეუბნებში იქმნებოდა ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, იბეჭდებოდა რელიგიური შინაარსის ფურცლები და ბროშურები, რომლებიც ათასობით ვრცელდებოდა მოსახლეობაში. სხვადასხვა ღონისძიებებისათვის ძმობას გამოყოფილი ჰქონდა 1365 მანეთი და 85 კაბ.<sup>84</sup> ცოტა მოგვიანებით ამავე ტაძართან საქართველოს ახლად დანიშნულ ეგზარქოს ვლადიმირის (1892—1898) მითითებით 1897 წელს შეიქმნა „ქ. თბილისის ეპარქიალური სასულიერო ძმობა“<sup>85</sup>. სასულიერო ძმობის დაარსებას ეგზარქოსი ასა-

81 საქ. ცსია, ფ. 488, საქ. 21775, 1894, ფურც. 10—11.

82 ცსიალ, ფ. 1152, ანაწ. IX, საქ. 136, 1881, ფურც. 17.

83 სასულიერო-საგანმანათლებლო საეპარქიო-სამონიონერო ! ძმობის მოკლე ნარკვევი, გვ. 7.

84 იქვე, გვ. 10.

85 იქვე.

ბუთებდა თბილისის მუშათა დასახლების („კალიუჩაია ბალკა“, „ოტი-  
 ლერისკაია ბალკა“, „მოსკოვსკაია ბალკა“, გრუზინსკის და ბაბაევის  
 შესახვევები) მცხოვრებთა უაღრესად დაბალი რელიგიური დონით,  
 ...რომ ამ რაიონების მუშა ხალხი სამუშაოდან თავისუფალ დროს მოკ-  
 ლებული იყო ეკლესიის „კეთილგონიერ გავლენას“. სასულიერო მშო-  
 ბის დაარსება მიზნად ისახავდა მშრომელთა „სულიერ ამაღლებას და  
 მათი უკეთილშობილესი გრძნობების დაქმნაფილებას“<sup>86</sup>. „მშობას  
 მსურველთათვის უნდა მიეცა სიმართლე და სულიერი ცხოვრების სიწ-  
 მინდე, უფრო მეტად საქირო და სასარგებლო, ვიდრე მათი საარსებო  
 პური, რომელსაც აძლევენ გაჭირვებულ და ღარიბ კლასებს ყოველგვარ  
 საერო ფილანტროპული საზოგადოებები“<sup>87</sup>. საზოგადოების შექმნის  
 ინიციატორები იყვნენ შავრაზმელი სასულიერო პირები: თბილისის სა-  
 სულიერო სემინარიის რექტორი ჩუდეცკი, არქიმანდრიტი სერაფიმი,  
 ამავე სემინარიის ინსპექტორი, არქიმანდრიტი გერმოგენი, ვერის იოანე  
 ბოგოსლოვსკის ეკლესიის მღვდელი ნ. პოკროვსკი თბილისის სემინარი-  
 ის მასწავლებელი პლენოვი და სხვები. ეგზარქოსი მშობის დაარსებით  
 ცდილობდა გაეძლიერებინა შავრაზმული საქმიანობა მუშათა რაიონებ-  
 ში. მოკლე ხანში საზოგადოებამ დაასრულა სამლოცველო სახლის მშე-  
 ნებლობა, სამკითხველო დარბაზითა და ესირადით, რაზედაც დაიხარ-  
 ჯა 13110 მანეთი და 88 კაპ.<sup>88</sup>

თავის ყოველდღიურ მუშაობაში, მშობამ ყურადღება გაამახვილა  
 მოსახლეობაში რელიგიური საუბრების ჩატარებაზე. საუბრების მომ-  
 ზადება-ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას ლეზულობდნენ თბილისის  
 ეკლესიებისა და სასულიერო სასწავლებლების მღვდლები და პედაგო-  
 გები. ჩასატარებელი საუბრების გეგმას, მოხსენებების შინაარსსა და  
 მათი აქტუალობის საკითხს იხილავდა და ამტკიცებდა „მწყემსათა კრე-  
 ბა“. ეგზარქოსის მითითებით მორწმუნეებთან საუბრების ჩატარები-  
 სას მღვდლები უნდა შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ და მხოლოდ სა-  
 ეკლესიო ცხოვრებით და არავითარ შემთხვევაში არ შეხებოდნენ ეკო-  
 ნომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს<sup>89</sup>. მოსახლეობის მიზიდვის მიზნით,  
 საუბრები ტარდებოდა საეკლესიო გალობის თანხლებით. აქვე უნდა  
 აღვნიშნოთ, რომ „მშობის“ საქმიანობა მარტო ქადაგებებით არ შემო-  
 იფარგლებოდა. მისი წევრები მოსახლეობაში ავრცელებდნენ რელიგი-  
 ურ-დამარცხებლობითი შინაარსის დაბეჭდილ ფურცლებს. აღსანიშნავია,  
 ეგზარქოსი გამოცდილი მღვდლების გვერდით საუბრების მომზადებასა  
 და ჩატარებაში აქტიურად აბამდა სასულიერო სასწავლებლებისა და

86 „მშობის“ დასახ. ნარკვევი, გვ. 10.

87 იქვე.

88 იქვე გვ. 13.

89 ცისაღ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 1772, 1899, ფურც. 22,

სემინარიის მოსწავლეებს. თუ გავანალიზებთ ძმობის მიერ ჩატარებული საუბრების შინაარსს, იქ დასმულ საკითხებს, ცხადი გახდება, თუ რამდენად დაბალი იყო მოსახლეობაში რელიგიურობის დონე, ჭადაგებებში ხაზგასმული იყო წირვაზე სიარულისა და ყოველდღიური ქრისტიანული წესების შესრულების აუცილებლობა, ბავშვთა ქრისტიანულად აღზრდის, მარხვის დაცვისა და ცოდვის მონანიების აუცილებლობა, მორჩილება ღმერთისადმი და ა. შ.<sup>90</sup> ძმობის საშუალებით მოსახლეობაში ვრცელდებოდა რუსულ ენაზე გამოცემული სასულიერო შინაარსის ქურნალები და წიგნები.

ძმობამ თბილისში გახსნა სასულიერო წიგნების, ჯვარ-ხატებისა და საინვენტარო საგნების მაღაზიები და საწყობები.

მოზარდ თაობაში რელიგიურ-მონარქისტული ცოდნის გავრცელების მიზნით, 1898 წელს, თბილისის ეკლესიებთან და სამლოცველო სახლებთან გაიხსნა 9 უფასო სკოლა. სკოლებში მეცადინეობა კვირაში სამ დღეს მიმდინარეობდა და ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ლოცვებს<sup>91</sup>. 1899 წელს ძმობის სკოლების რიცხვი გაიზარდა 14-მდე, სადაც უკვე 13000 ბავშვი მეცადინეობდა<sup>92</sup>. როგორც საკვირაო, ასევე უფასო სკოლები, სასულიერო უწყების მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. 1899 წელს ძმობის წევრებმა თბილისში ჩაატარეს 103 საუბარი, აქედან 38 ქართულად, 65 კი რუსულად.

უმაღლესი სასულიერო წოდების დიდი ცდების მიუხედავად, ძმობამ ხელისუფლების იმედები ვერ გააპართლა. მისი მუშაობის ანგარიში მოწმობს, რომ ჩვენთან რევოლუციურ-მატერიალისტური ცოდნის გავრცელებასთან ერთად მის წევრთა რიცხვი მცარდებოდა სწორედ მუშათა ხარჯზე<sup>93</sup>.

თბილისის სამღვდლოების მაგალითისამებრ, სასულიერო ძმობები, საზოგადოებები და კავშირები არსდებოდა საქართველოს და ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში და სასულიერო სასწავლებლებში. ამ დროს, სწორედ ასეთი ძმობა შეიქმნა სამხრეთ ოსეთში „წმ. გიორგი წამებულის“ სახელობაზე<sup>94</sup>. ქუთაისის სემინარიასთან, 1891 წელს, შეიქმნა დავით აღმაშენებლის სახელობის ძმობა. მის დანიშნულებას შეადგენდა მოსწავლეთათვის ბონის ქირის გადახდა, საზამთრო ტანსაცმლისა და საწერი მოწყობილობის შეძენა. ამავე დროს დავიწყებული არ იყო მისი ძირითადი დანიშნულება, მოსწავლეთა მომარაგება რე-

<sup>90</sup> იქვე, ფურც. 61—62.

<sup>91</sup> ცხილა, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 1716, 1898, ფურც. 61—62.

<sup>92</sup> უწმ. სინოდის ობერპროკურორის ანგარიში 1899 წ.

<sup>93</sup> „ძმობის“ მოკლე ნარკვევი, გვ. 120.

<sup>94</sup> საქ. ცხილა ფ. 488, საქ. 21717, 1899.

ლიგიური შინაარსის ჟურნალ-გაზეთებითა და წიგნებით<sup>95</sup>. 1888 წელს რელიგიური ამობა შეიქმნა თბილისის სასულიერო სემინარიასთან და იწოდებოდა „ღარიბ სტუდენტთა დამხმარე წმინდა ანდრეას ძმობად“, რომელსაც ჰქონდა თანხა, რომელიც 1899 წლისათვის 2898 მანეთსა და 96 კაპიკს შეადგენდა და ხმარდებოდა ღარიბ სტუდენტებს<sup>96</sup>. საზოგადოებებისა და ძმობების შექმნის მოტივი ყოველთვის ერთი იყო და ემსახურებოდა ერთ მიზანს — სარწმუნოების განმტკიცების საშუალებით მოსახლეობის ჩამოცილებას რევოლუციური მოძრაობიდან.

მოსახლეობაში რელიგიური ცოდნის გავრცელებას ემსახურებოდა აგრეთვე საეკლესიო, სამონასტრო და საბლადოჩინო ბიბლიოთეკების ფართო ქსელი, რომლებიც დაკომპლექტებული იყო სასულიერო შინაარსის წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით<sup>97</sup>. ასეთი ბიბლიოთეკების ქსელი ყოველდღიურად იზრდებოდა. 1895 წლისათვის მარტო გორის საბლადოჩინოში 101 ასეთი ბიბლიოთეკა იყო<sup>98</sup>. მართალია, ამ ბიბლიოთეკათა მიზანი ხალხის სასულიერო განათლება გახლდათ, მაგრამ სწავლედლეობას უნდოდა თუ არა ეს, ისინი მშრომელი ხალხის, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის, განათლებას ემსახურებოდნენ.

როგორც ეკლესიის მსახურები აღნიშნავდნენ, ასეთი ღონისძიებების შემდეგაც ხალხში რელიგიურობის დონე დაბალი რჩებოდა<sup>99</sup>.

ანტიკლერიკალური და რევოლუციური სიტუაციის გავრცელებას მშრომელთა შორის მთავრობა ებრძოდა მკაცრი ცენზურის დაწესებით. ყველა გაზეთს აკრძალული ჰქონდა ისეთი სტატიების ბეჭდვა, რომელშიც ვაკრიტიკებული იქნებოდა მართლმადიდებლური ეკლესიის საქმიანობა. აკრძალული იყო ისეთი წერილების გამოქვეყნება, რომლებშიც მატერიალისტური გაგებით იქნებოდა ახსნილი საპყაროს წარმოშობა, ადამიანის გაჩენა; ეჭვს ქვეშ დააყენებდა ღმერთის და ქრისტეს არსებობას და სხვ. ეს მაშინ, როდესაც ეკლესია მოსახლეობაში დიდი რაოდენობით ავრცელებდა მონარქისტულ-კლერიკალური მიმართულების ჟურნალ-გაზეთებს და სხვა მსგავსი შინაარსის ლიტერატურას. თავისთავად გასაგებია, რომ ისეთი დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტას, როგორც იყო მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება, ცარიზში მხოლოდ ეკლესიის მსახურების ამარა არ დატოვებდა. მთავრობა სარწმუნოებას კანონის ძალით ამტკიცებდა. 1890 წლის რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში სარწმუნოების წი-

95 ებ. კირიონი. დასახ. ნაშრომი, გვ 27—28; „სასულიერო მახარობელი“, 1893, № 1, გვ. 6—7.

96 ებ. კირიონი. დასახ. ნაშრომი, გვ 27—28.

97 ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 1386, 1892, ფურც. 38.

98 საქ. ცსია, ფ. 488, საქ. 25415, 1895.

99 ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 1386, 1892, ფურც. 38.



ნააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს მთელი თავი აქვს დათმობილი, რომელთა მიხედვით, ვინც მართლმადიდებლურ ოჯახში დაიბადებოდა, ან სხვა სარწმუნოებიდან მართლმადიდებლობაზე გადმოვიდოდა, უფლება აღარ ჰქონდა დაეტოვებინა ეს სარწმუნოება. ყველა მართლმადიდებელი ვალდებული იყო ერთხელ მაინც ზიარებულიყო წლის განმავლობაში<sup>100</sup>. სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელი ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა თავის თანამშრომლებისათვის, რათა მათ აუცილებლად შეესრულებინათ ქრისტიანული წესები. პირი, რომელიც თავს არიდებდა ქრისტიანულ მოთხოვნებს, კანონით დაისჯებოდა. სასულიერო წოდებას უფლება ეძლეოდა ასეთი პირები მიეცა პასუხისგებაში და სასჯელიც დაედო<sup>101</sup>.

თუ სასულიერო პირის მოწვევა განსაკუთრებულ სიძნელეებთან არ იყო დაკავშირებული და ქრისტიან მიცვალებულს მაინც ქრისტიანული წესების შეუსრულებლად დაასაფლავებდნენ, მას აპატიმრებდნენ სამი კვირიდან სამ თვემდე<sup>102</sup>. ამავე კანონის 214 მუხლის თანახმად, ის პირი, რომელიც უზრდელი სიტყვებით შეურაცხყოფდა სასულიერო პირს ღვთის მსახურების აღსრულების დროს და ამით გამოიწვევდა წირვის შეწყვეტას ან შეფერხებას, აპატიმრებდნენ ორი თვიდან რვა თვემდე<sup>103</sup>.

პოლიცია ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა მლოცველთათვის ეკლესია-მონასტრებში, წირვა-ლოცვის შესრულების, ჯვრით სვლისა და წყლით კურთხევის დროს<sup>104</sup>.

80-იანი წლების რეაქციის ხანაში თვითმპყრობელობამ კურსი მოსახლეობის რელიგიური განათლებისაკენ აიღო, თვლიდა რა, რომ ქეშმარიტი განათლება მხოლოდ რელიგიური განათლებაა. „საერო განათლება ადგალს უთმობდა საეკლესიო განათლებას. სწავლა-აღზრდის საქმეს ხელმძღვანელობდა სამღვდელეობა, რომელსაც ანაღგაზრდა თაობა უნდა აღეზარდა მართლმადიდებლობისა და თვითმპყრობელობის პრინციპების განუხრელი დაცვით, თვითმპყრობელობის იდეურ საფუძველზე. კლერიკალიზმის ბუდეებიდან აპირებდა რეაქციული მთავრობა თვითმპყრობელობის საყრდენი ბურჟების გამოჩეკას<sup>105</sup>.

მომავალი თაობის რელიგიური აღზრდისათვის მთავრობა საკმაოდ დიდ თანხებსაც ხარჯავდა. 1885 წლის მონაცემებით, მხოლოდ 7 სა-

100 Свод законов Российской империи, т. XIX, 1890, с. 2—18. Разд. первый, «О предупреждении и прашщении против веры».

101 იქვე, გვ. 8.

102 იქვე.

103 იქვე.

104 „მწყემსი“, 1890, № 3—4, გვ. 13—14.

105 იქვე.

სულიერო სასწავლებლის და ორი სასულიერო სემინარიის შენახვაზე 7005 მანეთი დაიხარჯა, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შემოსავლიდან 39106 მანეთი; სამეურნეო სამმართველოდან 2062 მანეთი და 78 კაპ.<sup>106</sup> ამავე დროს თვითმპყრობელობა ხელს უწყობდა ამ სასწავლებლების რაოდენობრივ ზრდასაც. მის წინსვლას, რადგანაც თვლიდა, რომ მხოლოდ „საეკლესიო სკოლა იყო სწორი და საიმედო საშუალება საეგზარქოსოს მართლმადიდებლური მოსახლეობის საწვებარე რელიგიური მდგომარეობის გამოსწორებისა და თანდათანობით ამაღლებისა“.

სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულ მღვდლებს უნარი უნდა ჰქონოდათ აღეზარდათ თავიანთი მრევლი იმ რწმენით, რომ ბრძოლა სოციალური ურთიერთობის მოსაგვარებლად და გადასაჭრელად, ბრძოლა ამქვეყნიური ბედნიერებისათვის, უაზრობაა. ასეთი იყო სასულიერო სასწავლებლის ამოცანები.

ი. ბ. სტალინმა გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან საუბარში 1932 წელს განაცხადა: „სემინარიაში გაემეფებული დამამცირებელი რეჟიმისა და იეზუიტური მეთოდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, მე მზად ვიყავი გაემხდარიყავი რევოლუციონერი, მარქსიზმის, როგორც ნამდვილად რევოლუციური მოძღვრების მომხრე“.

XIX საუკუნის ბოლოს საქართველო დაიფარა საეკლესიო-სამრევლო სკოლების ფართო ქსელით. რუსეთის იმპერიაში ამ სკოლების შექმნის ინიციატორი იყო 80-იანი წლების რეაქციის სულისჩამდგმელი, სინოდის ობერპროკურორი პობედონოსცევი. უწმინდესი სინოდის სათანადო მითითების შემდეგ, საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ 1884 წელს იმსჯელა ჩვენთან საეკლესიო სამრევლო სკოლების გახსნის თაობაზე და 1885 წელს გახსნა კიდეც<sup>107</sup>. ამ სკოლების პირველი საჭიროებისათვის სინოდმა საქართველოს საეგზარქოსოს გამოუყო 1000 მანეთი<sup>108</sup>. საეკლესიო სკოლები მიზნად ისახავდნენ ეკლესიის მსახურთა ხელმძღვანელობით გავერცელებინა ხალხში მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სარწმუნოება, ახალგაზრდობისათვის შთაენერგათ სიყვარული ღვთისმსახურებისა და საეკლესიო გალობისა<sup>109</sup>. ასეთივე მიზნებს ემსახურებოდნენ ცოდნის სკოლებიც, რომლებიც სამრევლოს მღვდლების ხელმძღვანელობით მოსახლეობაში ავრცელებდნენ რუსულ საეკლესიო ცოდნას. დაბალი სასულიერო სკოლების ამოცანა იყო, მიეცა სოფლისა და ქალაქის მშრომელი ფენების ახალ-

<sup>106</sup> ცხილ, ფ. 196, ანაწ. 442, საქ. 1070, 1885, ფურც. 11, 20;

<sup>107</sup> ამ სკოლების შესახებ დაწერილებით იხ. ტ. ზუნდაძის „ცარიზმის საეკლესიო-საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბ., 1940.

<sup>108</sup> Цгнал. ф. 166, л. 856, 1885, лл. 12, 13, 21.

<sup>109</sup> Отчет оберпрокурора св. синода за 1890—91 гг. с. 424.

გაზრდებისათვის დაწყებითი განათლება, ესწავლებინა წერა-კითხვა და გაეცნო მათთვის საღვთო სჯულის საწყისები<sup>110</sup>. უკვე 1899 წლისათვის საეგზარქოსოს ყველა დაბალი ტიპის სასულიერო სასწავლებლებში სწავლობდა 25353 ბავშვი<sup>111</sup>.

სასულიერო წოდება სავალდებულოდ მიიჩნეოდა, რომ სოფლის ახალგაზრდობას დაწყებითი ცოდნა ამ სასწავლებლებში მიეღო, რადგანაც მათი ღრმა რწმენით ადამიანის სულიერ მოთხოვნებს მხოლოდ სარწმუნოებაზე და ქრისტიანულ ზნეობაზე სწავლა-აღზრდა აკმაყოფილებდა.

უერნალი „მწყემსის“ რედაქტორისა და გამომცემლის, დეკანოზ ლამბაშიძის აზრით, წერა-კითხვის ცოდნა, ახალგაზრდობის გონების განათლება საერო საგნებით, არ არის ერთადერთი მიზანი ხალხის გათვითცნობიერებისა. ეს უფრო საშუალებაა, რომელიც აადვილებს განათლების უმაღლესი მიზნის მიღწევას და ხალხში განამტკიცებს სარწმუნოებას, ზნეობას და პატივისცემას ყოველივე საეკლესიო და ქრისტიანული საღვთისადმი. მისი აზრით, მოსწავლეს პირველ რიგში უნდა მიეცეს სასულიერო განათლება, საერო განათლება კი უკანა რიგზე უნდა იდგეს, რადგანაც, „საერო-სასწავლო სკოლების მეოხებით, მართალია, მატულობს საზოგადოებაში წერა-კითხვის მცოდნე პირთა რიცხვი, მაგრამ, რადგან ამ პირთ ხეირიანად არა აქვთ შეგნებული სწავლა სარწმუნოებასა და ქრისტიანულ ზნეობაზე, ამიტომ ისინი განათლებას ხშირად „საეშმაკო“ და „საკლიაუზო“ საქმეებში ზმარობენ“<sup>112</sup>.

ასეთი იყო მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა აზრი ხალხის განათლებაზე. ამითვე იყო გამოწვეული, რომ საეგზარქოსოს სამღვდელთა ყოველგვარ ღონეს ხმარობდა დაეცვა სასულიერო სასწავლებლები მატერიალისტურ-რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი შეხედულებების გავლენისაგან, მოეხდინა მათი იზოლაცია საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრებიდან. მაგრამ, როგორც ისტორიის მსვლელობამ გვიჩვენა, სამღვდელთა ეს ვერ შეძლო. მზარდი რევოლუციური აღმავლობის ხანაში ეს შეუძლებელი გახდა. სასულიერო განათლების ორგანიზაციას თვითმპყრობელობა თავის პოლიტიკურ მიზნებს უკავშირებდა. ხალხის განათლება ამ შემთხვევაში თვითმპყრობელობის მიზანი არ იყო. მთავრობის აზრით, სასულიერო სასწავლებლებს ხალხში უნდა გაეცრელებინა განათლება, მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიის მოთხოვნების თანახმად.

<sup>110</sup> Отчет оберпрокурора св. синода за 1890—91 гг., с. 424.

<sup>111</sup> Цгнал. ф. 796. оп. 442, д. 1970, 1885, 11, 90.

<sup>112</sup> „მწყემსი“, 1890, № 5, გვ. 1—4.

მიუხედავად ასეთი მიზნებისა, ამ სასწავლებლებმა ხალხის განათლების საქმეში დადებითი როლი შეასრულეს. ისინი ხელს უწყობდნენ ქართველ ახალგაზრდობაში დაწყებითი და საშუალო განათლების გავრცელებას, საერთო კულტურული დონის ამაღლებას. ამის დასამტკიცებლად საქმარისია გავიხსენოთ, რომ საქართველოს სასულიერო სასწავლებლებმა და სემინარიამ საქართველოს მისცა ახალგაზრდობის მთელი თაობა, რომლებმაც შემდეგში თავი გამოიჩინეს, როგორც დიდმა სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა. ეს სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ სასწავლებლებში იღვწოდნენ იმ დროისათვის პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მწერლები, მეცნიერები, პედაგოგები, რომლებსაც ახალგაზრდობასთან მეცნიერულ ცოდნასთან ერთად მიჰქონდათ დიდი სიყვარული საშობლოსი და თავისი ხალხისა.

XIX საუკუნის 80—90-იან წლებში მოსწავლე ახალგაზრდობა განსაკუთრებით დაინტერესდა შრომელთა სოციალური და პოლიტიკური ბრძოლის საკითხებით. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რამაც განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ყველა ტიპის სასულიერო სასწავლებელში, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი ეკავა თბილისის სასულიერო სემინარიას<sup>113</sup>.

მიუხედავად სასწავლებლის ხელმძღვანელობის დიდი ცდისა, აერიდებინათ მოსწავლეთათვის ყოველგვარი „არასასურველი“ და „მავნე“ გავლენა. მოსწავლეებში მაინც შეიმჩნეოდა ისეთი მიმართულების მწერლების გავლენა, რომელთა მხოლოდ სახელის ხსენებაც კი შეუწყნარებელი იყო სემინარიის კედლებში. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეები თავიანთ ნაშრომებში რომელიმე საკუთარი ღებულების განსამტკიცებლად, სწორედ ასეთი მოღვაწეებისა და მწერლების ნაშრომებს იყენებდნენ.

ამ დროს მოსწავლეთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ ისეთი ნაშრომები, როგორიცაა: ჟან-ჟაკ რუსოს „აღსარება“, დრეპერის „სოციალური სისტემა“. ჟურნალები: „სოვრემენიკი“ და „რუსსკოე სლოვო“. ბევრი მოსწავლე სემინარიაში მოსვლამდე იცნობდა ბელინსკის, დობროლიუბოვისა და სხვა რუს სოციალ-დემოკრატიის ნაშრომებს. ბევრი აკრძალული წიგნი სემინარიაში შემოდის და ნიკოლაძის კერძო ბიბლიოთეკიდან, რომელიც აქ უფრო ცნობილი იყო ივანოვის სახელით.

ზოგიერთ შემთხვევაში მოსწავლეებში აკრძალული ლიტერატურის

<sup>113</sup> ა. კიკვიძე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და თბილისის სასულიერო სემინარია, სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXIV—ა, 1948, გვ. 34.

გავრცელებას ხელს უწყობდა სემინარიის ზოგიერთი მასწავლებელი. მაგალითად, გავ. „დროება“ და „ოტეჩესტვენნიე ზაბისკი“ სემინარიის მოსწავლეთა შორის ვრცელდებოდა მასწავლებელ ტატიშვილის (ტატი-ევი) მეშვეობით და ხელის შეწყობით. მანვე 1867 წელს შეადგინა მოსწავლეთათვის საკითხავი წიგნების სია, სადაც რეკომენდებული იყო ისეთ ავტორთა ნაშრომები, რომელთა გაცნობაც მოსწავლეებს ეკრძა-ლებოდათ. მაგ. „ისტორია უმსტვენნოვო რაზვიტია ევროპი“, „გრაჟ-დანსკოე რაზვიტეი ამერიკი“, დარვინის „სახეობის წარმოშობა“, რუ-სოს ნაშრომების კრებული და სხვ. ჟურნალები „დელო“, „უჩიტელ“, „ოტეჩესტვენნიე ზაბისკი“ და სხვ. სემინარიის ხელმძღვანელობას და-სახელებული წიგნებისა და ნაშრომების კითხვა დანაშაულად მიაჩნდა, რადგანაც ისინი თავიანთ შეხედულებებით არ პასუხობდნენ სასული-ერო განათლების მიზნებსა და ამოცანებს. სემინარიის ხელმძღვანე-ლობა სისტემატურად წმენდდა სემინარიის ბიბლიოთეკას „უვარგისი“ და მთავრობისათვის მიუღებელი შინაარსის წიგნებისაგან, სასულიერო სემინარიის მოსწავლეებს აკრძალული ჰქონდათ საჯარო ბიბლიოთე-კით სარგებლობა. ბიბლიოთეკის ფონდით სარგებლობის უფლებას იძ-ლეოდა პირადად სემინარიის რექტორი თავისი შეხედულებებისამებრ.

როგორც მომსწრეები აღნიშნავენ, ამ დროს სემინარია ციხეს უფრო წააგავდა, ვიდრე სასწავლებელს. სემინარიელები აღარ ემორ-ჩილებოდნენ თავიანთ აღმზრდელებს. მასიური ხასიათი შიილო მოს-წავლეთა საპროტესტო გამოსვლებმა სემინარიაში არსებული რეჟიმისა და რუსეთში არსებული პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ. მოსწავ-ლეთა ინიციატივით დაიწყო გამოსვლა ხელნაწერმა ჟურნალმა, რომლის ფურცლებზედაც მოსწავლეები სემინარიაში დამყარებულ რეჟიმს აკ-რიტიკებდნენ. გახშირდა სემინარიის შენობიდან ქალაქში უნებართვოდ გასვლის შემთხვევები, მოსწავლეები ყოველდღიურად წირვა-ლოცვა-ზე ისეთი მონდომებით აღარ დადიოდნენ, როგორც ადრე. 1885 წელს სემინარიის ინსპექტორი, სპერანსკი, სემინარიაში შექმნილი მდგო-მარეობის შესახებ წერდა: „ზოგიერთი მოსწავლე აქლავნებს ინტერესს ანტირელიგიური და სოციალური შინაარსის წიგნებისადმი. ისინი ქარ-თულ ენაზე კითხულობენ განსაკუთრებით იმ წიგნებს, რომლებიც გა-მოცემულია 60-იან წლებში გავრცელებული მიმდინარეობის დროს“<sup>114</sup>.

სემინარიის ხელმძღვანელების მიერ მკაცრი კონტროლი იყო და-წესებული თითოეულ მოსწავლეზე. მოსწავლეთა მიერ წესრიგის დარ-ღვევის ყველა შემთხვევა აღირიცხებოდა სპეციალურად ამ ღონის-ძიებისათვის შემოღებულ ჟურნალში. აღრიცხვაზე აყვანილი იყო ყო-ველი მოსწავლე, რომლებიც გამოირჩეოდნენ ანტირელიგიური განწყო-ბილებებითა და რევოლუციური ბუნებით. მაგ., მეექვსე კლასის მოს-

<sup>114</sup> ცხაოლ, ფ. 796, ანაწ. 175, 1894, საქ. 278, ფურც. 2.

წავლე შიხა ცხაკაია შემჩნეული იყო მავნე და აკრძალული წიგნების კითხვაში, ბუნებით ანტირელიგიური და სოციალური მიმართულების... ცდილობდა გავერცელებინა ეს ცოდნა ამხანაგებში. სემინარიის მესვეურები ასევე ახასიათებენ სპირიდონ ვირსალაძეს, გარეგნობით წყნარსა და მორცხვს, რომელიც აგდებულად ეკიდება რელიგიური ვალდებულებების შესრულებას; სემინარისტი გიორგი გიორგობიანი შემჩნეულია აკრძალული წიგნების კითხვაში, ეცნობა ისეთი შინაარსის ნაშრომებს, როგორცაა „რაბოჩიი ვოპროს“ და სხვ. აქვს მიდრეკილება სოციალისტური მიღწევების შესწავლისაკენ. მოსწავლე დავით გიულგოვი სემინარისტთა ხელნაწერი ჟურნალის „ცვეტოკის“ გამომცემელი, მოსწავლე მალრადე კითხულობს აკრძალულ წიგნებსა და თანაუგრძნობს თანამედროვე ლიბერალურ აზრებს. სემინარიის ხელმძღვანელობა ასეთივე დახასიათებას აძლევს მოსწავლეებს მჭედლოვს, რ. ჩიკოიძეს, ი. ტიჭინაძეს, ვ. ტყავაძეს.

სემინარიის ხელმძღვანელობა შემფოთებული იყო სემინარისტთა შორის ანტირელიგიური განწყობილების ზრდით. წინა წლებთან შედარებით ახლა მოსწავლეები უფრო ხშირად არიდებდნენ თავს ეკლესიაში სიარულს. 1886—1887 წლებში წირვას არ დაესწრო 101 მოსწავლე. ღვთისმსახურების შესრულებისას უყურადღებოდ იქცეოდნენ და წესრიგი დაარღვია 65 მოსწავლემ. 1887—1888 წლებში მოსწავლეებმა უმიზეზოდ გამოტოვეს საღვთო სჯულის 474 გაკვეთილი<sup>115</sup>. ანალოგიური მდგომარეობა იყო საეგზარქოსოს სხვა სასულიერო სასწავლებლებშიც. 1878 წელს იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი საქართველოს ეგზარქოსს ატყობინებდა, რომ „ისეთი სამწუხარო მდგომარეობა“, რომელიც ამ ბოლო დროს გავრცელდა რუსეთში, გავრცელდა იმერეთის სასწავლებლებშიც, რომ იქაც გახშირდა მოსწავლეთა მიერ ქრისტიანული სარწმუნოების წესების შესრულებაზე თავის არიდების შემთხვევები<sup>116</sup>.

+ ბ. ზ. ზ. ზ.

ეპისკოპოსი გაბრიელი თავისი კლასისა და წოდების ტიპური წარმომადგენელია. ის თავის ქადაგებებში მკაცრად აკრიტიკებს ახალი იდეოლოგიის პროპაგანდისტებს და ცდილობს დაიცვას არსებული საზოგადოება მათი „დამანგრეველი სწავლების“ გავლენისაგან. ის ხშირად გამოდის მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე და ჩატარებული საღებრებით ცდილობს გაარკვიოს მომავალი თაობა „კარგ“ და „ცუდ“ სწავლებაში. მოუწოდებს მათ ბეჯითად ისწავლონ საღვთო სჯული, განიშტკიონ რწმენა, რადგან „იმ დრომდე, მანამ აღამაინი ღმერთს არ უღალატებს, არც ხელმწიფის მოღალატე შეიქმნება, რადგანაც თვით

115 იქვე. საქ. 781, 1878, ფურც. 13.

116 საქ. ცსა, ფონდი, 488, საქ. 26345, 1882, ფურც. 1.

საღვთო სჯული ასწავლის მათ მეფობის ერთგულებასა და მორჩილებას. თავის ქადაგებებში იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ცდილობს სახელი გაუტეხოს „ახალი სწავლების“ (რევოლუციურის — მ. ხ.) პროპაგანდისტებს და „ცრუ წინასწარმეტყველებად“ ნათლავს მათ<sup>117</sup>.

1882 წელს სინოდის ობერპროკურორმა გამოაქვეყნა ცირკულარი № 151, რომელიც სემინარიასა და სასულიერო სასწავლებლებში კრძალავდა „ლიბერალური“ და პოლიტიკურად არასაიმედო ეურნალებისა და გაზეთების გამოწერას, რადგანაც ეს გაზეთები ხელს უწყობდნენ მოსწავლე ახალგაზრდობაში სხვადასხვა „სოციალური ცრუ სწავლების“ გავრცელებას.

ობერპროკურორის ამ ცირკულარის შემდეგ სემინარიის ბიბლიოთეკიდან დაუყოვნებლივ ამოიღეს გაზეთი „ოტჩენსტვენნიე ზაპისკი“, „რუსკაია მისლ“, „ვესტნიკ ევროპი“, „დელო“, სამაგიეროდ, გაზარდეს მთავრობის პოლიტიკის ორიენტაციის რეაქციული მიმდინარეობის ეურნალ-გაზეთების რიცხვი, რომლებიც, რექტორის აზრით, უფრო საჭირო იყო სემინარიის მოსწავლეებისათვის და იმ მიზნებისათვის, რასაც ეს სასწავლებელი ემსახურებოდა<sup>118</sup>. ზოგიერთი ადრე აკრძალული გაზეთისადმი სასწავლებლის ხელმძღვანელობა დათმობაზე წავიდა, ამით ისინი ცდილობდნენ შეენელებინათ უარყოფითი რეაქცია, რომელსაც მოსწავლეებში მთავრობის ასეთი ღონისძიება იწვევდა. სემინარიის მოსწავლეებს ეკრძალებოდათ გაზეთ „ივერიის“ კითხვა. მაგრამ მალე დირექცია ამ გაზეთის მიმართაც დათმობაზე წავიდა. სემინარიის რექტორი ამ ღონისძიების შესახებ წერდა: „რაც შეეხება გაზეთ „ივერიის“ კითხვას, არ ღირს ასეთი სისასტიკით აკრძალოთ, ეს კიდევ ისეთი მავნე არ არის, როგორც სხვა წიგნების კითხვა. ყოველთვის საჭიროა კეთილგონიერება და ტაქტიკა... იმოქმედეთ ისე, რომ მოსწავლეები თვითონ მივიდნენ იმ შეგნებამდე, რომ აკრძალული ლიტერატურის კითხვა მავნეა. უმჯობესია იკითხონ „ივერია“, ვიდრე სხვა აკრძალული ლიტერატურა ან „ოტჩენსტვენნიე ზაპისკი“<sup>119</sup>.

სემინარიის ხელმძღვანელობა განსაკუთრებული სიფხიზლით ადევნებდა თვალყურს პოლიტიკური შეხედულებების მიმართულებას. სასწავლებლიდან დაუყოვნებლივ ითხოვდნენ ისეთ მოსწავლეებს, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ ე. წ. „მავნე აზრების“ გავრცელებაში. უფრო მკაცრად ექცეოდნენ პროგრესულად მოაზროვნე მოსწავლეებს. 1874 წელს სემინარიიდან დაითხოვეს ქართული ენისა და ლი-

117 ეპისკოპოსი გაბრიელი, ქადაგებანი, ტ. 2, გვ. 280—282, 1913.

118 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 26345, 1882, ფურც. I.

119 ა. კ. ი. კ. ი. კ. ე. რ. ოვსიანოვი-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და თბილისის სასულიერო სემინარია, თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, გვ. 403.

ტერატურის მასწავლებელი, გამოჩენილი პედაგოგი ი. გოგებაშვილი.  
"მალე ასეთივე ბედი ეწია პედაგოგ შ. ცხვედაძეს<sup>120</sup>.

ახალგაზრდობაში ეროვნული თვითშეგნების ზრდის წინააღმდეგ  
იყო მიმართული აგრეთვე სასწავლო პროგრამებიდან ქართული ენის  
სწავლების ამოღება, ზოგიერთ შემთხვევაში კი მისი ძლიერი შეზღუდ-  
ვა. მშობლიური ენისა და ისტორიის სწავლების ხარჯზე იზრდებოდა  
საღვთო სჯულის სწავლება. მთავრობის ასეთი ღონისძიება მიმართული  
ქართული ენის წინააღმდეგ ზოგჯერ საეკლესიო პრესის აღშფოთება-  
საც კი იწვევდა. ამ დროის სასულიერო წოდება მოსახლეობაში რე-  
ლიგიურობის დაბალი დონის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ მღვდლების  
მიერ ქართულ ენაზე წირვის ჩაუტარებლობას და ლოცვების უცოდინ-  
არობას თვლიდა. 1884 წ. ურნალი „ცერკოვნო ობშესტვენნი ვესტ-  
ნიკ“ ხელისუფალთ მიუთითებდა ქართული ენის სწავლების აუცილებ-  
ლობასა და მის ლოცვაზე სკოლებსა და ეკლესიებში რწმუნების განმ-  
ტკიცების მიზნით. თვითმპყრობელობას ქართული ენა აინტერესებდა  
იმდენად, რამდენადაც მისი სწავლება ხელს შეუწყობდა მოსახლეო-  
ბაში სარწმუნოების განმტკიცებას. ამ შემთხვევაშიც სასულიერო სას-  
წავლებლების დაარსებას. საქართველოს ისტორიის სწავლებას ქარ-  
თული ენისა და სიტყვიერების სწავლებასთან ერთად, წმინდა კლე-  
რიკალური დანიშნულება ჰქონდა<sup>121</sup>.

XIX ს. მიწურულში მრეწველობის სწრაფმა ზრდამ მოითხოვა გა-  
ნათლებული მუშახელი. ამ მიზნით, თბილისის ზოგიერთ დიდ წარმოე-  
ბა-დაწესებულებებთან მთავრობა აარსებდა მუშა ახალგაზრდობის  
სკოლებს, სადაც ახალგაზრდა მუშები ეუფლებოდნენ ცოდნის ელე-  
მენტარულ საფუძვლებს. მთავრობისა და სასულიერო სასწავლებლების  
მოთხოვნით, ამ სასწავლებლებში მიუხედავად მათი ხასიათისა, მთავა-  
რი ადგილი სასულიერო განათლებას ეთმობოდა. ხელისუფლება გან-  
საკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა მასწავლებლების შერჩევას.

1891 წელს იმპერატორმა დაამტკიცა ცოდნის სკოლების პროგრა-  
მა. დასახელებული სასწავლებლები უნდა გახსნილიყო ეკლესია-მონას-  
ტრებთან. მათზე მზრუნველობა ევალებოდათ სასულიერო პირებს. ასე-  
თი სკოლების დაარსების უფლება ეძლეოდათ სხვადასხვა საქველმოქმე-  
დო ორგანიზაციებსა და ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლებს.  
სკოლების პროგრამა ძირითადად საღვთო სჯულის სწავლებას ითვა-  
ლისწინებდა. აქვე ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ყოველდღიურ ლო-  
ცვებს. ამავ დროს, ჩვენში გახშირდა მუშა ახალგაზრდობისათვის საკ-  
ვირაო და საღამოს სკოლების გახსნის შემთხვევები, რომელთა დაარ-  
სების ინიციატორადაც ისევ სასულიერო წოდება გამოდიოდა. როგორც

120 ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, ტ. 2, გვ. 142.

121 იქვე, გვ. 295.



სხვა შემთხვევაში, ახლაც სასულიერო წოდება ასეთ ღონისძიებებში თავისი აქტიური მონაწილეობით ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მეტი ახალგაზრდა მოექცია თავისი ვავლენის ქვეშ და ამით გაეზარდა თავისი ავტორიტეტი ხალხში. საკვირაო და საღამოს სკოლებში ისწავლებოდა ლეთისმეტყველება, რუსული ენა, არითმეტიკა, ხაზვა, სიმღერა. მიუხედავად ამ სასწავლებლებთა მიზნებისა, ისინი ხშირად მოექცეოდნენ ხოლმე მთავრობის ყურადღების ქვეშ, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო ამ სასწავლებლებში ანტირეგიმული წრეების შექმნით, რომელთა აღმოცენებასაც ხელს უწყობდა ახალგაზრდობის დიდი კონცენტრაცია. ამის გამო მთავრობამ მათზე განსაკუთრებული კონტროლი დააწესა. როდესაც საქართველოს ეგზარქოსმა ითხოვა ერთ-ერთი ასეთი სასწავლებლის გახსნის უფლება თბილისის რკინიგზის სახელოსნოებთან, ქალაქის გუბერნატორმა შერვაშიძემ მას მოსთხოვა გვარები და „სხვადასხვა დამატებითი ცნობები“ იმ პირობებზე, რომლებიც აქ მასწავლებლად მუშაობას აპირებდნენ. ამასთანავე, ეგზარქოსს გუბერნატორისათვის უნდა ეცნობებინა, თუ რა სახის კონტროლი დაწესდებოდა სკოლაში.

მიუხედავად მკაცრი კონტროლისა, მთავრობამ ვერ შეძლო სასულიერო სასწავლებლებში მისთვის სასურველი წესრიგის დამყარება. 1883 წელს თბილისის სასულიერო სემინარია მოიკცა მღელვარებამ, რისთვისაც აქედან გარიცხეს 87 მოსწავლე<sup>122</sup>. 1894 წელს სემინარიელებმა უარი განაცხადეს საეკლესიო გალობის შესრულებაზე და იმის მაგივრად, რომ მონაწილეობა მიეღოთ სემინარიის ყოველწლიურ აქტში, ვავიდნენ ქალაქგარეთ და იქ ჩაატარეს თათბირი. ამ თათბირის მონაწილე მოსწავლეთა დიდი ნაწილი სინოდის გადაწყვეტილებით გაირიცხნენ სასწავლებლიდან და აეკრძალათ სხვა სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება. თბილისის სასულიერო სემინარიაში დღითიდღე იზრდებოდა და ძლიერდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობა. ამასთან დაკავშირებით, სინოდმა გამოიტანა დადგენილება, რომლითაც იზღუდებოდა სასულიერო აკადემიაში სემინარიის კურსდამთავრებულთა მიღება. აქ მიიღებდნენ მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ექნებოდათ ეგზარქოსის შუამდგომლობა უწმინდესი სინოდის წინაშე<sup>123</sup>.

1893—1894 სასწავლო წლის ბოლოსა და ახალი სასწავლო წლის დასაწყისში სემინარიის ყველა მოსწავლეს აეკრძალა ცხოვრება კერძო დაქირავებულ ბინაში. მოსწავლეთა მღელვარების მრავალი მონაწილე გაასახლეს თბილისიდან, ხოლო ისინი, ვინც დატოვეს თბილისში ან მიეცა აქ დროებით ჩამოსვლის უფლება, პოლიციის მკაცრი მეთ-

122 საქ. ცისა, ფ. 488, საქ. 24770.

123 იქვე, 25422, 1894, ფურც. 1—44.

ვალყურეობის ქვეშ დარჩა. ზოგიერთნი, რომლებიც ადრე იყვნენ შემჩნეულნი მთავრობის საწინააღმდეგო და სასწავლებელში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლებში (მაგ., ივანე მალალოვი, იმრნ ღვთისავაროვი, კონსტანტინე ხუციყვი) დატოვეს თბილისში, რათა მათზე დაწესებულიყო პოლიციის სისტემატური არალეგალური მეთვალყურეობა<sup>124</sup>.

მოსახლეობაში რელიგიური რწმენის განმტკიცების საქმეში თვითმპყრობელობა განსაკუთრებით დიდ როლს ანიჭებდა ქალს, რომელზედაც ბევრად იყო დამოკიდებული ოჯახსა და საერთოდ ახალგაზრდობაში რელიგიური რწმენის დამკვიდრება. 1887 წლისათვის ქალთა რელიგიურ განათლებას საქართველოში 30 სასწავლებელი ემსახურებოდა.

როგორც ამ დროს სხვა სასწავლებლებში აქაც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საღვთო სჯულის სწავლებას. აქ ისწავლებოდა: საეკლესიო ისტორია, ძველი და ახალი აღთქმა, საეკლესიო სლავური ენა და ლიტერატურა, სამოქალაქო ისტორია (როგორც რუსული, ასევე ზოგადი), არითმეტიკა-გეომეტრიის საფუძვლები, ფიზიკა, პედაგოგიკა და საეკლესიო ვალობა.

ყველა სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეს სასტიკად ეკრძალებოდა თეატრებსა და სხვა სანაზაობებზე სიარული, რადგანაც, მთავრობის აზრით, ეს არ შეეფერებოდა მათ მომავალ სამსახურს, მათ მომავალ მიზნებს.

სინოდის 1894 წლის სპეციალური წერილი აფრთხილებდა საქართველოს ეგზარქოსსა და სასულიერო სასწავლებლების ხელმძღვანელებს მკაცრი თვალყური დაეწესებინათ მოსწავლეებზე, რათა ახალგაზრდობის გატაცებას ახალი იდეებით მასობრივი ხასიათი არ მიეღო. სინოდი მოითხოვდა იმ კლასებისა და სასწავლებლების დაუყოვნებლივ დახურვასაც კი, რომელთა მოსწავლეები შემჩნეულნი იყვნენ საპროტესტო გამოსვლებში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. სასწავლებლის ხელმძღვანელებს, პედაგოგებს დროულად უნდა გამოეკლინებინათ ასეთი გამოსვლების ორგანიზატორები და დაუყოვნებლივ დაეთხოვათ ისინი სასწავლებლიდან.

მოსახლეობაში რელიგიური ცოდნის გავრცელებასა და განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა აგრეთვე საქართველოს საეგზარქოსოს პერიოდული გამოცემები, ჟურნალები: „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე“ (1891—1906), „მწყემსი“ (1883—1910), „სასულიერო მახარობელი“ და სხვა, რომლებიც გამოდიოდა საქართველოში ქართულ და რუსულ ენებზე დიდი ტირაჟით.

საეკლესიო ჟურნალების ფურცლებზე ქვეყნდებოდა მასალები და

<sup>124</sup> საქ. ცსიპ, ფ. 488, საქმე 25422, 1894, ფურც. 3.

წერილები, როგორც საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან, ასევე საქართველოს საეგზარქოსოს ცხოვრებიდან. ეურნალები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სასულიერო განათლების მდგომარეობას, სარწმუნოების განმტკიცებას, მრავალი წერილი მიმართული იყო მოსახლეობაში რევოლუციური ცოდნის გავრცელების წინააღმდეგ. ეურნალების რედაქტორები და გამომცემლები იყვნენ რელიგიურ-იდეალისტური მიმდინარეობის მოღვაწეები გ. ხელაძე, ი. სანებლიძე, დ. დამბაშიძე, ე. კაჭახიძე, ი. ფერაძე. აქვე მოღვაწეობდნენ მღვდელი ილურიძე, კარბელოვი, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს, მიუხედავად მათი რწმენისა, საქართველოში ისტორიული მეცნიერებისა და წყაროთმცოდნეობის განვითარების საქმეში.

თავისი რეაქციულობითა და ანტიქართული მიმართულებით გამოირჩეოდა „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე“, რომელიც გამოდიოდა თბილისის სასულიერო სემინარიასთან და რომლის რედაქტორებიც სხვადასხვა დროს იყვნენ უაღრესად ანტიქართულად განწყობილი სასულიერო პირები მრავალი რეაქციული მიმდინარეობებისა და ლონისძიებების სულისჩამდგმელნი და ორგანიზატორები: არქიმანდრიტი ტიხონი, ნიკოლოზი. სერაფიმი, გერგემონი, ნ. პროკოვსკი და რეაქციონერი ბერი ი. ვოსტორგოვი. აღნიშნულმა ეურნალმა XIX საუკუნის ბოლოს აქტიური ბრძოლა გააჩაღა ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცების, რევოლუციურ-მატერიალისტური მოძღვრებისა და თავისუფალმოაზროვნეთა წინააღმდეგ.

ასეთი ხასიათის იყო ის ლონისძიებები, რომლებიც გაატარა საქართველოს საეგზარქოსომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობიდან მოსახლეობის ჩამოცილების მიზნით.

როგორც ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, ამ ლონისძიებებმა ვერ შეასრულეს თავიანთი მისია. XIX ს. დასაწყისში მშრომელმა ხალხმა ისევ გააგრძელა და გააფართოვა ბრძოლა პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებისათვის.

მისამო თავი

რევოლუციური მოძრაობა საქართველოში და  
მართლმადიდებლური ეკლესია 1900—1917 წლებში

§ 1. ეკლესიის საწინააღმდეგო მოთხოვნები საქართველოს  
შრომალთა რევოლუციურ მოძრაობაში

ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში. რუსეთის პირველი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წლებში კი, რომელმაც „...საბოლოოდ დაასამარა პატრიარქალური რუსეთი, და ... გამოაღვიძა გლეხობის ფართო მასები ლეთარგიული ძილისაგან“<sup>1</sup>. ამ მოძრაობამ თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. გასულ საუკუნესთან შედარებით, ამ დროის ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის მიმდინარეობდა იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუციის წლებში, რომლის ერთ-ერთი ამოცანა იყო ბრძოლა სინდისის თავისუფლებისათვის, რის პირველ ნაბიჯადაც მიიჩნეოდა ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან და სკოლისას — ეკლესიისაგან<sup>2</sup>.

როდესაც ვიხილავდით ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობას XIX ს. მეორე ნახევარში, აღვნიშნავდით მისი გავრცელებისა და წარმატების ხელშემწყობ მიზეზებს. XX ს. დასაწყისში, კერძოდ 1905—1907 წლების რევოლუციის მიმდინარეობისას, ყველა ეს მიზეზი განაგრძობდა მოქმედებას, ხოლო ზოგიერთი მათგანის მნიშვნელობა უფრო გაძლიერდა და ამით მისი შეტევათი ძალაც გაიზარდა. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს პროლეტარიატის რიგების მდგრადი ზრდა და მისი აქტიური მონაწილეობა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მისი დიდი გამარეოლუციონერებელი გავლენა მოსახლეობის ყველა ფენაზე. ეხება, რა რევოლუციის წინა პერიოდის რუსეთის იმპერიის მოსახლეობას, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „გლეხები უმრავლესად წერა-კითხვის უცოდინარნი არიან, ცხოვ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 318.

<sup>2</sup> ფ. მახარაძე, 1905 წელი საქართველოში, თბ., 1933, გვ. 3.

რობენ აუტანელ ვაჭირვებაში, მემამულეებისაგან დაზარალებულნი, ხუცე-ბისაგან გაბრუებულნი, ერთიმეორისაგან განცალკევებულნი უზარმაზარი მანძილით და თითქმის სრული უგზოობით“<sup>3</sup>. XX ს. დასაწყისისათვის ეს მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა. რუსეთის იმპერიის უზარმაზარი ტერიტორია დაიფარა რკინისგზის ქსელით, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა დიდი სამრეწველო რაიონები და ცენტრები. ფაბრიკა-ქარხნების სწრაფმა ზრდამ დიდი რაოდენობის მუშახელი მოითხოვა, რაც ხელს უწყობდა ვალატაკებული გლეხობის ლტოლვას ქალაქისაკენ. სამრეწველო ქალაქების ირგვლივ იქმნებოდა მუშათა დასახლებები. თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმსა და მიხაილოვოში (ბაშურა) მოხდა მუშათა კონცენტრაცია. საქართველოს სოფლებიდან გამოსული მუშახელი შეადგენდა შავიზღვისპირა ქალაქების მუშათა ძირითად კონტიგენტს. ქართველ მუშებს შეხედებით ოდესაში, კონსტანტინოპოლსა და მრავალ სხვა ქალაქში. სამუშაოს ძებნით და ყოველდღიური ლუკმაპურის შოვნით დაკავებული მუშა ვეღარ პოულობს დროს, რომ სათანადო ზარკი გადაუხადოს ეკლესიასა და მღვდელს, დროულად შეასრულოს თავისი ქრისტიანული მოვალეობა. ისინი თავისდაუნებურად გამოდიან ეკლესიის ქვეშევრდომობიდან.

ქალაქად მოხვედრილი გლეხი, ახლა უკვე პროლეტარი, ეცნობა მუშათა მოძრაობის ანბანს, ისმენს სოციალ-დემოკრატი აგიტატორების საუბარს, კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს და ბოლოს თვითონ ზღედა რევოლუციური ბრძოლის აქტიური მონაწილე.

ასეთი მუშა, გუშინდელი გლეხი, რომელიც თვით ხალხიდან გამოვიდა, თვით ეკუთვნოდა ექსპლოატირებულთა რიცხვს. პეტერბურგიდან გადასახლებული, ის ძალიან ზშირად სოფელში ბრუნდებოდა და თავის სოფელელ ამხანაგებს უამბობდა იმ ხანძრის შესახებ, რომელიც ედებოდა ქალაქებს და რომელსაც უნდა გაენადგურებინა როგორც კაპიტალისტები, ისე თავადაზნაურები. რუსეთის სოფელში გამოჩნდა ახალი ტიპი — შეგნებული ახალგაზრდა გლეხი, მას „გაფიცულებთან“ ურთიერთობა ჰქონდა, კითხულობდა გაზეთებს, ის უყვებოდა გლეხებს ქალაქებში მომხდარ ამბებს, უხსნიდა სოფელელ ამხანაგებს პოლიტიკურ მოთხოვნათა მნიშვნელობას, ის მოუწოდებდა მათ ებრძოლათ მსხვილ მიწათმფლობელ თავადაზნაურთა, ხუცებისა და მოხელეთა წინააღმდეგ<sup>4</sup>. XX ს. დასაწყისში მუშათა კლასის რაოდენობრივი ზრდა ხელს უწყობდა მოსახლეობის ფართო მასებში რევოლუციური იდეოლოგიის სწრაფ გავრცელებას და, აქედან გამომდინარე, ანტიკლერიკალური შეხედულებების გავრცელებასაც. სწორედ ასეთი მუშის შესახებ წერდა ვ. ლენინი „თანამედროვე შეგნებული მუშა, მსხვილი საფაბრი-

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 23, გვ. 318—319,

<sup>4</sup> იქვე, გვ. 319—320.

კო მრეწველობის მიერ აღზრდილი, ქალაქის ცხოვრებით განათლებული, ზიზლით უკუაგდებს რელიგიურ ცრურწმენას; იგი ზეცას ხუცებისა და ბურჟუაზიული მუშმუშელების განკარგულებაში სტოვებს, ხოლო თვითონ უკეთესი ცხოვრების მოსაპოვებლად იბრძვის აქვე, დედამიწაზე<sup>5</sup>.

რევოლუციური აღმავლობის ხანაში, მოსახლეობაში ანტიკლერიკალური შეხედულებების გავრცელებას განსაკუთრებით უწყობდა ხელს ბოლშევიკური პრესა, რომელიც „რელიგიური ბანგისაგან“ მუშათა განთავისუფლებას პროლეტარიატის ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა. გამოდიოდა რა ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგ, ბოლშევიკების პარტია მშრომელებს მოუწოდებდა აქტიურად ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში სასულიერო წოდების წინააღმდეგაც, წაეყენებინათ მათთვის თავიანთი მოთხოვნები. ბოლშევიკების მიერ წამოყენებული წინადადებების საფუძველზე მოსახლეობა სამღვდელეობას უყენებდა მოთხოვნებს. ბოლშევიკები მოსახლეობას მოუწოდებდნენ, ებრძოლათ ყოველგვარი ბეგარის (მათ შორის საეკლესიო) წინააღმდეგ; გლახობას დაბრუნებოდა ის ფული, რომელიც მათ გადაიხადეს თავდახსნის დროს; მშრომელები მოითხოვდნენ ეკლესიამონასტრებისა და მეფის საგვარეულო კუთვნილი მამულების ჩამორთმევას.

ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში, „მუშათა პარტიის აგრარული პროგრამის გადასინჯვა“, განმარტავდა პარტიის მოთხოვნებს საეკლესიო და სამონასტრო მიწების ჩამორთმევის თაობაზე.

ეკლესიის საწინააღმდეგო პროპაგანდის გავლენით მშრომელთა ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობა უფრო მიზანდასახული და ორგანიზებული გახდა. მშრომელთა შორის საგრძნობლად დაეცა ქრისტიანული სარწმუნოების გავლენა. ეკლესიისა და რელიგიის საწინააღმდეგო პროპაგანდის სულისჩამდგმელები ძირითადად იყვნენ მუშები და მოსწავლეები, რომლებიც არსებული რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლებში მონაწილეობის გამო ვასახლებულნი იყვნენ საცხოვრებელ ადგილებში<sup>6</sup>.

საქართველოში ეკლესიის საწინააღმდეგო გამოსვლებმა ამ დროს ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ მას ყურადღება მიაქცია ლენინურმა „ისკრამ“. ვაზეთი დაწვრილებით აღწერს საქართველოს მშრომელთა მღელვარებას 1902 წელს, ხაზს უსვამს ამ გამოსვლების ანტირელიგიურ და ეკლესიის საწინააღმდეგო ხასიათს. კერძოდ, „ისკრა“ ეხება ქუთაისის გუბერნიის მშრომელთა გამოსვლებს 1902 წელს და გლახობა ყრილობებს, რომლებზედაც ისინი გადაწყვეტილებებს ლებულობდნენ,

<sup>5</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 84.

<sup>6</sup> ცხილ, ფ. 796, ანაწ. 185, საქ. 601, ფურც. 16.

არ გადაეხადათ სასულიერო პირთათვის აღათით დადგენილი გადასახადი.

გაზეთი მკითხველებს ამცნობს, რომ ამ დროს გლეხთა გამთავლებს იმერეთში სამოქალაქო ომის ხასიათი მიუღია. გამწარებულ ხალხს მოუკლავს რამდენიმე თავადი და ერთი მღვდელი. დაპატიმრებებს და მუქარას გლეხობა ვერ შეუძინებია. აჯანყებულებს ნაწილობრივ მიუღწევიათ წარმატებისათვის. ბევრი თავადი და სასულიერო პირი წასულა დათმობაზე. „ისკრის“ ცნობით, ამავე წლის ზაფხულში, ასეთივე გამოსკვლებს პქონია ადგილი მთელს იმერეთსა და გურიაში. აჯანყებული მშრომელები პროტესტს უცხადებენ სასულიერო პირებს. განსაკუთრებით ებრძოდნენ „იმპერატორის ტახტის ერთგულებს“, შავრაზმელ სამღვდლოებს. 1903 წელს დუშეთში გაგრძელდა ქართულ და რუსულ ენებზე შედგენილი ორი პროკლამაცია, რომელშიც მხილებული იყო მღვდელი გამრეკელის პროვოკატორული მოქმედება. პროკლამაციის ავტორები მშრომელებს მოუწოდებდნენ, უარი ეთქვათ საეკლესიო გადასახადებსა და ვალდებულებებზე, არ ევლით ეკლესიებში და სხვ. ამ შემთხვევაში მღვდელი პროკლამაციის ავტორად ასახელებს მიხეილ სპირიდონის ძე კობერიძეს, რომელიც სასულიერო სასწავლებლიდან დაუთხოვიათ 1902 წელს რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის<sup>9</sup>. ამბობებული მშრომელები მემამულეებისაგან მოითხოვდნენ მიწას, სასულიერო წოდებისაგან კი აღნაზღაურებელ სამსახურს. მშრომელები მღვდლებს უწოდებდნენ „ემშაქის მასხარებს“, „დედა ფუტკრებს“, რომლებიც ხალხს მძიმე ტვირთად აწვანან<sup>10</sup>.

1905—1907 წლის რევოლუციამ განსაკუთრებით ფართო და მწვავე ხასიათი მიიღო იმპერიის განაპირა ქვეყნებში, სადაც განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა თვითმპყრობელობის ანტიხალხური, კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა. საქართველოში შესამჩნევად გაიზარდა საზოგადოების ყველა ფენის პოლიტიკური აქტივობა, განსაკუთრებით კი მშრომელი ხალხისა, რომელიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში ხედავდა განთავისუფლების ერთადერთ გზას. ვ. ი. ლენინმა მოგვცა ამ პროცესის ამომწურავი დახასიათება. იგი წერდა: „პოლონეთსა და კავკასიაში მოძრაობა განსხვავდება უდიდესი შეუპოვრობით, იქ შედარებით უფრო ხშირად იყენებს მოსახლეობა იარაღსა და ყუმბარებს“<sup>11</sup>. აჯანყებულებმა, პოლიტიკური და ეკონომიკური მოთხოვნების გვერდით, კონკრეტული მოთხოვნები წაუყენეს ეკლესიასაც.

7 „ისკრა“, № 26. 1902, i

8 იქვე, № 43, 1903.

9 საქ. ცსა, ფ. 488, საქ. 22446, 1903, ფურც. 40—47.

10 საქ. ცსა, ფ. 488, საქ. 25522, 1905, ფურც. 70.

11 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 418.

იმერეთისა და გურია-სამეგრელოს სამრევლოებმა სოციალ-დემოკრატიების პროპაგანდის გავლენით 1905 წლის დასაწყისიდანვე უარი განაცხადეს დაეკმაყოფილებინათ სასულიერო პირების მოთხოვნები, რომლებსაც ისინი ითხოვდნენ ქრისტიანული წესების შესრულებებისათვის. ანალოგიურ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი ქართლსა და კახეთში<sup>12</sup>. 1906 წლის 16 ივნისს თბილისის რკინიგზის სახელოსნოს მუშებმა მღვდელს მოსთხოვეს წირვის შეწყვეტა და სხვ<sup>13</sup>.

1905 წლის 25 იანვარს მარტყოფის მცხოვრებლებმა მანიფესტაცია მოუწვევეს სოფლის ეკლესიის მღვდლებს ბეჟანოვს და თუშმალოვს. მათ წინადადება მისცეს, უარი ეთქვათ დრამის გადასახადზე. შეადგინეს სპეციალური ტექსტი და მღვდლები აიძულეს ხელი მოეწერათ<sup>14</sup>. ამავე წლის იანვარში საპროტესტო გამოსვლებს ჰქონდა ადგილი სოხუმის ეპისკოპოს არსენის წინააღმდეგ, რომელიც სოხუმელებმა საკრებულო ტაძარში არ შეუშვეს<sup>15</sup>. 1905 წელს ბაქოში 6 იანვარს არმიის ნაწილების წყლითკურთხევის დროს, პროტესტანტებმა ბაქოს პროტოიერ იუნიცის პირდაპირ თავზე გადააყარეს მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსის პროკლამაციები<sup>16</sup>. ცოტა მოგვიანებით, იგივე პროტოიერი ატყობინებს ეგზარქოსს, რომ აღდგომის დღეს (17 აპრილს) აღექსანდრე ნეველის ტაძარში, დილის წირვის დროს, ერთმა რევოლუციონერმა პროკლამაციები გაფანტა მლოცველებში და თან ხალხს მოუწოდა დაემხთ თვითმპყრობელობა<sup>17</sup>.

შავრაზმელი მღვდლის წინააღმდეგ გამოვიდნენ ქ. ფოთის კათედრალურ ტაძარში მოწოდებით, „ძირს თვითმპყრობელობა“. ამავე დროს ამხელდნენ ეკლესიის მსახურთა ჯამუშურ საქმიანობას. როგორც შემდეგ გამოიჩვენა, დეკანოზი ლიტოვი ჯამუშურ საქმიანობას ეწეოდა იგი სისტემატურად ატყობინებდა სათანადო ორგანოებს მშრომელთა გამოსვლების შესახებ.

1905 წლის 14 იანვარს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა განიხილა იმპერიაში მშრომელთა მოძრაობის საკითხი და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება, რომელიც სახელმძღვანელოდ გადაეგზავნა ყველა ეპარქიას, მათ შორის საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასაც. სინოდალურმა კანტორამ სინოდის ამ გადაწყვეტილებას სათანადო სხდომა მიუძღვნა, რომელზედაც აღინიშნა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, საქართველოს საეგზარქოსოში არსებული რევი-

12 საქ. ცსია, ფ. 488, საქ. 22481, 1905, ფურც. 1.

13 ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 186, საქ. 601, 1905, ფურც. 16.

14 იქვე.

15 იქვე, ფურც. 15.

16 საქ. ცსა, ფ. 488, საქ. 25522, 1905, ფურც. 33.

17 იქვე.



მისა და ეკლესიის საწინააღმდეგო პროპაგანდის გამო, საეკლესიო და საზოგადო ცხოვრება ძალზე აიძვრა, ეგზარქოსის აზრით, ამის მიზეზია სოციალ-დემოკრატიული და ნაციონალურ-სეპარატული ორგანიზაციების გაძლიერება, რომლებმაც თავიანთი საქმიანობა ძირითადად გაშალეს მუშათა კონცენტრაციის რაიონებში. კერძოდ: ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და ამიერკავკასიის სარკინიგზო კვანძებში: მიხაილოვოში (დღევანდელი ხაშური), სამტრედიოში, ახალსენაკში, ოზურგეთის მახრასა და ქ. ერევანში სომეხ მოსახლეობას შორის. აქვე აღნიშნული იყო, რომ არსებული რეჟიმისა და ეკლესიის საწინააღმდეგო პროპაგანდა განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთ-იაპონიის ომის წლებში<sup>18</sup>.

1905—1907 წლების რევოლუციის წლებში საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო მშრომელთა მოძრაობამ საეკლესიო გადასახადების გაუქმებისა ან მისი საგრძნობლად შემცირებისათვის. მშრომელები, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობა, გააფთრებით იბრძოდა დრამის გადასახადის გაუქმებისათვის. მეფის ნაცვალი, ვორონცოვ-დაშკოვი, აღნიშნავდა, რომ მოსახლეობა უარს ამბობს დრამისა და სხვა საეკლესიო გადასახადების გადახდაზე იმ მოტივით, რომ სამღვდლოება სახელმწიფოსაგან იღებს ხელფასს და საერთოდ ეკლესია უნდა შეინახოს მან, ვისაც ის ესაჭიროებათ. მოსახლეობა უარს ამბობს ეკლესია-მონასტრების მოვლასა და დაცვაზე, რასაც მათ უკანასკნელ წლებში ავალებდა სასულიერო და საერო ხელისუფლება. ისინი მოითხოვდნენ, ეკლესია-მონასტრების დაცვაში მონაწილეობა მიეღო ადგილობრივ აზნაურებსაც. გახშირდა შემთხვევები, როდესაც მრევლი თვითნებურად ეუფლებოდა საეკლესიო ქონებას, ჰყიდდა საანთლებს, სამღვდლოებას ართმევდა ბურსა და ღვინოს, ცეცხლს უკიდებდა მათ ქონებას.

როგორც XIX ს. ბოლოს, ახლაც ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი სამღვდლოებისადმი ეკონომიკურ ბოიკოტს უჭირავს. მშრომელები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწყვენ სამღვდლოებას, რომელიც მოსახლეობიდან ითხოვს გაცილებით მეტს, ვიდრე ეს მას ეკუთვნის. სასულიერო წოდების ასეთი მოქმედება მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. ყოველდღიურად იზრდებოდა მათი რიცხვი, ვინც საერთოდ უარს ამბობდა ყოველგვარი საეკლესიო გადასახადის გადახდაზე<sup>19</sup>.

მოსახლეობის უკმაყოფილებას განსაკუთრებით ზრდიდა თვით სამღვდლოების თავგასული და ყოველად უკანონო მოქმედება, თინეთის მაზრის უფროსის მიერ შედგენილ ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ხშირად მიხდებოდა გამერჩია მხარეთა საჩივრები, გაუგებ-

<sup>18</sup> ცსილ. ფ. 796, ანაწ. 186, საქ. 601, 1905, ფურც. 15.

<sup>19</sup> საქ. ცსა, ფონდი 488, საქმე 26383, 1905, ფურც. 5.

რობანი. გამერჩია უცნაური და ველური ფაქტები. მღვდელს უნდოდა დათქმულ თანხაზე მეტი აეღო ჯვრისწერისათვის (ერთ შემთხვევაში მაგ., 10 მანეთი), ამიტომ შეუდგა რა ჯვრისწერის შესრულებას, შეწყვიტა იგი და კიდევ თხუთმეტი მანეთი მოსთხოვა უხერხულ მღვდობარობაში ჩაყენებულ ახალ დაქორწინებულთ და საბტად დარჩენილ ხალხს, და დაამთავრა ჯვრის წერის წესი. სოფ. სვიმონიანთ ხევის (მცხოვრებ) გლეხ ქალს ქმარშვილი დაეხოცა. მარტოდ დარჩენილმა მღვდელს სამარხის ფულად მისცა 17 მანეთი, ორი თუნგი (10 ბოთლი) ღვინო, ორი ცხვარი და ორ კოდი პური, ე. ი. დაახლოებით 35 მანეთი, მაგრამ მღვდელი მაინც უკმაყოფილო დარჩა და სამი მანეთის სარჩიელი წარმოადგინა სოფლის სასამართლოში<sup>20</sup>. მთავარმართებლის მოვალეობის აღმსრულებელი კავკასიაში, გენერალ-ლეიტენანტი მალაშა, თავის საიდუმლო წერილში ეგზარქოსს ატყობინებდა ეკლესიის და სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლის შემთხვევებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მთელ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი გურია-სამეგრელოსა და იმერეთში. ეკლესიის და ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებმა აფხაზეთში ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ ეპისკოპოსი არსენი იძულებული გახდა კათედრა მიეტოვებინა და ნოვოროსისისკში გაქცეულიყო<sup>21</sup>. მასზე ადრე სოხუმი მიატოვეს სხვა საერო და სასულიერო პირებმაც.

მე-20 ს. დასაწყისში ეკლესიის მსახურთა შორის საგრძნობლად გავრცელდა მეჭრთამეობა. ხშირად მაღალი თანამდებობის სასულიერო პირის მოჭრთამვით საეკლესიო თანამდებობებს იკავებდნენ ისეთი პირები, რომლებსაც ეკლესიასთან საერთო არაფერი ჰქონდათ. ასეთ საქმეებში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს საეგზარქოსოს თანამშრომლები<sup>22</sup>. ბევრმა მღვდელმა თავის შემოსავლის წყაროდ ვაჭრობა გაიხადა. საკუთარ სახლში ხსნიდნენ სამიკიტნოებს, ვაჭრობდნენ ღვინით, არყით<sup>23</sup> და სხვ. ჟურნალი „მოგზაური“ 1905 წელს ატყობინებდა თავის მკითხველებს, რომ სინოდალური კანტორის ხაზინადარს გაუფლანგია 207 ათასი მანეთი<sup>24</sup>. ცენზურის სიმკაცრის მიუხედავად, ასეთი ცნობები ხშირად ნახულობდნენ მზის სინათლეს, სასულიერო ჟურნალების ფურცლებზედაც კი.

ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობა მე-20 ს. დასაწყისში თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. წინა პერიოდისაგან განსხვავებით, გლეხობა იწვევდა სასოფლო „ყრილობებს“, რომელზედაც ისინი სასუ-

20 „მებრძოლი ათვისტი“, № 5. 1940, გვ. 10. აგრეთვე, გ. ხაჭაპურიძე, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., გვ. 18.

21 საქ. ცსა, ფონდი 488, საქმე 25522, 1905, ფურც. 32—33.

22 იქვე. საქმე 25521. 1905, ფურც. 18.

23 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 22447, 1905, ფურც. 41—42.

24 „მოგზაური“, 1905, № 33, გვ. 518.

ლიერო პირებს უყენებდნენ თავიანთ მოთხოვნებს, უწესებდნენ ნიხრს ამა თუ იმ ქრისტიანული წესის შესრულებისათვის. იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსები, ლეონიდე და დიმიტრი, 1905 წელს ატყობინებდნენ ეგზარქოსს, რომ მათდამი დაქვემდებარებული მრევლი სოციალ-დემოკრატების პარტიის აგიტატორების გავლენით უარს ამბობს დააკმაყოფილოს სასულიერო წოდების მოთხოვნები, რომელიც მათ ერგებოდათ ქრისტიანული წესების შესრულებისათვის. ანალოგიურ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი ქართლსა და კახეთშიც<sup>25</sup>.

იმ სასულიერო პირებს, რომლებიც არ დაემორჩილებოდნენ „ყრილობის“ გადაწყვეტილებას, გლეხობა მკაცრად უსწორდებოდა. გლენთა ერთ-ერთი ასეთი ყრილობის შესახებ მღვდელმა ერისტოვმა აცნობა მაზრის უფროსს. მოსახლეობის გულისწყრომას სამღვდლოები-სადმი კიდევ უფრო აღვივებდა ეკლესიის მსახურთა მიერ ახალი საეკლესიო გადასახადების დაწესების სურვილი. სენაკის მაზრის სოფელ შხეფის გლეხებმა უჩივლეს ილორის ეკლესიის მღვდელს სიმონ ჩიჭობავას, რომელმაც ახალი გადასახადები შემოიღო. ავი სულების დაწყევისათვის 1—2 მანეთი, ფიცის დადებისათვის თითოეული კაცი-დან 50 კაპიკი და სხვ. სალოცავად მოსული გლეხები ისე ვერ შევიდოდნენ ეკლესიაში, თუ წინასწარ არ გადაიხდიდნენ 20—25 კაპიკს. ილორის ეკლესიის მღვდლები მლოცველებს ურიგებდნენ აბრეშუმის ბაფთებს ვითომდა წმინდა გიორგის ტანსაცმლის ნაწილს, რაშიც კიდევ ახდევინებდნენ 20—25 კაპიკს<sup>26</sup>. აქვე ლაპარაკია იმ ყალთაბანობაზე, რომელიც ხდებოდა ამავე ეკლესიაში „სტაროსტიკის“ არჩევის დროს. თუ ამ თანამდებობით დაინტერესებული პირი გავლენიან მოხელეს მისცემდა 40—50 ან ზოგიერთ შემთხვევაში 100 მანეთსაც, ის არჩეული იქნებოდა ამ თანამდებობაზე<sup>27</sup>.

ეკლესიის მსახურები შემფოთებულნი აღნიშნავდნენ, რომ ხალხში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში, რწმენა ღმერთისადმი თანდათან სუსტდებოდა. მორწმუნეები ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ სარწმუნოებისა და ეკლესიისადმი. არ ნათლავდნენ ან ძალზე აგვიანებდნენ ახალშობილთა მონათვლას. ძლიერ იკლო შემოსავალმა შეწირულები-

25 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 22481, 1905, ფურც. 1.

26 ეკლესიაში შესვლისათვის გადასახადი დღესაც არსებობს ილორში. ეკლესიის კართან ხეზე მიმაგრებულია ყულაბა, რომელთანაც მუდმივად დგას ეკლესიის კრებულის რომელიმე წევრი. მლოცველი ეკლესიაში ვერ შევა თუ შესაწირად მიყვანილი ცხოველის ან ფრინველის მსახურისათვის გადაცემის შემდეგ ყულაბაში ფულს არ ჩაავდებს. გადასახადი, რომელიც საუკუნის დასაწყისში შემოიღეს, ახლაც კანონად არის ქცეული.

27 აფხაზეთის ცსია ფონდი I, საქ. 3917, 1906, ფურც. 3—5. აფხაზეთის არქივში დატული მასალები მოგვაწოდა მუზეუმის ასპირანტმა გ. ჩიგოვჩიძემ.

საგან<sup>28</sup>. იმერეთის მოსახლეობა იშვიათად დადის ეკლესიაში და მხოლოდ კანონისა და პასუხისმგებლობის შიშით იწერენ ჭვარს და ნათლავენ ბავშვებს<sup>29</sup>, გვამცნობს ერთ-ერთი საბუთი.

ზოგიერთი სასულიერო პირის აზრით, საკმარისი იყო ამოღებულიყო სახელმწიფო კანონთა კრებულიდან მუხლი, რომელიც ადმინისტრაციული და სისხლის სამართლით სდევნიდა ურწმუნოებას, რომ საზოგადოების უმეტესობა ეკლესიის გარეშე აღმოჩნდებოდა<sup>30</sup>. ეს უარე გლახს კიდევ სწამდა, რომ ეკლესია ცდილობდა მისი ინტერესების დაცვას, ახლა ეს ილუზიაც გაუქრა. რაც დრო გადიოდა მშრომელები უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ ეკლესიისა და თვითმპყრობელობის მიზნების ერთიანობაში. მთავრობისა და ეკლესიის ეს კავშირი რელიეფურად გამომკლავნდა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, როდესაც ქრისტიანულმა ეკლესიამ უყოყმანოდ დაიკავა თვითმპყრობელობის მხარე და ჩაება მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომაც, მშრომელთა მოსახლეობის პროტესტი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ითვალისწინებდა ბრძოლას ეკლესიის წინააღმდეგაც. რევოლუციის წლებში მშრომელი გლეხობა ერთხმად გამოდიოდა ეკლესიისა და მისი მსახურების წინააღმდეგ. არ გვინდა ბიუროკრატიული ეკლესია, მისი სამღვდლოება, „სამღვდლოება და ეკლესია იმან შეინახოს ვისაც სურს, ვისაც ის სჭირდება“<sup>31</sup> — აცხადებდნენ ამოხებულიები. გახშირდა შემთხვევები მიცვალებულის დაკრძალვისა ქრისტიანული წესების შეუსრულებლად. ხშირად მიცვალებულს ასაფლავებდნენ მღვდლის გარეშე. საეკლესიო საგალობლების მაგივრად ასრულებდნენ რევოლუციურ სიმღერებს და სხვ. მაგ., ვინმე ხაბაზი გრძელიძის დაკრძალვას თბილისში რვაათასი კაცი დაესწრო. კუბო მორთული იყო წითელი მატერიებით და ყვავილებით, დარღვეული იყო ქრისტიანულად დაკრძალვის წესი<sup>32</sup>.

სოხუმის ეპისკოპოსთან ვაგზავნილ მოხსენებით ბარათში გუდაუთის მღვდელი უჩივის მრევლის გულგრილ დამოკიდებულებას ღვთისმსახურებისადმი და აღნიშნავს, რომ ეკლესიები ყოველ კვირა დღეებში ცარიელია. ცარიელია არა მარტო აფხაზეთის მრევლის ეკლესიები, არამედ რუსული, მრავალრიცხოვანი მრევლის ეკლესიებიცო.

1905—1907 წლების რევოლუციის წლებში მშრომელთა ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობაზე, მის ხასიათსა და მიმართულებაზე,

28 ცსილ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 2835, 1908, ფ. 15.  
29 იქვე, გვ. 13.  
30 «Духовной вестник грузинского экзархата», 1906, № 3, с. 4—11.  
31 საქ. საეგზ. სას. მოამბე, 1906, № 3, გვ. 4—11.  
32 საქ. ცსა ფ. 488, საქმე 22709, 1908, ფურც. 4—5.

სრულ წარმოდგენას გვიქმნიან მოთხოვნები, რომლებსაც აჯანყებულნი უყენებდნენ, როგორც მთავრობას, ასევე სამღვდლოებს<sup>33</sup>.

მოთხოვნებში ხაზგასმითაა აღნიშნული ქრისტიანული ეკლესიის ექსპლოატორული ბუნება. სამღვდლოება დახასიათებულია, როგორც მშრომელი მასების უმოწყალო მძარცველი. გლეხობა უარს ამბობს სამღვდლოების რჩენაზე. მის სასარგებლოდ გადასახადების გაღებასა და სხვა ვალდებულებების შესრულებაზე<sup>34</sup>.

გლეხობა სასოფლო ყრილობაზე მოითხოვს სამღვდლოების ჩამოცილებას სწავლა-განათლების საქმიდან. კრებებზე მღვდლებს ახასიათებენ, როგორც მშრომელთა გონების დამბნელებლებს, რომლებიც მარტო ეკლესიით არ კმაყოფილდებოდნენ და „სკოლების საშუალებით უბნელებენ გონებას საბრალო ბავშვებს, რათა პატარაობიდანვე ჩაენერგათ მათთვის გულის სიღრმეში შორჩილება და მონობა“<sup>35</sup>. გლეხობა მოითხოვს, მღვდლებს ჩამოართვან სკოლების გახსნის უფლება და საერთოდ განდევნონ ისინი სკოლებიდან. სოფელ ნორიოს მცხოვრებთა ყრილობამ, რომელსაც 3000 კაცი ესწრებოდა, მოითხოვა საყოველთაო-სავალდებულო სწავლება ახალი მეთოდების შემოღებით და ენის თავისუფლება<sup>36</sup>. წინანდლის საზოგადოების ყრილობამ მოითხოვა ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოდან და სკოლისა ეკლესიიდან<sup>37</sup>. სოფელ ნანეიშვილის მშრომელთა ყრილობამ ერთმანდ მიიღო მოთხოვნა სინდისის თავისუფლების შესახებ. სოფელ ნიგოეთის კრებამ კი მოითხოვა სამღვდლოების გაძევება სამონასტრო სკოლებიდან<sup>38</sup>.

1903 წელს პარტიის მე-2 ყრილობის მიერ მიღებულ რევოლუციურ ადნიშნული იყო, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა ავალებს ყოველ პარტიულ ორგანიზაციას: ა) „ხალხის ყველა ფენაში გასწიონ პროპაგანდა, რომ სოციალ-დემოკრატია თავის ამოცანად ისახავს უალრესად ენერგიულად დაუჭიროს მხარი გლეხობის რევოლუციურ ღონისძიებებს, რომელთაც შეუძლიათ გააუმჯობესონ მისი მღვდმარეობა, მემამულეთა, სახაზინო, საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მიწების თვით კონფისკაციამდე“. სოციალ-დემოკრატია ამავდროულად საკითხზე გაამახვილა ყურადღება 1905 წლის ტამერფორსის კონფერენციაზე. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ პარტია მხარს უჭერს გლეხობის რევოლუციურ ღონისძიებებს.

33 აქ მოტანილი საბუთების ერთი ნაწილი გამოქვეყნებული აქვთ თავიანთ ნაშრომებში ა. კიკოძეს, ბ. ლომინაძესა და გ. პარკაძეს.

34 „ენობის ფურცელი“, 1905, № 2765.

35 „მოგზაური“, 1905, № 23, ფურც. 361.

36 იქვე. 1905, № 4.

37 „ენობის ფურცელი“, 1905, № 10, 2765.

38 „მოგზაური“, 1905, № 10, გვ. 152.

ნისძიებებს საეკლესიო და სამონასტრო მიწების ჩამორთმევაში<sup>39</sup>.

1905—1907 წლების რევოლუციური მოძრაობის დროს, გლეხობის მიერ წამოყენებული წინადადებები ძირითადად ემთხვევიან სოციალ-დემოკრატების მოთხოვნებს. ყრილობებზე გლეხობა ერთხმად მოითხოვს საეკლესიო-სამონასტრო მიწების კონფისკაციას და მის უსასყიდლოდ გადაცემას მათ სარგებლობაში. ასეთი მოთხოვნები წამოაყენეს ჭობორტის, გურამიაანთ კარის და კოთლების საზოგადოებების კრებებმა, რომლებმაც დაადგინეს საეკლესიო-სამონასტრო და სახელმწიფო მიწების გადაცემა სოფლის საკუთრებაში<sup>40</sup>. ასეთივე მოთხოვნები წამოაყენეს თავიანთ კრებებზე სოფ. ნანეიშვილის, ქვემო ზოდაშნის და ბუშეთის მშრომელთა ყრილობებმა<sup>41</sup>. საეკლესიო-სამონასტრო და საუფლისწულო მამულების ჩამორთმევა წამოაყენა აგრეთვე სოფ. ჯვარცმის საზოგადოებამ<sup>42</sup>. სოფ. დირბის მოსახლეობამ უცხოელ ბერებს, რომლებსაც აქ თავისი მონასტერი ჰქონდათ, პური და ღვინო მოსთხოვა. სამღვდელოების ბოიკოტის მაგალითს წარმოადგენს სოფ. ცხრა მუხის წმ. ნინოს ეკლესიის მრევლის მოქმედება, რომელმაც 1905 წლის 4 დეკემბერს ხელთ იგდო ეკლესიის მამული და ფული, რაც გლეხებმა თავიანთი შეხედულებისამებრ დახარჯეს<sup>43</sup>.

გლეხობის მოთხოვნები, რომლებსაც ისინი აყენებდნენ რევოლუციის წლებში, ძირითადად განსხვავდება იმ წინადადებებისაგან, რომელსაც აყენებდნენ ისინი მე-19 საუკუნის მიწურულში. მშრომელი მოსახლეობა ახლა გაბედულად და ორგანიზებულად გამოდის როგორც მთავრობის, ასევე სამღვდელოების წინააღმდეგ და უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებასაც აღწევს. სასულიერო პირები იძულებულნი არიან დათმობაზე წავიდნენ. გლეხთა ამ დროის მოთხოვნები ძირითადად ემთხვეოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის მოთხოვნებს, რომელიც მიზნად ისახავდა მეფის თვითმპყრობელობის დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებას, რომელსაც უნდა უზრუნველყო ხალხის მმართველობა; სინდისის, სიტყვისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან და სკოლისა ეკლესიიდან; ეროვნებათა თანასწორობა განურჩევლად სქესისა, რელიგიისა, რასისა და ნაციონალობისა<sup>44</sup>.

39 სკვ ყრილობების კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, გამოც. VII, გვ. 122—123.

40 „მოგზაური“, 1905, № 19, გვ. 234.

41 იქვე, № 13, გვ. 333.

42 იქვე, № 10, გვ. 143.

43 გ. პარკაძე, მასალები ქართლის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ. თბ., 1964, გვ. 96—99.

44 Из программы РСДРП (1905 г.). В сборнике. — Коммунистическая партия и Советское правительство о религии и церкви. М., 1961, с. 10—11.

1905-1907 წლების რევოლუციამ საბოლოოდ შეარყია თვითმპყრობელობის ავტორიტეტი. მშრომელებმა თვალნათლივ დაინახეს და დარწმუნდნენ, თუ ვინ იყო მათი მტერი და ვინ მოყვარე: შემდეგ ბერიოდში მთავრობამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებებისა იმპერიაში რევოლუციის წინანდელი მდგომარეობის აღსადგენად, მაგრამ უშედეგოდ. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, მშრომელთა მასებმა დაიწყეს რეაქციის მიერ მიყენებული ჭრილობების მოშუშება და შეუდგნენ თავიანთი რიგების განმტკიცებას, რათა ახალი დარტყმა მიყენებინათ ცარიზმისათვის. როგორც აღრე, რეაქციის წლებშიც, ქრისტიანული ეკლესია ერთგულად იდგა თვითმპყრობელობის სადარაჯოზე.

რეაქციის წლებშიც არ შენელებულა ეკლესიის წინააღმდეგ გამოსვლები. შესამჩნევად ვართულდა ურთიერთობა მღვდელსა და მრევლს შორის<sup>45</sup>. როგორც წინა წლებში, ეკლესიები ახლაც ნახევრად ცარიელი იყო. ახლა ნაკლებად თუ ვინმე იცავდა მარხვას, ზიარებას კი მოსახლეობის მცირე ნაწილი იღებდა. მაგ., ამ დროისათვის ოზურგეთის მაზრაში ზიარებას მოსახლეობის მხოლოდ 15% იღებდა. მოსახლეობა მღვდელს მხოლოდ ქორწილისა და სიკვდილის შემთხვევაში თუ მიმართავდა, ისიც იშვიათად<sup>46</sup>.

სასულიერო ხელისუფალთა მცდელობის მიუხედავად, სამღვდლოების ავტორიტეტი მშრომელ მოსახლეობაში დღითიდღე ეცემოდა და ყოველივე ცდა მის აღსადგენად დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. სიღნაღის საბლადოჩინოს, სოფ. ზირსის წმიდა სტეფანეს ეკლესიის მრევლის 16 სოფელი, სულ 800 კომლის რაოდენობით, მთელი ერთი წლის განმავლობაში აღარ უხდიდა გადასახადს მონასტრის წინამძღვარს<sup>47</sup>. გახშირდა შემთხვევები საეკლესიო მამულების მითვისებისა. 1916 წელს იკორთის ეკლესიის მღვდელი ვლადიმერ უნაფქოვი (უნაფქოშვილი) უჩივის სოფელ ფლავისმანის მცხოვრებლებს, რომლებმაც მითვისეს იკორთის მთავარანგელოზის მონასტრის მიწები და ვენახები. გლეხები აღრე ამ მიწების შემოსავლიდან მონასტერს უხდიდნენ ხუთ კოკა ღვინოს, ახლა კი ამაზეც უარი განაცხადეს<sup>48</sup>.

ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობის ზრდის შესაჩერებლად საეგზარქოსოს ყველა სასულიერო პირს, განსაკუთრებით კი სამრევლოს მღვდელს, დაევალოთ მოსახლეობაში სათანადო განმარტებითი მუშაობის გატარება<sup>49</sup>, მაგრამ ასეთმა ღონისძიებებმა მთავრობისათვის სასურველი შედეგი არ გამოიღო.

45 ცხილ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 2205, 1905, ფურც. 15.

46 იქვე. საქმე 2272, 1908, ფურც. 9—10.

47 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 22867, 1912, ფურც. 1—3.

48 საქ. ცსა, ფ. 489, საქმე, 58958, 1916, ფურც. 17.

49 იქვე. ფ. 59409, 1916, ფურც. 1.

მოსახლეობა გაბედულად გამოთქვამდა ეჭვს ღმერთის ძლიერებაზე და საჯაროდ უარყოფდა მის არსებობას. 1910 წელს თბილისის საოლქო სასამართლომ გააჩნია ახალქალაქის მაზრის სოფელ კარტიკაშის მცხოვრები სტეფანე ივანეს ძე ელიზბაროვის საქმე, რომელმაც საზოგადოებაში საჯაროდ უარყო აღსარება შემდეგი სიტყვებით: „მიწა უნდა დაეყაროს თავზე იმ კაცს, რომელმაც სწამს ის, რომ მღვდელთან აღსარების შემდეგ მე მოვხვდები სამოთხეში“<sup>50</sup>. ამავ სასამართლომ 1910 წელს გასამართლა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ კრიდის მცხოვრები სოფრომ ვლადიმერის ძე შიქაძე, რომელმაც 1910 წლის 17 აპრილს დაბა სურამში, საჯაროდ, მღვდლისა და უცხო პირთა თანდასწრებით დაბედა და შეურაცხყოფა მიაყენა წმინდა ჯვარსა და წმინდა წერილს<sup>51</sup>. ეკლესიის შემოსავალმა იკლო, მათ უმეტესობას არ გააჩნდათ სათანადო თანხები მიმდინარე შეკეთების ჩასატარებლად<sup>52</sup>. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ რუსეთის ერთ-ერთი მღვდლის სიტყვები, რომელიც ვ. ი. ლენინს მოტანილი აქვს თავის ნაშრომში „რა ხდება ნაროდნიკობაში და რა ხდება სოფლად“ — „მლიქვნელობა და ლაჩრობა“ — ამბობს კრიუკოვის ხუცესი რუსეთის სამღვდლოების შესახებ — „ეს მუდამ იყო!... მაგრამ განსხვავება ის არის, რომ არასოდეს არ ყოფილა ისეთი შემადარწუნებლად გულდამშვიდებული, მღუმარე ჩამოშორება ეკლესიისაგან, როგორც ახლანა. ეკლესიაში თითქოს ვაქრა სიცოცხლის სული. ვიმეორებ: მართო ინტელიგენცია კი არ წასულა, — ხალხი წავიდა... ეს უნდა ვალიაროთ, — მე ხომ ორ წელიწადს სოფლის მღვდელი ვიყავი“<sup>53</sup>.

ასეთი სახით წარმოგვიდგება საქართველოს მშრომელების რელიგიურ-სარწმუნოებრივი მდგომარეობა მე-20 ს. დასაწყისში და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში. როგორც ვხედავთ, ქრისტიანული ეკლესიის ყველა ღონისძიება, მოეხდინა მობილიზაცია და დაერაზმა ისინი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, ფუჭი გამოდგა. რეაქციული ძალების ყოველი ცდა ამ მხრივ მშრომელთა დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

## § 2. საპარტიულოს საეკლესიო რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ

მე-20 ს. დასაწყისში დასავლეთ ევროპის ქვეყნები სამრწველო კრიზისმა მოიცვა. კრიზისი გავრცელდა რუსეთის იმპერიაშიც. სადაც 3000-მდე საწარმო დაიხურა. ათასობით მუშა დარჩა საქმის გარეშე და

50 იქვე. ფონდი 113, ანაწ. I, საქმე 3555, 1910, ფურც. 1—2.

51 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 3654, 1910, ფურც. 1—2.

52 ცსილ, ფ. 796, ანწ. 442, საქ. 2449, 1910, ფურც. 5.

53 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 18, გვ. 676.



ულუქმაპუროდ. კრიზისი მალე მოედო იმპერიის განაპირა გუბერნიებ-საც. საქართველოს სამრეწველო ცენტრებში: თბილისში, ქუთაისში, ქიათურასა და ბათუმში დაიხურა მრავალი საწარმო და მუშების ისე-დაც მძიმე მდგომარეობა ახლა უფრო გაუარესდა. საწარმოთ კრიზის-მა, ათასობით მუშის დათხოვნამ წარმოებიდან, მძლავრი ბიძგი მისცა მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობას. დაიწყო საქართველოს მშრო-მელთა საპროტესტო გამოსვლები, რომელიც სულ მალე ქუჩის დემონ-სტრაციებსა და შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. მშრომლები მოითხოვდნენ ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების გაუმჯობე-სება-გაფართოებას.

მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ თვითმპყრო-ბელობამ ბრძოლაში ჩააბა დამსჯელი ორგანოები. მიმართავდა ჯარის ნაწილების, პოლიციის, პროვოკატორებისა და ჯაშუშების სამსახურს. რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავრობა ფარ-თოდ იყენებდა აგრეთვე ქრისტიანული ეკლესიის შესაძლებლობებს.

თვითმპყრობელურ სახელმწიფოში ეკლესიის ყოველი ნაბიჯი გან-პირობებულია მთავრობის მიერ წარმართული პოლიტიკით და ყო-ველთვის პასუხობს გაბატონებული კლასების ინტერესებს. თავისი საქ-მიანობით ეკლესია ხელს უწყობს მთავრობის ამა თუ იმ ღონისძიებე-ბის გატარებას, უმზადებს საფუძველს მის წარმატებას. მთავრობისა და ეკლესიის ასეთი ურთიერთობა ყოველთვის შესამჩნევი იყო, მაგრამ ეს კავშირი განსაკუთრებით გაძლიერდა და განმტკიცდა მათ ერთობლივ საქმიანობაში რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, როდესაც ეკ-ლესიამ მშრომელთა გაბრუება და მათი რევოლუციური ბრძოლის გზი-დან აცდენა იკისრა.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით ეკლესიის ეს ბრძო-ლა პრაქტიკულ ხასიათს ატარებდა. ვ. ი. ლენინის გამოთქმით, „ამ ეტაპ-ზე ყველა და ყოველგვარ რელიგიურ ორგანიზაციას მარქსიზმი ყოველ-თვის განიხილავს, როგორც ბურჟუაზიული რეაქციის ორგანოებს, რომ-ლებიც ექსპლოატაციის დაცვასა და მუშათა კლასის გაბრუებას ემსა-ხურებიან“<sup>54</sup>. შექმნილ ვითარებაში სასულიერო წოდება ცდილობს გა-მოიყენოს თავისი მდგომარეობა, რაც შეიძლება ახლოს მივიდეს ხალ-ხთან და გაიყოლოს ის თავის მხარეზე. რუსეთის იმპერიაში ეკლესიის რევოლუციის საწინააღმდეგო საქმიანობას წარმართავდა სრულიად რუსეთის უწმინდესი სინოდი ობერპროკურორის მესვეურობით. რო-გორც რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის წლებში, ასევე მისი მიმ-დინარეობის დროს სინოდი ხშირად იხილავდა მშრომელთა რევოლუ-ციური მოძრაობის საკითხებს და სახავდა სხვადასხვა ღონისძიებებს.

რევოლუციის აღმავლობის წლებში სასულიერო წოდების მთელი

<sup>54</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 493.

საქმიანობა მიმართული იყო კლასობრივი წინააღმდეგობის შენელების, არსებული პოლიტიკური წყობილებისა და კანონების დაცვის აუცილებლობისაკენ. ამ მიზნით იბეჭდებოდა და მოსახლეობაში ვრცელდებოდა რელიგიურ-მონარქისტული შინაარსის ათასობით ფურცელი და ბროშურა, რომლებშიც სასულიერო პირები „მტრის სიყვარულს და ღმერთის წინაშე თანასწორობას ქადაგებდნენ“<sup>55</sup>.

ეკლესია ცდილობდა მშრომელები დაერწმუნებინა მეფის ხელისუფლების არსებობის აუცილებლობასა და დაწესებული კანონების შესრულებაში. სასულიერო პირები მოსახლეობას განუმარტავდნენ, რომ თუ არ იქნებოდა ისეთი მთავრობა, რომელიც კანონის შესრულებასა და მის დაცვაზე იზრუნებდა, ყველაფერი დაიღუპებოდა. კანონი მშრომელებისაგან მოითხოვდა დაკმაყოფილებულიყვნენ არსებულით და არ შეხებოდნენ სხვის ქონებას.

არსებული პოლიტიკური რეჟიმისა და იმპერატორის ავტორიტეტის განმტკიცებას მოსახლეობის თვალში ემსახურებოდა სინოდის 1903 წლის 19 თებერვლის დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა 1861 წლის საგლეხო რეფორმის სადღესასწაულოდ აღნიშვნას. სინოდის მითითებით, ეს დღე, როდესაც იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შესახებ, ყველა ეკლესიაში ზეიმით უნდა აღენიშნათ. ეკლესიას თვითმპყრობელობის ეს რეფორმა მიჰქონდა ხალხთან, როგორც გლეხთა ბატონყმური დამოკიდებულებიდან განთავისუფლების დიდი ფაქტი, ხოლო იმპერატორ ალექსანდრე II-ს უწოდებდა მეფე განმათავისუფლებელს და ხალხისათვის თავდადებულს<sup>56</sup>.

თვითმპყრობელობა დიდად აფასებდა სამღვდელოების ასეთ თავდადებას. 1903 წელს იმპერატორმა დააკმაყოფილა სინოდის ობერპროკურორის თხოვნა და საქართველოს სოფლის სამღვდელოებას დახმარების სახით გამოუყო 500000 მანეთი<sup>57</sup>. მთავრობის ერთგულ სამღვდელოებაზე ზრუნვით იყო გამსჭვალული აგრეთვე იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მანიფესტიც, რომელშიც თავის ერთგულ სასულიერო წოდებას ჰპირდებოდა მატერიალური პირობების გაუმჯობესებას<sup>58</sup>.

მოსახლეობაში სარწმუნოების განმტკიცებას ემსახურებოდა იმპერიის სახელმწიფო კანონში შეტანილი ცვლილებები. სახელმწიფო სასტიკად სჯიდა იმ პირს, რომელიც ღმერთს შეურაცხყოფდა, უდიერი სიტყვით მოიხსენიებდა წმინდანებს, ღვთისმშობელს, არ გაიზიარებდა აზრს ღმერთის მიერ იესოს ჩასახვის შესახებ, ან სიტყვით უარყოფდა

*კერძო სიტყვით მოიხსენიებდა წმინდანებს, ღვთისმშობელს, არ გაიზიარებდა აზრს ღმერთის მიერ იესოს ჩასახვის შესახებ, ან სიტყვით უარყოფდა*

55 საქ. ცსა, ფ. 488, ანაწ. 295, საქმე 22483, 1905, ფურც. 3-4.

56 ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 184, საქ. 2837, 1903.

57 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 26377, 1903, ფურც. 1.

58 «Церковные ведомости», 1903, № 9, с. 55-57.

წმინდა წერილს. ამ დანაშაულის ჩამდენი ისჯებოდა პატიშრობით არა ნაკლებ სამი წლისა<sup>59</sup>. ამ კანონის საფუძველზე ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაასამართლა სოფელ ობუჯის მცხოვრები ალექსანდრე ბაკურის ძე შენგელია, რომელმაც შეგნებულად მიაყენა შეურაცხყოფა მღვდელს იოანე ბობოხიძეს სამსახურეობრივი მოკალეობის აღსრულების დროს<sup>60</sup>. თბილისის საოლქო სასამართლომ სამი კვირით პატიშრობა მიუსაჯა იესო გიორგის ძე ალხანაშვილს, რომელმაც მოქალაქე მიქაელს ღმერთი და რწმენა შეაგინა<sup>61</sup>. სხვადასხვა დროით ციხიბრში გადაასახლეს ივანე თოთიბაძე, რაჟდენ ცეცხლაძე, ირაკლი ილიას ძე თოიძე, რომლებმაც 1902 წელს გაძარცვეს ზედაზენის მონასტერი, ხოლო შემდეგ წმ. ანტონის ეკლესიიდან გაიტანეს ფული<sup>62</sup>.

რევოლუციის წლებში მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა საეკლესიო-სამრევლო სკოლების რაოდენობის ზრდას. 1904 წლისათვის მათმა რიცხვმა საქართველოში 812-ს მიაღწია და სწავლობდა 33633 ბავშვი<sup>63</sup>.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ამ სკოლებმა განიცადეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის დიდი გავლენა. პედაგოგების უმეტესობას აქ შეადგენდნენ „მთავრობისათვის არასაიმედო პირები“, რომელთა უმეტესობაც გამოდიოდა არსებული პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ. ამის შედეგად სწავლა-აღზრდის საქმეში ამ სკოლებში მიიღო სახელმწიფოს საწინააღმდეგო მიმართულება, რის გამოც მე-20 საუკუნის დასაწყისშივე დადგა საკითხი მათი დახურვის შესახებ<sup>64</sup>.

როგორც მოსალოდნელი იყო, სასულიერო წოდებამ არ დათმო ეს სასწავლებელი, არ დახურეს, მაგრამ მთავრობამ აქ საქმის გამოსასწორებლად გაატარა რიგი ღონისძიებებისა. უპირველეს ყოვლისა, სკოლების ზედამხედველის თანამდებობიდან გაათავისუფლეს ქართველი და მის მაგივრად დანიშნეს რეაქციონერი ბერი ვოსტორგოვი<sup>65</sup>. გაძლიერდა მთავრობისა და სასულიერო უწყებების კონტროლი. შეიცვალა სასწავლო პროგრამები და სწავლების მეთოდი. მეტი ყურადღება დაეთმო რუსული ენის შესწავლას.

ზედამხედველის თანამდებობაზე ბერი ვოსტორგოვის დანიშვნა მიუთითებს სამრევლო სკოლებში გატარებული რეფორმის რეაქციულ ხასიათზე. ვოსტორგოვმა სინოდის საბელზე მიწერილ წერილში

<sup>59</sup> იქვე, 1903, № 28, გვ. 289.

<sup>60</sup> საქ. ცსა, ფ. 113, საქმე 2450, 1902, ფურც. 1—2.

<sup>61</sup> საქ. ცსა, ფ. 113, საქმე 2619, 1904, ფურც. 3.

<sup>62</sup> იქვე.

<sup>63</sup> საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 22380, 1004, ფურც. 1—9.

<sup>64</sup> ცსილ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 2022, 1904, ფურც. 28.

<sup>65</sup> „მწყემსი“, 1904, № 15—16, გვ. 17.

„დასაბუთა“ ამ სკოლების საჭიროება. აქ აღნიშნული იყო, რომ: ამ სკოლებში სასულიერო პირები შთააგონებენ ახალგაზრდობას თვითმპყრობელის ერთგულებას, სამღვდელოება აქ ყოველდღე ლოცულობს მეფეზე და სამეფოზე. აქვე ვოსტორგოვი შენიშნავს, რომ სამონასტრო სკოლას არ შეუძლია აღზარდოს თვითმპყრობელობის ერთგული ადამიანი. მისი აზრით, ცარიზმის ერთგული თაობის აღზრდა შეიძლება მხოლოდ საეკლესიო სკოლაში და სხვა. სახელმწიფო ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ქართველებისა და რუსების სარწმუნოებრივი ნათესაობა და საჭიროდ მიიჩნევდა უეჭველად ესარგებლა ამით<sup>66</sup>.

ქართული გაზეთები, „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“, თავიანთ ფურცლებზე ხშირად აქვეყნებდნენ წერილებს, რომლის ავტორებიც აკრიტიკებდნენ ამ სკოლების რუსიფიკატორულ მოღვაწეობას და ახალ კურსს. ეგზარქოსმა, რომელიც ახლა თვითონ ხელმძღვანელობდა საეკლესიო სამრევლო სკოლის რეფორმას, არასასურველად მიიჩნია ქართული გაზეთების („მტრული“ და „უდროო“) გამოსვლა და მთავარმართებელ გოლიცინს (1896—1905) სთხოვა, ცენზურის კომიტეტის საშუალებით აეკრძალა გაზეთში ასეთი შინაარსის წერილების ბეჭდვა. ეგზარქოსი ითხოვდა, რომ სასწავლებლების სამოსწავლო პროგრამების, სწავლების მეთოდისა და სასწავლო ენის კრიტიკის უფლება მისცემოდა მხოლოდ სასულიერო წოდებას, რაც უეჭველად სასარგებლო იქნებოდა და აამაღლებდა ამ სკოლების სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას<sup>67</sup>. სულ მალე აღნიშნული საკითხების შესახებ საცენზურო კომიტეტმა მიიღო შესაფერისი მითითება<sup>68</sup>. ეგზარქოსს უფლება მისცა კონტროლი გაეწია და არ გაეშვა გაზეთებში სტატიები და კორესპონდენციები, რომლებშიც გაკრიტიკებული იქნებოდა საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო-სამრევლო სკოლების სამოსწავლო პროგრამები, შინაური ცხოვრება, სწავლების მეთოდები და ენა<sup>69</sup>.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ხანაში საქართველოს საეგზარქოსომ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სასულიერო სასწავლებლებზე, რომლებშიც დისციპლინის შესუსტებასთან ერთად შეიმჩნეოდა გულგრილობა რელიგიური და ქრისტიანული წესის შესრულებისადმი. მოსწავლეთა შორის მთავრობისათვის არასასურველი იდეოლოგიის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სისტემატურად იწმინდებოდა სასწავლებლების ბიბლიოთეკები ისეთი წიგნებისაგან, რომელთა გაცნობაც მოსწავლეებს აცდენდა „ქეშმარიტი გზიდან“.

66 საქ. ცსა, ფ. 488, საქ. 25452, 1901, ფურც. 1.

67 ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 72, საქ. 246, განყ. 2, ფურც. 3.

68 იქვე. ანაწ. 72, საქ. 240, განყ. 2, 1903, ფურც. 3.

69 ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 185, საქ. 219, 1904, ფურც. 3.

სასწავლებლებს აეკრძალათ ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების შექმნა<sup>70</sup>.

მშრომელთა შორის სარწმუნოების განმტკიცების მიზნით, 1901—1904 წლებში კვლავ იზრდება საეკლესიო-სამონასტრო და საბლალო-ჩინო ბიბლიოთეკების რიცხვი.

მოსახლეობაში სარწმუნოების დამკვიდრების ერთ-ერთ საშუალებად ეკლესია მიიჩნევდა მშრომელთა აღზრდას ქრისტიანული წმინდანების მაგალითზე, რისთვისაც რევოლუციის აღმავლობის წლებში სასულიერო პირებმა დაიწყეს წმინდანთა ცხოვრების პროპაგანდა. თავიანთ ქადაგებებში სასულიერო პირები მშრომელებს მოუწოდებდნენ ეცხოვრათ და ეშრომათ წმინდანების ცხოვრების წაბაძვით და მათი მაგალითისამებრ. ქეთევან დედოფლის ხსოვნისადმი მიძღვნილ ქადაგებაში, რომელიც წარმოთქვა სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა ილია ფერაძემ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ვკითხულობთ: „მათი ცხოვრების გათვალისწინება, მათი ცხოვრების გაცნობა (იგულისხმება წმინდანების. — მ. ხ.) ძლიერ გვკვირდება დღეს, როდესაც მართლმადიდებლის საქართველოს ცის ქვეშ ფეხს იკიდებს გულგრილობა სარწმუნოების მიმართ, როდესაც ჩვენში ასე ცხადად გაურბიან ეკლესიას და მის გარეშე ეძებენ ცხოვრებას და ზნეობის განვითარებას. საქართველოს ერი ოდესმე ცნობილი სარწმუნოების მიმართ თავგანწირული ერთგულებით და მის სადიდებლად გადახდილი საგმირო საქმეებით, დღეს ისე უცქერის წმ. ეკლესიას, თითქოს ის მისი დედის ნაცვალის იყოს და არა სასულიერო მშობელი და აღმზრდელი დედა“<sup>71</sup>. სამღვდნოება ცდილობდა აღიბრა მოსწავლეებში და საერთოდ ახალგაზრდობაში რელიგიური წიგნების კითხვის სურვილი, რაც ერთი მხრივ, გააფართოებდა მათ ცნობიერებას რელიგიისა და ეკლესიის შესახებ და მეორეც — ხელს შეუშლიდა მთავრობის საწინააღმდეგო აზრების გავრცელებას<sup>72</sup>.

რუსეთის პირველი რევოლუციის მომზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში ეკლესია განსაკუთრებული გააფთრებით იბრძვის იმ მასწავლებლებისა და მოსწავლეთა წინააღმდეგ, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში. ასეთი ღონისძიებების გატარებას რუსეთის იმპერიაში წარმართავდა უწმინდესი სინოდი, რომელიც ეპარქიებში სისტემატურად აგზავნიდა საიდუმლო წერილებსა და ინსტრუქციებს. აქ ჩამოთვლილი იყო იმ მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სტუდენტთა გვარები, რომლებიც დათხოვნილნი იყვნენ იმპერიის სხვადასხვა სასწავლებლებიდან. ასეთ პირებს, როგორც წესი,

70 იქი. საქმე 344, 1904. ფურც. 8.

71 ხელნაწერი საბუთი 1902 წლისა. ინახება ქ. გორში ლ. აბუაშვილთან

72 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 22099, 1902, ფურც. 1—5.

არ იღებდნენ სხვა სასწავლებლებში და სამსახურის დაწყების ყოველგვარი უფლება ეკარგებოდათ<sup>73</sup>. საბუთებში ხშირად იხსენიება ჩვენი თანამემამულეთა გვარებიც. მაგ., ნოვოროსიისკის უნივერსიტეტიდან დაითხოვეს ვარლამ შავდია და ნიკიფორე ჯიშკარიანი, რომლებიც მონაწილეობდნენ სტუდენტთა გამოსვლებში<sup>74</sup>.

პოლიტიკური მოტივით გაურიცხიათ ქუთაისის გიმნაზიიდან მეექვსე კლასის მოსწავლე — ალექსანდრე იმნაიშვილი, მეშვიდე კლასის მოსწავლე — პარმენ რამიშვილი, მიხეილ ბერეჟიანი, მიხეილ ჩოგოვაძე და სხვები. ყველა მათ ეკრძალებოდათ სწავლის გაგრძელება იმპერიის რომელიმე სხვა სასწავლებლებში.

მოსახლეობაში პოპულარობის მოპოვების მიზნით, სამღვდლოება გამოდიოდა ყოველგვარი საქველმოქმედო ორგანიზაციების დაარსების ინიციატორად. მათი თაოსნობით გაიხსნა არა ერთი და ორი თავშესაფარი მოხუცებისა და უპატრონოდ დარჩენილი ბავშვებისათვის. როგორც წესი, ყოველივე ეს ძირითადად ხალხში შეგროვილი შეწირულებებით კეთდებოდა, მაგრამ ეკლესია ამას თავის თავზე მიიწერდა.

როგორც გასული საუკუნის მიწურულში, ახლაც მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა ეკლესია-მონასტრების მშენებლობას მუშათა რაიონებში. 1902—1904 წლებში ამ საქმისათვის დაიხარჯა 50000 მანეთი.

ეკლესიამ დიდი მუშაობა გააჩაღა რუსეთ-იაპონიის ომის სასარგებლოდ და მშრომელთა მასების გაბრუნების მისია იკისრა.

ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე საეგზარქოსოს სასულიერო წოდებამ დაიწყო ომის სასარგებლო აგიტაცია. ეკლესია გაბატონებული კლასების პოზიციებიდან განუმარტავდა მასებს ომის დაწყების მიზეზებს. სინოდის მითითების შესაბამისად, საქართველოს საეგზარქოსო მოსახლეობაში ავრცელებდა ათასობით კლერიკალურ-მონარქისტული შინაარსის ბროშურებსა და ფურცლებს.

საქართველოს საეგზარქოსო მშრომელებსა და ჯარისკაცებს მოუწოდებდა ებრძოლათ „ომში საბოლოო გამარჯვებამდე“. ომის სასარგებლო აგიტაციაში ეკლესია ფართოდ იყენებდა პრესას. სასულიერო წოდება ცდილობდა გაემართლებინა მასების თვალში რუსეთის ომში მონაწილეობა, გამოეყენებინა იგი ხალხში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისათვის, რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეკლესიის მსახურები ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე „განუმარტავდნენ“ მშრომელებს, რომ ომი იაპონიასთან თითქოს იყო ღმერთის გაფრთხილება იმ ცოდვებისათვის, რაც საქართველოს საეგზარქოსოში გამოიხატა სარწმუნოებიდან ხალხის განდგომასა და ქრის-

73 იქვე. საქმე 22020, 1902, ფურც. 35—36.

74 იქვე. საქმე 22370, 1904, ფურც. 33

ტიანული ცხოვრების წესის დარღვევაში<sup>75</sup>. ასეთი შინაარსის ქადაგების ერთ-ერთი ავტორი, მღვდელი პოკროვსკი ქრისტიანული ცხოვრების წესის დარღვევას თვლის მშრომელი მასების მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში. იგი თავის ქადაგებაში მშრომელებს მოუწოდებს, ხელი აიღონ ეკონომიკური პირობებისა და პოლიტიკური უფლებების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაზე. ომის დაწყების პირველ ხანაში ეკლესიამ შეძლო კიდევაც თავის მხარეზე მოსახლეობის ნაწილის მიზიდვა. გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანები ვერ ხედავდნენ ვერავითარ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან და მწუხარების შესამსუბუქებლად მიმართავდნენ ეკლესიას. არმიაში გაწვეულთა დედები, ცოლები, შვილები და ახლობლები ჯერ კიდევ ფიქრობდნენ, რომ თავიანთი მხურვალე ლოცვით იხსნიდნენ ომში წასულთ. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო, ხალხი ბოლომდე არ დარჩა მოტყუებული. მშრომელებმა მალე შეიტყვეს, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ეს ომი და ხმა აღიმაღლეს მის წინააღმდეგ.

მასების გამოფხიზლების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის ბოლშევიკურ პარტიას. ომის დაწყების პირველ დღეებიდანვე ბოლშევიკები მშრომელებს განუმარტავდნენ მის ნამდვილ მიზნებს და მიუთითებდნენ დამლუპველ შედეგებზე. თავიანთ სააგიტაციო ფურცლებში ისინი ფარდას ხდიდნენ თვითმპყრობელობის ანტიხალხურ პოლიტიკას და ეკლესიის მსახურთა საქმიანობას. ბოლშევიკები აკრიტიკებდნენ მთავრობასა და სამღვდლოებას: „ჩვენ... ძმები ისევ გარეკეს ცხრა მთას იქით და ომიანობის ღმერთს (იგულისხმება თვითმპყრობელობა) უნდა შესწირონ. მემამულისათვის, ქრისტიანობისათვის, მეფისათვის თავი დასდეთ. ამას ჩასჩინებდნენ უეჭველ სიკვდილზე მიმავალ ჩვენს ძმებს გამოტყინებული სასულიერო ქურუმნი ალექსი და გაიძვერა ხუცესი ვოსტორგოვი“<sup>76</sup>.

ყველა ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიების გვერდით, რითაც თვითმპყრობელობა ცდილობდა მასების ჩამოცილებას რევოლუციური მოძრაობიდან, ხელისუფლება ერიდებოდა. ხმების გავრცელებას რევოლუციურ მოძრაობასა და მის ხელმძღვანელობაზე. ცდილობდა სახელი გაეტეხა მათთვის, ხშირად ყოველგვარ უწესრიგობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საეგზარქოსოში, მათ მიაწერდნენ.

1904 წელს, ილორის წმინდა გიორგის ეკლესიიდან დაიკარგა ე. წ. „სასწაულთმოქმედი“ ხატი — ლომისკარელი. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ამ ხატის მოტაცება ბათუმის სოციალისტებს გადააბრალა<sup>77</sup>. სასულიერო პირები დიდ ენერგიას ხარჯავდნენ, რათა თვითმპყრობე-

<sup>75</sup> Духовный вестник грузинского экзархата, 1905, № 13—14, с. 7.

<sup>76</sup> ანთერკავკასიის ბოლშევიკების პროკლამაციები, 1904—1905 წწ. გვ. 110.

<sup>77</sup> საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 22380, 1904, ფურც. 1—9.

ლობის მიერ გავრცელებული ცრუ ხმები ხალხს სინამდვილედ მიელოდა ერწმუნა. ამავე მიზანს ემსახურებოდა სასულიერო ხელისუფალთა მიერ ხალხში გავრცელებული ხმა, თითქოს რუსეთში მომხდარა გამოსვლები და აჯანყებები არსებული წყობილების წინააღმდეგ გამოწვეული იყო უცხოელების მიერ და ხელმძღვანელობდნენ იაპონელები, რომლებიც ამისათვის საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავდნენ<sup>78</sup>.

საქართველოს საეგზარქოსოს მითითებით ეს ცნობა გადაბეჭდა „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე“. ყველა ეკლესიას დაეგზავნა ასეთივე შინაარსის ნაბეჭდი ფურცლები. ეგზარქოსოს მითითებით მღვდლები ამ ცნობას კითხულობდნენ დიდმარხვის დღეებში, ყოველ კვირა დღეს, მლოცველთა სრული შეკრების დროს<sup>79</sup>. მსგავსი შინაარსის ფურცლების შედგენასა და გავრცელებაში, ახალ-ახალი ცრუ ხმების გამოგონებაში, საქართველოს საეგზარქოსოს სამღვდლოება არაფრით არ ჩამორჩებოდა პეტერბურგისას.

იაპონიასთან ომში გამარჯვებისათვის სასულიერო წოდებას საკმაოდ დიდი წვლილი შეჰქონდა ფრონტზე თავისი უშუალო მონაწილეობითაც. ისინი მთელი შესაძლებლობებით ებრძოდნენ რევოლუციური იდეოლოგიის გავრცელებას ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის, ცდილობდნენ არმიის იზოლაციას გარეშე სამყაროდან. მის ჩამოცილებას რევოლუციური მოძრაობიდან.

საქართველოს საეგზარქოსო სისტემატურად აგზავნიდა პეტერბურგში იმ სასულიერო პირთა გვარებს, რომლებსაც მიეცათ რეკომენდაცია ფრონტზე წასასვლელად. ეკლესია პირველ რიგში ფრონტზე გზავნიდა იმ სასულიერო პირებს, რომლებიც პოლიტიკურად საიმედო იყვნენ და მოსახლეობაში მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდათ<sup>80</sup>.

სხვა მრავალ ღონისძიების გვერდით, რომელსაც ეკლესია ატარებდა ომის სასარგებლოდ, სასულიერო წოდება გამოდიოდა ომისათვის საჭირო თანხების შეგროვების ინიციატორადაც. მაგ., 1904 წელს საქართველოს საეგზარქოსომ ომის ფონდში ჩარიცხა 4696 მანეთი და 62 კაბ.<sup>81</sup>

იაპონიასთან ომში რუსეთის არმიამ წარმატებას ვერ მიაღწია: თვითმპყრობელობამ ვერ შეძლო ომის გამოყენება მშრომელთა შორის რევოლუციური მოძრაობის შესასუსტებლად. ცარიზმი ცდილობს თავი იმართლოს და თავისი მარცხი ხალხს გადააბრალოს. „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე“ 1905 წელს წერდა: „სრულდ-

78 ცსილ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 601, 1905, ფურც. 19.

79 ცსილ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 601, 1907, ფურც. 32—33.

80 „Духовный вестник...“, 1905, № 3—14, с. 7.

81 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 22437, 1904.



ბა ღვთის წინასწარმეტყველება, შორეულ აღმოსავლეთში რუსეთს ომი აქვს წარმართ იაპონიასთან, ომი მძიმეა და, სამწუხაროდ, უნდა დავე-  
მორჩილოთ ღვთის ნებას და გავუძლოთ ომის სიძნელეს. არ უნდა დაგ-  
ზოგოთ არც ღონე, არც საშუალება, არც სიცოცხლე, რომ ვძლიოთ  
მტერს და არ შევარცხვინოთ ჯვარი უფლისა. ასე სჯიდნენ ჩვენი წინა-  
პრები და ჩვენც გვიანდერძეს ასე მოიქეციოთ. ვინც ბოლომდე მოის-  
შენს, ცხონდება“<sup>82</sup>. 1905 წლის 26 აგვისტოს თვითმპყრობელობამ ხე-  
ლი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას. იაპონიასთან ომში რუსეთი და-  
მარცხდა. სასულიერო წოდება ცდილობს თვითმპყრობელობის პოზი-  
ციებიდან ახსნას ომის სამარცხვინო შედეგები და მარცხის მიზეზები.  
მალე მან გამოანახა კიდევაც ამისი „უტყუარი საბუთი“. ეკლესიის აზ-  
რით, ყველა იმ უბედურებას, რომელიც ამ ომს მოჰყვა, თითქოს თა-  
ვისი დადებითი მხარეც გააჩნდა, რადგანაც სწორედ იაპონიასთან ომმა  
თვალი აუხილა და დაანახვა ყველას, თუ ვინ იყო მტერი და ვინ მო-  
ყვარე<sup>83</sup>. მათი აზრით, ის ზარალი, რომელიც სახელმწიფომ განიცადა  
ამ ომში არაფერია იმ მსხვერპლთან, რომელიც ზალხმა მოუტანა თანა-  
მედროვეობის „ბოროტ სულს“ რუსეთში მომხდარი შიდა უწყესრიგო-  
ბის გამო.

ომის შემდგომ პერიოდში სასულიერო წოდება ერთხელ კიდევ  
შეეცადა მოეხდინა თავისი შესაძლებლობების მობილიზაცია და ახა-  
ლი ძალით გაილაშქრა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. სა-  
ქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო პირების მრავალრიცხოვანი  
არმია თავიანთი ქადაგებებით, სასულიერო თუ საერო შინაარსის ეურ-  
ნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიებით მოუწოდებდნენ „მეფის  
ერთგულს“, ეზრუნათ იმპერიაში წესრიგის აღდგენისათვის. „ბორო-  
ტი მასწავლებლები, ვინც გასწავლიან შეაჩეროთ მუშაობა, მიეციეთ ხე-  
ლისუფლების სასამართლოში. ეკლესიასთან ერთად ილოცეთ, რათა  
ღმერთმა დასაჯოს თქვენი შინაური ამბოხებლები“<sup>84</sup>.

ასეთი ხასიათისა იყო ის ღონისძიებები, რომელსაც ატარებდა  
მართლმადიდებლური ეკლესია საქართველოში რევოლუციური მოძ-  
რაობის აღმავლობის ხანაში.

1905 წლის 9 თებერვალს საქართველოს სინოდიალურმა კანტორამ  
მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად საქართველოს საეგზარ-  
ქოსოს ფარგლებში გაიშალა საქმიანობა რევოლუციური და ეკლესიის  
საწინააღმდეგო მოძრაობის გავრცელების წინააღმდეგ. ეკლესიის მსა-  
ხურები თვალყურს ადევნებდნენ მოსახლეობის განწყობილებას, მათ  
დამოკიდებულებას მთავრობის გადაწყვეტილებებთან და ადგილობრი-

<sup>82</sup> «Духовный вестник...», 1905, № 13—14, с. 22.  
<sup>83</sup> ცსიალ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 601, 1905, ფურც. 25.  
<sup>84</sup> იქვე.

ვი მართველობის ორგანიზაციასთან, მშრომელთა დამოკიდებულებას რევოლუციურ მოძრაობასთან. თავიანთ სამოქმედო რაიონში სასულიერო პირები აღრიცხავდნენ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს. მორწმუნეებთან შეხვედრისას სასულიერო პირი ვალდებული იყო განემარტა მათთვის „ღვთის დაწესებული საეკლესიო და სასულიერო ხელისუფლების საწინააღმდეგო ზრახვების დამლუპველობა და საშინელი ცოდვიანობა, დამლუპველობა ყოველგვარი ჭანყისა, მკვლელობისა და ძარცვისა“, სასულიერო წოდება ვალდებული იყო აეხსნა მუშებისათვის „მთელი საშიშროება და სიმძიმე, რაც მოყვება ვაფიცვებს“<sup>85</sup>.

სასულიერო პირების ქადაგებებს სახელმწიფო დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგანაც ისინი მოსახლეობას მოუწოდებდნენ არა მარტო წირვა-ლოცვისა და სხვა ქრისტიანული წესების შესრულების აუცილებლობისაკენ, არამედ არსებული სახელმწიფო წყობის ერთგულებისა და მორჩილებისაკენ. ქადაგებები გამოირჩეოდნენ თავიანთი რეაქციული შინაარსით და მიმართული იყო მშრომელთა შორის რევოლუციური მოძრაობის გავრცელების წინააღმდეგ. ათასობით ვრცელდებოდა საქართველოს საეგზარქოსოს მოწოდებები, რომლებშიც მშრომელებს ურჩევდნენ ხელი აეღოთ რევოლუციურ ბრძოლაზე. მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მუშაობას მოზარდ თაობასთან. სამოსწავლო საბჭოს საშუალებით ყველა სასწავლებელს დაუბრუნდა მიმართვა სკოლაში დანაშაულებრივი პროპაგანდის აღმოფხვრისა და კონტრრევოლუციური მიმართულების ლიტერატურის სისტემატური კითხვის შესახებ<sup>86</sup>.

თუ გასულ წლებში სასულიერო პირები ძირითადად ეკლესიებში და სხვა სასულიერო ორგანიზაციების შენობებში ჩატარებული ქადაგებებით იფარგლებოდნენ, ახლა ეს საკმარისი აღარ იყო. სასულიერო წოდება ცდილობდა, რაც შეიძლება ახლო მისულიყო ხალხთან. უწმინდესი სინოდი ყველა სასულიერო პირისაგან მოითხოვდა, რომ დიდმარხვის დღეებში მრევლის ბინების შემოვლის დროს, სავალდებულო ლოცვების შესრულების შემდეგ, მღვდლებს „ესაუბრაოთ ეკლესიის ერთგულ შვილებთან“. საუბრებში უნდა შეხებოდნენ იმ დროის „მღელვარე შემთხვევებს“, ჩაესახათ მათთვის რწმენა და სიმბნევე“, გაეფრთხილებინათ ისინი, რომ არ დაეჯერებინათ „ბოროტგანზრახველთა სიტყვისათვის“ და სხვ.<sup>87</sup> უწმინდესი სინოდის მიმართვის შესაბამისად, გამოიკეცნა და საქართველოს საეგზარქოსოს მიმართვაც, რომელსაც ხელს აწერდნენ საქართველოს ეგზარქოსი და ეპისკოპოსები. „მიმართვაში“ აღნიშ-

85 იქვე, ფურც. 17.

86 ცხილ. ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 1905, ფურც. 17; საქ. ცხილ. ფ. 488, საქ. 25522, 1905, ფურც. 113, 18—120.

87 იქვე.

ნული იყო, რომ „კავკასიის მთების გადმოღმაც გაიშართა ბუდე ცრუ მასწავლებლებისა (იგულისხმებთან რევოლუციონერები. — მ. ხ.), რომლებიც ხალხს მოუწოდებდნენ უწესრიგობისაკენ“ და რომ „ეს ბოროტის მსურველნი ეკლესიისა და ხალხისა, საზოგადოებას დაღუბვისაკენ მიაქანებენ“. ამიტომ მოსახლეობას მოუწოდებდნენ: „არიდეთ სასამენნი თქვენნი ამ ცრუ მასწავლებლებს, არიდეთ მათ თქვენი შვილნი, ემორჩილებოდეთ მთავრობას, დაინერგეთ ქრისტეს სახარების სწავლა, რომელიც გესმით სამღვდელოებისაგან, შეუდექით ლოცვასა და სინანულსა მომავალი დიდმარხვის დღეებში, იყავით მშვიდობით და წყნარად, ყველამ აკეთეთ თქვენი საქმე“. ეკლესიის მსახურები აქვე შეახსენებდნენ მშრომელებს შეეპყროთ „ბოროტის მასწავლებლები“ და გადაეცათ ისინი მთავრობისათვის<sup>88</sup>.

აღნიშნული მიმართვა სასულიერო პირებისაგან მოითხოვდა ქადაგებებსა და წირვა-ლოცვის ხშირად ჩატარებას. სამღვდელოება ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ხალხი მიეზიდა ეკლესიებში. პედაგოგებს კი მოუწოდებდა მოერიდებინათ თავიანთი შეგირდები „ცრუ მასწავლებლებისათვის“, რათა ბავშვებს არ გაეგოთ „ბოროტი სწავლა“<sup>89</sup>. ამავე დროს საქართველოს საეგზარქოსოს ინიციატივით მომზადდა და მოსახლეობაში გავრცელდა ათასობით ფურცელი ასეთი „მამაშვილური“ და „დამრიგებლობითი“ შინაარსის ქადაგებებისა. „ღვთისა გეზინოდენ“, „მეფესა პატივ სცემდეთ“, „უფლებას დაემორჩილე“, „მოწყალე სიტყვანი ხელმწიფე იმპერატორისა მუშათა მიმართ“, „სიტყვა მხედრობას“, „შეინანეთ“, „კეთილი სიტყვა მუშა ხალხსა“ და სხვ<sup>90</sup>. 1905 წლის განმავლობაში საეგზარქოსოში გავრცელდა მონარქისტულ-კლერიკალური შინაარსის თერთმეტი ფურცელი-მოწოდება, სულ 200000 ცალის რაოდენობით, აქედან ქართულად — 150000, რუსულად კი 50 000 ეგზემპლარი<sup>91</sup>. დასახელებული ქადაგებები და მიმართვები დაიბეჭდა ადგილობრივ სასულიერო ეურნალებში. ას-ასი ცალი ასეთი ფურცელი გადაეგზავნა საეგზარქოსოს ყველა ეკლესიას. ეკლესიის მსახურები მოსახლეობას მოუწოდებდნენ დარაზმულიყვნენ „შემოქმედის“ დროშის ქვეშ, მოენანიებინათ, განწმენდილიყვნენ, გაერთიანებულებიყვნენ შინაგანი და გარეგანი მტრების წინააღმდეგ, სინოდისა და საეგზარქოსოს დასახელებული მიმართვები გამოაკრეს თვალსაჩინო ადგილებზე. მღვდლებს მიეთითათ მეთოდებსა და ხერხებზე, რომლითაც უნდა ესარგებლათ მორწმუნეებთან საუბრების ჩატარების დროს.

<sup>88</sup> „საქ. საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე“. 1905, № 5, გვ. 4.

<sup>89</sup> იქვე.

<sup>90</sup> იქვე, გვ. 1—36.

<sup>91</sup> საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 25522, 1905, ფურც. 212.

1905 წლის 25 თებერვალს გამოქვეყნდა სინოდის მიმართვა „სრულად რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საყვარელ შვილთა მიმართ“. ეს მიმართვაც მასების გაბრუებას ემსახურებოდა. ამ მეფე გამოყვანილია „ხალხმოყვარედ“ და „ხალხის მამად“, რომლის ყოველდღიურ საფიქრელს თითქოს ხალხის ბედნიერებაზე ზრუნვა შეადგენს. ხელისუფლების ავტორიტეტის ამღლებასა და განმტკიცებას ემსახურებოდა აგრეთვე მოწოდება, რომელიც გამოაქვეყნა სინოდმა 1905 წლის 25 ოქტომბერს. „მოწოდების“ ავტორები ქებით ამკობენ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტს, რომლითაც თითქოს ნიკოლოზ II-მ ხალხი ჩააბა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში, გაუყო ხალხს თავისი „განუხსალვრელი უფლებები“, მშრომელებს მისცა კანონების გარჩევ-სა და მიღების უფლება და მრავალი სხვა. სასულიერო და საერო პირები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მეფის შექებაში, რომელმაც ვითომ ხალხს მისცა სამოქალაქო და სასულიერო, სინდისის, სიტყვისა და ყოველგვარი კავშირების თავისუფლება<sup>92</sup>.

სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოს საეგზარქოსოს ეურნალში, თბილისის მეორე სამისიონერო ეკლესიის მღვდელი ცდილობს „სახელმწიფო დუმა“ ხალხის წარმომადგენლობის ნამდვილ საბჭოდ წარმოადგინოს“<sup>93</sup>. გლეხების თვალში მეფის ავტორიტეტის გაზრდის მიზნით, ეკლესია ისევ 1861 წლის საგლეხო რეფორმას იმარჯვებს, რომლის ცხოვრებაში გატარების შედეგადაც გლეხი თურმე „თავისუფალი მხენელ-მთესველი გახდა“. ეკლესიის მსახურთა სიტყვით, მეფეს არც მუშები დაუტოვებია თავისი მამაშვილური მზრუნველობის გარეშე. სასულიერო წოდება ამ შემთხვევაში ლაპარაკობდა მუშათა მატერიალური უზრუნველყოფის კანონზე მათი დაღუპვისა და მოხუცებულობის დროს, რომელიც გამოიცა 1905 წელს<sup>94</sup>.

სინოდის ობერპროკურორი 1905 წლის ანგარიშში წერდა: სოციალიზმის წარმატებამ თვითონ გვიჩვენა ის გზა, რომლითაც უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა სახელმწიფოსა და ეკლესიის საერთო მტრის წინააღმდეგ<sup>95</sup>. ამ ბრძოლაში წარმატების ერთ-ერთ საწინდრად ობერპროკურორი მიიჩნევდა სამრევლოებში სასულიერო ცხოვრების გამოცოცხლებას. სასულიერო ხელისუფალთა აზრით, ეს უნდა მომხდარიყო მოსახლეობაში სხვადასხვა რელიგიური ძმობებისა, საზოგადოებებისა და კავშირების ჩამოყალიბებით, მათში რაც შეიძლება მეტი ხალხის მიზიდვით. 1905—1907 წლის რევოლუციის დროს რელიგიური ძმობებისა და კავშირების მუშაობის გამოცოცხლება შემთხვევითი არ იყო. თვით-

<sup>92</sup> «Церковные ведомости», 1905, № 44, с. 489—491.

<sup>93</sup> საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 22445, 1905, ფურც. 32—35.

<sup>94</sup> ცსილ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 601, 1905, ფურც. 3—5.

<sup>95</sup> Отчет Оберпрокурора за 1905 г.

პრობლემა თვლიდა, რომ როდესაც ადამიანი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს ღმერთს, მას ნაკლები დრო რჩება ამქვეყნიური საქმეებისათვის.

ობერპროკურორის ზემოთ მოტანილი მითითებების საპასუხოდ, საქართველოს ეგზარქოსი სასულიერო პირებს მოუწოდებდა, შეეკრიბათ ეკლესიის ერთგული შვილები ქრისტიანულ კავშირებში, აღედგინათ თოვანებიანთ ისინი რწმენითა და სიკეთით. ეგზარქოსის აზრით, მოსახლეობის ასეთი გაერთიანებები უნდა მომხდარიყო ეკლესია-მონასტრებთან.

რევოლუციის წლებში განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა თბილისის მეორე სამისიონერო ეკლესია, რომელსაც სათავეში უდგნენ რეაქციონერი სასულიერო პირები ბერი გოროდცევის მეთაურობით. ამ ეკლესიის ინიციატივით მოსახლეობაში გავრცელდა მონარქისტულ-კლერიკალური შინაარსის ათასობით ფურცელი. დაიბეჭდა თვითონ გოროდცევის ბროშურა „მეორე სამისიონერო ეკლესია“ და მისივე სიტყვა წარმოთქმული 1905 წელს. მოკლე ხანში გავრცელდა მონარქისტულ-კლერიკალური შინაარსის 80000 ფურცელი.

მეორე სამისიონერო ეკლესიის ბაზაზე აღმოცენდა ისეთი რეაქციული საზოგადოება, როგორც იყო „საეპარქიო სამისიონერო მშობა“. ამ მშობის სალექციო დარბაზებში სისტემატურად იკითხებოდა მონარქისტულ-კლერიკალური შინაარსის საუბრები და ქადაგებები. მშობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უმაღლესი სამღვდლო პირები. თვით ეგზარქოსი ალექსი (1901—1905) ხშირად იყო აქტიური მონაწილე „პატრიოტული საღამოების“ ჩატარებისა. 1905 წლის განმავლობაში „მშობამ“ ჩატარა ოთხი ასეთი საღამო.

„მშობის“ წევრები მხოლოდ რელიგიური შინაარსის საუბრების ჩატარებით როდი კმაყოფილდებოდნენ. ბევრი აქ წაკითხული საუბარი ეხებოდა მიმდინარე მომენტს, მის ანალიზს რევოლუციის წლებში. სასულიერო წოდება თავის წმინდა ვალად მიიჩნევდა გაბატონებული კლასების პოზიციებიდან განემარტა მშრომელებისათვის შექმნილი ვითარება.

სწორედ ამ „მშობის“ ბაზაზე განვითარდა ისეთი რეაქციული ორგანიზაცია, როგორც იყო „რუს მუშათა კავშირი“. როგორც ცნობილია, დასახლებული ორგანიზაციის შექმნის ინიციატორი რუსეთში ზემოთხსენებულ პურიშკევიჩი იყო. ამ ორგანიზაციამ თავისი „სასარგებლო მოღვაწეობა“ სულ მალე მთელ იმპერიაში გაავრცელა. „რუს მუშათა კავშირი“ კავკასიაში, ისევე როგორც მთელს რუსეთში, აერთიანებდა მხოლოდ რუსი ფრთხვების მუშებს და მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის გზიდან აცდენას ემსახურებოდა. „კავშირი“ მიზნად ისახავდა მშრომელთა ერთიანი რიგების გათიშვას, რაც მთავრობას უადვილებდა

ბრძოლას რევოლუციურ მოძრაობასთან. „რუს მუშათა კავშირის“ ძირითადი ამოცანა იყო ბრძოლა რევოლუციის წინააღმდეგ. მისი დევიზი იყო „მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ხალხურობა“<sup>96</sup>. საქართველოში „პატრიოტული კავშირის“ ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი იყო კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი გენერალი გრიგორი. 1905 წელს „კავშირის“ წევრთა რიცხვი გაიზარდა ათას კაცამდე. თავის რიგებში აერთიანებდა: რუს ოფიცრებს, ვაჟრებს, რკინისგზის მუშებს. სწორედ ამ კავშირის ინიციატივით მოეწყო 1905 წლის 22 ოქტომბერს შავრახშული მანიფესტაცია ჯვრებითა და ხატებით, რომელიც ქალაქის ცენტრში სხვა მუშებთან შეტაკებით დამთავრდა<sup>97</sup>. არ რას წერდა ამ მსვლელობის შესახებ გაზეთი „მოგზაური“. „21 ოქტომბერს აბილისის ქუჩებში გამოვიდნენ ცხოვრების ნაძირალები და ქრისტეს მხედრობის წარმომადგენლობით მხარდამშვენებულებმა ხატებითა და ხელმწიფის სურათით იწყეს ქუჩა-ქუჩა სიარული. ქალაქს თავზარი დასცა ამ რაზმის სეირნობამ. ველურმა ყიფინამ და ნაციონალური ჰიმნის სიმღერამ გადააყრუა მთელი თბილისი. ქუჩაში გამოსვლა შეუძლებელი შეიქმნა, რადგან „პატრიოტები“ უმოწყალოდ სცემდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ გამვლელებს. მანიფესტანტებმა დაარბიეს ვაეთა პირველი გიმნაზია, დახოცეს მოსწავლეები (ამ დღის საშინელებას კარგად ასახავდნენ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში (1905 წლის № 357, 358, 362) გამოქვეყნებული დოკუმენტებიც)“<sup>98</sup>.

ანალოგიურ მიზნებს ემსახურებოდა თბილისში 1905 წელს ჩამოყალიბებული ორგანიზაცია, ე. წ. „წესრიგის მომხრეთა პარტია“, რომლის ხელმძღვანელებიც იყვნენ რეაქციონერი ბერები ი. ვოსტორგოვი და ს. გოროდცევი. 1905 წლის 9 მაისს ამ „პარტიამ“ მეფის ნაცვალს, რომელიც თბილისში 5 მაისს ჩამოვიდა, მიართვა იმპერატორისათვის გადასაცემად ადრესი. „მეფეო, ჩვენო მამაო, ჩვენ ვიტანჯებით თქვენთან ერთად სამხედრო დამარცხებებით, მაგრამ ჩვენი რუსული გული გვეუბნება იმას, რომ მამა ღმერთი მოხედავს ჩვენს ძვირფას სამშობლოს და მოგვანიჭებს გამარჯვებას ამა კერპთაყვანისმცემლებზე (გულისხმობს იაპონელებს). კიდევ უფრო მეტად იტანჯება ჩვენი გული ბოროტ „კრამოლნიკებისაგან“ (გულისხმობს რევოლუციონერებს), რომლებიც სხვადასხვა მუქართა და ბოროტი ქცევებით ხელს გვიშლიან...“ კრამოლა „ჩვენში, კავკასიაში, ისეთი ძლიერია, რომ ყველა პა-

<sup>96</sup> Обзор деятельности..., с. 60.

<sup>97</sup> ბ. ლომინაძე. ეკლესიის რეაქციული როლი 1905—1907 წლებს რევოლუციაში, გვ. 48.

<sup>98</sup> იქვე.

ტიოსანი მუშაკი სიკვდილის შიშის ქვეშ იმყოფება. ყოვლად მოწყალეთ  
ხელმწიფევე, ჩვენ ვიცით, რომ თქვენ მოწიწებით ეკიდებით ყველა თქვენ  
ერთგულ ქვეშევრდომთა გაჭირვებას, ვიცით, რომ გაუმჯობესდება  
ჩვენი ყოფა-ცხოვრებაც, მაგრამ ამას კი არ გთხოვთ ამ წუთში. ჩვენ  
ვითხოვთ იმას, რომ შეძლება მოგვეცეს მშვიდობიანად მოვიდოთ ბე-  
ლი ჩვენს მუშაობას, რათა „კრამოლნიკებმა“ არ დაჯანბნონ პატიოსანი  
მუშაკნი. ჩვენ გვსურს მუშაობა, სამშობლოს მოღალატეებთან არ  
გვსურს ვიქონიოთ არაფერი საერთო. შენ, დიდი მპყრობელი გაგვხა-  
დეთ ჩვენ მითი, რომ გადმოგვიგზავნეთ თქვენი მოადგილე (ლაპარაკია  
მეფის ნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვზე), ღრმად გვწამს, რომ თქვენა ერთ-  
გული მსახურის საშუალებით დამშვიდდება ჩვენი ქვეყანა. გადავიხა-  
დეთ რა დღეს სამადლობელი პარაკლისი, რაც ვერ შევძელით პირველ  
მაისს, მძიმე პირობების გამო, ჩვენ მხურვალედ ვევედრებით ღმერთს,  
რათა იგი დაგეხმაროს შენ მოსპო „კრამოლა“ ჩვენს მიწაზე, რათა გა-  
მარჯვებით იაპონელებზე „კრამოლნიკებმა“ დაინახონ, რომ დიდი და  
ძლიერია შენი საპყრობელი“<sup>99</sup>.

რევოლუციის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული აგრეთვე თბი-  
ლისის რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების შექმნა 1907 წელს.  
აღნიშნული საზოგადოების შექმნით სამღვდლოება ცდილობდა აღმო-  
ეფხვრა მოსახლეობაში რევოლუციური მოძრაობის არასასურველი  
შედეგები. საზოგადოება უშუალოდ ემორჩილებოდა საქართველოს  
ეზარქოსს და მისი მიზანი იყო „რელიგიისა და მორალის საკითხე-  
ბის ყოველმხრივი დამუშავება“. „საზოგადოება“ სისტემატურად მარ-  
თავდა კრებებს, ქალაქის სხვადასხვა ადგილებში აწყობდა ბიბლიო-  
თეკებსა და სამკითხველოებს. გამოსცემდა საზოგადოების წევრთა  
ნაშრომებს. საზოგადო საწყისებზე ატარებდა ლექცია-მოხსენებებს.  
მის მუშაობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა „სახალხო კითხვის  
სექციას“, რომელიც სისტემატურად ატარებდა რელიგიური შინაარ-  
სის ნაწარმოებების საჯარო განხილვას, განმარტავდა ახალ აღთქმას.  
შეკრებილთ უკითხავდა პოპულარულ რეფერატებს რელიგიური ზნე-  
ობების შესახებ და სხვ.

„საზოგადოებამ“ თავის საქმიანობის ასპარეზად აირჩია საპყრო-  
ბილეები, საავადმყოფოები, ღამის გასათევი სახლები, მოხუცთა და  
დავრდომილთა თავშესაფრები. მისი წევრები საუბრებს ატარებდნენ  
რუსულ და ქართულ ენაზე, მაგრამ როგორც სხვა ანალოგიური საზო-  
გადოებებისა და კავშირების მიმართ, რომლებიც ხშირად იქმნებოდა  
დასახელებულ პერიოდში, აღნიშნული საზოგადოების საქმიანობას  
მოსახლეობა გულგრილად შეხვდა. ხალხი იშვიათად დადიოდა ამ შეკ-  
რებებზე და მალე სრულიადაც ჩამოცილდა. „საზოგადოებამ“ იარსე-

99 ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

ბა 1912 წლამდე. თავისი არსებობის წლებში საზოგადოებამ ჩაატარა მთელი რიგი ლექცია-საუბრებისა. მაგ., „ქრისტიანობა და თანამედროვე საზოგადოება“, „ღმერთი სული“, „ღმერთის ზნეობრივი ბუნება“, „ღმერთი სიყვარული“, „ღმერთი მხსნელი“ და მრავალი სხვ. მაგრამ, მოსახლეობა არ დაინტერესდა მისი საქმიანობით და იგი გაუქმდა<sup>100</sup>.

საეგზარქოსოს ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას ხელს უწყობდნენ რეაქციულად განწყობილი სასულიერო პირები და ჩინოვნიკები. მათ შორის გამოირჩეოდა ქართველი ხალხის დაუბინებელი მტერი ბერი ვოსტორგოვი, რომელიც წლების განმავლობაში იბრძოდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. იგი სისტემატურად გამოდიოდა პრესაში. მისი ქადაგებები და წერილები გამოირჩევიან უაღრესად კონტრრევოლუციური და ველიკოდერჟავული შინაარსით. ქადაგებებისათვის ი. ვოსტორგოვი აღდიტორიას ირჩევდა მუშათა რაიონებში და დასახლებებში, რომელთა ბინადარნიც გამოირჩეოდნენ ანტისახელმწიფოებრივი და რევოლუციური ბუნებით. ის ხშირი სტუმარი იყო თბილისის საორთქლმავლო დეპოსი, სკოლებისა და სხვ. თბილისის დეპოში მუშების წინაშე წარმოთქმული სიტყვებისათვის ვოსტორგოვს „თვითმპყრობელობის ლაქია და ორჩინიკების დამცველი“ უწოდეს. აღშფოთებული მუშები სიკვდილით ემუქრებოდნენ მას იმ ქადაგებებისათვის, რომელიც მან წარმოთქვა ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობის წინაშე<sup>101</sup>.

რევოლუციურ მოძრაობას არ შეიძლება თავისი გავლენა არ მოეხდინა თვით სასულიერო პირების განწყობაზეც. პროგრესულად მოაზროვნე სასულიერო პირების ერთი ნაწილი აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ზოგიერთ შემთხვევაში ხელს უწყობდა რევოლუციურ მოძრაობასაც. ხელისუფლება სასტიკად სჯიდა ასეთ სასულიერო პირებს, ასეთი დანაშაულისათვის მღვდლებს ასამართლებდნენ, გადაჰყავდათ ნაკლებ შემოსავლიან სამრევლოებში, იშვიათ შემთხვევაში ითხოვდნენ სამსახურიდან, რათა დაეცვა ეკლესია-მონასტრები რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენისაგან. ეგზარქოსი მოითხოვდა მონასტრების წინამძღვრებისაგან არ დაეშვათ მათდამი დაქვემდებარებულ სამყოფელებში შემთხვევითი პირები, რომლებიც შეიძლება მათთან მოსულიყვნენ, ან უკვე თავს აფარებდნენ იქ, როგორც ბერ-მონაზვნები. ეგზარქოსი მონასტრების წინამძღვრებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა მკაცრი თვალყურის დაწესებას, როგორც მონასტრებში მცხოვრებლებზე, ასევე მათთან მომსელებზე<sup>102</sup>.

100 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 22651, 1907, ფურც. 37.  
101 ცსილ, ფ. 796. ანაწ. 442, საქ. 601, 1905, ფურც. 37.  
102 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 25521, 1905, ფურც. 38.



ქრისტიანულ ეკლესიას თავისი „წვლილი“ შეჰქონდა თვითმპყრობელობის ეროვნულ პოლიტიკაში. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „რეაქციული ბურჟუაზია ყველგან ზრუნავდა და ახლა ჩვენშიც იწყება ზრუნვას, რათა გააღვივოს რელიგიური შუღლი, რათა მასების ყურადღება მიმართოს ამ მხრივ და ააშოროს იმ ნამდვილად მნიშვნელოვან და ძირითად ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებს, რომელთაც ახლა პრაქტიკულად სწყყეტს თავის რევოლუციურ ბრძოლაში გაერთიანებული სრულიად რუსეთის პროლეტარიატი“<sup>103</sup>.

ეროვნებათა ერთმანეთზე გადაკიდებით ცარიზმი ცდილობდა, მუშათა ერთიანი ფრონტის გარღვევას და რევოლუციური მოძრაობის გზიდან მათ აცდენას. ცარიზმის ამ პოლიტიკას ემსახურებოდა ბევრი რელიგიური ორგანიზაცია და კავშირი. სხვადასხვა ეროვნების მუშების ერთმანეთზე წაკიდების მიზნით, სასულიერო წოდება არ ერიდებოდა ცრუ ხმების გავრცელებასაც. სინოდის ობერ-პროკურორი საიდუმლო წერილით ატყობინებს მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს (1905—1915 წწ.) გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის დიმიტრის წერილის შინაარსს, რევოლუციური მოძრაობის წარმატებაზე გურიაში. წერილში აღნიშნულია, რომ ეს მოძრაობა მიმართული იყო რუსეთის მთავრობისა და რუსი მცხოვრებლების წინააღმდეგ<sup>104</sup>. სოხუმის ეპისკოპოსი არსენი, თვითმპყრობელობის ეს ერთგული მსახური, რომელიც თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტას და ამ ხალხის რაც შეიძლება სწრაფ გარუსებას ისახავდა, 1905 წლის 15 თებერვალს ატყობინებდა ქუთაისის გუბერნატორს: მთელს კავკასიაში გაბატონებულია ტერორი, რომელიც გავრცელდა სოხუმშიც. სოხუმში მოსალოდნელია საყოველთაო აჯანყება არა მარტო მთავრობის, არამედ ყოველგვარი რუსულის წინააღმდეგ. ამის შესახებ რუსეთის ხელისუფლების მოხელეებს მიუღიათ სიკვდილის მუქარის წერილები კავკასიის საიდუმლო რევოლუციური კომიტეტიდან<sup>105</sup>. როგორც ეპისკოპოსი არსენი, ასევე სხვა სასულიერო პირები, შეგნებულად უვლიან გვერდს იმ ფაქტს, რომ რევოლუციურ ბრძოლაში ქართველების გვერდით თვითმპყრობელობის პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ რუსები, სომხები, აფხაზები, აზერბაიჯანელები და ყველა ეროვნების წარმომადგენელი, რომელიც საქართველოში ცხოვრობდა. ისინი შეგნებულად სდუმან იმის შესახებ, რომ რევოლუციური მოძრაობა საქართველოში მიმართული იყო არარუსი ხალხის, არამედ ყველასთვის საძულველი თვითმპყრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ.

103 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10 გვ. 89.

104 ცხიკელი, დ. 796, ანაწ. 442, საქ. 601, 1905, ფურც. 37.

105 საქ. ცხიკელი, დ. 488, საქმე 25521, 1905, ფურც. 38.

ეგზარქოსი ეკლესიის მსახურებს ავალებდა, თვალყური ედევნებინათ რევოლუციურად განწყობილ მუშებზე, მოსახლეობის განწყობაზე, მათ დამოკიდებულებაზე ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებთან, მმართველობის ორგანოებთან და სხვ. სამრევლოს მღვდლები ვალდებული იყვნენ დაუყოვნებლივ ეცნობებინათ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის ყოველივე წვრილმანი, რაც მათ დააეჭვებდათ, მღვდლებს თვალყური უნდა ედევნებინათ ყველა უცნობისათვის, რომელიც მათ სამრევლოში გამოჩნდებოდა. მღვდელი, რომელიც ამ მოთხოვნას არ შეასრულებდა, სასტიკად ისჯებოდა.

ადღერის რაიონში დააპატიმრეს მასწავლებელი; რომელიც თანასოფლელებში რევოლუციური შინაარსის წიგნებს კითხულობდა და ხელს უწყობდა ასეთი ლიტერატურის გავრცელებას მოსახლეობაში. ლიტერატურა მასწავლებლისათვის ჩამოურთმევია სოფლის მღვდელს ვინმე ვინოვს. როდესაც ეპისკოპოსმა მღვდელს ეს ლიტერატურა მოსთხოვა, მას აღარ აღმოაჩნდა (უკან დაებრუნებინა მასწავლებლისათვის), ასეთი დაუდევრობისათვის ეპისკოპოსმა მღვდელს საყვედური გამოუცხადა, როგორც რევოლუციონერის მფარველს და მისი საქმის მონაწილეს<sup>106</sup>. დამსჯელ ორგანოებთან აქტიურად თანამშრომლობდა სოფელ მარტყოფის მღვდელი ერისტოვი, რომელსაც თანასოფლელებმა 1905 წლის 25 მარტს საპროტესტო მანიფესტაცია მოუწყეს<sup>107</sup>. თვითმპყრობელობა განსაკუთრებით აფასებდა იმ სასულიერო პირებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს რევოლუციონერების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთებს სასულიერო ხელისუფლება ჩადენილი დანაშაულისათვისაც კი არ სჯიდა და არც პასუხს აგებინებდა. ნინოწმინდის ეკლესიის მრევლმა ეგზარქოსთან უჩივლა მღვდელ ხაბაზაშვილს, როდესაც ამის შესახებ შეიტყო ბლალოჩინმა გულისოვმა, მან მაშინვე წერილით მიმართა ეპისკოპოსს, რომელსაც შეახსენებდა ხაბაზაშვილის დამსახურებას რევოლუციის წლებში. ეს მღვდელი, ხალხის მღელვარების დროს, 1905 წლის მარტში, მდგარა იმ მღვდლების გვერდით, რომლებმაც დაიცვეს როგორც საკუთარი თავი, ისე ეკლესია, სოციალ-დემოკრატებისა და სხვა „ბოროტგანმზრახველებისაგან“<sup>108</sup>. სამტრედიის ეკლესიის მღვდელმა კანდელაკმა ეკლესიაში შეიპყრო რევოლუციონერი მუშა, რომელიც მოითხოვდა წირვის შეწყვეტას, და გადასცა სახელმწიფო ორგანოებს<sup>109</sup>.

მე-20 საუკუნის დასაწყისში რევოლუციურმა და ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოიცვა მთელი საქართველო, იგი შე-

106 აფხაზეთის ცსა, ფ. 1, ანაწ. 1, საქმე 1024, 1906, ფ. 1.

107 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 25522, 1905, ფურც. 82.

108 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 22246, 1905, ფურც. 49-50.

109 იქვე. საქმე 22445, 1905.

ეხო საზოგადოების ყველა ფენას და მოსახლეობის საერთო პოლიტიკური აქტივობა გამოიწვია. ბუნებრივია, რომ ამ მოძრაობამ დიდი გავლენა იქონია მოსწავლე-ახალგაზრდობაზე. რევოლუციაში თავისი აქტიური მონაწილეობით ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდობა ცდილობდა შური ეთია და სამაგიერო გადაეხადა ცარიზმისათვის, რომელმაც შეურაცხყო მისი ნაციონალური გრძნობები. ახალგაზრდობას ღრმად სწამდა, რომ რევოლუცია გადაწყვეტდა საქართველოს განთავისუფლების საკითხს, რომელიც დიდი ხანის დღის წესრიგში იდგა.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი აქტივობით გამოირჩეოდნენ საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლების და სემინარიის მოსწავლეები. წინადადებებში, რომლებსაც ისინი უყენებდნენ სასწავლებლების ადმინისტრაციას, საკმაოდ დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ეკლესიის საწინააღმდეგო მოთხოვნებს. როგორც ყველგან, აქაც, სხვა მიზეზების გვერდით, ანტირელიგიური განწყობილების ზრდას ხელს უწყობდა რევოლუციური პროპაგანდა.

იმერეთის ეპარქიის სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველი სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეთა მღვდვარების მიზეზად ასახელებს სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდას. ბარათში აღნიშნულია, რომ სოციალ-დემოკრატთა პროპაგანდისტები ხშირად იკრიბებიან და სიტყვებით გამოდიან სასწავლებლების ეზოებში. ისინი შეურაცხყოფას აყენებენ ბავშვების რელიგიურ და პატრიოტულ გრძნობებსო. აქვე აღნიშნავს, რომ ალისუბნის სასწავლებლის მოსწავლეებმა სოციალ-დემოკრატთა პროპაგანდის გავლენით (რომლებიც უმთავრესად იყვნენ გუბერნიის სხვადასხვა ქალაქების სასწავლებლებიდან გარიცხული და შემდეგ სოფლად დაბრუნებული მოსწავლეები და სტუდენტები) უარი განაცხადეს ელოცათ მეფისა და სამშობლოსათვის<sup>110</sup>. რევოლუციური მოძრაობის დიდ გავლენაზე იმერეთის ეპარქიის სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეებზე მიუთითებს აგრეთვე იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე. მოხსენებით ბარათში ეპისკოპოსი ეხება მღვდვარებას ქუთაისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის მოსწავლეთა შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1905 წლის 25—28 იანვარს<sup>111</sup>. მოსწავლეებზე რევოლუციური გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ სასულიერო პირებს უკვე აღარ შესწევდათ ძალა სასწავლებლებში წესრიგის აღდგენისა<sup>112</sup>. იმერეთის სასულიერო სასწავლებლებში წესრიგის აღდგენის მიზნით, სასულიერო ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოსწავლეების დათხოვნა. დათხოვნის მიზეზი არ გამოაცხადეს და მოსწავლეები გაანთავისუფლეს თესვის დროს მშობ-

110 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 25522, 1905, ფურც. 63—64.

111 იქვე, ფურც. 13.

112 იქვე, ფურც. 108.

ლებსადმი დახმარების საბაზით. სწავლა უნდა გაგრძელდებოდა მას შემდეგ, როცა სასწავლებელში აღდგენილი იქნებოდა წესრიგი<sup>113</sup>.

1905 წელს სწავლა შეწყვიტეს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებმა. სასწავლებლის ადმინისტრაცია უწესრიგობის გამოიწვევ მიზეზად რევოლუციური პროპაგანდის გავლენას მიიჩნევს. მოხსენებით ბარათში ვკითხულობთ: „მოსწავლეები გატაცებულნი არიან გურულების საერო ნაციონალური და რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობით“<sup>114</sup>. წესრიგის აღდგენის მიზნით, სასწავლებლის მესვეურები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მოსწავლეები, რომ ყველა ის, რაც მათ გარშემო ხდება თითქოს „მათ არ ეხებათ“. იყო შემთხვევები, როცა მათ შეგნებულად გამოცვალეს გალობა „ღმერთი გვფარავდეს“<sup>115</sup> და სხვ. სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეები თავიანთ მოთხოვნებში პროტესტს გამოთქვამდნენ საეკლესიო წირვა-ლოცვის სიმძიმეზე და მოითხოვდნენ ზოგიერთი სასულიერო საგნის სწავლებას ქართულ ენაზე<sup>116</sup>. 1905 წელს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებმა ქუთაისის გუბერნატორს წარუდგინეს წინადადებები, რომლებშიც მოითხოვდნენ, მოსამზადებელი კლასების მოსწავლეთათვის სავალდებულო არ ყოფილიყო წირვა-ლოცვაზე დასწრება, შეემცირებინათ ღვთისმეტყველების გაკვეთილები და სასწავლებლის ეკლესიაში აეკრძალათ აკათისტები<sup>117</sup>.

არსებული რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ქალთა საეპარქიო სასწავლებლებშიც. მაგ., 1905 წელს თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლებში გოგონებმა მოითხოვეს აკრძალულიყო ძალდატანება ისეთ შემთხვევაში, როგორცაა ჯვრით სვლა, მარხვის დაცვა კი აუცილებელი ყოფილიყო დიდმარხვის პირველ და უკანასკნელ კვირას<sup>118</sup>.

რევოლუციის წლებში ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი იყო სასულიერო და საერო სასწავლებლების პედაგოგებისა და მოსწავლეების იზოლაცია ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის გავლენისაგან. 1905 წლის 26 იანვარს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სამოსწავლო საბჭომ სპეციალური ცირკულარით მიმართა საეკლესიო-სამრევლო სკოლების დირექტორებს, რომელშიც აღნიშნულია სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეებსა და მოსწავლეებზე რევოლუციური აგიტაციის დიდი გავლენის შესახებ. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ რევოლუციონერები

113 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 25522, 1905, ფურც. 63—64.

114 იქვე, ფურც. 101.

115 იქვე.

116 ცსილ, ფ. 796, ანაწ. 186, საქ. 851, 1905, ფურც. 22.

117 საქ. ცსა ფ. 488, საქმე 25522, 1905, ფურც. 22.

118 ცსილ, ფ. 802, ანაწ. 10, საქ. 55, 1905.

არსებობს თუ არა

ცდილობენ ამ მოძრაობაში ჩააბან დაწყებითი სასწავლებლების მოსწავლეები და მასწავლებლები, რომლებსაც ისინი პროკლამაციებს უგზავნიდნენ და ცდილობდნენ მათი დახმარებით აამხედრონ მოსახლეობა მეფის, რწმენის, ეკლესიისა და კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ<sup>119</sup>. საჭირო შემთხვევაში მთავრობა დახმარებისათვის მიმართავდა კიდევ სასულიერო სასწავლებლებს. 1905 წელს, სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებელი სთხოვს ეგზარქოსს, რომ მან დაავალოს გურიის სასულიერო პირებს, სასწავლებლებში მომუშავე მღვდლებს, გაუწიონ დახმარება ოზურგეთში მთავრობის დავალებებით ჩასულ კრიმ გირეის, რომელსაც დავალებული აქვს გურიაში რევოლუციური გამოსვლების მიზეზების შესწავლა და საჭირო ღონისძიებების გატარება<sup>120</sup>. სასულიერო პირები მოუწოდებდნენ ყველას, „ვისაც ძვირად უღირდა არსებული რეჟიმი“, „სამშობლოსათვის ამ მძიმე განსაცდელის დღეებში“, ახლოს მდგარიყვნენ „ეკლესიასა და მის მწყემსებთან“. დახმარებოდნენ სახელმწიფო ორგანოებს ხალხის დაწყენარებაში და დაეცათ ბავშვები „მავნე სენისაგან“<sup>121</sup>.

რევოლუციის წლებში საქართველოს საეგზარქოსოში არ იყო არც ერთი სასულიერო სასწავლებელი, რომლის მოსწავლეებსაც რამდენჯერმე არ მოეწყოთ გამოსვლები არსებული პოლიტიკური წყობილებისა და სასწავლებლებში გამეფებული რეჟიმის წინააღმდეგ. ახალგაზრდობის გატაცებამ რევოლუციური მოძრაობით ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ საეგზარქოსომ საჭიროდ სცნო ამ საკითხის განხილვა მთავარმართებლის საბჭოზე, რომელმაც დასახა კიდევაც სათანადო ღონისძიებები<sup>122</sup>.

1905 წლის 25—27 იანვარს მოსწავლეთა გამოსვლებს ჰქონდა ადგილი ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც ამის გამო დახურეს განუსაზღვრელი დროით. მოსწავლეთა აქტიური გამოსვლების გამო გააუქმეს ქუთაისის სასულიერო სემინარია და მის მაგივრად სასულიერო სასწავლებელი გახსნეს<sup>123</sup>. 25—27 იანვრის გამოსვლებისათვის მოსწავლეთა დიდი ნაწილი დროებით დაითხოვეს. 22 მოსწავლეს კი, რომლებსაც გამოსვლების ხელმძღვანელობა ბრალდებოდათ, აეკრძალათ სწავლა. მალე ასეთივე ბედი ეწია გორის სასულიერო სასწავლებელს, რომლის მოსწავლეთა შორის განსაკუთრებით გაძლიერდა ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობა<sup>124</sup>.

საქართველოს სასწავლებლები

119 იქვე, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 601, 1905.  
120 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 25522, 1905, ფურც. 17.  
121 ცსილ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 601, 1905.  
122 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 25522, 1905, ფურც. 90.  
123 იქვე, ფურც. 44.  
124 იქვე, ფურც. 22.

მთავრობისა და ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობამ საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში ისეთი მძლავრი ხასიათი მიიღო, რომ მთავრობამ, მიზანშეწონილად მიიჩნია სასულიერო სასწავლებლების გაუქმება და მათ მაგივრად ე. წ. „ბოგოსლოვესკიე შკოლისი“ დაარსება. ამ სკოლებში სასულიერო პირების გარდა უნდა მომზადებულიყვნენ საეკლესიო სკოლების მასწავლებლებიც<sup>125</sup>. ასეთი სასწავლებლების გახსნა მთავრობამ აუცილებლობად მიიჩნია ყველგან, განსაკუთრებით კი იმპერიის განაპირა რაიონებში. სკოლებში მოსწავლეებს უნდა ესწავლათ მხოლოდ სასულიერო საგნები და თავიანთი კატეგორიით სასულიერო სასწავლებლებზე დაბლა იდგნენ. აღნიშნული სკოლების გახსნის წინააღმდეგ საქართველოში გაილაშქრეს ინტელიგენციისა და სამღვდლოების წარმომადგენლებმა. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები სამართლიანად მიიჩნევდნენ, რომ სასულიერო სასწავლებლების შემდეგ ასეთი დაბალი ტიპის სკოლების დაარსება იქნებოდა უკან გადადგმული ნაბიჯი არა მარტო სასულიერო განათლების დარგში, არამედ საერთოდ ახალგაზრდობის ზოგადი განათლების საქმეშიც.

რევოლუციის წლებში ეკლესიის საწინააღმდეგო გამოსვლებს ჰქონდა ადგილი გორის სასულიერო სასწავლებელში. აღნიშნულის შესახებ ეგზარქოსმა სასტიკად მიუთითა სასწავლებლის ზედამხედველს, პოლიციას კი სთხოვა დაუყოვნებლივ გაესახლებინა გორიდან თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში ის აღსაზრდელები, რომლებიც სასწავლებლის ხელმძღვანელობის მიერ შემჩნეულნი იყვნენ უწესრიგობის მთავარ დამნაშავეებად. ასეთი მითითების შემდეგ ვორის სასულიერო სასწავლებლიდან დაითხოვეს 33 მოსწავლე, რომლებსაც ბრალდებოდათ მოსწავლეთა გამოსვლების ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ამავე დროს, ქალაქის პოლიციას გადაეგზავნა მათი სია და ეთხოვა გაესახლებინათ ისინი ქალაქიდან<sup>126</sup>.

1906 წლის 3 მაისის ცირკულარით ობერპროკურორი საქართველოს ეგზარქოსისაგან მოითხოვდა გადაშტრელ ღონისძიებების გატარებას თბილისის სასულიერო სემინარიასა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებში წესრიგის აღდგენისათვის. აქვე მიუთითებდა, რომ, თუ ასეთი ღონისძიებები სასურველ შედეგს არ გამოიღებდნენ, ეგზარქოსს დაეხურა ეს სასწავლებლები, მოსწავლეები დაეთხოვა, ხოლო მოსამსახურე პერსონალი დაეტოვა შტატგარეშე<sup>127</sup>.

მთავრობის ასეთ ღონისძიებებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. მოსწავლეთა გამოსვლები კვლავ გრძელდებოდა. 1907 წლის თე-

125 იქვე, საქმე 24576, 1905, ფურც. 1.

126 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 25522, 1905, ფურც. 22.

127 ცსილ ფ. 796, ანაწ. 189, საქ. 309, 1907, ფურც. 13.

ბერვალში და მარტში დიდ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი თბილისის სასულიერო სემინარიაში და საქართველოს საეგზარქოსოს თითქმის ყველა სასულიერო სასწავლებელში.

ქუთაისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლებში მთავრობისა და ეკლესიის საწინააღმდეგო გამოსვლებმა ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ საკითხის განხილვისა და სათანადო ღონისძიებების შემუშავების მიზნით, იმერეთის სამღვდლოების დეპუტატთა კრებაც კი მოიწვიეს. კრებამ მოსწავლეთა მშობლებს მოუწოდა შთაეგონებინათ თავიანთი გოგონებისათვის დაწესარებულიყვნენ და მოთხოვნები არ წაეყენებინათ სასწავლებლის ხელმძღვანელობისათვის<sup>128</sup>.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო იმპერიის განაპირა რაიონებში ნაციონალური ინტელიგენციის შესუსტება. როგორც ცნობილია, ადგილობრივი კადრების შერჩევის საკითხი ყოველთვის იყო მთავრობის ყურადღების ცენტრში. საქართველოში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ინიშნებოდნენ უპირატესად რუსი ეროვნების პირები, ან, იშვიათ შემთხვევაში, რუსული ორიენტაციის მქონე ქართველები. ჯერ კიდევ 1883 წელს განათლების მინისტრი დელიანოვი სწერდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს; ვინაიდან შემჩნეულია ქართველებში და სომხებში მისწრაფება ეროვნული დამოუკიდებლობისადმი, ამიტომ ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურში არ უნდა იქნენ დაშვებულნი ქართველები და სომხები<sup>129</sup>. მთავრობის ეს პოლიტიკა მთლიანად ვრცელდებოდა სასულიერო უწყებებზე, კერძოდ სასულიერო სასწავლებლებზე. ქართველი პედაგოგები იდევნებოდნენ საქართველოს სასწავლებლებიდან, მათი უფლებრივი მდგომარეობა (განსაკუთრებით ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტების) ხშირად დაბალი იყო, ვიდრე რუსული ეროვნების მასწავლებლებისა. ქართველი პედაგოგებისადმი ასეთი დამოკიდებულების კარგ მაგალითს წარმოადგენს ერთი შემთხვევა ქართველი პედაგოგის იპოლიტე ვართაგავას ცხოვრებიდან.

ცნობილი ქართველი პედაგოგი იპოლიტე ვართაგავა მსახურობდა თავრიდის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორის თანაშემწედ. 1904 წელს მან განცხადებით მიმართა სინოდის სამოსწავლო კომიტეტს, რომლითაც ითხოვდა ზედამხედველის ადგილს ქუთაისის სემინარიაში. სამოსწავლო კომიტეტმა ვართაგავას განცხადება განსახილველად გადმოუგზავნა საქართველოს ეგზარქოსს, რომელმაც საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო მიზანშეწონილად არ მიიჩნია მისი აქ გადმოყვანა<sup>130</sup>.

128 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 25522, 1905, ფურც. 51.

129 ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, ტ. 2, თბ., 1959, გვ. 138.

130 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 24547, 1906, ფურც. 6.

ამავე დროს სასულიერო უწყება ცვლიდა საეკლესიო-სამრევლო სკოლების პროგრამებს, რაც მიზნად ისახავდა მოსწავლეებზე რელიგიური გავლენის გაძლიერებას. ამ ღონისძიების არსზე უფრო „მოგზაური“ წერდა: „ეს პროგრამა განგებ ისეა შედგენილი, რომ ბავშვებს გონება სრულიად დაუხშონო“ და ექვს გამოსთქვამდა მის ცხოვრებაში გატარებაზე<sup>131</sup>.

რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში ეკლესია ხშირად ცვლიდა მოქმედების ტაქტიკას. თავისი მიზნების მისაღწევად იგი ყოველთვის რეპრესიებს არ მიმართავდა, ზოგიერთ შემთხვევაში დათმობაზედაც მიდიოდა. მაგ., რევოლუციის შემდეგ ეგზარქოსმა უფლება მისცა სასწავლებლის ხელმძღვანელებს დაებრუნებინათ სასწავლებლებში მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში მონაწილეობისათვის გარიცხული მოსწავლეები, თუ ისინი ხელწერილით გააფორმებდნენ თავიანთ პირობას, რომ ულაპარაკოდ შეასრულებდნენ ყოველივეს, რაც სასწავლებლის შინაგანაწესით იყო დადგენილი<sup>132</sup>. სასწავლებლის ხელმძღვანელებს უფლება მიეცათ შეეძინათ ბიბლიოთეკებისათვის საინტერესო წიგნი. კეთილსაიმედო მოსწავლეებისათვის მიენდოთ წიგნთსაცავის გამგეობა. ბიბლიოთეკებისათვის გამოეწერათ ისეთი მიმართულების გაზეთები, რომელთა შესახებ ადრე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა<sup>133</sup>.

რევოლუციურმა მოძრაობამ თავისი გავლენა იქონია სასულიერო პირებზე. გარდა იმისა, რომ თვითონ ისინი გულგრილად ეკიდებოდნენ თავიანთი პირდაპირი მოვალეობის აღსრულებას, ახლა, სასულიერო პირთა ერთ ნაწილს შვილები აღარ შეჰყავდათ სასულიერო სასწავლებლებში<sup>134</sup> და ცდილობდნენ მათთვის საერო განათლება მიეცათ.

როგორც 1905—1907 წლების, ასევე ოქტომბრის რევოლუციის დროს, სასულიერო პირთა ერთი ნაწილი უყოყმანოდ დადგა რევოლუციონერთა მხარეზე.

საქართველოს ეგზარქოსი ალექსი I (1901—1905) 1903 წელს მოახსენებდა მიტროპოლიტ ფლავიანს, რომ მღვდელი ვასილ კარბელოვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მშრომელთა გამოსვლაში, რომელიც მოეწყო შამახაში, სოფლის მასწავლებლის მოსე მეგრელიძის დაკრძალვის დროს. ეგზარქოსი კარბელოვს ახასიათებს, როგორც ანტი-სახელმწიფოებრივ და ანტირუსული პოლიტიკის მომხრე ადამიანს<sup>135</sup>.

1906 წლის 6 თებერვალს მრევლის წინაშე სახელმწიფოს საწი-

131 „მოგზაური“, 1905, № 4.

132 ცისაღ, ფ. 796, ანაწ. 188, საქ. 309, 1907, ფურც. 13.

133 „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე“, № 5, გვ. 19, 1906.

134 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 25579, 1905, ფურც. 8.

135 იქვე, საქმე 25522, 1905, ფურც. 15.



ნაალმდეგო ქადაგებით გამოვიდა ფოთის ქალაქის ტაძრის მღვდელი მეგრელიძე, რომელმაც თავისი სიტყვა დაამთავრა მოწოდებით: ეცხოვრათ მშვიდობიანად. შეთანხმებით და სიყვარულით. — *ეპიკოპოსი*

1906 წელს დააპატიმრეს და თელავის ციხეში მოათავსეს სოფელ ქვემო ხოდაშნის მღვდელი ფხალაძე, რომელიც პოლიციის ჩვენებით „გლეხთა შორის ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა, ავრცელებდა პროკლამაციებს და ხელმძღვანელობდა საიდუმლო ორგანიზაციას“<sup>136</sup>.

1906 წელს სასამართლო საქმე აღიძრა გელათის მონასტრის წინამძღვრის ნიკოლოზ (ნამორაძის) წინააღმდეგ. კავკასიის მეფის ნაცვალის დაშიფრული დეპეშით ატყობინებდა სინოდის ობერპროკურორს, რომ გელათის მონასტრის წინამძღვარი, რომელიც აქამდე ეწეოდა აგიტაციას ეპისკოპოსის წინააღმდეგ, ამჟამადაც განაგრძობს ეკლესიის და მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდასო. სასჯელად მოითხოვს გელათის მონასტრის წინამძღვრის გადასახლებას რუსეთის რომელიმე შიდა გუბერნიაში: მაგრამ ნიკოლოზი არ დაემორჩილა განაჩენს და უკვალოდ გაქრა. ნიკოლოზთან ერთად პასუხისმგებამი იყვნენ მიცემულნი ბერმონაზვნები — დოდო და ილარიონი. გამოძიებამ აჩვენა, რომ 1905—1906 წლებში ქუთაისში შექმნილა ორგანიზაცია, „რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში ეწეოდა მუშათა პარტიის სოციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდას და თავისი მოღვაწეობის მიზნად ისახავდა რუსეთში ძირითადი კანონით დამყარებული პოლიტიკური წყობის დამხობას“<sup>137</sup>. დასახელებული სასულიერო პირები აქტიური მონაწილეები და ხელმძღვანელები იყვნენ ამ საიდუმლო ორგანიზაციისა. გამოდიოდნენ მიტინგებზე, რომელიც იმართებოდა მათივე ინიციატივით თვითონ მონასტერში. ისინი მარტო სიტყვებით არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ პრაქტიკულადაც ეხმარებოდნენ რევოლუციონერებს. ბერმონაზონ ილარიონს მონასტრის სანთლის ქარხნის ხელმძღვანელობა ებარა. სანთლის ქარხნის შემოსავლიდან ის საკმაოდ მოზრდილ თანხას აძლევდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას საჭირო იარაღის შესაძენად<sup>138</sup>.

ყველასათვის ცნობილია, ჩვენი საზოგადო მოღვაწის და მწერლის კონდრატე თათარიშვილის გამოსვლა ეკლესიისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ის თავის მოთხრობებსა და სტატიებში მკაყურად აკრიტიკებდა თვითმპყრობელობას და მის ერთგულ ქრისტიანულ ეკლესიას. ილაშქრებდა თვითმპყრობელობის კოლონიურ, საეკლესიო-მონარქისტულ საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ. აკრიტიკებდა სემი-

136 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე, 22527, 1906, ფურც. 1—2.

137 ცსილ, ფ. 796, ანაწ. 187, საქ. 6579, 1906, ფურც. 10.

138 აქვე, ფურც. 11.

ნარიაში შემოდებულ სწავლების მეთოდებს, აქტიურ მონაწილეობას  
ღებულობდა რევოლუციურ მოძრაობაში<sup>139</sup>.

1905 წელს საქართველოს სამღვდლოების კრებაზე, რომელიც  
შეიკრიბა თბილისის სასულიერო სემინარიაში, კ. თათარიშვილმა (ის  
ჯერ კიდევ მღვდელი იყო) მოითხოვა იმ 27 ჯარისკაცის გათავისუფლე-  
ბა, რომლებსაც სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი იმ მიზეზით, რომ 1905  
წლის რევოლუციაში ისინი აჯანყებულებს მიემხრნენ. ამ საკითხთან  
დაკავშირებით ვაფორმდა დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერდა კრე-  
ბის ყველა მონაწილე. მათ უარი ეთქვათ. მაშინ ის პირადად მივიდა  
ეგზარქოსთან და განმეორებით ითხოვა შეწყნარება. ეგზარქოსმა კვლავ  
უარით გამოსიტურმა. ამის საპასუხოდ თათარიშვილმა „ერთ საპარიკ-  
მანეროში შეიარა, თმა და წვერი გაიპარსა და ანაფორა გაიხადა. თმა  
და წვერი კი სათანადო წარწერით ეგზარქოს ნიკოს გაუგზავნა ნობა-  
თად. ასეთი მოქმედებისათვის ის ეკლესიიდან გააძევეს, როგორც  
„მწვალებელი“. კ. თათარიშვილის ცხოვრებიდან აღსანიშნავია კიდევ  
ერთი ეპიზოდი: ქუთაისიდან თბილისში გადმოსულმა თათარიშვილმა  
მღვდლად დაიწყო მუშაობა თბილისის ნათლისმცემლის ეკლესიაში. ამ  
სამლოცველო ტაძარში მან შეიფარა ჯარისკაცი, რომელმაც მოკლა  
ჯაშუში ლარიონოვი (1905 წ.). ჯაშუშის მკვლელი იქ სამ დღეს ყოფი-  
ლა, შემდეგ თათარიშვილს უშოვია ტანსაცმელი, პასპორტი და გა-  
უგზავნია ბაქოში<sup>140</sup>.

ახალქალაქელი მღვდლების — გ. შატერაშვილისა და მალრაძის  
მთავრობის საწინააღმდეგო მოღვაწეობაზე მოახსენებს ეგზარქოსს თა-  
ვის მოხსენებაში თბილისის გენერალ-გუბერნატორი<sup>141</sup>.

თბილისის სასამართლო პალატამ გაასამართლა და ციმბირში გა-  
დასახლება მიუსაჯა სოფელ იფარის მღვდელს მიხეილ ნიკოლოზის ძე  
სუბატაშვილს. ლეჩხუმის მღვდელს სუბატაშვილს ბრალად ედებოდა  
1905 წლის რევოლუციის წლებში მონაწილეობა რუსეთის სოციალ-  
დემოკრატიული მუშათა პარტიის ქუთაისის გუბერნიის სვანეთის ორ-  
განიზაციის მუშაობაში. სვანეთში სუბატაშვილის შეთანხმებით შეიქმ-  
ნა ე. წ. „წითელი ასეული“. სუბატაშვილი კრებებზე გამოდიოდა მო-  
ხსენებებით, რომელშიც ხალხს მოუწოდებდა ჩამოეგდოთ მეფე, ებრ-  
ძოლათ არსებული წყობილების წინააღმდეგ. შეეცვალათ არსებული  
მმართველობა ხალხის მმართველობით — ერთობით<sup>142</sup>.

რევოლუციურ მოძრაობასა და მთავრობის წინააღმდეგ ხალხის  
აჯანყებაში, მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდის წარმოებაში,

139 ს. ცაიშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1962, გვ. 115—116.

140 ს. ცაიშვილი, დასახ. ნაშრომი.

141 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 22748, 1906, ფურც. 1.

142 ცსილ, ფ. 796, ანაწ. 189, საქ. 7689, 1908, ფურც. 1—2.

ბრალი ედებოდა სოხუმის ეპარქიის მღვდელს ტროფიმე ჯოხთაძევიძეს, რომელიც გადასახლებული იქნა პერმის ოლქში სამი წლით<sup>143</sup>. რევოლუციურ მოძრაობას ემხრობოდა და მის სასარგებლოდ ავტოციფას ეწეოდა სოფ. პლასტუნსკის მღვდელი ეფრემ ცხაკაია, რომელიც ემხრობოდა ამ მოძრაობას, ამხნევებდა პლასტუნსკის აჯანყებულებს. ეხმარებოდა მათ მთავრობის საწინააღმდეგო სხვადასხვა რჩევით. ამის გარდა, რევოლუციური მღვდვარების დროს სოქში დადასტურდა მისი ურთიერთობა რევოლუციის მესვეურებთან, რითაც სასამართლოს საშუალება ეძლეოდა დაემტკიცებინა მისი პირდაპირი თანამშრომლობა რევოლუციონერებთან. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მღვდელი ცხაკაია გაასახლეს თბილისის გუბერნიის ფარგლებიდან<sup>144</sup>.

1916 წელს ალავერდის ეპისკოპოსი ეგზარქოსს ატყობინებს მღვდელი კალატოზოვის მიერ წმ. სახარებისა და ჯვრის შეურაცხყოფის ფაქტს<sup>145</sup>.

გორის მაზრის სოფელ ნადარბაზევის მღვდელმა თეოფილე მიხეილის ძე ტაბატაძემ შეურაცხყოფა მიაყენა იმპერატორის პორტრეტს, რომელიც ქალაქის პრისტავის კანცელარიაში ეკიდა<sup>146</sup>. ამის გამო ეგზარქოსმა მას მღვდლობა აუკრძალა.

ამათ გარდა მრავალი სასულიერო პირი იღებდა მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში. მაგრამ ესენი მაინც ერთეულები იყვნენ. სასულიერო წოდების ძირითადი მასა რევოლუციის წლებში აქტიურად იბრძოდა მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ.

### § 3. საპართვლოს საეგზარქოსო სტოლიპინის რეაქციისა და ოპოზიციის რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში

როგორც რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, ასევე მის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა იმპერიის განაპირა რაიონებში, რომელიც რუსეთმა არცთუ ისე დიდი ხნის წინ შემოიერთა და თავის კოლონიად აქცია. მთავრობის განსაკუთრებული პოლიტიკის გამო, საქართველოში ძლიერ იგრძნობოდა კოლონიური ჩაგვრის სიმწვავე და ამიტომაც მშრომელთა ბრძოლა აქ უაღრესად მკაცრ და დამაბულ ხასიათს ატარებდა. როგორც ვ. ი. ლენინი შენიშნავდა, ამ რაიონებში „ნაციონალურმა ჩაგვრამ კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც აუტანელი პოლიტიკური ჩაგვრა“<sup>147</sup>.

143 აფხაზეთის ცსა ფ. I, საქმე 4247, 1908, ფურც. 3.

144 აფხაზეთის ცსა, ფ. I, საქმე 5145, 1908, ფურც. 2—3.

145 საქ. ცსა, ფ. 489, საქმე 59003, 1916, ფურც. 1—4.

146 იქვე, საქმე 59003, 1916, ფურც. 2—8.

147 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 414.

1905—1907 წლების რევოლუციამ საქართველოში ბიძგი მისცა და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელშიც აქტიურად ჩაება ქართველი ერის ყველა ფენის წარმომადგენელი. რევოლუციურმა მოძრაობამ დიდი გავლენა იქონია საზოგადოების ყველა ფენაზე, მათ შორის სამღვდლოებზეც. სასულიერო წოდების ერთმა ნაწილმა დაკარგა რწმენა თვითმპყრობელური სახელმწიფოს მარადიულობისა და ექვექვეშ დააყენა მისი სიძლიერე. რევოლუციის წლებში ქართველმა სამღვდლოებამ წამოაყენა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, რომელსაც ფართო საზოგადოება მიემხრო. ქართველი საზოგადოების ეს ნაწილი, რომელიც მთელი საუკუნის მანძილზე ოცნებობდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, ავტოკეფალიის მოთხოვნაში ხედავდა სამშობლოს განთავისუფლების საქმეში გადადგმულ კიდევ ერთ გაბედულ ნაბიჯს. თვითმპყრობელობა ამ მოძრაობაში ხედავდა თავისი პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებას და სასტიკად ებრძოდა მას. მთავრობამ რამდენჯერმე დაარბია ავტოკეფალისტთა ყრილობა და ბევრი მათგანი პასუხისგებაშიც მისცა.

ქართველი სამღვდლოება აშკარად გამოთქვამდა უკმაყოფილებას მთავრობის პოლიტიკისა და საეგზარქოსოს წინააღმდეგ და ხელს უშლიდა მის მიერ დასახული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას. ავტოკეფალიის სასარგებლო მოძრაობა ქართველ სამღვდლოების რიგებში ყოველთვის მიმდინარეობდა, რევოლუციის წლებში კი მან თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. სამღვდლოება შეეცადა ესარგებლა შექმნილი სიტუაციით და თავისი ბრძოლა მშრომელთა რევოლუციური მოძრაობისათვის დაეკავშირებინა, მის შემადგენელ ნაწილად გადაეჭვია, მაგრამ მშრომელი მოსახლეობის ფართო მასებმა უარი განაცხადეს სამღვდლოების ეს მოთხოვნა თავის მოთხოვნად მიეღო<sup>148</sup>. როგორც ზემოთ დავინახეთ, გლეხთა ყრილობებს არსად არ წამოუყენებია ავტოკეფალიის სასარგებლო მოთხოვნა.

როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფალთა წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ შექმნილი ვითარების სირთულე და სდევნიდნენ კიდევაც ავტოკეფალისტებს. მთავრობამ ამ მოძრაობის ბევრი მონაწილე გადააყენა სამსახურიდან, დააქვეითა თანამდებობიდან და ბევრიც რუსეთის შიდა გუბერნიებში გადაასახლა. ამისდა მიუხედავად, ავტოკეფალისტები ერთგვარ ოპოზიციურ ძალად რჩებოდნენ. ამის შემდეგ ვასაგებია ის უნდობლობა, რომელსაც იჩენდა როგორც სასულიერო, ასევე საერო ხელისუფლება ქართველი სამღვდლოებისადმი.

<sup>148</sup> ბ. ლომინაძე. ეკლესიის რეაქციული როლი 1905—1907 წლების რევოლუციაში, თბ., 1959, გვ. 58.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში მთავრობა მართლმადიდებლურ ეკლესიას თვითმპყრობელობის რეჟიმის ზანმტკიცებისა და ხალხის თვალში იმპერატორის ავტორიტეტის ამაღლების მისიას აკისრებდა. მაგრამ, ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, ეგზარქოსს ამის ცხოვრებაში სრულყოფა შეუძლებლად მიაჩნდა, ვიდრე თვით ქართველი სასულიერო წოდება არ იქნებოდა დამორჩილებული. ამით იყო განპირობებული, რომ რევოლუციის შემდეგ პერიოდში ეგზარქოსმა ყურადღება სასულიერო პირთა რიგების გაჯანსაღებისაკენ მიმართა. ახლა ეგზარქოსი მთავარ ყურადღებას ახალგაზრდა სასულიერო პირების აღზრდაზე ამახვილებდა. მათი საშუალებით ის აპირებდა ძველი, ოპოზიციურად განწყობილი სასულიერო თაობის შეცვლას.

რევოლუციის დიდი გავლენა განიცადა ქართველმა ახალგაზრდობამ, სასულიერო ხელისუფალნი გულსიტკივილით აღნიშნავდნენ, რომ რევოლუციის გავლენით „ხალხში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, სუსტდება და ზოგიერთ ადგილებში შეიმჩნევა ერთგვარი გულგრილობა ეკლესიაში სიარულისა და საეკლესიო საყულობო შეწირულებებისადმი“<sup>149</sup>. შრომელთა შორის რევოლუციური პროპაგანდის დიდ წარმატებას თბილისის გუბერნატორი მოსახლეობის დაბალი რელიგიური დონით ხსნის. ამაში იგი ადანაშაულებს ქართველ სამღვდლოებს, რომელსაც მოსახლეობაში არა აქვს ავტორიტეტი, დაბალი განათლების გამო<sup>150</sup>. ამით იგი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ახალგაზრდა განათლებული მღვდლების ნაკლებობას. ახალგაზრდობის გულგრილი დამოკიდებულება სასულიერო განათლებისა და სასულიერო უწყებაში სამსახურისადმი უკვე საგრძნობლად შეიმჩნეოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან და ახლა, ბუნებრივია, შედეგიც გამოიღო. 1905 წლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც, სემინარიის განათლების მქონე სასულიერო პირების უყოლობის გამო, ეპარქიის ხელმძღვანელებად ინიშნებოდნენ ისეთი პირები, რომლებსაც საშუალო სასულიერო განათლებაც კი არ ჰქონდათ<sup>151</sup>. როგორც ეტყობა, ანალოგიური მდგომარეობა იყო შექმნილი იმპერიის ყველა ეპარქიაში და, უეჭველია, ამით იყო გამოწვეული, რომ სინოდმა 1908 წელს თავისი მსჯელობის საგნად გაიხადა სწავლა-აღზრდის მდგომარეობა იმპერიის სასულიერო სასწავლებლებში. სინოდს მიაჩნდა, რომ სწავლა-აღზრდის არსებული წესის გარდაქმნით შეძლებდნენ იქ ისეთი სასულიერო პირების მომზადებას, რომლებიც მთავრობას დაეხმარებოდნენ ხალხის აღზრდაში.

<sup>149</sup> ცხილ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 2835, 1908, ფურც. 1—15.

<sup>150</sup> საქ. ცსა ფ. 488, საქმე 22709, 1908, ფურც. 4—5.

<sup>151</sup> იქვე, საქმე 26879, 1908.



სასულიერო სასწავლებლებში უწესრიგობის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად სინოდი მიიჩნევდა „მოსწავლე ახალგაზრდობაზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენას მისი ანტირელიგიური მიმართულების ჟარყოფითი ლიტერატურით“<sup>152</sup>. აქვე აღნიშნული იყო, რომ ამ გავლენას სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია პედაგოგურმა კოლექტივმა, რომელიც მოწოდებული იყო „გაბედულად გამოსულიყო რევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ, მაგრამ რომელმაც ვერ შესძლო ამის გაკეთება, იმის შიშით, რომ არ დაერღვიათ აღსაზრდელთა რწმენაში მოჩვენებითი თავისუფლება და არ მოეხევეთ რეაქციონერისა და შავრაზმელის სახელი, როგორც აღსაზრდელთა თვალში, ასევე საზოგადოების განსაზღვრულ ნაწილში“<sup>153</sup>. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, სინოდმა ყურადღება გაამახვილა არა მარტო სასწავლებლების გარეგან წყობაზე — გაკვეთილების რაოდენობაზე. მათ გადაადგილებასა და გაზრდაზე, არამედ უმთავრესად მათ შინაარსზე, სწავლებისა და აღზრდის მეთოდებზე. სინოდი თვლიდა, რომ რევოლუციის შემდგომ პერიოდში არსებითი და პირველი რიგის ამოცანა იყო ბრძოლის გაძლიერება ე. წ. „მავნე გავლენის წინააღმდეგ იდეოლოგიისა და შეხედულებების სფეროში“. აქვე მითითებული იყო იმ ღონისძიებებზე, რომელსაც სასულიერო წოდება ადრეც მიმართავდა. მაგ., კლასგარეშე კითხვის გამოცოცხლება-გაუმჯობესება, სასწავლებლების ბიბლიოთეკების დაკომპლექტება რელიგიური შინაარსის წიგნებით, საერო და განსაკუთრებით სასულიერო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაშრომების საჯარო განხილვა. მკაცრი კონტროლის დაწესება მოსწავლეებზე, რათა უკანასკნელთ არ ესარგებლათ აკრძალული ლიტერატურით<sup>154</sup>, ამასთანავე, სინოდი მკაცრად აფრთხილებდა სასწავლებლის ხელმძღვანელებს, რომ აღნიშნულა ღონისძიებების განხორციელებისას დაეცვათ სათანადო ტაქტი და არ გაელიზიანებინათ აღსაზრდელები, არ მიეცათ საფუძველი სხვადასხვა არასასიამოვნო და არასასურველი ხმების გავრცელებისა<sup>155</sup>. მასწავლებლებს თვალყური უნდა ედევნებინათ, რომ სასწავლებელში არ შექმნილიყო რაიმე არალეგარული ორგანიზაცია, გაერკვიათ დაკავშირებულნი ზომ არ იყვნენ მოსწავლეები მთავრობის საწინააღმდეგო რომელიმე ოპოზიციასთან და სხვ. სინოდის ამ გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს ეგზარქოსმა გამოსცა სათანადო ცირკულიარი.

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, სასულიერო წოდებამ

152 ცხიბლაძე, ფ. 796, ანაწ. 189, საქ. 299, 1908, ფურც. 3.

153 იქვე.

154 იქვე.

155 იქვე, ფურც. 2.

უკვე შეცვალა მოსწავლეთა „უწესრიგობასთან“ ბრძოლის ტაქტიკა. ეგზარქოსი სასწავლებლების დირექტორებისაგან მოითხოვდა, მოსწავლეთა შორის უკმაყოფილების შემჩნევისთანავე დაუყოვნებლივ ეცნობებინათ მისთვის და მიეღოთ გადამჭრელი ზომები მის აღმოსაფხვრელად. თუ ადრე რომელიმე სასწავლებელი უნდა დაკეტილიყო და მოსწავლეები დაეთხოვათ, ახლა ასეთი ღონისძიება დანაშაულად იყო მიჩნეული. ეგზარქოსის აზრით, სასწავლებლის დახურვის შემთხვევაში ზედამხედველობის გარეშე დარჩენილი მოსწავლეები ექცეოდნენ არასასურველი გავლენის ქვეშ. ამიტომ სასწავლებლებში როგორი მდგომარეობაც არ უნდა შექმნილიყო, ხელმძღვანელობა ვალდებული იყო განეგრძოთ მეცადინეობა და მოსწავლეთა სიმცირე სწავლის შეწყვეტის მიზეზი არ უნდა ყოფილიყო<sup>156</sup>.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში ეგზარქოსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სასულიერო სასწავლებლების დირექტორის თანამდებობაზე დასანიშნი კადრების შერჩევას. სასწავლებლების რექტორებად და ზედამხედველებად, როგორც წესი, რუსი ეროვნების პირები ინიშნებოდნენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სასულიერო სემინარიის რექტორის თანამდებობას, რომლის დაკავება მხოლოდ რეაქციულ სასულიერო პირების ხვედრი იყო. საქართველოში სასულიერო განათლების ორგანიზატორები ცდილობენ შექმნან ილუზია, თითქოს სახელმწიფო ზრუნავდა არარუსი ხალხის განათლებაზე. ამით იყო განპირობებული, რომ სასულიერო ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება საღვთო სჯულის სწავლებისა ქართულ ენაზე<sup>157</sup>. თუმცა ამ გადაწყვეტილებას მეორე მხარეც გააჩნდა. საღვთო სჯულის დედაენაზე სწავლება ქართველი სამღვდელოების დიდი ხნის ოცნება იყო.

როგორც ვხედავთ, ამ ღონისძიების გატარებით ეგზარქოსი ქართველი სამღვდელოების გულის მოგებასაც ცდილობდა. ამავე მიზანს ემსახურებოდა თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული ენის სწავლების ნებართვაც. ახლა სემინარიაში ქართული ენა ისწავლებოდა ცნობილი ქართველი მწერლის ვასილ ბარნოვის მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით. მართალია, მთავრობას ამ საგნის სწავლებისათვის დამატებითი საათები არ გამოუყვია (იგი ისწავლებოდა ქართული ლიტერატურის ხარჯზე), მაგრამ ეგზარქოსი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამ ღონისძიების გატარება ქართველ სამღვდელოებაზე მთავრობისათვის სასურველ გავლენას იქონიებდა და ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა კლერიკალურ აღზრდას. ამ საკითხის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ ქართული საგნების სწავლე-

156 ცხილ, ფ. 796, ანაწ. 189, საქ. 299, 1908, ფურც. 1—2.

157 საქ. ცსა. ფ. 488, საქმე 22758, 1909, ფურც. 2—10.

ბის შემოღება მიზნად ისახავდა ახალგაზრდებისათვის მიეცა საჭირო ცნობები საქართველოს ეკლესიის, საღვთისმეტყველო და წმინდა წიგნების შესახებ<sup>158</sup>.

მეფისნაცვალმა ვორნცოვ-დაშკოვი (1905—1915) იდეოლოგიური დარგის მუშაებს და ყველას, ვისაც ამ საქმესთან რაიმე კავშირი ჰქონდა, მოუწოდებდა თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში გამოეჩინათ სიფხიზლე და „ინოროდცებისათვის“ ყოველგვარი რუსული მიეწოდებინათ ძალდატანების გარეშე, რადგანაც ადგილობრივი მცხოვრებლები არ იგრძნობდნენ რა ნაციონალურ თავისებურების შეზღუდვასა და აკრძალვას, მათში ძალდაუტანებლად, თანდათანობით აღიზრდებოდა მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობა რუსი მოღვაწეებისადმი, რუსი ხალხისადმი, რისი შედეგიც იქნებოდა ხალხთა ძალდაუტანებელი ასიმილაცია.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში საქართველოს საეგზარქოსოს სამღვდლოებამ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე საქართველოს იმ რაიონების ახალგაზრდობის რელიგიურ განათლებაზე, რომელზედაც სხვა სარწმუნოების გავლენა იგრძნობოდა.

ასეთი ხასიათისა იყო საქართველოს საეგზარქოსოს პრაქტიკული ნაბიჯები სასულიერო განათლების დარგში, რითაც ის აპირებდა ახალგაზრდობის ჩამოცილებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობიდან.

სტოლიპინის რეაქციის წლებში, ისევე, როგორც ადრე, სამღვდლოება ენერგიულ მუშაობას ეწეოდა მუშებს შორის.

რევოლუციის წლებში საქართველოში დიდი ბრძოლის უნარიანობით გამოირჩეოდნენ თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშები, რომლებიც რევოლუციური ბრძოლით აღაფრთოვანებდნენ სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშებს და ბრძოლის საუკეთესო მაგალითებს უჩვენებდნენ.

1908 წლამდე ამიერკავკასიის რკინიგზის მუშები შედიოდნენ იმ საბლადოჩინოებში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ ან მუშაობდნენ. სამღვდლოების აზრით, ასეთი მდგომარეობა საგრძნობლად ასუსტებდა მათზე სასულიერო პირების გავლენას. ამიტომ ეგზარქოსომ მიიღო გადაწყვეტილება, რკინიგზის მუშებისათვის შეექმნა ცალკე საბლადოჩინო. რკინიგზას გადაეცა ყველა ეკლესია, რომელიც ახლოს მდებარეობდა რკინიგზის მუშათა დასახლებასთან, მაგრამ, რადგანაც რკინიგზის მუშათა ყველა დაბა-დასახლებაში არ იყო ეკლესია. საეგზარქოსომ გამოყო ერთი ვაგონი, რომელშიც მოაწყო მოძრავი ეკლესია, რომელიც მომსახურებდას უწყვეტად რკინიგზის მუშებს თბილისსა და ჯულფას შორის<sup>159</sup>.

158 ცსილ, ფ. 796, ანაწ. 195, საქ. 8961, 1913, ფურც. 2—3.

159 ცსილ, ფ. 802, ანაწ. 10, საქ. 186, 1809, ფურც. 2—54.



საქართველოს სასულიერო წოდება აქტიურ მონაწილეობასღებულობდა თბილისის „სკოლის გარეშე განათლების საზოგადოების“ მუშაობაშიც და ჩამოყალიბებული ჰქონდა „კურსები მოზრდილთათვის“<sup>160</sup>.

მოსახლეობაში ქრისტიანული რწმენის აღზრდას ემსახურებოდა აგრეთვე ისეთი ღონისძიება, როგორც იყო „საზოგადო სასულიერო კონცერტების ჩატარება“<sup>161</sup>.

სტოლიპინის რეაქციის წლებში სასულიერო ხელისუფალთა ცდა კვლავაც მიმართული იყო თვითმპყრობელური რეჟიმის ავტორიტეტის განმტკიცებისაკენ. ამ მიზნით მართლმადიდებელურმა ეკლესიამ მოხერხებულად გამოიყენა რუსეთში რომანოვების დინასტიის მეფობის 300 წლისთავი და 1912 წლის 20 ოქტომბრის კანონი „დროებით ვალდებულთა და დამოკიდებულ გლეხთა, აზნაურთა და მიწათმფლობელთა შესახებ“. ქადაგებებში და წირვა-ლოცვის დროს სამღვდლოება ქება-დიდებათ იხსენიებდა რომანოვების გვარეულობას<sup>162</sup>. 1861 წლის საგლეხო რეფორმა, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაახასიათა, როგორც გლეხობის „უბადრუკი განთავისუფლება“, „გლეხობის ყოვლად უსინდისო გაძარცვა“, რომელიც გლეხობის მიმართ „მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას“<sup>163</sup> წარმოადგენდა, სამღვდლოებას მშრომელ მასებთან მიჰქონდა, როგორც ნამდვილი განთავისუფლება. სასულიერო მამანი გლეხობას მოუწოდებდნენ დაყრდნობოდნენ მეფის ამ ბრძანულ კანონს, რომელიც მას შთააგონა ღმერთმა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს საეგზარქოსომ გამოაქვეყნა „მწყემსმთავრული ეპისტოლე“. ეკლესია ხოტბას ასხამდა იმპერატორ ალექსანდრე II-ს, რომელმაც გლეხობა გაათავისუფლა ბატონყმობისაგან. ამ რეფორმამ თურმე „გლეხი კაცი დააყენა ფეხზე“, რომელიც ახლა არათუ მარტო „მაძღარი და კმაყოფილია, არამედ ჰყიდის კიდევ მოჭარბებულ ქირნახულს“. ეკლესიას „დროებით ვალდებულთა“ ეს კანონი მშრომელებთან მიაქვს, როგორც თავადაზნაურობის მიერ მახვერპლის ვალდების აქტი, რომელიც თურმე ყოველთვის თავისი ხალხის გვერდით იდგა, მათზე ზრუნავდა და რომ დღესაც მიუხედავად მატერიალური ზარალისა, ხელს შეუწყობს ამ კანონის ცხოვრებაში გატარებას, ორივე მხარისათვის სასარგებლო საწყისებზე<sup>164</sup>.

1906 წელს საქართველოში დაინიშნა ახალი ეგზარქოსი მთავარეპისკოპოსი ნიკონი (1906—1908, 26. V). თბილისში ახალი მღვდელმთავრის დანიშვნას ქართველი სასულიერო წოდება დაუფარავი პრო-

160 იქვე.

161 იქვე.

162 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 25418, 1913, ფურც. 5.

163 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 126.

164 იქვე, ფურც. 8.

ტესტით შეხვდა და უარი განაცხადა დასწრებოდა ახლად დანიშნულ ეგზარქოსის კათედრაზე ასვლის ცერემონიალს. 1908 წელს ეგზარქოსი შოკლეს თავის რეზიდენციაში, მისი მკვლელობა ბრალდებოდათ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მომხრეებს და კერძოდ ცნობილ სასულიერო მოღვაწეს ეპისკოპოს კირიონს, რომელიც ამისათვის რეპრესირებულიც იყო. ქართველი სამღვდლოების ეს პროტესტი და ბოლოს ეგზარქოსის მკვლელობა მთავრობამ გამოიყენა ქართველ და რუს მოსახლეობას შორის ნაციონალური შუღლის გასაღვივებლად და სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რეაქციულმა სამღვდლოებამ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა რუსი ეროვნების მშრომელთა წინააღმდეგ მიმართულ აქტად გამოაცხადა. ამ მკვლელობის შესახებ დაიბეჭდა მრავალი სტატია, წარმოითქვა მრავალი ქადაგება, რომელშიც ხოტბას ასხამდნენ ეგზარქოსი ნიკონის ველიკოდერჟავულ საქმიანობას, მის ღვაწლს რუსული საქმის სასარგებლოდ საქართველოში. რეაქციონერი ბერი ვოსტორგოვი თავისი ქადაგებებით მოუწოდებდა რუსი ეროვნების მუშებს, დაეცვათ თავიანთი ინტერესები კავკასიაში, თუნდაც ამ საქმისათვის საჭირო ყოფილიყო სიცოცხლის გაწირვა<sup>165</sup>. შავრაზმული „პატრიოტული საზოგადოების“ საბჭო შეეცადა ეს მკვლელობა თავისი შავზნელი საქმეებისათვის გამოეყენებინა. ამ „საზოგადოების“ ინიციატივით, რუსი სამღვდლოების მორწმუნეებმა ახალ ეგზარქოსს წარუდგინეს „თხოვნა“, რომელსაც ხელს აწერდა 762 კაცი. ამ „თხოვნაში“ ნათქვამი იყო, რომ ეგზარქოსი ნიკონის ხვედრი საქართველოში მრავალ რუსს ხვდა წილად და ამიტომაც რუსი სამრევლოები უარს ამბობდნენ ქართველი სასულიერო პირების სამსახურზე და აძევებდნენ მათ თავიანთი სამრევლოებიდან. ბუნებრივია, რომ რუსი სამრევლოებისა და ქართველი სასულიერო პირების ასეთი დაძაბული ურთიერთობა სწრაფად გავრცელდა მოსახლეობის დაბალ ფენებში, რომელიც ჭერ კიდევ კარგად არ იყო გარკვეული სამღვდლოების შავრაზმულ საქმიანობაში. სამღვდლოების აღნიშნული პოლიტიკა ხელს უწყობდა მშრომელთა გათიშვას<sup>166</sup>.

ხელისუფლება შეეცადა ნიკონის მკვლელობა გადაებრალებინა სოციალ-დემოკრატებისათვის და ამ მიზეზით მრავალი პირი დააპატიმრა კიდევაც, მაგრამ თვითმპყრობელობის ეს ნაბიჯიც უღმეური გამოდგა და თავის მიზანს ვერ მიაღწია.

რეაქციონერმა ბერმა ვოსტორგოვმა ეგზარქოსის მკვლელობას მიუძღვნა ვრცელი სტატია, რომელიც დაბეჭდა გაზეთ „რუსკოე ზნამიაში“, რომელშიც ცდილობდა დაებნია საზოგადოებრივი აზრი, შე-

<sup>165</sup> საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 24119, 1908.

<sup>166</sup> Обзор деятельности..., с. 10.

ყველა ციხე - უსწრაფი აქტი

აქტიური მუშაობა

უქმნა ყალბი წარმოდგენა ქართველობაზე<sup>167</sup>. ამ რეაქციონერი ბერის საქციელი აკაკი წერეთელმა ამხილა ლექსში „უცნაური ამბავი“, რომელიც გამოაქვეყნა 1909 წელს.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში საგრძნობლად გამოაცოცხლეს თავიანთი საქმიანობა ყოველგვარმა რეაქციულმა საზოგადოებებმა. ეს საქმიანობა კიდევ უფრო გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის წლებში.

ერთ-ერთი კლერიკალურ-მონარქისტული საზოგადოება, რომელიც დასახელებულ პერიოდში განაგრძობდა თავის შავრახმულ საქმიანობას, იყო „თბილისის სეპარატიული სასულიერო ძმობა“. როგორც მე-19 საუკუნის ბოლოს (ძმობა შეიქმნა 1898 წელს), ახლაც სასულიერო ძმობის ყურადღება მიმართული იყო მოსახლეობაში ქრისტიანული რწმენის გაძლიერება-განმტკიცებისაკენ. დასახელებული საზოგადოების მიზანი იყო ჩამოეცილებინა მშრომელთა ყურადღება ამქვეყნიურ ბედნიერებაზე ზრუნვისაგან და გაეღვიძებინა მათში ინტერესი „უზენაესისადმი“, „მარადიულისადმი“. 1908 წელს ძმობას შეუსრულდა არსებობის 10 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით მისმა მესვეურებმა ადრესით მიმართეს იმპერატორ ნიკოლოზ II-ს, სადაც ფიცს დებდნენ, რომ ისინი თავიანთი მეცადინეობით მოსპობდნენ ურწმუნოებას<sup>168</sup>.

მშრომელთა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ „ძმობის“ პრაქტიკული ღონისძიებები გამოიხატა რელიგიური შინაარსის ნაბეჭდი ფურცლების გავრცელებაში. მისი ინიციატივით 1909 წელს დაიბეჭდა და გავრცელდა 10000 ეგზემპლარიის რაოდენობით რეაქციონერი ბერის გოროდცევის ქადაგება „კეთილი სიტყვა მშობლებს“, 5000 ეგზემპლარიის მისივე „სიტყვა თქმული 22 ოქტომბერს“, 2500 ეგზემპლარიის „მწყემსის ფიქრები“ და სხვ. სულ სამი წლის განმავლობაში ძმობის ინიციატივით ხალხში გავრცელდა 46000 ეგზემპლარიის ასეთი შინაარსის ფურცელი<sup>169</sup>. მოსახლეობის ფართო მასებში რელიგიური განათლების შეტანის მიზნით „ძმობა“ დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლებას. სწორედ ამ ძმობის ინიციატივით შეიქმნა „კურსები მოზრდილთათვის“. ყოველი მღვდელი თავის პირდაპირ მოვალეობად თვლიდა ზრუნვას ამ სკოლებზე. მათვე ევალებოდათ აღნიშნულ სკოლებში საღვთო სჯულის სწავლება<sup>170</sup>. 1907 წლიდან ძმობის სალექციო დარბაზში სისტემატურად იმართებოდა ნაძვის ხე საეკლესიო-სამრევლო სკოლების მოსწავლეთათვის, ეწყობოდა კინოსურათე-

167 Обзор деятельности..., с. 71.

168 Обзор деятельности..., с. 71.

169 იქვე.

170 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 27026, 1910.

ბის ჩვენება, ტარდებოდა ლიტერატურული დიღები, ასწავლიდნენ სასულიერო სიმღერებს, ეწყობოდა ახალგაზრდობის შეხვედრები უმაღლეს სასულიერო პირებთან და სხვ. ძმობის ინიციატივით თბილისში გაიხსნა რამდენიმე სამხატვრო სახელოსნო, რომელშიც მრავლად ამზადებდნენ ხატებსა და სხვა რელიგიურ თემებზე შესრულებულ სურათებს. აღნიშნული ნამუშევრები ძმობისავე მალაზიებში იყიდებოდა<sup>171</sup>. მაგრამ ამ ორგანიზაციის მუშაობამაც ვერ გააძარცვა ხელისუფლების იმედები. თუ რევოლუციის დროს ძმობამ ასე თუ ისე გამოაცოცხლა თავისი მუშაობა და ერთგვარად გაზარდა კიდევაც თავისი რიგები. სტი.ლიპინის რეაქციის წლებში, მოსახლეობამ დაკარგა ინტერესი მისი მუშაობისადმი და მისი რიგები თითქმის ნახევრამდე შემცირდა<sup>172</sup>.

ეკლესიის მესვეურთა „ზრუნვა“ და „ყურადღება“ მომავალ თაობასა და მის აღმზრდელებზე გამოიხატა აგრეთვე 1911 წელს რელიგიური ძმობის დაარსებაში საერო სასწავლებლების საღვთო სჯულის მასწავლებლებისათვის<sup>173</sup>.

სასულიერო ხელისუფლების მუდმივი ყურადღების ქვეშ იყო სარწმუნოებრივი მდგომარეობა ინტელიგენციაში. სამღვდლოება შემფთოთებული იყო ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის გულგრილი დამოკიდებულებით ეკლესიისადმი, რომელიც კარგა ხანია დაეწაფა მატერიალისტურ ცოდნას და ხელს უწყობდა მასებში მის გავრცელებას. როგორც სასულიერო პირები აღნიშნავდნენ, „მათმა მაცქერალმა უბრალო ხალხმაც გული აიყარა სარწმუნოებაზე“. სწორედ ეს მდგომარეობა აწუხებდა ეკლესიას. ეგზარქოსი სამღვდლოებას მოუწოდებდა ყოველივე ღონე ეხმარათ მდგომარეობის გამოსწორებისათვის. „საჭიროა სამღვდლოებამ აღიმაღლოს ხმა და მიიღოს ზომები სამწყსოს გახრწნისაგან დასაცავად, თორემ იგი დისჩებოდა ღვთისაგან და შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა სასტიკად გაიციხავს მას“<sup>174</sup>. ამით იყო ნაკარნახევი, რომ 1912 წელს თბილისის სიონის კათედრალურ ტაძართან შეიქმნა ორგანიზაცია, რომელიც იწოდებოდა: „სიონის ტაძართან არსებული წმინდა ღვთისმშობლის ძმობა“. ძმობის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება იყო „ქადაგების“ გამოცემა. „ქადაგების“ გამომცემლები მიუთითებდნენ, რომ სამღვდლოების პირდაპირი ვალი იყო ბრძოლა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. ამ საპატიო მოვალეობის შესრულებაც ევალებოდა მოწინავე სამღვდლოებას და, უპირველეს ყოვლისა კი თბილისის სამღვდე-

171 იქვე. საქმე 27026, 1910.

172 Обзор деятельности..., с. 54.

173 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 24175, 1916.

174 ქადაგებანი, № 1, 1912.

ლოებას, რომელსაც მაგალითი უნდა მიეცა პროვინციის სამღვდლო-  
ებისათვის. თბილისის სამღვდლოებას მათთვის უნდა ეჩვენებინა ვხა,  
თუ როგორ უნდა ებრძოლონ სარწმუნოების მოწინააღმდეგეთ, როგორ  
„გააგრცელონ ხალხში მაცხოვრის სწავლება“.

„ქადაგების“ ფურცლებზე დეკანოზმა გიორგი ხელაძემ გამოა-  
ქვეყნა იმპერატორ ალექსანდრე პავლეს ძის დაბადების დღისადმი  
მიძღვნილი წერილი, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ქრისტიანობის „მე-  
ორე სამშობლოში“, — რუსეთში უკანასკნელ ხანებში იგრძნობოდა  
სარწმუნოების შერყევის ნიშნები. რაც მკვლავნდებოდა ოჯახში, საზო-  
გადოებასა და სკოლაში აგრეთვე ლიტერატურაში<sup>175</sup>.

დეკანოზი მარც ტყემალაძე თავის წერილში ილაშქრებს ახალგაზ-  
რდობის წინააღმდეგ, რომელიც არ ზრუნავს სარწმუნოების აღდგენი-  
სა და განმტკიცებისათვის, იმ დროის დაბრუნებაზე, როდესაც მათი  
წინაპრები დროს და ქონებას ტაძრების აღდგენას ანდომებდნენ. დე-  
კანოზის აზრით, ახალგაზრდობას ამის გაკეთება აღარ ძალუძს, რად-  
განაც იგი გატაცებულია ახალი იდეებით, ახალი მოთხოვნილებებით,  
რომლებიც ახალმა დრომ მოიტანა. დეკანოზი აღშფოთებულია და  
წყევლის „ახალ დროებას“, რომელმაც ლამის შეარყიოს და ძირფეს-  
ვიანად აღმოფხვრას ხალხის გულში სარწმუნოება, ღვთის მსახურება,  
ეკლესიის და მის მსახურთა სიყვარული<sup>176</sup>.

ეკლესია ცდილობს მასების ყურადღება ჩამოაცილოს პოლიტი-  
კური და ეკონომიკური უფლებებისათვის ბრძოლას, ამიტომ მოსახ-  
ლეობას მოუწოდებს მიმართონ ღმერთს. არ დაივიწყონ ღმერთი, რო-  
მელიც ზრუნავს მთელი ქვეყნიერებისათვის. ღმერთი იზრუნებს კაც-  
ზე. ეს უნდა გვწამდეს მტკიცედ, ამიტომ არ უნდა მივცეთ ქვეყნიურ  
მზრუნველობას და იმედი უნდა გვქონდეს, რომ ღმერთი მოგვცემს  
ყველაფერს<sup>177</sup>.

როგორც ყოველგვარი რელიგიურ-მონარქისტული საზოგადოება,  
ძმობის წევრებიც თავის რიგებში აერთიანებდა რელიგიურ-იდეა-  
ლისტურად მოაზროვნე სასულიერო პირებს. აქედან გასაგები ხდება  
ის გააფთრებული ბრძოლა, რომელსაც ეწეოდნენ ისინი სამყაროს მა-  
ტერიალისტური ახსნა-გაგების წინააღმდეგ. სასულიერო პირები ცდი-  
ლობენ დაარწმუნონ მშრომელები, რომ ქვეყნიერება შექმნილია  
ღმერთის მიერ და ბრძოლა მის შესაცვლელად, ისევე როგორც ბრძო-  
ლა არსებული პოლიტიკური წყობის წინააღმდეგ, უაზრობაა, რადგან  
მიმართულია ღმერთის წინააღმდეგ. „ყველაფერი, რასაც თვალთ ვხე-

175 ქადაგებანი, № 1, 1912.

176 იქვე, № 6, 1913.

177 იქვე, № 18, 1913.

დავთ და რაზედაც ჰკუთნა მიგვიწვდება, არის ღვთის ქმნილება და ღვთი-  
სავე მოწყალებით არსებობს. ეს შეურყეველი და დაურღვეველი ჰემ-  
მარიტებაა<sup>178</sup>.

რევოლუციის ახალი აღმავლობისა და მსოფლიო ომისათვის გან-  
ცხობილი მზადების პერიოდში, მართლმადიდებლური ეკლესია  
მთელი ძალებით ილაშქრებს რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ,  
ყოველგვარი მეცნიერულის წინააღმდეგ, რაც ეწინააღმდეგება რელი-  
გიურ სწავლებას. იგი ცდილობს დაამტკიცოს ღმერთისა და სულის  
პირველობა სამყაროს წარმოშობისა და განვითარების საქმეში. „ყვე-  
ლაფერი, რაზედაც ჰკუთნა მიგვიწვდება არის ღვთის ქმნილება და ღვთი-  
სავე მოწყალებით არსებობს. ეს შეურყეველი და დაურღვეველი ჰემ-  
მარიტებაა. ბევრი მასწავლებელი და ბრძენი შეეცადა დაემტკიცებინა  
სხვებისათვის, ქვეყნიერება გაჩნდა თავისთავად და არსებობს თავისი  
ძალით, თავისი უნარით, მაგრამ ამ ნასწავლთა ჰკუთნა, მაღალთა მეცა-  
დინეობა იმგვარივე სიმტკიცისა და სიმყარისა გამოდგა, როგორი  
სიმტკიცისა და სიბრძნისაა გულუბრყვილო ბავშვისაგან ცელქობის  
დროს ჩალა და თიხისაგან აგებული კოშკი“. „დღეს კაცობრიობის  
სასიქაღულოდ, ყველა ჰკუთნადამჯდარი მეცნიერისაგან უარყოფილია  
ეს აზრი, რომ რაიმე დაიბადოს, რაიმე გაჩნდეს ქვეყანაზე თითონ, თა-  
ვისთავად, გარეშე დამოუკიდებელი ძალისა. რომელიც არის ყოველად  
შემძლე ღმერთი“<sup>179</sup>.

ეკლესიის მსახურები მშრომელებისაგან მოითხოვენ თაყვანი სცენ  
ქრისტიანულ სარწმუნოებას, რომელზედაც ადამიანი უნდა ააგოს  
თავისი ცხოვრება. ეს „მოძღვრება“ სარჩულად უნდა ედოს ადამიანის  
ყოფაქცევას, მის მოქმედებას, მის გრძნობებსა და აზრებს<sup>180</sup>. ეკლე-  
სიის მსახურები ახლა აღარ მოუწოდებდნენ მორწმუნეებს წასულიყვ-  
ნენ უღაბნოში სალოცავად, ემარხულათ, დაშორებოდნენ ნათესავებსა  
და ახლობლებს. ეკლესიას ეს საჭიროდ აღარ მიაჩნდა. ისინი გრძნობდ-  
ნენ, რომ ამ დროისათვის ასეთი შინაარსის ქადაგებების მოსმენა უაზ-  
რობა იყო. არავინ არ დაიჭერებდა და არ გაჰყვებოდა მას. ახლა ისინი  
ადამიანისაგან მოითხოვდნენ გონებისა და აზროვნების დამორჩილე-  
ბას ღმერთისადმი. მათი აზრით, ყოველივე საკითხის გადაწყვეტად  
ადამიანი უნდა ეკითხებოდეს თავის თავს, საწყენი ზომ არ იქნება  
ღმერთისათვის მისი სიტყვა, მისი საქციელი, მისი გრძნობების გა-  
მოთქმა<sup>181</sup>. ასეთი შინაარსის ქადაგებებით სასულიერო წოდება ცდი-  
ლობდა მოედუნებინა მშრომელი მასების ყურადღება. ეკლესიის მსა-

178 იქვე, № 1. 1912.

179 იქვე.

180 იქვე.

181 იქვე.

ხურები უარყოფდნენ რევოლუციური ბრძოლის ეფექტიანობას. ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მშრომელები, რომ მათი დღევანდელი ხვედრი არის დაკანონებული ღმერთისაგან და რომ ეს ასე უნდა დარჩეს. ეკლესიის მსახურების აზრით, ცხოვრების მიზანზე, ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულება, ყველაზე კარგადაა განმარტებული წმინდა მამათა ცხოვრებაში, რომელიც მაგალითი უნდა იყოს ყველასათვის<sup>182</sup>. სამღვდლოება თავს ესხმის სწავლულებს, რომლებიც მატერიალისტურად ხსნიან სამყაროს წარმოშობას და ცდილობს შელახოს მათი სახელი საზოგადოების თვალში.

ეკლესიის მსახურები თავს ესხმოდნენ ყველას, ვისაც სურდა ხალხისათვის მართალი სიტყვის თქმა, ვისაც სურდა თვალი აეხილა მშრომელი მასებისათვის, ეჩვენებინა მათთვის ვინ იყო მათი ნამდვილი მტერი და მოყვარე.

ასეთი იყო რელიგიური საზოგადოებისა და კავშირების მუშაობის ხასიათი და მიმართულება, რითაც ხელისუფლება ცდილობდა ჩამოეცილებინა მშრომელი მასების ყურადღება რევოლუციური მოძრაობისაგან, ხელი შეეშალა მატერიალისტური მსოფლმხედველობის გავრცელებისათვის.

პირველი მსოფლიო ომისათვის მზადების დროს თვითმპყრობელობა განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ეკლესიას.

ომისათვის მზადების დროს, ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო მოსახლეობის თვალში იმპერატორის ავტორიტეტის ამაღლება. ამ მიზნით, როგორც წინა წლებში, სამღვდლოება ატარებდა მთელ რიგ საუბრებსა და ქადაგებებს, ეკლესიაში იხდიდნენ იმპერატორის გვარის სადიდებელ პარაკლისებს და სხვ. მოსახლეობაში თვითმპყრობელური რეჟიმის შერყეული ავტორიტეტის ასამაღლებლად და განსამტკიცებლად გამოიყენა ეკლესიამ აგრეთვე 1812 წლის სამამულო ომის ასი წლისთავის იუბილე. ამ დღეს იმპერატორის სადიდებელი საგალობლებით მოეწყო ჯვრით სვლა კათედრალური ტაძრიდან, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ამქრები, სასწავლებლები, სამხედრო ნაწილები, მოსახლეობა, იმპერატორის გვარის სადიდებლად ყველა ეკლესიაში გადაიხადეს პარაკლისები. სამღვდლოებას ყურადღების გარეშე არ დარჩენია სამხედრო ნაწილები, სადაც მათ წაიკითხეს ამ დღის შესაფერისი ქადაგებები და საუბრები<sup>183</sup>.

ეკლესიამ ომისათვის მზადება დაიწყო გაცილებით ადრე, ომის დაწყებამდე. ჯერ კიდევ 1910 წელს სინოდმა შეიმუშავა სამხედრო ნაწილების, საზღვაო ფლოტისა და ჰოსპიტლების მუშაობისათვის

<sup>182</sup> იქვე.

<sup>183</sup> საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 22804, 1910, ფურც. 1—3.

სასულიერო პირების მობილიზაციის გეგმა. ამის გარდა სინოდმა 1912 წელს შეიმუშავა ეკლესია-მონასტრებში დაცული ძვირფასეულობის და სხვა „წმიდათაწმიდა“ ნივთების ევაკუაციის გეგმა ფრონტაპირა რაიონებიდან, რომელიც შესაძლებელია დატოვებული ყოფილიყო რუსეთის ჯარების მიერ<sup>184</sup>. ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ეკლესიამ ფართო და მრავალმხრივი მუშაობა გაშალა. უპირველეს ყოვლისა, ის ცდილობდა ომის დაწყების ნამდვილი მიზეზი და რუსეთის ომში ჩაბმის აქსნათ თვითმპყრობელობის პოზიციებიდან. რუსეთის ომში ჩაბმის მთავარ მიზეზად ეკლესია ასახელებდა თვითმპყრობელობის ზრუნვას მეზობელ სლავ ქვეყნებზე, მათ ხალხებზე.

ომის სასარგებლოდ წარმოთქმულ ქადაგებებში სასულიერო პირები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მშრომელები, რომ რუსეთს ომი მოახვიეს უცხოეთის ქვეყნებმა და იგი მიმდინარეობს საშობლოს დასაცავად. საქართველოს საეგზარქოსოს ყველა ეკლესიაში წაიკითხეს ნიკოლოზ II-ის 1914 წლის 20 აგვისტოს მანიფესტი რუსეთის ომში ჩაბმის შესახებ. ამავე წლის სექტემბერში საეგზარქოსომ გამოაქვეყნა „ვედრებანი ომში რუსი მეომრის გამარჯვებისათვის“, რომელიც დაიბეჭდა ქართულ და რუსულ ენებზე და დაურიგდა ყველა ეკლესიას მოსახლეობისათვის გასაცნობად<sup>185</sup>. ეკლესიის მსახურნი მშრომელებს მოუწოდებდნენ არ გამოსულიყვნენ მაყურებლის როლში, არ დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ გაზეთებში ამოკითხული ცნობებით და მიეღოთ აქტიური მონაწილეობა რუსეთის სასარგებლოდ ომის დასრულების საქმეში. ეკლესიის მსახურები საქართველოს მშრომელებს მოუწოდებდნენ ეჩვენებინათ ყველასათვის, რომ ისინი მზად არიან თავის რუს ძმებთან ერთად გასწირონ თავი „მამა მეფისა“ და მისი დიდებისათვის<sup>186</sup>.

იმპერიის ცენტრალური გუბერნიების სამღვდელოების წაბაძვით, საქართველოშიც იქმნებოდა ომის სასარგებლო სხვადასხვა საზოგადოებები და კომიტეტები. ეკლესიის ინიციატივით ამ დროს ჩვენში შეიქმნა: „საქართველოს საეგზარქოსოში ომის დროის საჭიროებისათვის შეწირულებათა შემგროვებელი კომიტეტი“<sup>187</sup>. სამღვდელოება მხოლოდ ამ კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობით არ კმაყოფილდებოდა. საქართველოს ეგზარქოსმა დაავალა იმ სასულიერო პირებს, ვისაც მრევლთან ჰქონდა საქმე, რომ ქადაგებებით, ასევე კანონის ფარგლებში დაშვებული ღონისძიებებით ემოქმედათ მრევლზე და განეწყოთ ისინი ომის საჭიროებისათვის შეწირულებების გასაღებად<sup>188</sup>.

184 ცსილ, ფ. 796, ანაწ. 198, საქ. 329, 1914, ფურც. 1.

185 იქვე, საქმე 26425, 1914.

186 იქვე, საქმე 24173, 1919, ფურც. 59.

187 იქვე.

188 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 24173, ფურც. 59, 1919.



შეწირულებების შეგროვების მაგალითს თვით სასულიერო წოდება იძლეოდა. გარდა იმისა, რომ ყველა სასულიერო პირს ჯამაგირიდან ეკავებოდა 2% სავალდებულო გადასახადი, საქართველოს ყველა ეკლესია იხდიდა ერთდროულ შესატანსაც<sup>189</sup>. სამღვდელთებამ უარი განაცხადა ღრამის გადასახადის აკრეფაზე იმ ოჯახებიდან, რომელთა მარჩენლებიც ფრონტზე იმყოფებოდნენ. რაც დრო გადიოდა, სახელმწიფოს სულ უფრო და უფრო უძნელდებოდა ომის წარმოება და მისგან გამოწვეული ზარალის შევსება. არმია და მოსახლეობა პროდუქტების ნაკლებობას განიცდიდა. ამ შემთხვევაშიც მთავრობამ ეკლესიას მიმართა. ეკლესიის მსახურებს დაევალოთ მოსახლეობაში განმარტებითი მუშაობის გაძლიერება მარხვის დაცვის აუცილებლობაზე არა მარტო ქრისტიანული მოთხოვნის შესასრულებლად, არამედ სახელმწიფო ინტერესებისათვის<sup>190</sup>.

მთავრობის სპეციალური მითითებით, ომის საჭიროებისათვის იმპერიაში გროვდებოდა ძვირფასეულობა, ოქროსი და ვერცხლის ნივთები. სახელმწიფოს ბარდებოდა ეკლესია-მონასტრებში დაცული ნივთებიც. ომის სასარგებლოდ ძვირფასეულობის ჩაბარებას ეკლესიის მსახურები ისეთი დიდი ენერჯითა და ხალისით მოეკიდნენ, რომ პრავალი ნივთი, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, გაიგზავნა „ომის საჭიროების ფონდში“. ადვილი შესაძლებელია, ბევრი ასეთი ნივთი დარჩა კერძო პირების ხელში და გაიყიდა, როგორც რუსეთში, ასევე უცხოეთში. ისტორიული ნივთების განიკვებამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ არქეოგრაფიული კომისია იძულებული შეიქმნა თხოვნით მიემართა იმპერატორისათვის, რათა მას თავის ბრძანებით შეეჩერებინა ოქროსა და ვერცხლის ისეთი ნივთების ჩაბარება, რომლებსაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ან საინტერესო იყო, როგორც მხატვრული ნაწარმოებები<sup>191</sup>.

ეკლესია-მონასტრების წინამძღვრებს, სამისიონერო საზოგადოებებს ევალდებოდათ სამხედრო ნაწილებში სამისიონერო ლიტერატურის გავრცელება. ჯარისკაცებისა და ოფიცერთა იდეოლოგიური დამუშავების ცენტრი უნდა ყოფილიყო ეკლესია<sup>192</sup>. მთავრობა განსაკუთრებული სიფრთხილით აღევნებდა თვალყურს არმიიდან სხვადასხვა მიზეზით დაბრუნებულ ჯარისკაცთა და ოფიცერთა განწყობილებას, რადგანაც მათ თანასოფლელებში შექმნდათ თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო აზრები. ბევრი მათგანი არმიაში რევოლუციური იდეებს ზიარებული, საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებული ხდებო-

189 იქვე, ფ. 489, საქმე 54406, 1916, ფურც. 1.

150 იქვე.

191 საქ. ცსა, ფ. 489, საქმე 59403, 1916.

192 იქვე, ფ. 488, საქმე 27060, 1914, ფურც. 2.

და მისი ნამდვილი აგიტატორი. ეკლესიის მსახურებს მითითებულ ჰქონდათ ძირშივე აღმოეფხვრათ ასეთი ფაქტები და დაუყოვნებლივ ეცნობებინათ ამის შესახებ მთავრობისათვის.

თვითმპყრობელობა ახლაც არ აკლებდა ზრუნვას თავის ერთგულ სასულიერო წოდებას.

საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ მიიღო გადაწყვეტილება ომში გაწვეულ სასულიერო პირთა ოჯახების უზრუნველყოფისათვის. სასულიერო პირთა იმ ოჯახებს, რომელთა მარჩენლებიც იმყოფებოდნენ სამხედრო სამსახურში, ეძლეოდათ დახმარება როგორც ეკლესიის მთლიანი შემოსავლიდან, ასევე სახელმწიფოსაგანაც<sup>193</sup>. მათ კუთვნილ მიწებს ამუშავებდნენ უფასოდ, ხშირად სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეთა დახმარებით. იმ შემთხვევაში, თუ სასულიერო პირი მოხვდებოდა მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ან ტყვედ ჩავარდებოდა, ენახებოდა სრული ხელფასი, რომელიც მას ეძლეოდა მშვიდობიანობის დროს<sup>194</sup>. ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი მღვდლები ვალდებულნი იყვნენ ემუშავათ მოსახლეობაში და ტყვე ჯარისკაცთა შორის<sup>195</sup>. ომში დაღუპული სასულიერო პირების შვილები სასულიერო სასწავლებლებში მიიღებოდნენ კონკურსის გარეშე<sup>196</sup> და სხვ.

1916 წელს სინოდმა რუსეთის ევროპული ნაწილის სამღვდლოებას ერთდროული დახმარების სახით გამოუყო 10 მილიონი მანეთი, საიდანაც საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო წოდებას მიეცა 700000 მანეთი, რასაც ცოტა ხნის შემდეგ კვლავ დაუმატეს 10000 მანეთი<sup>197</sup>.

რუსეთში თებერვლის რევოლუციას ეკლესია დიდი აღფრთოვანებით შეხვდა და პირველი დღეებიდანვე ულაპარაკოდ ჩადგა დროებითი მთავრობის სამსახურში. „აღსრულდა ღვთის ნება, რუსეთი დაადგა სახელმწიფოებრივი განვითარების ახალ გზას. ღმერთმა აკურთხოს ჩვენი სამშობლო“<sup>198</sup>. საქვეყნოდ გაჰკიოდნენ ეკლესიის მსახურები და ყველას მოუწოდებდნენ ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინათ დროებითი მთავრობისათვის.

როგორც მეფის დროს, ახლაც ეკლესია მხარს უჭერდა დროებითი მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას ომის საკითხებში, რომლის ბოლომდე მიყვანასაც ის ქადაგებდა. რუსეთის მშრომელთა სახელით,

193 იქვე. საქმე 59405, 1916, ფურც. 1.

194 საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 27066, 1914, ლურც. 2.

195 იქვე. საქმე 27085, 1915.

196 იქვე. საქმე 59469, 1916.

197 იქვე. საქმე 34604, ფურც. 1—5, 1916.

198 იქვე. საქმე 60, 1917.

ეკლესია ევედრებოდა ღმერთს, ეკურთხებინა დროებითი მთავრობა და მისი საქმიანობა<sup>199</sup>.

თვითონ დროებითი მთავრობაც დიდ დახმარებას უწევდა ეკლესიას იგი საკმაოდ დიდ თანხებს იღებდა მის მსახურთა შესანახად და ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად. ეკლესიამ ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდა კადრების მომზადებაზე. ამავე დროს მის მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ მათ შესანახად საჭირო ხარჯებს მთავრობა თავის თავზე ვერ აიღებდა, ამიტომაც მათ გააძლიერეს მუშაობა მოსახლეობიდან შეწირულებებისა და საეკლესიო გადასახადების გასაზრდელად. „სახელმწიფო წყობილებაში დაწყებულმა ცვლილებებმა, როგორც სამრევლო, ასევე საერთო-საეკლესიო ცხოვრების გამოცოცხლებამ, ხელი უნდა შეუწყოს ეკლესიაში კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ორგანიზაციების შემდგომ განვითარებას და არა მის განადგურებას“<sup>200</sup>, — ასეთი მოწოდებებით მიმართავდა ეკლესია მოსახლეობას.

შექმნილ ვითარებაში სასულიერო წოდება ცდილობდა ისეთნაირად წარემართა მუშაობა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი აქტიურად ჩაბმულიყო ქვეყნის სასულიერო ცხოვრებაში<sup>201</sup>.

რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ უადრესად მტრული პოზიცია დაიკავა ოქტომბრის რევოლუციის მიმართ, როდესაც მშრომელებმა ხელთ აიღეს ძალაუფლება.

ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე დღეებში ქართველმა სამღვდლოებამ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. რუსული მრევლი კი გაერთიანდა კავკასიის საეგზარქოსოში, რომელიც აერთიანებდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რუსული მრევლის ეკლესიებს.

მართლმადიდებლური ეკლესია ახლაც განაგრძობდა ბრძოლას რევოლუციური ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, 1918 წელს საქართველოში გავრცელდა ორი მოწოდება: ერთი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ტიხონის ხელმოწერით, ხოლო მეორე რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სახელით და მიმართული იყო სასულიერო პირებისა და მოსახლეობისადმი<sup>202</sup>. პირველ მოწოდებაში ტიხონი და სხვა წარჩინებულნი „სულიერი მამანი“ თავს ესზიან და ლანძღვენ საბჭოთა ხელისუფლებას, მის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტს „სინდისის თავისუფლების შესახებ“.

199 იქვე, საქმე 24175, 1916.

200 საქ. ცსა, ფ. 489, საქმე 24175, 1916.

201 იქვე, საქმე 60362, 1917; ფურც 1—2.

202 საქ. ცსა, ფ. 489, საქმე 61105, 1918, ფურც. 1—8.

ტიხონი ცდილობს დაარწმუნოს მრევლი, რომ ახალ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ყველა ეკლესიის დაკეტვა და მოსახლეობის კუთვნილი ყოველგვარი ძვირფასეულობის ჩამორთმევა და სახელმწიფოსათვის გადაცემა. იგი მოუწოდებდა ეკლესიის მსახურებს, დაარზმონ მორწმუნეები ახალი წყობის დამზობისა და ძველის აღდგენისათვის. 1918 წლის 8 მაისს კავკასიის სინოდალურმა კანტორამ აღნიშნული მოწოდება გაამრავლა და დაურიგა ყველა ეპარქიას, რომელთაც დაავალა მისი შინაარსის გაცნობა მრევლისათვის პირველსავე ლოცვის დროს<sup>203</sup>.

### XXX

მე-20 საუკუნის დასაწყისში არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის რელიგიურად აღზრდას 60000 მღვდელი და სხვა რანგის სასულიერო პირი ემსახურებოდა. ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის სარწმუნოების განმტკიცება მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის საგანი იყო. სახელმწიფო ყველა საშუალებას მიმართავდა, რათა სამღვდელოების ყურადღების გარეშე არმიის არც ერთი უჭრედი არ დარჩენილიყო. სასულიერო პირები თვალყურს ადევნებდნენ ჯარისკაცთა და ოფიცერთა განწყობილებას, მათ დამოკიდებულებას რელიგიასა და მთავრობის პოლიტიკასთან. მათ ევალებოდათ დაეცვათ სამხედრო მსახურები სახელმწიფოსა და სარწმუნოებისათვის უცხო მიუღებელი პროპაგანდისაგან<sup>204</sup>.

რევოლუციური მოძრაობის გავლენის შედეგად ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის საგრძნობლად დაეცა ქრისტიანული სარწმუნოების გავლენა, სამხედრო მსახურები გულგრილად ძარულდებდნენ ქრისტიანული სარწმუნოების მოთხოვნებს.

ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობა, რომელმაც რევოლუციის წლებში ჩვენში დიდ განვითარებას მიაღწია, სწრაფად ვრცელდებოდა არმიისშიც, რომელსაც ყოველწლიურად ავსებდა ათასობით წვევანდელი. როგორც სასულიერო პირები აღნიშნავდნენ, ამ ახალგაზრდებში საკმაოდ დაბალი იყო ქრისტიანული სარწმუნოების გავლენა. ბევრი მათგანი არ იცნობდა ქრისტიანული სარწმუნოების ელემენტარულ მოთხოვნებს და არ იცოდა ყოველდღიურად შესასრულებელი ლოცვები. ახალგაზრდობის საკმაოდ შესამჩნევი ნაწილი, რა თქმა უნდა, იცნობდა მშრომელთა ეკლესიის საწინააღმდეგო მოთხოვნებს, ზოგჯერ თითონაც იყო ასეთი გამოსვლების მონაწილე და, უეჭველია, თანაუგრძნობდა კიდევაც მას. ქრისტიანული სარწმუნოებისადმი გულგრილობა შეიმჩნეოდა აგრეთვე ოფიცერთა და კადრის ჯარისკაცთა ერთ ნა-

<sup>203</sup> იქვე, ფურცელი 3.

<sup>204</sup> საქ. ცსა, ფ. 488, საქმე 27060, 1914, ფურც. 2.

წილში. არმიაში, ამ ფრიად საშიში მიმდინარეობის აღმოფხვრის მიზნით, სამხედრო უწყების სამღვდლოება გეგმავდა და ატარებდა მთელ რიგ ღონისძიებებს.

1901 წელს კავკასიის მესანგრეთა ბრიგადის შტატმა დაუშვა სპეციალური მითითება (14. VIII. № 14992), რომლითაც ნაწილის მღვდლებს ავალებდა სისტემატურად ჩაეტარებინათ ღვთისმსახურების გარდა საუბრები<sup>205</sup>.

1901 წლიდან ამიერკავკასიაში განლაგებულ სამხედრო ნაწილებში სისტემატურად ტარდებოდა ღვთისმსახურების გარეშე საუბრები, სარწმუნოების განმტკიცების მიზნით ეწყობოდა ჯვრით სვლები, რომლებშიც სამხედრო ნაწილები ღებულობდნენ მონაწილეობას. სარწმუნოების განმტკიცების საქმეს არმიის რიგებში ემსახურებოდა აგრეთვე სასულიერო-სამისიონერო საზოგადოება, რომლის წევრებიც თბილისის ყოფილ ალექსანდროვის ბაღში ჯარისკაცებისათვის ატარებდნენ საუბრებს. თბილისის გარნიზონის ჯარების მხედართმთავრის ბრძანებით, ნაწილის მეთაურები ვალდებული იყვნენ გაენთავისუფლებინათ ჯარისკაცები ამ საუბრის მოსასმენად. ამიერკავკასიაში განლაგებული ჯარის ნაწილებში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებების დასახვის მიზნით, ხშირად ეწყობოდა სამხედრო ბლალოჩინების თათბირები. აქ განიხილებოდა სამხედრო მსახურთა შორის საღვთო სჯულის სწავლების საკითხები, რელიგიურ-ზნეობრივი საუბრების ჩატარების მეთოდები, ხერხები და მრავალი სხვა, რაც დაკავშირებული იყო სამხედრო მსახურთა რელიგიურ აღზრდასთან<sup>206</sup>.

არმიის ნაწილების მღვდლებს, სამხედრო მსახურთა რელიგიური მომსახურეობის გარდა, ევალებოდათ იმ რაიონების სამოქალაქო მოსახლეობის მომსახურეობა, სადაც მათი ნაწილები იყო განლაგებული. საქართველოს ეგზარქოსმა ნიკონმა (1906—1908. 28. V) სამხედრო პრესვიტერს მიმართა თხოვნით, პოლკის მღვდლებს თავიანთ თავზე აეღოთ სამრევლოს მღვდლების მოვალეობის შესრულება იმ სოფლებში, სადაც მათი ნაწილები იყო განლაგებული. ამის გარდა, თუ ნაწილის დისლოკაციის რაიონში იყო სკოლები სექტანტების შვილებისათვის ან ასეთივე მართლმადიდებელთა ბავშვებისათვის, სამხედრო მღვდელს უნდა ჩაეტარებინა აქ საღვთო სჯულის გაკვეთილები და საერთოდ ეხელმძღვანელა ასეთი სკოლებისათვის. ეგზარქოსის ეს განკარგულება ეხებოდა ლაგოდეხისა და სიღნაღის მაზრებს, სადაც შედარებით მეტი იყო სექტანტური მოსახლეობა<sup>207</sup>.

205 ცსილ, ფ. 806, ანაწ. 4, საქ. 3364, 1904, ფურც. 1.

206 იქვე. საქმე 3727, 1902, ფურც. 232—233.

207 იქვე, საქ. 5680, 1906, ფურც. 1.

სამხედრო მსახურთა რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებების მიზნით შენდებოდა ეკლესიები, რომელიც უნდა ყოფილიყო სამხედრო მსახურთა იდეოლოგიური დამუშავების ცენტრი. 1852 წელს თბილისში დამთავრდა წმ. ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის სახელობის ეკლესიის მშენებლობა, რომელიც სამხედრო უწყებას გადაეცა. ამ ტაძართან 1898 წელს დაარსდა ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებული იყო დიდი რაოდენობის რელიგიური შინაარსის წიგნებითა და ეურნალ-გაზეთებით. აქვე ტარდებოდა საკვირაო სასულიერო კითხვები. 1897 წელს თბილისში აშენდა კიდევ ერთი ტაძარი ალ. ნეველის სახელობაზე<sup>208</sup>. ამავე მიზნით, სამხედრო უწყებას გადაეცა თბილისის, გორის, ქუთაისის, ბათუმისა და სხვა დიდი ქალაქების ეკლესიები. ისეთ გარნიზონებში, სადაც მღვდელი არ იყო, სამხედრო ნაწილებს ემსახურებოდა ადგილობრივი მრევლის მღვდელი.

როგორც რუსეთ-იაპონიის ომში, ასევე პირველ მსოფლიო ომში, სამღვდლოებას თავისი წვლილი შეჰქონდა თვითმპყრობელობის მიზნების განხორციელების საქმეში. ცდილობდა არმიის „საბრძოლო სულის ამაღლებას“. სამღვდლოება დიდ საქმიანობას ეწეოდა აგრეთვე სამხედრო ჰოსპიტლებში დაჭრილ მეომრებთან.

პირველი მსოფლიო ომისათვის მზადება სამღვდლოებამ ომამდე დაიწყო. ომამდე ორი თვით ადრე შედგა სამხედრო მღვდელთა ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა და დასახა ღონისძიებები სამხედრო ნაწილებში სარწმუნოების განმტკიცებისათვის<sup>209</sup>. მთავრობამ დაამტკიცა ახალი კანონი ოფიცრების, სამხედრო ექიმებისა და სამღვდლოების ოჯახებისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ<sup>210</sup>. შეიმუშავეს საეკლესიო ქონების ვეაკუაციის გეგმები ამ რაიონებიდან, რომლის ოკუპირებაც იყო მოსალოდნელი. არმიის პრესვიტერმა, ომის დაწყების პირველსავე დღეებში, გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიც სამხედრო ნაწილის მღვდლებს მოუწოდებდა, რაც შეიძლება ახლო მისულიყვნენ ჯარისკაცებთან, შეესწავლათ მათი განწყობილება, გაეძლიერებინათ კლერიკალურ-მონარქისტული აღზრდა, ეზრუნათ არმიაში დისციპლინის განმტკიცებისთვის, არ დაეშვათ შეტაკება ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით არმიასა და ფლოტში ფართოდ გაიშალა რევოლუციური პროპაგანდა. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ბოლშევიკების ინიციატივით შეიქმნა სამხედრო ორგა-

208 იქვე, საქმე 3727, 1902, ფურც. 2—5.

209 Грекулов Е. Ф. Церковь, самодержавие, народ. М., 1969, с. 154.

210 ცსილ, ფ. 805, ანაწ. 5, საქ. 9465, 1914.

ნიზაცია „ჯარისკაცთა კავშირი“, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამიერ-კავკასიის ჯარის რევოლუციურ მოძრაობას<sup>211</sup>.

1905 წლის დასაწყისიდან ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცთა შორის. პროპაგანდისტები ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ, აეღოთ იარაღი და მეამბოხეთა მხარეზე გადასულიყვნენ, ხალხთან ერთად ებრძოლათ ცარიზმის დასამოხბად. ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ მიებაძათ შავი ზღვის ფლოტის აჯანყებული მეზღვაურებისათვის<sup>212</sup>, — აღნიშნულია ქუთაისის ქანდარმა მოხსენებაში.

რუსეთ-იაპონიის ომში ბოლშევიკები მასებს განუმარტავდნენ ომის დაწყების ნამდვილ მიზეზებს და მის დამლუპველ შედეგებს.

დიდ განმარტებით მუშაობას ატარებდნენ ბოლშევიკები ჯარის ნაწილებში პირველი მსოფლიო ომის დროსა და ოქტომბრის რევოლუციის მომზადების პერიოდში. ისინი მებრძოლებს განუმარტავდნენ ომის ნამდვილ მიზეზებს.

რევოლუციური განწყობილების პარალელურად იზრდებოდა სამხედრო მსახურთა ანტიკლერიკალური განწყობილებაც, მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო შავი ზღვის ფლოტში და ამიერკავკასიაში განლაგებულ ნაწილებში, რომელიც არ შეწყვეტილა 1905—1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგაც.

სამხედრო მსახურთა შორის სარწმუნოების განმტკიცებასა და რელიგიური ცოდნის გავრცელებას ემსახურებოდა სამოქალაქო და სამხედრო უწყების რელიგიური შინაარსის მრავალი ჟურნალ-გაზეთი.

არმიაში გახშირდა ეკლესიისა და მისი მსახურების შეურაცხყოფის შემთხვევები, გახშირდა სამხედრო პირების მიერ ეკლესიების ძარცვის შემთხვევები. სარწმუნოების განმტკიცების მიზნით, ახლა, ყველა ნაწილში, დილის ლოცვის შემდეგ, უნდა ეკითხათ სახარება<sup>213</sup>. თუ რომელიმე ნაწილში მღვდელი არ იყო, მისი მოვალეობის შესრულება ეკისრებოდა ახლო მდებარე სამრევლოს მღვდელს<sup>214</sup>.

ბოლშევიკების მუშაობამ სამხედრო ნაწილებში თავისი შედეგი გამოიღო. ჯარისკაცთა შორის დაიწყო მოძრაობა ომის რაც შეიძლება მალე დამთავრებისათვის. იმატა საპროტესტო გამოსვლების რიცხვმა. არმიის ხელმძღვანელობისა და სასულიერო წოდების მრავალგზის ცდა წესრიგის აღდგენისათვის ჯარისკაცთა დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა და უმეტეს შემთხვევაში მარცხით მთავრდებოდა. რევოლუციის დღეებში არმიისა და ფლოტის მებრძოლები ერთხმად დადგნენ

211 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 173.

212 იქვე,

213 ცსილ, ფ. 806, ანაწ. 4, საქ. 8303, 1912.

214 იქვე. საქმე 6470, 1908.

მშრომელთა მხარეზე და მათთან ერთად შეუპოვრად იბრძოდნენ თვით-  
მპყრობელური რეჟიმის დამხობისათვის.

ასეთი ხასიათის იყო ის ღონისძიებები, რომელიც ვაატარა საქართველოს საეგზარქოსომ მშრომელთა ბრძოლის სოციალისტური რევოლუციის გზიდან აცდენისათვის. როგორც ისტორიის მსვლელობამ დაგვანახა, სასულიერო წოდებამ ვერ შეძლო ამის განხორციელება.

ძველი რეჟიმის დაცემისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, საქართველოს საეგზარქოსომ როგორც საეკლესიო-ადმინისტრაციული მმართველობის ორგანომ, შეწყვიტა თავისი არსებობა. საქართველოს მშრომელებმა რუსეთის იმპერიის სხვა ხალხებთან ერთად თვითონ გადაწყვიტეს მომავლის ბედ-  
დი ეკლესიისა და სამღვდელოების მონაწილეობის გარეშე.



## მოდული თავი

### მართლმადიდებლური ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა მოდერნიზაცია და ათეისტური გუშაოვის თავისებურებანი საბჭოთა საქართველოში

#### § 1. ათეისტური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნამ დასაბამი მისცა კაცობრიობის ისტორიაში ახალ ერას, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი ხალხების პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების გზა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენა დიდი იყო რუსეთის ყოფილი იმპერიის განაპირა რაიონებში, სადაც განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა თვითმპყრობელობის ანტიხალხური პოლიტიკა.

საქართველოს მშრომელებმა, რუსეთის პროლეტარიატის დახმარებით, დაამხეს მენშევიკური მთავრობა და თვითმპყრობელობის უღლიდან განთავისუფლებულ ხალხებთან ერთად შეუდგნენ ახალი, უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას.

დიდი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ხასიათის ძვრებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ხელი შეუწყვეს მისი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფ განვითარებას და მტკიცე ნიადაგი მოამზადა ჩვენი ხალხის განთავისუფლებისათვის ეკლესიისა და რელიგიის გავლენისაგან.

იმ მრავალი დეკრეტის გვერდით, რომელიც მიიღო საბჭოთა სახელმწიფომ თავისი განვითარების პირველსავე წლებში და რომლებიც ჩვენმა ხალხმა წარმატებით განახორციელა, განსაკუთრებული ადგილი უკავია დეკრეტს სახელმწიფოდან ეკლესიისა და ეკლესიიდან სკოლის გამოყოფის შესახებ. ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობის პერიოდში კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობდა ამ დეკრეტის ცხოვრებაში რაც შეიძლება სწრაფად გატარებას, რაც ხელს უწყობდა და უზრუნველყოფდა მშრომე-

ლი მასების სულიერ განთავისუფლებას. კომუნისტური პარტიის მიერ გატარებული ენერგიული ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ მშრომელი მასების განთავისუფლებას ეკლესიისა და რელიგიის გავლენისაგან, მშრომელთა აქტიურ მხარდაჭერას ეყრდნობოდა და მალე თავისი დადებითი შედეგიც გამოიღო. შედარებით მოკლე ისტორიულ მონაკვეთში საქართველო გადაიქცა მასობრივი ათეიზმის რესპუბლიკად.

ეკლესიისა და რელიგიის გავლენისაგან მშრომელი მასების განთავისუფლება იყო უაღრესად რთული პროცესი, რომლის შედეგადაც ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი ხალხის ფსიქოლოგია და ჩვევები. ჩვენს ქვეყანაში რელიგიური გადმონაშთების დაძლევის პროცესი თავისი შედეგებით უდრიდა რევოლუციას, რომელმაც ჩვენი საზოგადოება განთავისუფლა ძველი, დრომოჭმული ჩვევებისა და ადათ-წესებისაგან. საქართველოში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის მშენებლობის პირველ ეტაპზე მოსახლეობის ფართო მასების განთავისუფლება რელიგიის მავნე გავლენისაგან ისეთივე ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენდა, როგორც მშრომელი მასების განთავისუფლება კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრისაგან, ბურჟუაზიულ-კერძომესაკუთრული იდეოლოგიისაგან.

ის, რომ საქართველოს მშრომელებმა ისტორიულად მცირე მონაკვეთში ზურგი აქციეს ეკლესიასა და რელიგიას, შემთხვევითი მოვლენა კი არ იყო, არამედ ეს იყო კანონზომიერი, ლოგიკური შედეგი საქართველოს საზოგადოებრივი განვითარებისა.

ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობას, ისევე როგორც ათეისტური აზრის ისტორიის განვითარებას, საქართველოში თავისი წინამძღვარები გააჩნია, რომლებიც საწყისს ადრეული საუკუნეებიდან დებულობს და დიდი ხნის ისტორია აქვს. ასეთად ჩვენ მიგვაჩნია ეკლესიის საწინააღმდეგო გამოსვლები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ფეოდალური ხანის საქართველოში და რომელიც თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე ავიდა მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1905—1907 წწ. რევოლუციის მიმდინარეობისა და ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში. ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში, მშრომელი გლეხობა იბრძოდა ეკლესია-მონასტრების მიწათმფლობელების წინააღმდეგ და ხშირად წარმატებასაც აღწევდა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ნცხეთის გლეხთა ბრძოლა ზედაზენის მონასტრის წინააღმდეგ<sup>1</sup>. გლეხთა გამოსვლები ამ პერიოდში ძირითადად ეკონომიკურ ხასიათს ატარებდა და პოლიტიკური მოტივები თითქმის არ გააჩნდა.

ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლა შედარებით

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში, ტფ., 1934.

გამწვავდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ დროიდან მოსახლეობის ერთი, საკმაოდ დიდი ნაწილი უარს ამბობს საეკლესიო გადასახადებისა და ვალდებულებების შესრულებაზე, ეკლესიის მსახურთა შენახვაზე. გახშირდა უარისთქმა ქრისტიანული სარწმუნოების ისეთ ძირითად მოთხოვნებზე, როგორცაა ზიარება და აღსარება. ეკლესიებში იკლო მლოცველთა რიცხვმა. ისეთ დიდ ეკლესიებშიც კი, როგორც იყო სიონის კათედრალური ეკლესია, წირვა-ლოცვა ხშირად ნახევრად ცარიელ ტაძარში მიმდინარეობდა. გახშირდა ეკლესიამონასტრების ძარცვისა და სასულიერო პირებისათვის შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევები, რაც ერთხელ კიდევ მიგვიტოთებს იმაზე, თუ ამ დროისათვის რა დიდად იყო შერყეული ეკლესიის ავტორიტეტი მოსახლეობის ფართო მასებში.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებიდან, როდესაც სამოღვაწეო ასპირეზზე გამოვიდნენ სამოციანელები და ხალხოსნები, რომელთა უაღრესად სასარგებლო საქმიანობამ ბიძგი მისცა მოსახლეობის საერთო ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, გამოცოცხლება დაეტყო ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობასაც. მოწინავე ინტელიგენცია დაუღალავად იბრძოდა მოსახლეობის განათლებისათვის და თავისი საქმიანობით ხელს უწყობდა მათ განთავისუფლებას რელიგიისა და ცრუმორწმუნეობის გავლენისაგან. ამ ხანის ეურნალ-გაზეთების ფურცლებზე იბეჭდებოდა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენის მოწინავე წარმომადგენელთა სტატიები, რომლითაც შშრომელებს განუმარტავდნენ იმ დიდ მორალურსა და ეკონომიკურ ზარალს, რასაც უყენებდა რელიგია და ცრუმრწმენები გლეხობას<sup>2</sup>. ეკლესიის საწინააღმდეგო გამოსვლები ამ ხანად სტიქიურ ხასიათს ატარებდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადად ეკონომიკური მოთხოვნებით შემოიფარგლებოდა. ეს პერიოდი ჩვენ მიგვაჩნია საქართველოში ეკლესიისა და რელიგიის საწინააღმდეგო მოძრაობის საწყისად, მის პირველ საფეხურად.

ეკლესიისა და რელიგიის საწინააღმდეგო მოძრაობის შემდგომი ეტაპი საქართველოში იწყება მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან და გრძელდება ოქტომბრის რევოლუციის დასრულებამდე. მე-19 საუკუნის მიწურულში ჩვენში ვრცელდება მატერიალისტური შეხედულება. ჩვენი საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ლენინური პარტია, რომელიც შშრომელი მასების განთავისუფლებას ეკლესიისა და რელიგიის ბატონობისაგან მიიჩნევს პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების საწინდარად იმ დიდ და უაღრესად რთულ ბრძოლაში, რომელსაც ის ეწეოდა

<sup>2</sup> ი. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, „სასოფლო გაზეთის“ და „შრომის“ ბრძოლა ცრუმრწმენებისა და რელიგიური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ: კრებული „რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში“, წიგნი 2, თბ., 1975, გვ. 9—17:

ვერ თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობისა, ხოლო შემდეგ უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დროს.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის ოციან წლებში, საქართველოს მშრომელთა შორის, მისი მოსახლეობის თითქმის ყველა ფენაში, მტკიცედ იკიდებს ფეხს რელიგიური ინდიფერენტობი. 1905—1907 წლების რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში საქართველოში დაიძრა ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობის ძლიერი ტალღა, რომელმაც მოიცივა საქართველოს ყველა კუთხე. სასულიერო წოდებასა და მრევლს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა სოფლად, რომლის მოსახლეობასაც მძიმე ტვირთად აწვა საეკლესიო გადასახადები და ვალდებულებანი. პროლეტარიატი, როგორც მშრომელი მასების ავანგარდი და შეგნებული ნაწილი, რომელიც ეწეოდა თანამიმდევრულ ბრძოლას მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, თავის იარაღად იყენებს მარქსისტულ იდეოლოგიას. რევოლუციური მოძრაობის დროს, როდესაც ეკლესიამ უყოყმანოდ დაიკავა გაბატონებული კლასების მხარე, უფრო რელიეფურად გამოჩნდა მისი საქმიანობის ანტისაზოგადოებრივი არსი, რამაც ხელი შეუწყო და გააძლიერა ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობა. ამავე დროს ჩვენ გვხვდება ღმერთის უარყოფის ფაქტები.

1905—1907 წლების რევოლუციის მიმდინარეობის დროს რევოლუციურად განწყობილი მშრომელი გლეხობა გააფთრებით იბრძოდა არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიკური, არამედ სულიერი თავისუფლებისათვისაც. სასოფლო ყრილობებზე, რომლებიც ამ დროს იმართებოდა თითქმის ყველა სოფელში, გლეხობა აქტიურად გამოდიოდა ეკლესია-მონასტრებისა და მისი მსახურების წინააღმდეგ. ყრილობებზე გლეხობა სასულიერო წოდებას უყენებდა თავის მოთხოვნებს, რაც, გამსხვავებით რევოლუციამდელი მოთხოვნებისაგან, ძალიან დადამდინარეობდა სოციალ-დემოკრატებისაგან. კერძოდ, აჯანყებული გლეხობა მოითხოვდა ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან და სკოლისას — ეკლესიისაგან; საეკლესიო-სამონასტრო მამულების კონფისკაციას და მათ გადაცემას გლეხობისათვის. გლეხობა უარს ამბობდა სასულიერო წოდების შენახვაზე, საეკლესიო გადასახადების გამოღებაზე და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო რევოლუციურმა სიტუაციამ თავისი დიდი გავლენა იქონია არა მარტო მშრომელ მოსახლეობაზე, არამედ სასულიერო წოდების ნაწილზედაც, რომელიც ახლა ზაკმაოდ გულგრილად ეკიდებოდა თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას. იშვიათი არ იყო შემთხვევები, როდესაც სამღვდელოების ერთი ნაწილი ტოვებდა ეკლესიას და აქტიურ

მონაწილეობას ღებულობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობაში.

ეს ისტორიული მონაკვეთი, რომელიც დაიწყო მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან, განსაკუთრებით მდიდარია ეკლესიისა და რელიგიის საწინააღმდეგო გამოსვლებით, რომელმაც თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში. დასახელებული ისტორიული მონაკვეთი ჩვენ მიგვაჩნია ანტირელიგიური და ათეისტური მოძრაობის მეორე ეტაპად, რომელიც გამოირჩევა თავისი ორგანიზებულობითა და შემტევი ხასიათით. მშრომელთა ეკლესიის საწინააღმდეგო და ანტირელიგიური მოთხოვნები ძირითადად გამომდინარეობენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოთხოვნებიდან. ამავე პერიოდში შეიმჩნევა ელემენტები ღმერთის უარყოფისა.

საქართველოში ანტირელიგიური და ათეისტური მოძრაობა უაღრესად დიდი სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნების დროს ემთხვევა, მოიცავს მოსახლეობის ფართო მასებს, ხასიათდება უაღრესად აქტიური გამოსვლებით ეკლესიისა და მისი მსახურების წინააღმდეგ. ეს ეტაპი მოიცავს 1921—1925 წლებს. ამ დროს ჩვენში ჯერ კიდევ მკაფიოდ არ არის გამომუშავებული და ჩამოყალიბებული ანტირელიგიური პროპაგანდის ხერხები და მეთოდები: ჯერ კიდევ არ გვყავს სათანადოდ მომზადებული პროპაგანდისტთა კადრები. ეს სამუშაო ამ დროს ძირითადად პარტიული და კომკავშირული აქტივის მხარეზე გადადიოდა, რომელიც თავის ყოველდღიურ მუშაობაში ხელმძღვანელობდა საბჭოთა სახელმწიფოს დეკრეტებითა და ინსტრუქციებით და ცდილობდა მათი მოთხოვნების ცხოვრებაში სრულყოფილად გატარებას. სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების პერიოდში (1921—1925 წლები) იყო ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდის დარგში წინგადადგმული ნაბიჯი, რომელმაც, მიუხედავად ზოგიერთი დაშვებული შეცდომისა, დიდი გავლენა იქონია მის შემდგომ განვითარებასა და წარმატებაზე.

საქართველოში ანტირელიგიური და ათეისტური მოძრაობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საფეხურია 1926—1941 წლები, პირველი ხუთწლეულების წლები, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და წინსვლის წლები, როდესაც ჩვენში ხდება უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობის ძვრები. მძიმე ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის სწრაფმა განვითარებამ, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციამ, კოლექტივიზაციის გამარჯვებამ ჩვენი ქვეყანა გადააქცია ინდუსტრიულ აგრარულ ქვეყნად. ამ პერიოდში მტკიცე პეცნიერულ საფუძველზე დადგა ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდა, რასაც უკვე ხელმძღვანელობდნენ სათანადოდ მომზადებული პროპაგან-

3 ი. ჩხარტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9—17.

დისტები. ამ მუშაობაში ფართოდ ჩაებნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკები. დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ანტირელიგიური შინაარსის ლიტერატურა. ასევე, დიდი ტირაჟით გამოდის ანტირელიგიური შინაარსის ჟურნალ-გაზეთები. 1926—1941 წლები იდეოლოგიური მუშაობის გადაწყვეტი ეტაპი იყო ამ ფრიად მნიშვნელოვან დარგში.

დიდი სამამულო ომის წლებში საკმაოდ შეფერხდა ანტირელიგიური მუშაობა. სხვადასხვა მიზეზების გამო საკმაოდ გამოაცოცხლეს თავიანთი საქმიანობა რელიგიურმა ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით კი რელიგიურმა სექტებმა. მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო. ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს მშრომელები შეუდგნენ ომისაგან მიყენებული ჭრილობების მოშუშებას. ამ პერიოდში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იდეოლოგიურ მუშაობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი სამამულო ომის წლებშიც არ იყო მიტოვებული ანტირელიგიური მუშაობა. 1944 წლის 27 სექტემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „მეცნიერულ საგანმანათლებლო პროპაგანდის ორგანიზაციის შესახებ“.

ანტირელიგიურ და მეცნიერულ ათეისტურ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა 50—60-იან წლებში, როდესაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება — „მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დარგში დაშვებული შეცდომებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (1954 წ. 7 ივლისი), იმავე წლის მეორე დადგენილება — „მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდაში დაშვებული შეცდომების შესახებ“, „პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ თანამედროვე პირობებში“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (1960 წ. 9 იანვარი), „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება (1963 წ. 18—21 ივნისი), „მოსახლეობის ათეისტურად აღზრდის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“ (1964 წ.).

თანამედროვე ეტაპზე ანტირელიგიური პროპაგანდისა და ათეისტური მუშაობის დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი პარტიის ყრილობებს, რომლებმაც ახლებურად დააყენეს სოციალიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდის პრობლემა.

დიდ ძვრებს ჰქონდა ადგილი საქართველოშიც. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იდეოლოგიის დარგში თავისი მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბნად გამოაცხადა არესპუბლიკის მშრომელთა ათეისტური აღზრდა. პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ანტირელიგიური და ათე-

ისტორი პროპაგანდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუშაობას ახალგაზრდებს შორის.

„ბრძოლა ომის წინააღმდეგ, რასაც ჩვენ ვუწოდებთ წარსულის გადმონაშთებს ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში, — არის საქმე, რუმელსაც მუდმივი ყურადღება უნდა დაუთმონ პარტიამ, ჩვენი საზოგადოების მთელმა შეგნებულმა მოწინავე ძალებმა“<sup>4</sup>.

ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდის მართებულად წარმართვის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ნოემბრის დადგენილებას „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

აღნიშნული დადგენილება არის საპროგრამო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკაში ძირითადად გარდაიქმნა ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდა.

ისტორიული მონაკვეთი ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე, რომელიც მოიცავს გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქას, მიგვაჩინა ანტირელიგიური პროპაგანდისა და ათეისტური მუშაობის განვითარების მე-5 ეტაპად. ამ ეტაპზე პარტიის ყოველდღიურ მუშაობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია „კომუნისტების ღირსეული მშენებელი ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პრობლემას...“

„ჩვენი წყობილების ძალაა მასების შეგნება და პარტიას თავის მუდმივ საზრუნავად მიაჩნია ადამიანისათვის კომუნისტური შეგნების, კომუნისტების აშენებისადმი შზადყოფნის, ნებისყოფისა და უნარის ჩანერგვა“<sup>5</sup>.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებიდან დღემდე დაგროვდა დიდი გამოცდილება მოსახლეობის ფართო მასებში ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდის წარმოებისა, რომელიც განმტკიცებული და გამაგრებულია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მოძღვრებით. დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს, ერთი მხრივ, განვაზოგადოთ და გავავრცოთ ეს დიდი გამოცდილება, მოვახდინოთ მისი განალიზება, ყველასათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ ის დადებითი, რომელიც გაჩნდა ამ მუშაობას და, მეორეც, ხელი ავიღოთ და უკუვაგდოთ ის უარყოფითი, რაც ხელს გვიშლის ამ საქმიანობის წარმატებაში და აფერხებს მას. ასეთი შეცდომები კი საკმარისზე მეტი გვქონდა, განსაკუთრებით ანტირელიგიური და ათეისტური მუშაობის პირველ წლებში, თუმცა ასეთებისაგან არც დღესა ვართ დაზღვეული. საჭიროა წარსულის მდიდარი გამოცდილებიდან გამოვიტანოთ სათანა-

<sup>4</sup> სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, თბ., 1971, გვ. 116.

<sup>5</sup> სკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო, და სავარეო პოლიტიკაში, „კომუნისტი“, 1976, 25—26 თებერვალი, № 46, 47.

დო. ობიექტური დასკვნები, რასაც უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იდეოლოგიური მუშაობის თანამედროვე ეტაპზე.

საქართველოში ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობისა და ათეიზმის განვითარების გზების შესწავლაში, ანტირელიგიური სამუშაოების ჩატარებისას თანამედროვე პირობებში, პირველ წყაროდ გვევლინება ვ. ი. ლენინის ნაშრომებში ჩამოყალიბებული დებულებები. რომლებიც, როგორც ცნობილია, მან ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე ჩამოაყალიბა და საფუძვლად დაედო პარტიის პოლიტიკას რელიგიისა და ეკლესიასთან დამოკიდებულების დარგში. ამავე დროს, ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის ადგილი და როლი პარტიის საქმიანობაში, რომელსაც ის იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ნაწილად მიიჩნევდა. ნაშრომში „სოციალიზმი და რელიგია“, რომელიც გამოქვეყნდა 1905 წელს, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ჩვენი პროგრამა მთლიანად აგებულია მეცნიერულ და, ამასთანავე, სწორედ მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე. ამიტომ ჩვენი პროგრამის განმარტება აუცილებლად სარწმუნოებრივი ბურჟუასის ჭეშმარიტი ისტორიული და ეკონომიური ფესვების განმარტებასაც შეიცავს. ჩვენი პროპაგანდა აუცილებლად ათეიზმის პროპაგანდასაც შეიცავს; სათანადო მეცნიერული ლიტერატურის გამოცემა, რომელსაც აქამდე სასტიკად კრძალავდა და სდევნიდა თვითმპყრობელურ-ბატონყმური სახელმწიფო ხელისუფლება, ახლა ჩვენი პარტიული მუშაობის ერთ-ერთ დარგს უნდა შეადგენდეს“<sup>6</sup>.

ვ. ი. ლენინის შრომებში მოცემულმა დებულებებმა თავისი შემდგომი განვითარება კპოვეს პარტიული ყრილობების, კონფერენციების, პლენუმების რეზოლუციებში, რომლებიც ეხებიან მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდისა და საგანმანათლებლო მუშაობის წარმართვას ჩვენს ქვეყანაში.

ანტირელიგიური და ათეისტური მოძრაობის განვითარების ისტორიაში დიდი და წარმმართველი როლი შეასრულა დეკრეტებმა, რომლებიც ჩვენი საზოგადოებრიობის განვითარების ყველა მხარეს ეხებოდა. ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული დებულებების ცხოვრებაში გატარება იყო ჩვენში ათეიზმის გამარჯვების წინამძღვრები.

ანტირელიგიური მუშაობის ძირითადი პრინციპების შემუშავებასა და ათეიზმის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეებს: მ. კალინინს, ნ. კრუჰსკაიას, ე. იაროსლავსკის, ს. კიროვს, ე. ბონჩ-ბრუევიჩს, ი. სკვორცოვ-სტეპანოვს; და სხვებს, რომელთა ნაშრომებშიც რელიგიისა და ეკლესიასთან საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულების ძირითადი პრინცი-

<sup>6</sup> ვ. ი. ლენინი: რელიგიის შესახებ. თბ., 1955, გვ. 9-10.



პები, პარტიულ-კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების მუშაობის უმთავრესი ამოცანებია გადმოცემული მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დარგში.

მდიდარი ცნობები ანტირელიგიური მუშაობისა და მასობრივი ათეიზმის გავრცელებაზე გვხვდება პერიოდულ პრესაში. მათ შორის, პირველ რიგში აღსანიშნავია ვახეთი „კომუნისტის“ დიდი და წარმართველი როლი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე „კომუნისტის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა წერილები და კორესპონდენციები, რომლებშიც მხილებულია ეკლესიის მსახურთა ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა. ვახეთი ფართო მასებს აუწყებდა საქართველოს ერთ რომელიმე რაიონში, ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდის დარგში გადადგმული დადებითი ნაბიჯის შესახებ. დროულად აქვეყნებდა და უწყევდა პროპაგანდას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო ამ საქმის გაუმჯობესებისაკენ.

ჩვენი საუკუნის 30-იანი წლები აღინიშნება ჩვენში ანტირელიგიური და ათეისტური მუშაობის ახალი წარმატებებით, გამოვიდა ჟურნალი „ულმერთო“, ცოტა მოგვიანებით, 1937 წელს „მებრძოლი ულმერთო“, რომელმაც თავისი საქმიანობა შეწყვიტა ომის დაწყებისთანავე. მართალია, ეს ჟურნალები მოკლე დროის მანძილზე გამოდიოდა, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ანტირელიგიური მუშაობისა და ათეისტური პროპაგანდის საქმეში. ჟურნალის რედაქციის ირგვლივ შეკრებილი იყო საკმაოდ დიდი აქტივი, რომელიც ენერგიულად იბრძოდა მთავრობის პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისათვის. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტირელიგიური ჟურნალის „მებრძოლი ათეისტის“ დიდი საქმიანობა.

## § 2. ათეისტური მსოფლმხედველობის გამარჯვების ხელისშეწყობი პირობები საბჭოთა საქართველოში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ჩვენი ქვეყანა დაადგა პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების სრულიად ახალ გზას. ახალი, უკლასო საზოგადოების წინსვლისა და გამარჯვების საწინდარი იყო საქართველოს რესპუბლიკის ნებაყოფლობითი გაერთიანება საბჭოთა ხალხის მეგობრულ კავშირში.

თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების ერთ კავშირად გაერთიანება გადაუდებელი აუცილებლობა იყო რუსეთის იმპერიის ბატონობისაგან განთავისუფლებული ხალხებისათვის. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) მე-10 ყრილობის რეზოლუციაში ამ ისტორიული აქტის შესახებ ნათქვამია, რომ ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების არსებობა ყოველთვის საფრთხის ქვეშ იქნება, რადგან მათ ემუქრებიან კა-

პიტაღორას მემორიალური ქვეყნები, რომლებიც არც ერთ შემთხვევაში არ გაუშვებენ, რათა არ მოახდინონ მათზე პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენა, არ მოახდინონ მათი ანექსია. ამიტომაც „საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის ინტერესები, ერთი მხრივ, ომით დასვრულ მწარმოებლური ძალების აღდგენის ამოცანა, მეორე მხრივ, საჭირო სასურსათო დახმარების გაწევა უპურო საბჭოთა რესპუბლიკებისათვის პურიანი რესპუბლიკების მიერ, მესამე მხრივ, — დაყენებით გეკარნახობენ ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ კავშირს, როგორც იმპერიალისტური მონობისა და ნაციონალური ჩაგვრისაგან ხსნის ერთადერთ გზას“<sup>7</sup>.

აღნიშნულმა აქტმა გადამწყვეტი გავლენა იქონია ქართული ეროვნული კულტურის შემდგომ აღორძინებასა და განვითარებაზე. ჭეშმარიტად ისტორიული ხასიათის ძვრებმა ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში მისი გასაბჭოების პირველსავე წლებში, დადებითი გავლენა იქონია ხალხის სულიერი კულტურის შემდგომ ამაღლებაზე. კომუნისტური პარტიის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო და დააჩქარა მშრომელი ხალხის განთავისუფლება რელიგიური ცრურწმენებისა და ეკლესიის ბატონობისაგან. საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის პრაქტიკამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ მხოლოდ სოციალისტური საზოგადოების მშენებელ ხალხს შეუძლია გადაწყვიტოს რელიგიური საკითხი და ცხოვრებაში განახორციელოს კანონი სინდისის სრული თავისუფლების შესახებ.

1917 წლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ რუსეთის სინამდვილეში, რელიგიისა და ეკლესიის დარგში, ყველაფერი უცვლელად დატოვა. პირიქით, დროებითმა მთავრობამ სპეციალური დეკრეტებით საკმაო თანხებით გამოუყო ეკლესიას, დაუტოვა სასულიერო სასწავლებლები, სასულიერო აკადემიები და სხვა მრავალი შეღავათიც მისცა. რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას მენშევიკების ბატონობის ხანაში, ამ მხრივ საგრძნობი ცვლილებები არ მომხდარა. ეკლესია დარჩა გაბატონებული კლასების ერთგულ ორგანიზაციად, რომელსაც ჯერ კიდევ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოსახლეობის ნაწილში და აქტიურად მონაწილეობდა მენშევიკების ანტიხალხური პოლიტიკის განხორციელებაში.

საქართველოში ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდის დარგში ძირითადი ძვრები მოხდა 1921—1925 წლებში. ანტირელიგიური მუშაობის გაშლისა და ათეისტური პროპაგანდის ორგანიზაციის

<sup>7</sup> სკვპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, 1954, გვ. 716—717 (შემდეგში სკვპ ყრილობების...).

დარგში საქართველოს კომუნისტური პარტია ემყარებოდა ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ „უნდა ვიცოდეთ ბრძოლა რელიგიასთან, ხოლო ამისათვის საჭიროა მატერიალისტურად ავხსნათ მასების სარწმუნოებისა და რელიგიის წყარო, რელიგიასთან ბრძოლა არ შეიძლება შევზღუდოთ აბსტრაქტულ-იდეოლოგიური ქადაგებით, არ შეიძლება ასეთი ქადაგებით განვსაზღვროთ; ეს ბრძოლა უნდა დავუკავშიროთ რელიგიის სოციალური ფესვების აღმოფხვრისაქენ მიმართული კლასობრივი მოძრაობის კონკრეტულ პრაქტიკას“<sup>8</sup>. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ პერიოდში ანტირელიგიური პროპაგანდა ექვემდებარებოდა საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას: „ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ექსპლოატირებული მასების კლასობრივი ბრძოლის განვითარებას“<sup>9</sup>. ამავე დროს საქართველოს კომუნისტური პარტია ანტირელიგიური მუშაობის ორგანიზაციის დროს ხელმძღვანელობდა დოკუმენტებით, რომლებიც თავის დროზე მიიღო რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ ამ დარგში (1917—1921 წლები).

ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდის წარმატებას მშრომელ მოსახლეობაში ხელი შეუწყო საბჭოთა სახელმწიფოს დეკრეტებმა, რომლებმაც ძირფესვიანად შეცვალეს ადამიანებს შორის საუკუნეების მანძილზე დამყარებული ურთიერთობანი; მათი ცხოვრების კანონები, საბჭოთა სახელმწიფოს ამ დეკრეტებიდან აღსანიშნავია დეკრეტი მიწის შესახებ (1917 წ. 25 ოქტომბერი), რომლითაც აიკრძალა კერძო საკუთრება მიწაზე, მიწა გამოცხადდა გლეხობის საკუთრებად, რომელთაც ის გადაეცა მუდმივ სარგებლობაში. აღსანიშნავია, რომ ეს დეკრეტი შეეხო აგრეთვე საეკლესიო-სამონასტრო მიწათმფლობელობასაც. კერძო საკუთრების აკრძალვით მოისპო ძირითადი საფუძველი კაპიტალის ბატონობისა ყველა ფორმაში.

1917 წლის 21 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი — „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაცია“, რომელმაც აღკვეთა ყოველგვარი უთანასწორობა ეროვნებათა შორის, მოსპო საფუძველი სარწმუნოებრივ-რელიგიური უფლებისა. ჩვენი საზოგადოების განვითარებასა და მის შემდგომ სრულყოფაზე უეჭველად დიდი გავლენა იქონია 1917 წლის 20 დეკემბრის დეკრეტმა — „სამოქალაქო ქორწინებაზე, ბავშვებზე, მოქალაქეობრივი მდგომარეობის წიგნების შემოღებაზე“. ამ დეკრეტით ეკლესიას მოესპო ყველანაირი საშუალება ჩარეულიყო მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში. ვარდა ამისა, 1918 წლის 18 იანვარს საბჭოთა სახელმწიფომ შეწყვიტა კულტის მსახურთა

<sup>8</sup> ვ. ი. ლენინი, რელიგიის შესახებ, 1955, გვ. 24.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 26.

და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ თანხის გაცემა. ამავე წლის 26 იანვარს გაუქმდა არმიის სასულიერო უწყებათა სამმართველო.

ჩვენი ხალხის სულიერ განთავისუფლებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა 1918 წლის 23 იანვარს მიღებულმა დეკრეტმა „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიიდან — სკოლის გამოყოფის შესახებ“. ამ დეკრეტმა ეკლესიას საბოლოოდ მოუსპო საშუალება ჩარეულიყო მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში, რომელსაც ის რევოლუციამდე ასრულებდა.

დასახელებული დეკრეტების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა ანალოგიური შინაარსის დეკრეტები, რომლებშიც გათვალისწინებული იყო ადგილობრივი პირობები. ამ დეკრეტების გამოქვეყნებას საქართველოს რესპუბლიკის შემდგომ განვითარებაში რევოლუციური მნიშვნელობა ეკუთვნება. დეკრეტების ცხოვრებაში სრულყოფილად და დროულად გატარების პირდაპირი შედეგი იყო, რომ საქართველოს მშრომელებმა უარი თქვეს ეკლესიის შენახვასა და საეკლესიო ვალდებულებების შესრულებაზე.

ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდის ორგანიზაციის პერიოდში საქართველოს კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის მითითებით, რომელიც მოითხოვდა, რომ ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ დამყარებულიყო მეცნიერულ საფუძველზე. პარტია, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — „რელიგიასთან ბრძოლის საქმეს უნდა აყენებდეს არა აბსტრაქტულად, არა განყენებული, წმინდა თეორიული, ყოველთვის ერთფეროვანი ქადაგების ნიადაგზე, არამედ კონკრეტულად, კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც ნამდვილად წარმოებს და ყველაზე მეტად და ყველაზე უკეთ ზრდის მასებს“<sup>10</sup>. ამ მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლენინის მოთხოვნა, რომელიც მან გამოთქვა ცნობილ შენიშვნებში „პროგრამის მე-13 პუნქტის დარღვევებზე და ანტირელიგიური პროპაგანდის დაყენების საკითხზე“ (1921 წლის რუსეთის ცაკის დადგენილება). აქ აღნიშნულია, რომ ბრძოლა რელიგიასთან უნდა დავაყენოთ მეცნიერულ საფუძველზე... და რომ ეს კამპანია მასში უნდა დავიწყოთ მხოლოდ სერიოზული მომზადების შემდეგ<sup>11</sup>. კერძოდ, ცაკის დადგენილება კატეგორიულად მოითხოვდა არ მიეღოთ პარტიაში კანდიდატებადაც კი (არათუ წევრებად) ისინი, ვინც რაღაც ვალდებულებას ასრულებდა ეკლესიის წინაშე: არ მიეღოთ პარტიაში ინტელიგენტები, რომლებიც არ გამოთქვამდნენ მთლიან თანხმობას მე-13 პუნქტში მოცემულ დებულებაზე, როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაგვანახა,

<sup>10</sup> ვ. ი. ლენინი, რელიგიის შესახებ, თბ., 1955, გვ. 26.

<sup>11</sup> ვ. ი. ლენინი, თბულებათა სრულ კრებული, ტ. 34, გვ. 440.

შემდეგშიც პარტია ყოველთვის განუხრელად ატარებდა ცხოვრებაში ლენინის ამ მოთხოვნას.

ანტირელიგიური და ათეისტური მუშაობის ორგანიზაციის პირველ პერიოდში, რელიგიის დარგში პარტიის მოთხოვნების ცხოვრებაში დროულად გატარებაში დიდი როლი შეასრულა ანტირელიგიური პროპაგანდის კომისიამ ან, როგორც შემოკლებით უწოდებდნენ ანტირელიგიურმა კომისიამ, რომელიც შეიქმნა 1921 წელს. ამ კომისიის შემადგენლობაში 1921—1929 წლებში შედიოდნენ საბჭოთა კავშირის გამოჩენილი მოღვაწეები.

1926 წლის აპრილში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ინციტატივით მოეწყო თათბირი ანტირელიგიური პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე თათბირის დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ანტირელიგიური პროპაგანდა თავისთავად ცალკე აღებული, მოწყვეტილი სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს, სათანადო შედეგს ვერ მოგვცემდა, მხოლოდ ბრძოლამ ცხოვრების ძირეული გარდაქმნისათვის სოციალისტურ საწყისებზე შეიძლება გაანთავისუფლოს ადამიანის შეგნება ცხოვრებაზე მისტიური წარმოდგენებისაგან. სწორედ ამის შემდეგ ჩვენში გავრცელდა ლოზუნგი „ბრძოლა რელიგიასთან — ბრძოლა სოციალიზმისათვის“. ეს ლოზუნგი შემდეგში საფუძვლად დაედო საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მუშაობას და იქცა მის ღვეზად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ გამოიწვია ძველი სახელმწიფო აპარატის შეცვლა ახლით.

ახალგაზრდა სახელმწიფოს წინსვლისა და განვითარების ინტერესები მოითხოვდა მისთვის მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლის შექმნას. ამ საქმეში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი ეკავა კომუნისტური იდეოლოგიის განმტკიცებას. კომუნისტური პარტია საქართველოში საბჭოთა წყობილების ერთ-ერთ პირველად და აუცილებელ ამოცანად მიიჩნევდა შრომელი მასების გონების განთავისუფლებას ძველი, ახალი წყობილებისათვის შეუფერებელი და მიუღებელი იდეოლოგიისაგან. ყოველივე ეს კი მიღწეული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი საზოგადოება დროულად განთავისუფლდებოდა ყოველივე დრომოქმულისაგან, მათ შორის რელიგიური ცრურწმენებისაგან, ეკლესიისა და მისი მსახურების გავლენისაგან.

პარტიის VIII ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში აღნიშნულია, რომ რელიგიური გადმონაშთების დაძლევის პირველი პირობა არის მშობელი მასების გეგმიანი და შეგნებული მონაწილეობა საერთო საზოგადოებრივ-სამეურნეო საქმიანობაში<sup>12</sup>. ამის საშუალება

<sup>12</sup> სკკ რეზოლუციებში. გვ. 49.

მშრომელ მოსახლეობას მისცა საბჭოთა სახელმწიფოს პირველმა დეკრეტმა კერძო საკუთრების მოსპობით საწარმოო საშუალებებზე, შესამჩნევმა წარმატებებმა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგში, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის პირველსავე წლებში. აი, ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც, ჩვენი აზრით, ხელი შეუწყო რელიგიის ფესვების აღმოფხვრას მშრომელი მასების შეგნებიდან.

ჯერ პირველი (1928—1932 წწ.), ხოლო შემდეგ მეორე (1933—1937 წწ.) ხელწოდების ძირითადი ამოცანა იყო შიშვე მრეწველობის განვითარება, როგორც ცნობილია, პარტიის მიერ ჩვენი ხალხს მთელი ძალების მობილიზაციის შედეგად ორივე ხელწოდები ვადამდე შესრულდა. ეს იყო საბჭოთა წყობილების პირველი დიდი გამარჯვება, რითაც მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ჩვენში სოციალიზმის გამარჯვებას, ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის ამაღლებას. მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური შემკვიდრეობისა, ჩვენმა ხალხმა ისტორიულად მოკლე დროში მიაღწია უდიდეს წარმატებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რითაც უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

1937 წელს სოციალისტური სექტორი სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში შეადგენდა ნაციონალური შემოსავლის 99,1%-ს, მრეწველობაში — 99,8%-ს, სოფლის მეურნეობაში — 98,5%-ს, ვაჭრობაში და საქონელბრუნვაში — 100%-ს. ყოველივე ამის პარალელურად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის სოციალური სტრუქტურა. მოისპო ექსპლოატატორული და ექსპლოატირებული კლასები. 1937 წლისათვის მუშა-მოსამსახურეები შეადგენდნენ მოსახლეობის 45%-ს; გლეხი კოლმეურნეები და კოოპერირებული ხელოსნები — 48,5%-ს; გლეხები კერძო მფლობელები და კერძო ხელოსნები — 5%-ს.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გამარჯვებამ დიდი გავლენა მოახდინა სოფლის მოსახლეობაზე, რომელიც ამ მოკლე დროში გადაიქცა ახალ სოციალისტურ კლასად.

სოფლად და ქალაქად სოციალისტური ურთიერთობის გამარჯვებამ სრულიად მოსპო რელიგიის კლასობრივი ბაზა, შეარყია რელიგიურობის გამომწვევი მიზეზები. ეს იყო ძირითადი პირობა, რამაც ხელი შეუწყო და დააჩქარა მოსახლეობის განდგომა ეკლესიისა და რელიგიისაგან.

ოცბოელი ინტერვენტებისა და მენშევიკების მმართველობის წლებში დანგრეული და ვაპარტახებული სახელმწიფოს აღსადგენად საქართველოს კომუნისტებმა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე დღეებიდანვე დაიწყეს ვადამწყვეტი ღონისძიებების გატარება.

მრეწველობის დაცემისა და საწარმოების არასრული დატვირთვის შედეგად შემცირდა საქართველოს მრეწველობის პროდუქცია; დაცემისა და განადგურების კარზე აღმოჩნდა სოფლის მეურნეობა. ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის პირობებში შეუძლებელი იყო მისი სოციალისტური გზით განვითარება. სოფლად ქარბობდა პრიმიტიული ტექნიკა, იქლო მოსავლიანობამ, შემცირდა ნათესი ფართობები, დიდი ზარალი განიცადა მეცხოველეობამ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში საქართველოში გამოცხადდა ფაბრიკა-ქარხნების, საზღვაო ფლოტის, ბანკებისა და მსხვილი ვაჭრობის ნაციონალიზაცია, მიწა გადაეცა მის ფაქტიურ პატრონს — შშრომელ გლეხობას.

1921—1922 წლებში საქართველოში ჩატარდა საბჭოების არჩევნები. 1922 წლის 25 თებერვალს გაიხსნა სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა. 1922 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა რესპუბლიკის სამეურნეო განვითარებისა და აღორძინების ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემა; ყოველივე ამან უაღრესად მოკლე დროში დადებითი შედეგი მოგვცა. უპირველესად ყოვლისა, გაუმჯობესება დაეტყო სოფლის მეურნეობას. თუ საქართველოში პირველი მსოფლიო ომის წინ ნათესი ფართობების რაოდენობა 695, 178 დესეტინას უდრიდა, 1923 წლისათვის იგი 606,223 დესეტინას, ე. ი. ომამდელი ღონის 87,2%-ს შეადგენდა<sup>13</sup>. ამასთანავე, მოსავლიანობამ გადააჭარბა ომამდელ ღონეს. ასევე გაიზარდა მეურნეობის საერთო მაჩვენებელი. თუ 1913 წელს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 83846200 მანეთად იყო შეფასებული, 1922—1923 წლებში მისი ღირებულება დაეცა 58693500 მანეთამდე, 1923—1924 წლებში მან უკვე 142000000 მანეთს გადააჭარბა<sup>14</sup>. საბჭოთა მთავრობამ ძირითადი ყურადღება დაუთმო ნათესი ფართობების აღდგენას და დიდ წარმატებასაც მიაღწია. ნათესმა ფართობებმა 1921 წელს უმეტეს მაზრებში გადააჭარბა წინა, 1920 წლის ნათეს ფართობებს. 1922 წელს თესვის კამპანიის ჩატარებისას საბჭოთა სახელმწიფო კრედიტით და მანქანა-იარაღებით ეხმარებოდა გლეხობას. 1921 წელს საქართველოს საბჭოთა მთავრობამ ერთ მილიონამდე მანეთით და 841750000 მანეთამდე ღირებული სასოფლო-სამეურნეო იარაღებით გაუწია დახმარება „დამთეს კომისიას“<sup>15</sup>.

<sup>13</sup> ნ. შველიძე. ლენინური კოლექტიური გეგმის განხორციელების ისტორიიდან საქართველოში (1921—1929 წწ.) — კრებ., საქართველოს ლენინური კოლექტიური გეგმის განხორციელების ისტორიიდან, 1972, გვ. 8.

<sup>14</sup> ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, თბ., 1958, გვ. 156.

<sup>15</sup> ნ. შველიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

აღნიშნულის გარდა საქართველოს გლეხობამ 1924—1926 წლებში მიიღო 9 მილიონი მანეთის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. შეიქმნა საბჭოთა მეურნეობები. 1921 წლის 1 ოქტომბრისათვის უკვე შექმნილი იყო 35 კოლმეურნეობა, მათ შორის 2 კომუნა და 33 მშრომელ-მწარმოებელთა ამხანაგობა. ამავე წლის ბოლოსათვის კოლმეურნეობათა რიცხვი გაიზარდა 47-მდე.

სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობდა ვაჭრობა-მრეწველობიდან კაპიტალისტური ელემენტების განდევნას, რომლის ძირითადი უბანიც იყო ვაჭრობა. 1925—1926 სამეურნეო წელს სახელმწიფო ვაჭრობის ბრუნვა გაიზარდა 165,5%-ით, კოოპერატიული ვაჭრობისა 201,7%-ით. ამავე პერიოდში სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის წილმა საერთო სავაჭრო ბრუნვაში შეადგინა 75,2%.

სოფლის მეურნეობის აღდგენამ, აქ მიღწეულმა დიდმა წარმატებებმა მტკიცე საფუძველი შეუქმნა ტრანსპორტისა და მრეწველობის აღდგენასაც. როგორც ცნობილია, 1925 წელს სსრ მძიმე მრეწველობა ომამდელი წარმოების უკვე 3/4-ს იძლეოდა, ხოლო საქართველოს მეურნეობის ძირითადი დარგები გაუთანაბრდა ომამდელი დროის ძირითად მაჩვენებლებს<sup>16</sup>.

განთავისუფლებული ხალხის თავდადებულმა შრომამ მალე თავისი შედეგი გამოიღო. 1925 წელს საქართველოს მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ მიაღწია 1913 წლის დონის 86,4%-ს. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა მსხვილი მრეწველობა, რომელმაც 1924—1925 წლებში, წინა წლებთან შედარებით, თითქმის გააორკეცა პროდუქციის წარმოება. 1921—1925 წლებში დაიწყო 20 მსხვილი საწარმოს მშენებლობა, რომელთაგანაც ცხრა 1925 წლამდე დაამთავრდა. საქართველოს მრეწველობის სწრაფ ზრდასა და განვითარებას ცხადად ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1921—1925 წლებში მრეწველობის მთლიანი ზვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში 10-იდან 26%-მდე გაიზარდა. ამასთანავე, სათანადოდ იზრდებოდა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. თუ 1921 წელს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო 90 ათასამდე კაცი, 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის მათმა რიცხვმა 128 ათასს მიაღწია. მუშათა კლასის ასეთ სწრაფ ზრდას საქართველოსათვის განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მრეწველობის სწრაფ ზრდასა და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სტრუქტურაზე გადასვლასთან დაკავშირებით მატულობდა საინჟინრო ტექნიკური დარგის სპეციალისტთა რიცხვიც. 1939 წელს რესპუბლიკის მსხვილ მრეწველობაში შრომის მწარმოებლობა გაიზარდა

<sup>16</sup> საქართველოს ს.რ. მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი. თბ., 1967, გვ. 90.



1927—1928 წლებთან შედარებით 3,5-ჯერ, ხოლო 1913 წელთან შედარებით 5-ჯერ. საკმაოდ გაიზარდა ავტონომიური რაიონების რაოდენობა. 1925 წელს ამიერკავკასიაში დაიწყო პირველი პირობითი ელექტროსადგურის „ზაქსის“ მშენებლობა. კვალიფიციურ კადრებს, რომლებიც უზრუნველდნენ სჭირდებოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, ამზადებდნენ ქარხნებთან ჩამოყალიბებულ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში. სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდის დამთავრებისას საქართველოში მოქმედებდა 8 საფაბრიკო-საქარხნო სკოლა. ამავე პერიოდში სოციალისტური სექტორის ხვედრითმა წონამ მრეწველობის მთლიან პროდუქტში 78%-ს მიაღწია.

ამრიგად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კერძო საკუთრების გაუქმებას წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე, სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღებით უზრუნველყოფასა და მძიმე მრეწველობის განვითარებას. საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო რა კერძო საკუთრების ძირითადი ფორმები, ამით საფუძველი გამოაცალა რელიგიას.

საბჭოთა ხელისუფლების დიდი გამარჯვება იყო ეროვნული და სარწმუნოებრივი უთანასწორობის მოსპობა. ჩვენმა ერმა მიიღო უფლება თვითგამორკვევისა და საკუთარი სახელმწიფო მმართველობისა. ამ მხრივ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ყურადღება მიაქცია სამხრეთ ოსეთის, აჭარისა და აფხაზეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საკითხის სწორად გადაწყვეტას. 1921 წლის 21 მაისს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკლარაცია-გადაწყვეტილება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად დამტკიცების შესახებ; ამავე წლის 16 ივლისის დეკრეტით შეიქმნა აჭარის ასსრ, ხოლო 1922 წლის აპრილში — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ძირეული გარდაქმნები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს რესპუბლიკაში 1921—1925 წლებში, განუყრელად არის დაკავშირებული კულტურულ რევოლუციასთან. სწორედ კულტურულმა რევოლუციამ, სხვა ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ ფაქტორებთან ერთად, გადამწყვეტი როლი შეასრულა ეკლესიისა და რელიგიის გავლენისაგან მშრომელი მასების განთავისუფლების საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყოველდღიური ზრუნვის შედეგად, 1921—1925 წლებში ინტენსიურად დაიწყო ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურის განვითარება.

კულტურული მშენებლობა სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში საქართველოს კომუნისტების ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანა იყო. ახალი საზოგადოების მშენებელს უნდა ჰქონოდა სათანადო განათლება. ამიტომაც, ჩვენი სახელმწიფოს უპირველესი ამოცანა იყო წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაცია.

1921 წელს გამოვიდა დეკრეტი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. 1921—1925 წლებში ათიათასობით მშრომელმა შეისწავლა წერა-კითხვა. სახელმწიფო განუწყვეტლივ ზრდიდა განათლებისა და კულტურული მშენებლობისათვის განკუთვნილ თანხებს. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 18%-ით გაიზარდა. ყოველწლიურად ფართოვდებოდა კლუბების, ქობ-სამკითხველოების, ბიბლიოთეკების, მუზეუმებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობის სწორად წარმართვას. ინსტიტუტთან გაიხსნა მუშათა ფაკულტეტები. დიდი ყურადღება დაეთმო სკოლის გარეშე განათლების ქსელის მუშაობას, სადაც მშრომელები იმაღლებდნენ ტექნიკურ-კულტურულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეს. სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის აღნიშნულ პერიოდში ეს ღონისძიება გადაუდებელ ამოცანად ითვლებოდა.

1922 წელს საქართველოს რევკომის დადგენილებით შეიქმნა „პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველო“, რომელიც ხელმძღვანელობდა პოლიტიკური კამპანიების მოწყობას, პოლიტიკური განათლების სკოლებისა და კლუბების მუშაობას. 1922 წლის დამლევს სამმართველოს გამგებლობაში იყო 209 კლუბი და 780 მასობრივი ბიბლიოთეკა<sup>17</sup>. 1923 წლის 30 მაისს დაარსდა სახელმწიფო ბიბლიოთეკა. 1921 წლის 17 დეკემბერს შეიქმნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელიც მანამდე არ არსებობდა. ამის შემდეგ ქართული მწერლობა ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა ახალი, უკლასო საზოგადოების მშენებელთა იდეურ-ესთეტიკურ აღზრდაში.

ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი წამყვანი და გამაწყვეტი როლი ეკისრებოდა მოსახლეობის განათლების საქმეს, მათ იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, ახალი უკლასო საზოგადოების მშენებელი ადამიანის მორალური სახის ჩამოყალიბებას. ბრძოლა ამ საკითხის გადასაწყვეტად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე დაიწყო.

მანამ ამ ღონისძიების მნიშვნელობაზე შევჩერდებოდეთ, უნდა ვავიხსენოთ, რომ რევოლუციამდე საქართველოში საერო განათლების საქმეს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. თვითმპყრობელობა მოსახლეობაში განათლების შეტანას მხოლოდ მონარქისტულ-კლერიკალურ საფუძვლებზე აღზრდით ცდილობდა. ამიტომაც საქართველოში მე-19 ს. 80-იანი წლებიდან გაიხსნა მთელი რიგი სასულიერო სასწავლებ-

<sup>17</sup> საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორია, 1961, გვ. 566.

ლები: სამრევლო სკოლები. სასულიერო სასწავლებლები, სემინარიები, ქალთა საეპარქიო სასწავლებლები და სხვ. 1901 წლისათვის საქართველოს საეგზარქოსოს ფარგლებში მოქმედებდა 485 საკლესიო-სამრევლო სკოლა<sup>18</sup>, სასულიერო სემინარია, 200 ცოდნის სკოლა, რომლებშიც 26763 ბავშვი სწავლობდა<sup>19</sup>. მოსახლეობაში მონარქისტულ-კლერიკალური ცოდნის გავრცელებას ემსახურებოდა არა ერთი და ორი სასულიერო საზოგადოება. თუ რა ყურადღებას უთმობდა მეფის მთავრობა განათლების საქმეს და კერძოდ, სასულიერო განათლებას, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1898 წელს მთავრობამ საქართველოს ეკლესიების შესაკეთებლად გაიღო 11645 მანეთი, ხოლო სასულიერო სასწავლებლების შეკეთებაზე დაიხარჯა 750 მან. ამავე დროს მოსახლეობის რელიგიურ აღზრდას საქართველოს საეგზარქოსოში, რომელიც აერთიანებდა 1167751 მართლმადიდებელს (აქ ნაჩვენებია მოსახლეობის უმეტესობა საქართველოში ცხოვრობდა), ემსახურებოდა 34 მონასტერი (აქედან 5 ქალთა), 24 საკრებულო ტაძარი, 1629 სამრევლო შტატიანი და 720 მიწერილი ეკლესია. გარდა აღნიშნულისა, სკოლებთან არსებობდა 18 ეკლესია, ხოლო სასაფლაოებზე — 58. სულ საქართველოს საეგზარქოსოში იყო 2486 ეკლესია და მონასტერი, რომელშიც საქმიანობდა 3954 უმაღლესი და დაბალი წოდების სასულიერო პირი, 62 პროტოიერეი და სხვა<sup>20</sup>.

როგორც ვხედავთ, სწავლა-განათლების ასეთი მდგომარეობა ნაწილობრივადაც ვერ აკმაყოფილებდა ქართველი ხალხის მოთხოვნილებას. წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი მაინც საკმაოდ დიდი იყო. 1897 წლის აღწერიდან ჩანს, რომ საქართველოში (იმ დროის საზღვრებში) მოსახლეობის 76% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. 1914—1915 წლებში საქართველოში არსებული 1765 საერო სკოლიდან 40 იყო საშუალო, ხოლო 1725 დაწყებითი. ამის გარდა, არსებობდა 5 ტექნიკუმი. რომელშიც 500 ბავშვი სწავლობდა<sup>21</sup>.

ძირითადი გარდატეხა უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, ისევე როგორც სპეციალური და საშუალო განათლების დარგში, დაიწყო 1921 წლიდან, როდესაც მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი. 1921 წლის 31 მარტს საქართველოს რევოლუციურმა კომისარიატმა მიიღო დეკრეტი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული წითელი არმიის მებრძოლთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

<sup>18</sup> ცსიკალ, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 1891, 1901, ფურც. 710—716.

<sup>19</sup> იქვე, ფ. 1151, ანაწ. I, საქ. 136, 1881, ფურც. 17,

<sup>20</sup> იქვე, ფ. 422, საქ. 1494, 1894, ფურც. 24—30.

<sup>21</sup> ი. რ. ჯ ა დ ა რ ი ძ ე, საშუალო სპეციალური განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1921—1925, თბ., 1955.

12 აპრილს მუშაობას შეუდგა წერა-კითხვის უცოდინარობის საგანგებო კომისია, რომელმაც ეს საქმიანობა ისე ენერგიულად დაიწყო, რომ მაისის შუა რიცხვებში თბილისში უკვე მუშაობდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლები. ეს კომისია სკოლების დაარსებასთან ერთად ბეჭდავდა საჭირო სახელმძღვანელოებს. 1922 წელს „ლიკვიდაციის“ მიმდინარეობის საკითხი განიხილა საქართველოს კომკავშირის მეორე ყრილობამ. 1921 წლის დეკემბერში, არახუსტი ცნობებით, საქართველოში უკვე მოქმედებდა 500 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, რომელშიც 12000 მსმენელი იყო გაერთიანებული. აქედან, თბილისში იყო 32, ხოლო პროვინციებში 466. 1922 წელს თბილისში უკვე მოქმედებდა 35 სკოლა, რაიონში კი 240. ეს ღონისძიებები ნათლად მოწმობს იმას, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობდა კომუნისტური პარტია ამ საქმეს. ამ ეტაპზე ეს იყო პირველი რიგის ამოცანა. ვ. ი. ლენინი ამის შესახებ წერდა: „პირველ რიგში უნდა შევამციროთ არა განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯები, არამედ სხვა უწყებების ხარჯები, იმ ანგარიშით, რომ განთავისუფლებული თანხები განათლების სახალხო კომისარიატის საჭიროებას მოხმარდეს“<sup>22</sup>.

1923 წლის აგვისტოში გამოვიდა სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს დეკრეტი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ ოქტომბრის რევოლუციის მე-10 წლის თავისათვის. ამის საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო შესაფერისი დადგენილება (1924 წლის 5 მაისი, 18 ივნისი), რომლითაც წერა-კითხვის სალიკვიდაციო ასაკი განისაზღვრა 18—40 წლამდე. სალიკვიდაციო სამუშაოები საქართველოში გამოცოცხლდა განსაკუთრებით 1923—1924 წლებში. ამ საქმეში ეს წელი ითვლება გეგმიანი მუშაობის საწყისად. 1922—1923 წლებში პოლიტიკური მთავარმმართველობის გეგმით გათვალისწინებული იყო უცოდინარობის ლიკვიდაცია 1927 წლისათვის. აღნიშნული გეგმა განიხილა და დაამტკიცა სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობამ 1924 წლის იანვარში.

1924 წლის 26 მარტს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების შექმნა. საზოგადოების დაარსების წლისთავზე, ე. ი. 1925 წელს, უკვე რეგისტრირებული იყო 339 უჯრედი 13881 წევრით, ხოლო 1925 წლის დეკემბრისათვის — 506 უჯრედი, რომელიც აერთიანებდა უკვე 24052 წევრს. 1924—1925 წლებში ამ საზოგადოებამ გორის, ლეჩხუმისა და შორაპნის მაზრებში

22 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 545.

გახსნა 9 სკოლა, რომელთაც სულ მოკლე დროში მოამზადეს და გამოუშვეს 300 მსმენელი. თბილისის პარტიის კომიტეტმა 1925 წლის ზაფხულში თბილისის პოლიტგანყოფილებას გადასცა 8000 მანეთი წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლების ხარჯების დასაფარავად. 1925 წლის პირველი დეკემბრისათვის გამგეობას გახსნილი ჰქონდა 447 სკოლა, ხოლო ადგილობრივ უჯრედებს 88. 1923—1924 და 1925—1926 სასწავლო წლების განმავლობაში საქართველოში ავტონომიური რესპუბლიკების ჩათვლით წერა-კითხვას დაეუფლა 19801 კაცი. ამავე დროს, მცირემცოდნეთა სკოლების კურსი გაიარა 1276 ქალმა. სულ დასახელებულ წლებში წერა-კითხვა შეისწავლა 90700 უცოდინარმა. 1927 წლისათვის ამ რიცხვმა 139224 მიაღწია<sup>23</sup>. ეს იყო ჭეშმარიტად დიდი გამარჯვება საბჭოთა სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკისა.

ამავე წლებში დაკანონდა ქალ-ვაჟთა ერთიანი სწავლება. დაწესდა სწავლა მშობლიურ ენაზე.

საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 15 აპრილის დეკრეტით აიკრძალა რელიგიის სწავლება როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო სკოლებსა და სასწავლებლებში<sup>24</sup>. ამ ღონისძიებების განხორციელებით ხორცი შეესხა დეკრეტის — ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიიდან გამოყოფის — ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამავე წლის 13 ივნისის დადგენილებით აიკრძალა 18 წელზე უფროსი ახალგაზრდებისათვის რელიგიური სწავლება. 18 წელზე უფროსი ახალგაზრდებისათვის რელიგიური სწავლება სასულიერო პირების მომზადების მიზნით ნებადართული იყო, იმ შეზღუდვით, რომ ისინი ისწავლიდნენ მხოლოდ სპეციალურ საღვთისმეტყველო საგნებს<sup>25</sup>. 1922 წლის 13 აგვისტოს გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა მთავრობის გადაწყვეტილება, რომლითაც თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა აკრძალა საბავშვო დაწესებულებებში სარწმუნოებრივი საუბრების გამართვა<sup>26</sup>.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ დასახელებული დეკრეტის პირველი მუხლით სარწმუნოება ითვლებოდა მოქალაქეთა პირად საქმედ. იმ მიზნით, რომ ეს მუხლი ცალმხრივად არ ყოფილიყო გაგებული, ამავე დეკრეტის მეექვსე მუხლი განმარტავდა, რომ სარწმუნოებრივი წესების შესრულება უზრუნველყოფილია იმდენად, რამდენადაც ის არ

23 თ. კ ა ვ ა ნ ა ძ ე. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია საბჭოთა საქართველოში (1921—1937 წწ.).

24 ორცხია, საქ. სსრ. ფ. 284, ანაწ. I, საქმე 149, ფურც. 24.

25 იქვე.

26 „კომუნისტი“, 1920 წ. 13. VIII, № 185.

დაარღვევს საზოგადო წესრიგს. 1921 წლის 28 ივნისის დეკრეტით საქართველოში არსებული ყველა ტიპის სასწავლებლის მართვა-გამგეობა გადაეცა საქართველოს სსრ განათლების კომისარიატს. 1921—1924 წლებში საქართველოში უკვე არსებობდა 1822 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელშიც 202289 ბავშვი სწავლობდა. რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით, სკოლების რიცხვი გაიზარდა 8,5%-ით, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი 6%-ით<sup>27</sup>. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სკოლების გახსნას დიდი ყურადღება ექცეოდა აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში; ახალქალაქის, ახალციხის, დმანისის რაიონებში, საერთოდ ისეთ ადგილებში, სადაც, საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით, ჩამორჩებოდა განათლების საქმე.

ამავე დროს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი რელიგიური ცრურწმენების დაძლევის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას. ამ დაწესებულებების მუშაობის აღორძინებისათვის მთავრობა იძლეოდა დიდი რაოდენობის თანხებს. პირველსავე წლებში ჩვენში დაარსდა ქოხ-სამკითხველოები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, რომლებიც უზრუნველყოფილი იყვნენ სათანადო ინვენტარითა და საჭირო ლიტერატურით. დიდი ყურადღება ექცეოდა დასახლებული პუნქტების რადიოფიცირებას. მოსახლეობის ფართო მასებში ნაბეჭდი ლიტერატურის გავრცელებას, რაც ხელს უწყობდა მოსახლეობაში მეცნიერული ცოდნის გავრცელებას. ასეთმა მუშაობამ თავისი შედეგებიც გამოიღო. 1940 წლისათვის საბჭოთა კავშირში იყო 277,2 ათასი ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცული იყო 527,4 მილიონი წიგნი. ამავე წლისათვის საბჭოთა კავშირში იყო 28000 კინოთეატრი და სხვ. მოსახლეობის ათეისტურად აღზრდის საქმეში დიდი როლი ითამაშეს საქართველოს მუზეუმებმა, კერძოდ კი ანტირელიგიურმა მუზეუმმა.

ანტირელიგიური პროპაგანდისა და მშრომელთა ათეისტურად აღზრდის საქმეში დიდი როლი შეასრულა პერიოდულმა გამოცემებმა, მათ შორის ანტირელიგიურმა ლიტერატურამ. 1921 წელს საქართველოში გამოდიოდა 44 სახელწოდების გაზეთი, რომლის საერთო ტირაჟი შეადგენდა 7537350-ს. 1930 წლისათვის კი მათი საერთო ტირაჟი გაიზარდა 70-მდე და შეადგენდა 75255200 ცალს.

როგორც დავინახეთ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მშრომელთა ურელიგიო აღზრდას განიხილავდა როგორც სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს. ცნობილია, რომ ჩვენი პარტია არა მარტო აღიარებს თავის შეურიგებელ პო-

<sup>27</sup> უ. შ. ო ბო ლ ა ძ ე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ისტორია საქართველოში, I, თბ., 1961, გვ. 143.

ლიტიკას. რელიგიასა და ეკლესიასთან, არამედ ეწევა კიდევაც შეგნებულ ბრძოლას მშრომელთა განთავისუფლებისათვის მისი გავლენისაგან.

როდესაც განვიხილავთ იმ წინაპირობებს, რომლებმაც ხელ შეუწყო მშრომელთა განთავისუფლებას ეკლესიისა და რელიგიის გავლენისაგან, არ უნდა დავივიწყოთ ის დიდი ღონისძიება, როგორც არის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ახლებური ორგანიზაცია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ჩადგა მშრომელთა სამსახურში. სამედიცინო მომსახურება ჩვენს დროს ვახდა ყველასათვის მისაწვდომი, საყოველთაო და უფასო. პირველსავე წლებში გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები სათანადო რაოდენობის სამედიცინო კადრების მოსამზადებლად. ქვეყანა დაიფარა პოლიკლინიკებისა და საავადმყოფოების დიდი ქსელით. ყოველივე ეს ემსახურებოდა მშრომელთა კეთილდღეობას. ამასთან ერთად, ის ხელს უწყობდა მოსახლეობის განთავისუფლებას ცრურწმენისაგან, მკითხავეების, ექიმბაშებისა და სხვათა გავლენისაგან.

§3. 1921—1925 წლებში საქართველოში ჩატარებული ათეისტური მუშაობის თავისებურებანი

ანტირელიგიური საზოგადოების შექმნის პირველ ცდას საქართველოში ადგილი ჰქონდა 1921 წლის აპრილში, როდესაც „წითელ მოაზროვნეთა კავშირის კავკასიის საორგანიზაციო კომიტეტმა“<sup>38</sup> თხოვნით მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოში ანტირელიგიური ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობაზე. აღნიშნული იყო, რომ სამღვდელოებისა და კლერიკალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხი დიდი ხანია მომწიფდა. მაგალითისათვის მოჰყავთ ქ. მოსკოვი, სადაც ამ დროისათვის პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან უკვე არსებობდა ანტირელიგიური მუშაობის სპეციალური განყოფილება და გამოდიოდა გაზეთი „ეკლესია და სახელმწიფო“. „კომიტეტს“ საჭიროდ მიაჩნდა, რომ საქართველოშიც გაშლილიყო ასეთი საქმიანობა. ამავე მიმართვაში მოცემულია მათი მომავალი მუშაობის გეგმაც<sup>39</sup>. ამ გეგმით „წითელი მოაზროვნეები“ იწონებდნენ პარტიის პოლიტიკას ეკლესიისა და რელიგიის დარგში და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სთხოვდნენ მხარდაჭერას. „კომიტეტს“ გადაწყვეტილი ჰქონდა ანტირელიგიური ჟურნალის „პრომეთეს“ გამოცემა და თეატრის

<sup>38</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი (შემდეგში პარტარქივი), ფ. 14, ანაწ. 1, საქმე 145, ფურც. 45. 1922.

<sup>39</sup> იქვე.

დაარსება სახელწოდებით „წითელი აზრი“, რომლის რეპერტუარშიც ძირითად ადგილს დაიკავრდა ანტირელიგიური და ეკლესიის საწინააღმდეგო შინაარსის პიესები. პიესები თავიანთი იდეურობით, მიმართული უნდა ყოფილიყო როგორც ქრისტიანობის, ასევე იმ რელიგიების წინააღმდეგ, რომლებიც გავრცელებული იყო საქართველოში. ამისათვის კომიტეტი ითხოვდა სათანადო ბინის გამოყოფას. სამწუხაროდ, არსებული დოკუმენტებით ვერ ვარკვევთ რა ბედი ეწია ამ მიმართვას, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, მასები მოითხოვენ გადამწყვეტი ლაშქრობის დაწყებას რელიგიური ცრურწმენებისა და ცრუმეხედულებათა დასაძლევად.

1921—1925 წლებში ანტირელიგიური პროპაგანდის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ბრძოლა რელიგიური დღესასწაულების წინააღმდეგ.

ათვისტური მუშაობის ამ ეტაპზე ერთ-ერთი წამყვანი და ძირითადი საქმიანობა სოფლად და ქალაქად, ეს იყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოება, მათი უზრუნველყოფა სათანადო ინვენტარითა და ლიტერატურით. პირველ რიგში, განსაკუთრებით სოფლად, იხსნებოდა ბიბლიოთეკები და სამკითხველოები. მაგ., 1923 წლის 15 მაისიდან წლის ბოლომდე გორის მაზრაში (რომელიც მაშინ აერთიანებდა დღევანდელი კასპის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომისა და თვით გორის რაიონს) უნდა გახსნილიყო 14 ბიბლიოთეკა-სამკითხველო, 13 სახალხო სახლი. ეს ღონისძიება ადგილობრივ ხელისუფლებასა და პარტიულ ორგანოებს იმდენად საჭიროდ და საჩქაროდ მიაჩნდათ, რომ აპრილის თვისათვის ამ გეგმის 70% უკვე შესრულებული იყო<sup>30</sup>.

1923 წლის მაისში სენაკში დაიხურა თითქმის ყველა ეკლესია, რომლებშიაც მოსახლეობის თანხმობით მოეწყო კლუბები და სამკითხველოები. მათ რიცხვმა სულ მოკლე დროში 100-მდე მიაღწია. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებად გადაკეთებულ ეკლესიებში ტარდებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიება. მაგ., სენაკის მაზრაში გამოდიოდნენ მოხსენებებით პოლიტიკურ თემებზე, აქვე იკითხებოდა ანტირელიგიური შინაარსის ლექციები. ასეთ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას ლეებლობდნენ პარტიის წევრები, კომკავშირლები, საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები და სხვ. განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრებოდათ სოფლის მასწავლებლებს, რომელთა რიცხვიც აქ ყოველწლიურად იზრდებოდა. ასეთი ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაციას ეწეოდნენ პარტიული სამაზრო კომიტეტების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებები, სახალხო განათლების განყოფილებები, პოლიტგანყოფილების სამმართველო. ან-

30. „კომუნისტი“, № 88, 1923.



ტირელიგიური პროპაგანდა განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობდა საეკლესიო დღესასწაულების წინ და მათი მიმდინარეობის პროცესში.

კლასობრივი სიმწვავე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1921-1925 წლებში, უქვევლია, მოქმედებდა და განსაზღვრავდა ანტირელიგიური პროპაგანდის მიმდინარეობას, მისი წარმოების ხერხებსა და მეთოდებს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ წლებში, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ცდილობდნენ ძველი, დრომოკმული, რელიგიური და საეკლესიო დღეობებისა და დღესასწაულების მაგივრად დაეწესებინათ ახალი, მიეცათ მისთვის ახალი მიმართულება, გამოეყენებინათ ხალხის ეს თავშეყრა პარტიული პროპაგანდისათვის. რამდენადაც მაშინდელი პრესა მოწმობს, ასეთ ჩარევას ხშირად სასურველი შედეგი მოჰქონდა.

1923 წელს ანტირელიგიურ პროპაგანდას ვანის რაიონში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიუღია. აქ ფართოდ აღუნიშნავთ 25 თებერვლის დღე. რამდენიმე ლექცია-საუბარი ჩატარებიათ ანტირელიგიურ თემაზე. სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში მორწმუნეებზე დიდ გავლენას ახდენდა სოციალისტური მშენებლობის წარმატება; სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში წინ გადადგმული ნაბიჯები, რომლებსაც უადრესად ფართო პროპაგანდას უწევდა პარტიული პრესა. მაგ., არ შეიძლება მოსახლეობაზე დიდი გავლენა არ მოეხდინა რომელიმე სოფელსა თუ დაბაში ახალი სკოლის ან კლუბის გახსნას; ახალი საწარმოს ან ქარხნის ამუშავებას და სხვა მისთანებს, რაც ასე ხშირ მოვლენად გადაიქცა<sup>31</sup>.

ანტირელიგიურ პროპაგანდას, მოსახლეობის განთავისუფლებას ცრურწმენებისა და სხვა ამისდაგვარი გადმონაშთებისაგან, ხელს უწყობდა სოფლად და ქალაქად ინტელიგენციის სწრაფი ზრდა. მაგ., ვანის თემში 1923 წლისათვის უკვე ყოფილა 8-ჯგუფიანი ერთი სკოლა, რომელსაც ყველა სოფელში ჰქონია განყოფილებები. სულ ვანის თემში ყოფილა 39 მასწავლებელი და 1200 მოსწავლე. ამავე დროისათვის ამალეების თემში ყოფილა 15 მასწავლებელი და 600-მდე მოსწავლე<sup>32</sup>.

ჩვენი აზრით, ძველი ხალხური დღეობის ახლებურად გარდაქმნის შესანიშნავ ცდას წარმოადგენს თელავის მაზრის პარტიულ და საბჭოთა ხელისუფალთა მიერ ალავერდობის მსვლელობის დროს გატარებული ღონისძიება, რაც დღევანდელი თვალსაზრისითაც ინტერესმოკლებული არ არის.

ბოლო დროს ალავერდობას ხალხი ეტანება არა იმდენად ცრუ-

31 „კომუნისტი“, № 62, 1923.

32 იქვე.

მორწმუნეობის გამო, რამდენადაც იმიტომ, რომ აქ ხდება საქონლის გაცვლა სოფელსა და სოფელს შორის, ქალაქსა და სოფელს შორის.

ეს გარემოება კახეთის აღმასკომმა საუცხოოდ გამოიყენა და ძველი ცრუმორწმუნეობის, ლოთობის, თავპირისმტერვის ბუდე გადააქცია მასების კულტურული გამოფხიზლების ცენტრად. ჩარჩ ვაჭრებს დაუპირისპირდა კოოპერაციები, ცრუმორწმუნეობას — ხელოვნება. აქ ერთ დღეში გეგმაზე გაშენდა „ქალაქი“ ქუჩებითა და უბნებით. მოეწყო გამოფენა სამრეწველო ნაწარმის, აგრეთვე მეხილეობის, მეჯოგეობის, პირუტყვთა და ფრინველთა მოშენებისა და სხვა დარგებიდან. დამსწრენი ერთობოდნენ სახალხო მუსიკით, ცეკვით, ტანვარჯიშით, კინოთი (რომელიც მთელ ღამეს მუშაობდა).

ყველაფერმა ამა ისე მიიზიდა ხალხი, რომ ქეიფისათვის არავის ეცალა და არც ერთი მთვრალი კაცი არავის უნახავს.

საინტერესო იყო ხელოვნებისა და ცრუმორწმუნეობის ბრძოლა. ეკლესია თითქმის სავსებით ცარიელი იყო. თვით მღვდლებიც კი იძულებულნი შეიქნენ ადრე მიეტოვებინათ წირვა-ლოცვის ცერემონიები. ხალხი ხატების მაგიერ დაეწაფა სამხატვრო სტუდიას, მუშაგლებ მხატვართა ნახატებს. ინტერესით ათვალიერებდა მათ და ყურადღებით ისმენდა სათანადო განმარტებას.

თუში ქალები დაინტერესდნენ ხალიჩების ქსოვილებითა და მათ შინამრეწველობიდან ამოღებული სურათებით, რომელთაც მუშა მხატვართა კოლექტივი უფასოდ არიგებდა. მეორე დღეს ხალხი დატვირთული ახალი ცხოვრების შთაბეჭდილებებით, დიდად ნასიამოვნები დაიშალა. ამ კორესპონდენციას ხელს აწერს მოსე მხატვარი<sup>33</sup>.

ეს ფაქტი უეჭველად საინტერესოა. დღეობაში ასეთი ჩარევა დღესაც შეიძლება გამართლებული იყოს. ამის დამადასტურებლად მოვიტანოთ იგივე „გრემქალაქობა“, რომელიც ტარდება გრემში მარიამობის დღეს ან „აბალჯვრობა“ — აბალსოფელში (ორივე ყვარლის რაიონი), რომელიც 20 მაისს ტარდება. აქ პარტიული და საბჭოთა ორგანოების საკმაოდ დროული და ტაქტიანი ჩარევით რელიგიური დღესასწაულები სახალხო დღესასწაულებად გადაიქცა, სადაც არც მღვდელი წირავს და არც სანთელი ინთება. ამ მხრივ ამ დღეობების ორგანიზაციის მაგალითი უეჭველად მისაბაძია.

1926 წლის 7 სექტემბრის ნომერში გაზეთი „კომუნისტი“ სასულიერო პირების მეჭრთამეობაზე მოუთხრობს მკითხველებს და მოჰყავს კონკრეტული ხასიათის მაგალითები. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მღვდლები ეპარქიის ხელმძღვანელებს აძლევდნენ ქრთამს, რათა მიეღოთ შემოსავლიანი სამრეწვლო. მაგალითისათვის მოჰყავთ ქუთაისის საფინჩიას ეკლესია, რომლის მშენებლობის დროსაც აქ

33 „კომუნისტი“, № 289, 1928.

ხელმძღვანელად არავინ დაინიშნებოდა თუ ის არ გადაიხდიდა 500 მანეთს. ამას მოუთხოვრებს გაზეთის მკითხველებს ყოფილი დეკანოზი იასონ აბესაძე. იგივე დეკანოზი იმავე წერილში აღნიშნავს ზესტაფონის სამრევლოს მაშინდელი წინამძღვრის, მღვდელ კონსტანტინე ანთაძისათვის მრევლის მიყიდვის ფაქტს<sup>34</sup>.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც კონტრრევოლუცია ცდილობდა ამოფარებოდა ეკლესიას და მისი სახელით ემოქმედა. ასეთი მოქმედების მაგალითს წარმოადგენს სრულიად საქართველოს კათალიკოსი პატრიარქის ამბროსის სასამართლო საქმე.

1922 წლის 7 თებერვალს კათალიკოსმა ამბროსიმ (ხელია) მოწოდებით მიმართა გენუის კონფერენციას, რომელშიც მოითხოვდა საქართველოს ფარგლებიდან საბჭოთა ჯარების გაყვანასა და საქართველოში მონარქიული წყობილების აღდგენას. ცილს სწამებდა საბჭოთა მთავრობას საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დანაწილებაზე, მის გადაცემაზე მეზობელი რესპუბლიკებისათვის, რომლებსაც ის არასოდეს არ ეკუთვნოდა. კათალიკოსი გამოდიოდა საქართველოში საბჭოთა წყობილების არსებობის წინააღმდეგ და აღნიშნავდა, რომ თითქოს ეს რეჟიმი ქართველ ხალხს ძალად მოახვიეს თავზე ბოლშევიკებმა. მიმართვა უაღრესად კონტრრევოლუციური ხასიათისა იყო. მის შედგენაში მონაწილეობდნენ საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს სხვა წევრებიც.

სათანადო გამოძიების შემდეგ, 1924 წლის 10—19 მარტს გაიმართა სასამართლო პროცესი, რომელმაც მოსახლეობის ფართო მასებს ნათლად აჩვენა ქართველი სამღვდლოების ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა. სასულიერო პირებს, რომლებიც ამ საქმესთან იყვნენ დაკავშირებულნი, შეუფარდა სხვადასხვა სასჯელი. ამავე სასამართლო პროცესმა გამოაშკარავა ეკლესიის მსახურთა მიერ დიდძალი ქონების გადაძალვის ფაქტები.

მონობის უღლიდან განთავისუფლებულ მშრომელ ხალხს აღარ სურდა დაბრუნებოდა ძველ წეს-ჩვეულებებს და მთელი ენერჯიით იბრძოდა მის უკუსაგდებად.

1924 წლის 10 მაისს სოფელ რუისპირის მცხოვრებლმა მიიღეს გადაწყვეტილება ეკლესიების დახურვისა და მღვდლების დათხოვნის შესახებ. უარი თქვეს ნათლობასა და მიცვალებულის დაკრძალვის რელიგიურ წესზე. ეკლესიის შენობა გადააკეთეს სოფლის კლუბად. სოფელმა ერთსულოვნად გამოაცხადა, რომ მათ აღარ შეუძლიათ ძველი აღათ-წესებით ცხოვრება და რომ უარს აცხადებენ მის შესრულებაზე. ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე სოფელ დვანის მცხოვრებთა გა-

<sup>34</sup> „კომუნისტი“, № 203, 1926.

დაწყვეტილება. ამ სოფელში „წითელი პარასკევის“ მეოთხე პარასკევის დადგენილი ყოფილა დღეობა „კოხინჯვრობა“, ანუ „კვართობა“, რომლის შესახებდრადაც გლეხები დიდი ხნით ემზადებოდნენ. ეს დღეობა გრძელდებოდა მთელ კვირას, ამ დროს მთელი სოფელი მიემართებოდა მეზობელ სოფელ ღირბში, სადაც ზეიმობდნენ საეკლესიო დღესასწაულს „ზედაჯვრობას“. გარდა ამისა, სოფელ დვანში უქმედ ყოფილა დადგენილი პარასკევი. ეს იმიტომ, რომ მათი ნათესავები სეტყვისაგან დაეცვა წმინდა გიორგის. მეზობელ ზოგიერთ სოფელში კი უქმედ ორშაბათი დღე ყოფილა გამოცხადებული. ამ დღეებში არც ხნავდნენ, არც ბარავდნენ, არც ლეწავდნენ და საერთოდ არავითარ სამეურნეო საქმიანობას არ ეწეოდნენ. სოფლის მოსახლეობის ერთსულოვანი აზრით, ეს ძველი ჩვეულება ძალიან უკან სწევდა მოსახლეობას. გაზეთი „კომუნისტი“ გამოთქვამდა აზრს, რომ საჭიროა ამ ჩვეულებების წინააღმდეგ გატარდეს რაიმე გადამჭრელი ღონისძიება<sup>35</sup>.

ერთ-ერთი ძირითადი და ეფექტიანი ღონისძიება, რომელსაც იყენებდნენ პარტიული და სახელმწიფო ორგანოები რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში და რომელიც ხელს უწყობდა ათეისტური პროპაგანდის ორგანიზაციას, ეზმარებოდა ადამიანებს განთავისუფლებულიყვნენ ცრურწმენების გავლენისაგან, იყო ეკლესიის „წმიდათაწმიდის“ სასწაულმოქმედების უსუსურობის ჩვენება. ამ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად საჭირო იყო მოსახლეობის დარწმუნება იმაში, რომ არავითარი „სასწაულთმოქმედი“ წმინდა ნაწილები და ხატები არ არსებობენ, რომ ეს ყველაფერი ეკლესიის მსახურთა მოგონილია და რომ სინამდვილესთან არავითარი საერთო არა აქვს. ამ მიზნით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „წმინდა ნაწილების“ გახსნის ფაქტებს, სასწაულთმოქმედი ხატების უსუსურობის ჩვენებას.

ბარაგოულის რაიონში ამ დროს მოქმედებდა წმინდა გიორგისა და მელისკარის ეკლესიები, მათ „სასწაულთმოქმედი“ ძალას ჯერ კიდევ შიშით შეჰყურებდა ადგილობრივი სოფლების მოსახლეობა. ამ ეკლესიებთან მსხვერპლმწიფრვით მოდიოდა არა მარტო იმერეთის, არამედ გორის მაზრისა და კახეთის მორწმუნე მოსახლეობა. ამ ეკლესიების გავლენის გასაქარწყლებლად და იმის დასამტკიცებლად, რომ არავითარი სასწაულთმოქმედი ხატები არ არსებობენ, რაიონის კომკავშირლებმა საჭიროდ მიიჩნიეს აქ დაცული წმინდა ნაწილების „გახსნა“ და მათი დემონსტრირება. კომკავშირელთა ინიციატივას მხარი დაუჭირა პარტიულმა კომიტეტმა.

პირველად კომკავშირლებმა „გახსნეს“ მელისკარის ეკლესიის „წმინდა ნაწილები“ სოფელ ჩხერში. ეს იყო დაახლოებით ხუთი არშინის სიმაღლის ჯვარი, რომელიც ამ ეკლესიაში ესვენა უხსოვარი დრო-

<sup>35</sup> „კომუნისტი“, № 108, 1924.

იდან. ამ ჯვრის ირგვლივ არსებობდა თქმულებაც, თითქოს, დიდი ხნის წინათ, მწყემსებს მინდორში დაუსვიათ ჯვრის პალო, რომელსაც ზრდა დაუწყია, მწყემსები ამას შეუფიქრებია და ადგილზე მიუყვანიათ ეკლესიის დიაკვანი, რომელმაც პალოს ლურსმანი დაუსვა ზრდის შესაჩერებლად. ჯვარს ზრდა შეუჩერებია, მაგრამ დიაკვანი გადმოვარდნილა და მომკვდარა. ამის შემდეგ ჯვარს ზრდა დაუწყია მიწაში. გადმოცემით ამ ადგილზე მე-9 საუკუნეში აღშენებიათ ეკლესია, სადაც ეს ჯვარიც მოუთავსებიათ. ამავე გადმოცემით, ეს ცხოველმყოფელი ჯვარი დღესაც ნედლი უნდა ყოფილიყო. კომკავშირელთა ინიციატივით ეკლესიის ეზოში გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ მეზობელი სოფლების მცხოვრებლებიც. სოფლის ყოფილ მღვდელს აქ ულაპარაკია, თუ სასულიერო პირები ამ „წმინდა ნაწილებით“ როგორ აბრძობდნენ მორწმუნეებს. ამის შემდეგ ჯვრისათვის ჩამოუხსნიათ ხავერდი. რომელსაც შეფუთული იყო ეს ჯვარი. ნედლი ხის მაგივრად აღმოჩენილა დაფუთვით გახმარი ხე. ამის შემდეგ ეს „წმინდა ნაწილი“ წაუღიათ ხარაგოულში და იქაც უჩვენებიათ ხალხისათვის. ამ ღონისძიებას მოსახლეობაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

მათივე ბედი ეწია სოფელ ფარცხლის წმიდა გიორგის ეკლესიის „სასწაულმოქმედ ხატსაც“, რომელიც ასევე უჩვენებიათ ხალხისათვის<sup>36</sup>.

ეკლესიების დახურვის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა ზუგდიდის რაიონში. აქ, ორი თვის განმავლობაში, იმის გამო, რომ მრევლმა ეკლესიები მიატოვა, გაუქმდა 105 ეკლესია, ხოლო განძი, რომელიც ამ ეკლესიებში ინახებოდა და ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, გადასცეს მუზეუმს<sup>37</sup>.

ამავე რაიონში თავისი „სასწაულმოქმედებით“ განთქმული ყოფილა ყულის წმინდა გიორგის ეკლესია და ხობის მონასტერი. პირველში ინახებოდა წმინდა გიორგის „სასწაულმოქმედი“ ხატი, ხოლო მეორეში — „წმინდანების“ მარინესა და კვირიაკეს ნაწილები. სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარეს ხალხის თანდასწრებით გაუხსნია ხობის მონასტერში დაცული „წმინდა ნაწილები“, სადაც აღმოჩენილა ვერცხლის ყუთში ჩალაგებული კაცის გამხმარი მკლავი და ჩვილი ბავშვის ხელის მსგავსი „რაღაც“. აგრეთვე ფისი, ღრუბელი, ძვლები და ქვები. მიტინგს დასწრებია 4000 კაცი. შემდეგ ყოველივე ეს ჩამოუტანიათ ზუგდიდში და უჩვენებიათ პარასკეობაზე ჩამოსული ხალხისთვის<sup>38</sup>.

„წმინდა ნაწილების“ ვახსნამ და მათი საიდუმლოების სახალხოდ გამოტანამ, სხვადასხვა „სასწაულმოქმედი“ ხატების სიყალბის ჩე-

36 „კომუნისტი“, № 99, 1923.

37 „კომუნისტი“, № 106, 1923.

38 იქვე.

ნებამ დიდი გავლენა იქონია არა მარტო მორწმუნე მოსახლეობაზე, არამედ თვით სამღვდლოების წარმომადგენლებზედაც, რომლის ერთი ნაწილი ამის შემდეგ უარს ამბობდა სასულიერო უწყებაში სამსახურზე და გადადიოდა სხვა დაწესებულებაში. სასოფლო კრებებზე ბევრი მღვდელი სინანულით ლაპარაკობდა თავის საქმიანობაზე.

მაგრამ კომკავშირულმა „შობებმა“ და „აღდგომებმა“ თავის მიზანს ვერ მიაღწიეს. ხშირად ამ დღესასწაულებსა და კარნავალებს თან სდევდა კულტის მსახურთა შეურაცხყოფა, რაც, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კანონმდებლობას ამ დარგში. ამიტომაც, რათა არ დარღვეულიყო სინდისის თავისუფლების კანონის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, 1923 წელს რკპ (ბ) სპეციალური ღონისძიებები გაატარა აღნიშნული შეცდომების აღმოსაფხვრელად. მათ შორის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანი იყო ცირკულარი „ანტირელიგიური კამპანიის შესახებ აღდგომის დღეებში“. ცირკულარით პარტიის ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით მოითხოვდა ადგილობრივ ორგანოებს თავი შეეკავებინათ ასეთი გამოსვლებისაგან და ანტირელიგიურ მუშაობაში თავიანთი ყურადღება გაემახვილებინათ ლექციურ პროპაგანდაზე, წარმოდგენებისა და მხატვრული საღამოების ჩატარებაზე. ერთი სიტყვით, ანტირელიგიურ მუშაობაში მთავარი ყურადღება გაემახვილებინათ განმარტებითი ხასიათის ღონისძიებათა გატარებაზე.

ანტირელიგიური მუშაობის ამ ეტაპზე აღინიშნებოდა შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ორგანო ანგარიშს არ უწყევდა მორწმუნეთა მოთხოვნებს, რაც მოსახლეობის ერთი ნაწილის სრულიად სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. ცირკულარი მოითხოვდა თავი შეეკავებინათ ასეთი გამოსვლებისაგან. ცენტრალური კომიტეტი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მორწმუნეთა თუნდაც მცირე ნაწილი გამოთქვამდა თავის აზრს ეკლესიის დაზურვის წინააღმდეგ, მთავრობა ვალდებული იყო გაეწია მათთვის ანგარიში და უარი ეთქვა ასეთი ღონისძიებების გატარებაზე. კომუნისტი. ან სხვა საბჭოთა მუშაკი, რომელიც შემჩნეული იქნებოდა მთავრობის ამ მითითების უგულვებელყოფაში, მკაცრად ისჯებოდა<sup>39</sup>.

აღნიშნული ცირკულარის ცხოვრებაში გასატარებლად საქართველოს საბჭოთა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1924 წლის 21 ნოემბერს<sup>40</sup> მიიღო შესაბამისი დადგენილება № 124. აქ განმარტებული იყო, რომ ეკლესიის სახელმწიფოდან, ხოლო სკოლის ეკლესიიდან გამოყოფის კანონის სრულად განხორციელება ჩვენთან უზრუნველყოფდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ სარწმუნოებისა და რელიგიური კულტის თავისუფალ აღსრულებას. მაგრამ, მიუხედა-

<sup>39</sup> პარტ. არქივი, ფ. 17, ანაწ. 60, საქ. 509, ფურც. 3.

<sup>40</sup> „კომუნისტი“, № 246, 1924.

ვად ამისა, ამ საქმეში შეიმჩნეოდა სერიოზული დარღვევები, ამიტომაც, ამ დადგენილებით უქმდებოდა აქამდე მოქმედი ყველა დებულება, ინსტრუქცია და ადმინისტრაციული განკარგულება, რაც კი შეეხებოდა რელიგიურ საზოგადოებათა შეზღუდვას და რესპუბლიკის მორწმუნე მოქალაქეთა მიერ რელიგიური კულტის თავისუფალ აღსრულებას<sup>41</sup>. № 124 დადგენილებამ დააკანონა წესი იმ ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების გახსნისა და მათი მორწმუნეთათვის გადაცემის შესახებ, რომლებიც სხვადასხვა უწყებების გამგებლობაში იყო გადაცემული ან ჯერ კიდევ მოქმედებდნენ.

დებულება, რომელიც მორწმუნეებს უფლებას აძლევდა მიეღო თავის სარგებლობაში ეკლესიები ან სამლოცველო სახლები, ითვალისწინებდა შემდეგს: მორწმუნეებს ნება ეძლეოდათ თავიანთ სარგებლობაში ჰქონოდათ ტაძრები და რელიგიური წესების შესრულებისათვის განკუთვნილი ინვენტარი და ქონება. ამისათვის მათ უნდა დაეარსებინათ რელიგიური საზოგადოება, რომლის დამფუძნებელ წევრთა რიცხვი შეიღზე ნაკლები არ იქნებოდა. ამასთანავე, მორწმუნეები, ზემოთ მოტანილი დოკუმენტების საფუძველზე, ტაძრებს, სამლოცველო სახლებსა და ქონებას მიიღებდნენ უსასყიდლოდ, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმდებოდა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსა და მორწმუნეთა შორის<sup>42</sup>. რელიგიურ საზოგადოებებს რეგისტრაციაში ატარებდა სათანადო მაზრის ან ქალაქის აღმასკომი. აქვე განმარტებული იყო მორწმუნეებისათვის ეკლესიის გადაცემაზე უარისთქმის შემთხვევაში თუ ვისთვის უნდა მიემართათ. დოკუმენტში მითითებული იყო, რომ რელიგიურ საზოგადოებათა გაუქმება შესაძლებელი იყო, თუ მისი მოქმედება ეწინააღმდეგებოდა რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს. ასეთი რადიკალური ღონისძიებების გატარების უფლება ენიჭებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. დადგენილება, ამავე დროს იცავდა მორწმუნეთა უფლებას და ის პირები, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა მორწმუნეებს შეესრულებინათ რელიგიური რიტუალი, ან ღვთის მსახურება, ისჯებოდნენ და პასუხს აგებდნენ თავიანთი უფლების გადამეტებისათვის. ამ დადგენილების შესრულებასა და ცხოვრებაში გატარებაზე თვალყურის დევნება ევალებოდათ სათანადო სახელმწიფო ორგანოებს<sup>43</sup>.

1924 წლის 4 დეკემბერს დამტკიცდა „ინსტრუქცია იუსტიციისა და სახალხო კომისარიატისა, რომელიც კონტროლს აწესებდა ზემოთ

41 საქართველოს რესპუბლიკაში ამ კანონის საფუძველად გამოყენებულ იქნა 1921 წ. 15 აპრილს გამოცემული № 21 დეკრეტი.

42 „მოამბე“, № 12, 1924.

43 ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში — ორცა), ფ. 264, ანაწ. I, საქმე 268, ფურც. 7, 1924.

მოტანილი დადგენილების ცხოვრებაში ზუსტად გატარებაზე<sup>44</sup>. დადგენილება „ეკლესიების გახსნისა და რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ“ (№ 124) და აღნიშნული „ინსტრუქცია“ ცირკულარულად დაეგზავნათ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკებს; აგრეთვე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს<sup>45</sup>.

აღნიშნული დოკუმენტების მიღებით საბჭოთა მთავრობამ კიდევ ერთხელ განმარტა და ხაზი გაუსვა თავის გადაწყვეტილებას ცხოვრებაში განუხრელად გაეტარებინა დეკრეტი სინდისის თავისუფლების შესახებ. ეს საბუთი იყო ამ დეკრეტის ცხოველყოფილობის დამადასტურებელი. ამის შემდეგაც, პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ყურადღების გარეშე არ ტოვებდა ამ საკითხს და სათანადო დადგენილებებით ხელს უწყობს დეკრეტის „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიიდან სკოლის გამოყოფის“ ცხოვრებაში გატარებას.

1923 წლის აგვისტოში გამოიცა სახკომსაბჭოს ცირკულარი მავრების, თემ-აღმასკომებისა და ყველა თანამდებობის პირისადმი, სადაც კიდევ ერთხელ შეახსენებდა მთავრობა ამ ორგანოების ხელმძღვანელებს და იმ პირებს, ვისაც ამის შესრულება ეხებოდა, რომ ხელი არ შეეშალათ მორწმუნეებისათვის რელიგიური რიტუალების აღსრულებას<sup>46</sup>. 1924 წლის ივლისში გამოვიდა შინაგან საქმეთა და იუსტიციამ სახალხო კომისარიატების ინსტრუქცია რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციაში გატარების წესის შესახებ<sup>47</sup>. ცოტა მოგვიანებით გამოიცა ამავე კომისარიატების ერთობლივი ინსტრუქცია ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფისა და მორწმუნეთათვის ეკლესიებისა თუ სამლოცველო სახლების დაბრუნების წესის ცხოვრებაში გატარებაზე. ამ ინსტრუქციას დართული ჰქონდა ხელშეკრულებების ფორმისა და რელიგიურ საზოგადოებათა წესდების ნიმუში<sup>48</sup>. 1923 წელს იუსტიციის სახალხო კომისარიატთან დაარსდა სპეციალური საეკლესიო კომისია, რომელიც იხილავდა ეკლესიების დახურვის საკითხს. ამ კომისიის დადგენილებით, ადგილობრივ ორგანოებს ეძლეოდათ დირექტივები ზემოაღნიშნულ ინსტრუქციასთან დაკავშირებით წამოჭრილ ცალკეული საკითხების განხილვის წესებზე.

სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში ანტირელიგიური პროპაგანდის ორგანიზაციის საქმეში ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკისრებოდა მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს, რომელიც ამ დარგში ფრიად

44 ორცხა, ფონდი 284, ანაწ. I, საქ. 268, ფურც. 28—29, 1924.

45 „რაბოჩაია პრედა“, № 133, 1923.

46 „კომუნისტი“, № 222, 1923.

47 იქვე, № 294—295, 1923.

48 იქვე.



საინტერესო ღონისძიებებს ატარებდა. 1922 წლიდან ამ სამმართველოს საქმიანობა მიმართული იყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისაკენ, რომელიც პირველ რიგში უნდა განხორციელებულიყო პარტიის წევრებსა და წითელი არმიის მებრძოლებს შორის. ამ დროისათვის საქართველოში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი ჯერ კიდევ დიდი იყო და უდრიდა 65%-ს. აქედან 25% პარტიის წევრებზე მოდიოდა. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პოლიტიკური უცოდინარობის ლიკვიდაციას. პოლიტიკური განათლების მთავარმა სამმართველომ გამოსცა საანბანო წიგნები ქართულ, თათრულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

ანტირელიგიურ პროპაგანდაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ პროფკავშირები და ფაბკომები. მათი ინიციატივით თბილისში ნოეწყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის 45 სკოლა, რომელიც სულ მოკლე დროში დაამთავრა 1000-ზე მეტმა კაცმა. რესპუბლიკის მასშტაბით პროფკავშირებთან ამ დროს უკვე არსებობდა 300 ასეთი სკოლა, რომელიც დაამთავრა 6000-მა კაცმა. მარტო ბორჩალოს რაიონში, რომელიც წერა-კითხვის უცოდინარობის მხრივ ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო, ამ სკოლების კურსი გაიარა 2000-ზე მეტმა კაცმა<sup>49</sup>.

მეორე ძირითადი ამოცანა, რომელიც უნდა გადაეწყვიტა პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოს, ეს იყო რესპუბლიკის ფარგლებში სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოება. ეს ღონისძიებები უნდა გადაქცეულიყო მოსახლეობაში პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმეში დასაყრდენ პუნქტებად. ბიბლიოთეკები პირველ რიგში უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ახალი ლიტერატურით, საბჭოთა სახელმწიფოს დეკრეტებითა და სხვა კანონთა კრებულებით, რაც მკითხველს გააცნობდა და საფუძვლიან წარმოდგენას მისცემდა საბჭოთა წყობილების არსსა და მიზანზე, საბჭოთა სახელმწიფოზე. ამ დროისათვის საქართველოში უკვე არსებობდა 301 ასეთი სამკითხველო.

ამავე სამმართველოში ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად იდგა პარტიული და საბჭოთა მუშაკების მარქსისტულად მომზადებისათვის სპეციალური სკოლების დაარსება. ასეთ სასწავლებლად ამ დროს გვევლინება ერთსაფეხურიანი საბჭოთა პარტიული სკოლები. 1922 წლისათვის თბილისში უკვე არსებობდა 6 რაიონული პარტიული სკოლა და 3 მარქსისტული წრე. მაზრაში კი ამავე დროს იყო 6 პოლიტგანათლების სკოლა და 100-მდე მარქსისტული წრე<sup>50</sup>. ასეთი ტიპის სკოლების რიცხვი საქართველოში საგრძნობლად იზრდებოდა. 1923 წლისათ-

<sup>49</sup> „კომუნისტი“, № 167, 1922.

<sup>50</sup> იქვე.

ვის თბილისში უკვე მოქმედებდა 62 პოლიტწრე, 6 — მარქსისტული, ხოლო 4 — საქარხნო სკოლა<sup>51</sup>.

მასების კომუნისტურ აღზრდას მიეძღვნა საქართველოს რესპუბლიკის სააგიტაციო საპროპაგანდო და პოლიტიკური განათლების განყოფილების წარმომადგენლებისა და ქალთა განყოფილებების II ყრილობა (1 ყრილობა ჩატარდა 1821 წელს). პირველი ყრილობისაგან განსხვავებით, ამ ყრილობამ ყურადღება გაამახვილა პარტიულსა და უპარტიო მუშათა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელი მუშაობის მეთოდებსა და შინაარსზე. ყრილობის მსჯელობის საგანი იყო უპარტიო მასების კომუნისტურად აღზრდის საკითხი ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში. ამ საკითხს საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ამ ეტაპზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც ნების პერიოდში საგრძნობლად გამოცოცხლდა ანტისაბჭოთა ელემენტებისა და სამღვდელოების მავნებლური საქმიანობა. ყრილობის ყურადღების ცენტრში იყო სოფლისა და ქალაქის ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხი<sup>52</sup>. თანამედროვეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად, მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ შეიმუშავა 1922 წლის პირველი ნახევრის სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავდა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს<sup>53</sup>.

ანტირელიგიური პროპაგანდის საქმეში, მის წარმატებაში, განსაკუთრებით ოჯახსა და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს შორის, პარტია დიდად აფასებდა ქალის როლს, როგორც ოჯახის დედისა და საერთოდ, ახალგაზრდა თაობის აღმზრდელისას, ამიტომაც, ჩვენი პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში დიდ ყურადღებას აქცევდა ქალთა განათლებას, პრაქტიკულად უზრუნველყოფდა მათ ჩამოსას საზოგადო საქმიანობაში, რაც თავისთავად ხელს უწყობდა ქალის ჩამოცილებას ეკლესიისა და რელიგიისაგან, გადააქცევდა მას ახალი საზოგადოების აქტიურ მშენებლად. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებთან დაარსდა ქალთა განყოფილებები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ პარტიის მითითებებით. ამგვარად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველივე დღეებიდანვე იწყება ფართო სააგიტაციო მუშაობა ქალთა შორის. ამ ღონისძიებების გატარების შედეგად, მრავალმა ქალმა მიატოვა ეკლესია, ზურგი შეაქცია ცრურწმენებს, ექიმბაშებს, მკითხავეებს და ჩადგა ახალი საზოგადოების მშენებელთა რიგებში.

ასე წარმოგვიდგება ის ღონისძიებები, რომლებიც გაატარა ახალ-

51 „კომუნისტი“, № 66, 1923.

52 „კომუნისტი“, № 253, 1922.

53 ორცა დ. 281, ანაწ. I, საქმე 18, ფურც. 27—30. 1922.

გაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ ათეისტური მუშაობის დარგში, საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში. ეს მუშაობა ნასიათდება იმით, რომ იგი მიმდინარეობდა კლასობრივი ბრძოლის უაღრესად დაძაბულ ვითარებაში და მიზნად ისახავდა არა მარტო ბრძოლას ყოველგვარი მავნე ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ, არამედ ბრძოლას ახალი წყობილების განმტკიცებისათვის.

ამ დროს ანტირელიგიური მუშაობის ერთ-ერთი პირველი ამოცანა იყო ეჩვენებინა მშრომელთა ფართო მასებისათვის რელიგიისა და ეკლესიის რეაქციული ხასიათი; ეკლესიის მსახურთა ამორალური სახე; მათი ანტისაზოგადოებრივი და ანტისაბჭოთა საქმიანობა; ეკლესიის კავშირი კონტრარევოლუციასთან. მშრომელი მასების რელიგიის ტყვეობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლა, რომელსაც ეწეოდა ამ დროს ჩვენი პარტია, იყო ბრძოლა არა მარტო ეკლესიის წინააღმდეგ, არამედ ეს იყო ბრძოლა სოციალისტური სახელმწიფოსათვის, მისი მტრების წინააღმდეგ და მიმდინარეობდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უაღრესად მწვავე კლასობრივი და იდეოლოგიური ბრძოლის პროცესში.

ბრძოლა სოციალისტური წყობილების საბოლოო გამარჯვებისათვის ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდის ქვაკუთხედიან სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში. ის დიდი ძვრები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში ამ პერიოდში, დიდ და გამაშფოთებელ ვაგონს ახდენდა ანტირელიგიური მუშაობის ორგანიზაციაზე და ძირითადად განსაზღვრავდა კიდევაც ამ მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს.

#### § 4. ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდა საქართველოში 1926—1941 წლებში

სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ახალ ეტაპზე ქართველი ხალხი, სხვა მოძმე ერებთან ერთად, შეუდგა ქვეყნის ინდუსტრიალური გეგმის განხორციელებას, რაც აუცილებელი პირობა იყო სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის. ყოველივე ზემოთქმულის დროულად ხორცმესხმისათვის კი აუცილებელი პირობა იყო ქვეყნის შიდა ჩამორჩენილობის დაძლევა ერის ცხოვრების ყველა სფეროში, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ ძველი რეჟიმისაგან.

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში, რომელიც დაიწყო 1926 წელს, ჯერ კიდევ გრძელდებოდა შეუპოვარი ბრძოლა ჩვენ კლასობრივ მტრებთან. თავიანთი საქმიანობა გაშალეს ყოველგვარმა ანტისაბჭოთა ელემენტებმა, გაზვირდა ანტისაბოტაჟისა და ახდელი მავნებლობის ფაქტები.

ქვეყანა ემზადებოდა პირველი ხუთწლიანი გეგმის მისაღებად, რომლის დროულად და წარმატებით განხორციელებისათვის საჭირო იყო ყველა რესურსის მობილიზაცია და ამოძრავება. ყველა ამ საკითხებს შორის პირველ ადგილზე იდგა მშრომელთა ორგანიზების საკითხი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ეს მეტად რთული და საჭირო ამოცანა. სამწუხაროდ ეს საკითხი ზოგიერთ დაბრკოლებას აწყდებოდა. ამ დროს მშრომელთა ერთი, მართალია, საკმაოდ მცირე ნაწილი, მხარს უჭერდა ანტისაბჭოთა იდეოლოგიას, იმყოფებოდა ძველი წეს-ჩვეულებების ტყვეობაში, რაც, ბუნებრივია, გვევლინებოდა ხელისშემშლელ პირობად მშრომელთა ორგანიზაციებსა და მობილიზაციის საქმეში. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა თითოეული ადამიანისათვის და ამის შესაბამისად თავისი ყურადღება და რესურსების ერთი ნაწილი გადაიტანა იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტზე.

ამ შეუპოვარ ბრძოლაში გამარჯვება იყო საწინდარი პარტიისა და ხელისუფლების გენერალური გეგმის განხორციელების საქმეში.

კლასობრივ მტრებთან იდეოლოგიურ ბრძოლაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი განეკუთვნებოდა ბრძოლას რელიგიისა და ყოფაში შემორჩენილი ყოველგვარი ცრურწმენების წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, პარტიის ყურადღების გარეშე არ რჩებოდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც გარკვეულ პერიოდამდე სათავეში ედგა ყოველგვარ ანტისაბჭოურ გამოსვლებს. პარტიას სწამდა, რომ ახალი უკლასო საზოგადოების მშენებლობის საქმე წინ ვერ წაიწევა, თუ მშრომელი მასები თავისუფალნი არ იქნებოდნენ ეკლესიისა და რელიგიის გავლენისაგან. აქედან გამომდინარე, სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში, ქართველი კომუნისტების წინაშე იდგა მეტად რთული ამოცანა — გამოეყვანათ ქვეყანა კულტურულ-ეკონომიკური ჩამორჩენილობიდან და ამით სათანადო საფუძველი მოემზადებინათ ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის.

როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეშე დგას, მას ჯერ ანბანი უნდა ვასწავლოთ, უამისოდ პოლიტიკა შეუძლებელია, უამისოდ არის მხოლოდ ხმები, ქორები და არა პოლიტიკა“<sup>54</sup>. ამრიგად, საქართველოში საბჭოთა წყობილების განმტკიცებისათვის, უპირველესად ყოვლისა, საჭირო იყო კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ფართოდ გაშლა, მისი მეცნიერულ საფუძველზე დაყენება, ისეთი ადამიანის აღზრდა, რომელიც დაუფლებული იქნებოდა მეცნიერების მწვერვალებს და ამით ნამდვილად ვახდებოდა თავისი სახელმწიფოს მმართველი მისი სრულ-

<sup>54</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 71.

უფლებიანი პატრონი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ღონისძიებების გატარება პარტიამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებიდან დაიწყო და საგრძნობ წარმატებებსაც მიაღწია. მაგრამ ეს კიდევ ცოტა იყო. მშრომელთა ერთი ნაწილი, განსაკუთრებით სოფელად, ჯერ კიდევ იმყოფებოდა ეკლესიის მსახურთა გავლენის ქვეშ, რომელთა რაოდენობაც საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. 1934 წლის მონაცემებით, საქართველოში ჯერ კიდევ მოქმედებდა ყველა მიმართულების 420 ეკლესია, რომელსაც 514 მღვდელი ემსახურებოდა. სხვადასხვა სექტების რაოდენობა აღწევდა 32-ს, რომლებშიც გაერთიანებული იყო 7658 კაცი<sup>55</sup>. ბრძოლას რელიგიასთან ართულებდა აგრეთვე საქართველოს მოსახლეობის მრავალფერობა. ამ დროისათვის საქართველოში მოქმედებდა, ქართული ეკლესიის გარდა, სომხური გრიგორიანული, რუსული მართლმადიდებლური, ლუთერანული და სხვადასხვა მიმდინარეობის სექტები. განსაკუთრებით რთული იყო მუშაობა ნაციონალურ უმცირესობას შორის, რაც განპირობებული იყო სათანადო მომზადებული ნაციონალური კადრების უყოლობით. საკმაოდ ძლიერი იყო რელიგიის გავლენა საქართველოს მუსლიმანურ მოსახლეობაში, დუხობორებში, ოსებში, აფხაზებში, იეზიდებში, ქურთებში და სხვა, რომელთა შორისაც უაღრესად დიდი იყო წერა-კითხვის უცოდინრები. ასეთივე მძიმე მდგომარეობა იყო აჭარაში და ქართველ ებრაელთა შორის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ამ ეტაპზე მიმართული იყო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ამოცანების გადაწყვეტისაკენ, რევოლუციის მონაპოვრის დაცვისაკენ, საქართველოს მშრომელთა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნისაკენ. აქედან გამომდინარე, ამ დროის ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდა ემორჩილებოდა ამ ამოცანების გადაწყვეტას. სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა. ეკლესია ჩვენ ამ დროს გვევლინება იდეოლოგიურ მტრად, რომელიც მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილში ფეხმოკიდებული იყო და დიდი გავლენითაც სარგებლობდა. აღსანიშნავია, ისიც, რომ ეკლესიის მსახურები ხშირად იყვნენ ყოველგვარი ანტისაბჭოთა შეთქმულებების მონაწილენი და პრაქტიკულად იბრძოდნენ ახალი წყობილების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, კლასობრივი ბრძოლის სიმწვავე უუქველად დიდ გავლენას ახდენდა ანტირელიგიური და ათეისტური მუშაობის შინაარსს, ხერხებსა და მეთოდებზე.

ანტირელიგიური და ათეისტური მუშაობის ამ ეტაპზე პარტია სამართლიანად თვლიდა, რომ რელიგიის გავლენისაგან მშრომელთა გან-

<sup>55</sup> საქ. ორცისა, ფ. 1547, ანაწ. 1, საქმე 54, ფურც. 9.

თავისუფლების ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო მათი განათლება. მართალია, ამ მხრივ უკვე გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები 1921—1925 წლებში, მაგრამ ეს კიდევ ცოტა იყო. მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, რომელიც პარტიას გააჩნდა ამ დარგში დასახლებულ წლებში, აქ დიდი ნაკლოვანებებიც შეიმჩნეოდა. იგრძნობოდა საშუალო და არასრული სკოლების ნაკლებობა, ჯერ კიდევ სუსტად მუშაობდნენ წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები. მთავრობა ეყრდნობოდა რა ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ ძირითადი ყურადღება გადაეტანათ მოსახლეობის განათლებაზე, ყოველდღიურად ზრდიდა ყველა ტიპის სკოლათა რიცხვს. თუ 1925—26 წლებში საქართველოს 2023 სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა აღწევდა 286651, რომლებსაც ასწავლიდა 10706 მასწავლებელი<sup>56</sup>, 1927—28 წლებში სკოლათა რიცხვმა მიაღწია 2552, სადც სწავლობდა 287200 მოსწავლე, მასწავლებელთა რიცხვმა კი მიაღწია 104 ათასს<sup>57</sup>. ასევე სწრაფად იზრდებოდა სპეციალისტების რიცხვი. 1928—32 წლებში საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს 5868 ყველა დარგის სპეციალისტი, ხოლო მეორე ხუთწლედში (1933—1937 წწ) მათმა რიცხვმა მიაღწია 12436. პირველ ხუთწლედში ტექნიკურმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 12215 სპეციალისტი, ხოლო მეორეში უკვე 27539<sup>58</sup>.

სკოლებისა და მასში მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად პარტია გამუდმებით ზრუნავდა აქ აღმზრდელილობითი დონის ამადლებაზე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, 1929 წ. 20-იდან 27 ოქტომბრამდე საქართველოში ჩატარდა სასკოლო კვირეული, რომლის მიზანიც იყო პროლეტარული საზოგადოების ყურადღების მობილიზაცია ახალგაზრდობის სოციალისტური სულისკვეთებით აღზრდის ამოცანების ირგვლივ, სასკოლო ქსელის გაფართოება, მშრომელთა მასების კავშირის განმტკიცება სკოლასთან, სასწავლო აღმზრდელილობითი მუშაობის გაუმჯობესება. ეს კვირეული მიზნად ისახავდა აგრეთვე სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას. ცენტრალური კომიტეტის ცირკულარულ წერილში მითითებული იყო, რომ ყოველივე ზემოთ თქმულის გარდა, კვირეული მიზნად ისახავდა „მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მშრომელთა მიზიდვას მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდის საკითხთა გადასაქრელად, ბრძოლას ძველ ბურჟუაზიულ-ფეოდალურ კულტურასთან, ძველ ყოფა-ცხოვრებასთან, სარწმუნოებრივ დღესასწაულებთან, ჩვეულებებთან, წესებთან და ცრუმორწმუნ-

<sup>56</sup> საქართველოს სსრ მთავრობის 1925—26 წწ. მოქმედების ანგარიში, გვ. 235, თბ., 1927.

<sup>57</sup> საბჭოთა საქართველოს 40 წელი, თბ., 1961, გვ. 155.

<sup>58</sup> იქვე.

ნეობასთან, ზრუნვას ბავშვების დასაცავად მავნე რელიგიური წრის გავლენისაგან<sup>59</sup>.

ამავე დროს, პარტიას არ შეუწყვეტია ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. ეს საკითხი, 1929 წელს კიდევ ერთხელ განიხილა ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და დაამტკიცა „პრაქტიკული ღონისძიებანი წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მკოდნეობის ლიკვიდაციისათვის“. ამ ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემკოდნეობის ლიკვიდაცია წარმოადგენს კულტურული რევოლუციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, მეტადრე მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ეპოქაში“. ამ ამოცანის დროულად გადასაჭრელად პარტიამ დასახა კონკრეტული ღონისძიებები. ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში ჩაბმულნი იყვნენ პარტიისა და კომკავშირის წევრები, პროფესიული კავშირები, მასწავლებლები, სტუდენტები და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები<sup>60</sup>.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და საერთოდ მოსახლეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო სამუშაოებს პარტია უკავშირებდა მოსახლეობაში ცრურწმენებისა და რელიგიური გადმონაშთების დაძლევის საქმეს. ასეთ ღონისძიებებს ითვისდებოდა კომკავშირული ლაშქრობები. 1929 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა საკითხი „კომკავშირის კულტურული ლაშქრობის შესახებ საქართველოში“. ამ საკითხთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „კომკავშირის მიერ დაწყებულ კულტურულ ლაშქრობას შედეგად მოჰყვა საგრძნობი წინსვლა კულტურულ მუშაობაში, გახდა მასიური ღონისძიებანი კომკავშირელთა და მშრომელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად (წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა, მათზე კომკავშირელთა მიმავრება, ინდივიდუალური სწავლება და სხვა) და კულტურული მუშაობის გასაუმჯობესებლად (წითელი კუთხეებისა და ქობ-სამკითხველოების გახსნა, კინოსა და თეატრებში კოლექტიური სვლა და სხვა)“.

კომკავშირელთა ასეთი სახის ღონისძიებებმა გააძლიერა ბრძოლა მეშჩანური იდეოლოგიის, ხულიგნობის, რელიგიური ცრუმორწმუნეობისა და სხვა გადმონაშთების წინააღმდეგ. გასაგებია, რომ კულტურული ლაშქრობები მხოლოდ კომკავშირელთა ძალებით არ შემოიფარგლებოდა. ამათ პარალელურად პარტია აყალიბებდა „კულტ-კოლონებს“. 1929 წლიდან საქართველოს თითქმის ყველა რაიონში იგზავნებოდა ასეთი „კულტ-კოლონები“, რომლებიც ეხმარებოდნენ ადგი-

<sup>59</sup> საქ. ცპა, ფ. 14, ანაწ. I, ნაწ. II, საქმე 3164, ფურც. 24 1929.

<sup>60</sup> იქვე, ფურც. 110, 1929.

ლობრივ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში, მოსახლეობაში სანიტარული ცოდნის გავრცელებაში, აგროპროპაგანდის გატარებაში, გაზეთების გავრცელებასა და სხვ. მაგ., 1929 წელს თბილისიდან ასეთი 12 კულტ-კოლონა გაიგზავნა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში: თბილისის ოლქში — 4, კახეთში — 2, გორში — 2, ახალციხეში — 2, ოზურგეთში — 2<sup>61</sup>.

მოსახლეობის საერთო ზოგადი განათლება იყო ძირითადი ღერძი ეკლესიისა და რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის პარალელურად პარტია ატარებდა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო პირდაპირ რელიგიისა და ეკლესიის მსახურების წინააღმდეგ. ასეთი ღონისძიებების რიგში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკირა ანტირელიგიური კამპანიების მოწყობას რელიგიური და საეკლესიო დღესასწაულების წინ და მათი მსვლელობის დროს. ასეთი ღონისძიებები იგეგმებოდა შობის, აღდგომისა და სხვა საეკლესიო დღესასწაულების წინ. 1928 წლის 28 მარტს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა ცირკულარი „ანტირელიგიური კამპანიის ჩატარების შესახებ“. აღდგომის საწინააღმდეგო კამპანიის ამოცანა იყო „...გამოაშკარავება რელიგიის, სამღვდელოებისა და მორწმუნეთარეაქციული როლისა, რომელიც ხელს უშლის სამეურნეო და კულტურულ სოციალისტური მშენებლობის საქმეს“<sup>62</sup>.

როგორც ვხედავთ, ჩვენი პარტიისათვის ანტირელიგიური პროპაგანდა თვითმიზანი არ იყო. პარტიას ეს ღონისძიებები უფრო ფართოდ წარმოედგინა და ასეთივე ამოცანებსაც სახავდა. რელიგიასთან ბრძოლა განყენებული არ უნდა ყოფილიყო მშრომელთა ყოველდღიური საქმიანობისაგან, სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისაკენ მიმართული ღონისძიებებისაგან. პირიქით, ის მჭიდრო კავშირში უნდა ყოფილიყო ამ ღონისძიებებთან და თავისი წვლილი უნდა შეეტანა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისა და მისი სრული გამარჯვების საქმეში. 1926 წელს მოსკოვში ჩატარდა სკკპ აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების მიერ ათეისტური საკითხებისადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო თათბირი.

ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდა საეკლესიო დღესასწაულების დღეებში მოიცავდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო ქსელს და მიმართული იყო საქართველოში არსებული ყოველგვარი რელიგიური მიმდინარეობის წინააღმდეგ.

ანტირელიგიური და ათეისტური მუშაობა მიმდინარეობდა მუშა-მოსამსახურეების, გლეხობისა და ქალთა ორგანიზაციების კრებებზე,

61 იქვე, 3169, 1929, ფურც. 238.

62 იქვე, საქმე 2739, ფურც. 91, 1928.



კლუბებსა და ქოხ-სამკითხველოებში, სახალხო და გლეხთა სახლებსა და საპატიმროებში, სკოლასა და წითელი არმიის მებრძოლთა შორის. ყოველივე ამას პარტია ატარებდა პროფგანათლების მთავარი სამმართველოს ხაზით. ამ საქმიანობაში ფართოდ იყენენ ჩაბმულნი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები და პარტიული სკოლები. პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ანტირელიგიური და ათეისტური მუშაობის გაძლიერებას ნაციონალურ უმცირესობათა შორის. აქ სისტემატურად ტარდებოდა ანტირელიგიური და ათეისტური შინაარსის ლექცია-მოსხენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, იდგმებოდა წარმოდგენები და სხვა. ხშირად ასეთი ღონისძიებების ჩატარებისას წარმატებით იყენებდნენ დიაპოზიტივებს. წარმატებით ტარდებოდა „მეცნიერებისა და ტექნიკის, სასწაულებისა და თვალთმაქციობის საღამოები“, რომელთა მსვლელობის დროსაც თავშეყრილთ უჩვენებდნენ ქიმიურ და ფიზიკურ ცდებს. აღნიშნული შინაარსის საღამოები დიდი წარმატებით სარგებლობდნენ მოსახლეობის ფართო მასებში.

იშვიათი არ იყო ანტირელიგიური დისკუტების გამართვა, რომლებზედაც ხშირად იწვევდნენ სასულიერო პირებს. ასეთ ღონისძიებებს ყოველთვის დიდი რაოდენობით ესწრებოდნენ მშრომელთა წარმომადგენლები.

ანტირელიგიურ და ათეისტურ მუშაობაში პროპაგანდისტებად იყენებდნენ არა მარტო პარტიისა და კომკავშირის წევრებს. ამ საქმიანობაში დიდ როლს ასრულებდნენ მასწავლებლები, უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლები და მეცნიერი მუშაკები, ექიმები, აგრონომები და სხვ. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეწყობოდა ანტირელიგიური და სამეცნიერო ლიტერატურის გამოფენები.

ანტირელიგიურ და ათეისტურ მუშაობაში განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა პრესას, კინომრეწველობას, კინოთეატრებსა და სხვა კულტურულ დაწესებულებებს. გაზეთები თავიანთ ფურცლებზე აქვეყნებდნენ წერილებს, რომლებშიც ფარდას ხდიდნენ ეკლესიის მსახურებს, სააშკარაოზე გამოჰქონდათ მათი ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა. 1928 წელს საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დაამტკიცა ღონისძიება „ანტირელიგიური ფურცლებისა და ბეჭდვითი დღის ჩატარების, შესახებ“. სამდივნომ წინადადება მისცა ყველა გაზეთის რედაქციას, სისტემატურად მოეთავსებინათ თავიანთი გაზეთების ფურცლებზე ანტირელიგიური ხასიათის წერილები. საეკლესიო დღე-სასწაულების დროს კი გამოეშვათ განსაკუთრებული ფურცლები<sup>63</sup>.

1928 წლის 28—29 თებერვალს საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ჩატარდა კინოთათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი

<sup>63</sup> საქ. ცკა, ფ. 14, ანაწ. 1, ნაწ. 11, საქმე 2739, ფურც. 484, 1928.

„საქართველოს კინომრეწველობის პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპების შესახებ“. თათბირის დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ უნდა შექმნილიყო მხატვრული ფილმები, რომლებიც მხარში ამოუდგებოდნენ პარტიას სოციალისტური კულტურის მშენებლობის საქმეში. სურათებში გაშუქებული უნდა ყოფილიყო ახალი ყოფა, ყურადღება უნდა გამახვილებულიყო ძველი გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაზე. კინომრეწველობა უნდა დახმარებოდა პარტიას „რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში“<sup>64</sup>.

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სოფლად ურწმუნოთა უჭრედებისა და ანტირელიგიური წრეების შექმნას.

როგორც აღვნიშნეთ, პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ანტირელიგიური და ათეისტური ღონისძიებების გატარებას ნაციონალურ უმცირესობათა შორის. 1928 წლის 23 მაისს ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დაამტკიცა „ყურბან-ბაირამისა და მაჯურრამის (შაჰსეი-ვაჰსეის) წინააღმდეგ კამპანიის ჩატარების გეგმა-ცირკულარი“. ეს ღონისძიება ტარდებოდა სიღნაღისა და ბორჩალოს რაიონებში, სადაც მუსლიმანური სარწმუნოების მიმდევრები იყვნენ დასახლებულნი. მთელი ღონისძიება უნდა წარმართულიყო რელიგიის წინააღმდეგ საერთოდ და, კერძოდ, იმ თვითგვემის წინააღმდეგ, რომელიც თან სდევს ამ რელიგიური რიტუალის შესრულებას. ეს ღონისძიება ითვალისწინებდა პარტიული და კომკავშირული კრებების ჩატარებას. თითოეულ კომკავშირელს უნდა სცოდნოდა თუ როგორ მოქცეულიყო ამ დროს მლოცველებთან. ამავე დროს, ცენტრალური კომიტეტი პარტიისა და კომკავშირის ყველა წევრისაგან მოითხოვდა დიდ სიფრთხილეს არა მარტო ამ დღესასწაულის დღეებში, არამედ საერთოდ, ანტირელიგიური მუშაობის დროს. პარტია აფრთხილებდა ყველას, რომ მორწმუნეებთან ურთიერთობაში საერთოდ და კერძოდ რელიგიური დღესასწაულის დღეებში, გამოეჩინათ სიფრთხილე და არ დაეშვათ არავითარი გამოხდომები. შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ მორწმუნეთა რელიგიური გრძნობებისათვის. თურქი მოსახლეობის რაიონებში გაიგზავნა აგიტატორთა ჯგუფი, რომლებმაც ჩაატარეს საუბრები შაჰსეი-ვაჰსეის თაობაზე<sup>65</sup>. გაგზავნილი ამხანაგები და აღვილობრივი ურწმუნოთა უჭრედები უზრუნველყოფილნი იყვნენ გაზეთებით, ყურნალებითა და სათანადო ანტირელიგიური პლაკატებით, რომლებიც გამოიწერეს ბაქოდან. მომხსენებლებს კიდევ ერთხელ განემარტათ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

64 საქ. ცპა, ფ. 14, ანაწ. 1, ნაწ. 11, საქმე 2739, ფურც. 20, 1928,

65 იქვე, ფურც. 430.

დეკრეტი, რომელიც კრძალავდა თვითგვემას ჯაჭვებით შაჰსეი-ვაჰსეის დღესასწაულის დღეებში<sup>66</sup>.

1921 წელს განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, რომელსაც დაეკისრა ამ ხალხებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ხელმძღვანელობა. 1923 წელს მთავრობის განკარგულებით მისი ფუნქციები გადაეცა განათლების კომისარიატს, 1926 წლის მარტში კი ისევ ცალკე გამოიყო. ამ კომიტეტის შექმნა განპირობებული იყო საქართველოს რესპუბლიკაში მოსახლე არაქართველი ეროვნების წარმომადგენელთა სიმრავლით. ამ დროს საქართველოში ცხოვრობდა კომპაქტურად 19, ხოლო სხვადასხვა ადგილებში 33 სხვადასხვა ნაციონალობის წარმომადგენლები, რომელთა საერთო რიცხვიც საქართველოში აღწევდა 851557 და მოსახლეობის 32,3% შეადგენდა. მათი უმეტესობა იყო დაბალი განათლებით, ან საერთოდ უცოდინარი. მაგ., დაბალი განათლების მქონეთა პროცენტი თუ რუსებში უდრიდა 77,1%, ხოლო სომხებში 46,2%, ოსებში არ აღემატებოდა 14,4%, აფხაზებში 12,7%, თურქებში 4,3%, ქურთებსა, ასირიელებსა, ლეკებსა და ინგუშებში კი არ აღემატებოდა 1—2%. მთავრობის ღონისძიებანი ნაციონალურ უმცირესობათა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო სამუშაოების გაშლის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებდა აქ სასკოლო ქსელის გაფართოებას. 1928 წლისათვის მშობლიურ ენაზე სწავლობდნენ: სომხები, გერმანელები, ბერძნები, თურქები, ასირიელები, პოლონელები, ოსები და აფხაზები. ოსურ და აფხაზურ ენებზე სკოლები შეიქმნა მხოლოდ დაბალი კლასებით. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის, უეჭველია, ძნელი იყო განათლების საქმის სათანადო ორგანიზაცია. მწვავედ იგრძნობოდა, როგორც კადრების, ასევე სასკოლო შენობების ნაკლებობა. ხშირად სასკოლო შენობები მოთავსებული იყო მათთვის შეუფერებელ შენობებში. მაგ., სამხრეთ ოსეთში სკოლა მოთავსებული იყო საჯინბოში, აფხაზეთში ეკლესიებსა და ხშირ შემთხვევებში მღვდლის ბინაში. არც პედპერსონალი იყო მომზადებული სკოლაში სამუშაოდ. მასწავლებელთა შორის ბევრი იყო შინაური, დაბალი განათლებით, იყვნენ ისეთი მასწავლებლებიც, ძლივს რომ ფლობდნენ გამრავლების ტაბულას. ასეთივე მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს რაიონებში: აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში. მასწავლებელთა შორის ბევრნი იყვნენ ყოფილი ოფიცრები, ბეგები, სასულიერო პირები. დაბალი იყო პარტიული და კომკავშირული ფენა. მუშაობას ნაციონალურ უმცირესობას შორის ართულებდა ისიც, რომ ისინი იყვნენ სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევრები. მათ შორის ძირითადი იყო: რუსული — მართლმადიდებლური,

<sup>66</sup> საქ. ცპა, ფ. 14, ანაწ. I, ნაწ. II, საქმე 2739, ფურც. 430, 1928.

სომხური — გრიგორიანული, კათოლიკური, ლუთერანული, მუსულმანური, იუდაველთა და სხვ. სუსტი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გავლენა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა უცოდინარობის ლიკვიდაციას პარტიის წევრთა შორის, კომკავშირლებსა და წითელ არმიასში, სადაც ეს ციფრი განსაკუთრებით მაღალი იყო. მაგ., ბორჩალოს კომუნისტებში უსწავლელთა რიცხვი უდრიდა თურქ კომუნისტებში — 24,3%, კომკავშირლებში — 35%, სომეხ კომუნისტებში — 11%, კომკავშირლებში 15,2%. ახალციხის პარტორგანიზაციაში თურქ კომუნისტებს შორის — 34,2%, კომკავშირლებში — 55,9%. უფრო მძიმე მდგომარეობა იყო სხვა ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებში.

მრავალფეროვანი იყო ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ძირითადი ადგილი ამ მუშაობაში ეკავა სახალხო განათლების საქმეს, რომელიც საკმაოდ კარგად მიდიოდა. მაგ., 1925—26 წლებში ეროვნულ უმცირესობათა შორის ყველა ტიპის და საფეხურის სკოლების რიცხვი რესპუბლიკაში (გარდა ავტონომიური ოლქებისა) უდრიდა 390, სადაც 55000 ბავშვი სწავლობდა<sup>67</sup>. 1926—27 წლებში მათმა რიცხვმა მიაღწია 359, ხოლო 1927—28 სასწავლო წელს რკინიგზის სკოლების ჩათვლით აღწევდა 398, სადაც უკვე 60.000 ბავშვი სწავლობდა. ქალაქად, ნაციონალურ უმცირესობათა შორის, აღნიშნული საბჭო მოქმედებდა მუშათა კლუბების საშუალებით. მთავრობამ დააკანონა სწავლება ნაციონალურ უმცირესობათა ენებზე. აყალიბებდა სხვადასხვა სახის წრეებს. განსაკუთრებით მრავალად იქმნებოდა ასეთი წრეები ქალებისათვის, სადაც ისინი ეუფლებოდნენ წერა-კითხვას, ჭრა-კერვას, აგრონომიის ელემენტარულ წესებს და სხვ. მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ნაციონალურ უმცირესობათა შორის პოლიტიკური ცოდნის გავრცელებას. პოლიტ-საგანმანათლებლო სამუშაოები ნაციონალურ უმცირესობათა შორის (ავტონომიური ოლქების გამოკლებით) მიმდინარეობდა 57 ქობ-სამკითხველოში, 11 ბიბლიოთეკასა და 10 კლუბში, რომლებთანაც ვახსნილი იყო ბიბლიოთეკები<sup>68</sup>.

პარტიის საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლებს შორის ტექნიკური ცოდნის გავრცელება. 1927 წლისათვის საქართველოში იყო ორი ტექნიკუმი, სადაც სწავლება მიმდინარეობდა სომხურ და თურქულ ენებზე. 1. ქიმიური და 2 მუშფაკი სომხურ და რუსულ ენებ-

<sup>67</sup> საქ. სსრ მთავრობის 1925—26 წწ. მოქმედების ანგარიში, 1927, გვ. 247—248.

<sup>68</sup> საქ. ორცისა, დ. 284. ანაწ. I. საქმე 1083, ფურც. 47—49, 50—52, 1927,

ზე. გასაგებია, რომ ამ სასწავლებლების გარდა ნაციონალურ უმცირესობათა ბავშვები სწავლობდნენ სხვა ტექნიკუმებშიც. 1926—27 წლისათვის ყველა პროფ-ტექნიკუმში სწავლობდა 3420 მოსწავლე. აქედან: რუსი ეროვნების — 113, სომეხი — 218, თურქი — 65, ებრაელი — 15, ოსი — 7, ბერძენი — 5, გერმანელი — 22, სხვათა წარმომადგენელი 12<sup>69</sup>. ამავე დროს, საქარხნო სკოლებში სწავლობდა 542 კაცი. გახსნილი იყო სხვადასხვა სახის კურსები — საბუღალტრო, სანიტარული და სხვ. 1926—27 წლებში ასეთი სახის სკოლებში განათლებას ღებულობდა 20003 მოსწავლე. ამავე დროისათვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მუშფაკი, კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია) ირიცხებოდა 9853 სტუდენტი, რომელთა შორისაც ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლებზე მოდიოდა 30%<sup>70</sup>.

ჩვენს მიერ დასახელებულ რაიონების მცხოვრებთა შორის ამ დროისათვის განსაკუთრებით ძლიერი იყო მუსულმანური რელიგიის გავლენა, რომლის მსახურებმაც საკმაოდ გამოაცოცხლეს თავიანთი საქმიანობა. თუ მართლმადიდებლური მრევლის ეკლესიები თანდათანობით მცირდებოდა, აქ კი პირიქით ხდებოდა. საქართველოში ამ დროისათვის არც ერთი მეჩეთი არ იყო დახურული. პირიქით, ოციანი წლების ბოლოს ახალციხეში აშენდა 3 ახალი მეჩეთი, დაგეგმილი იყო კიდევ 2 მეჩეთის მშენებლობა. მუსულმანურმა სარწმუნოებამ გამოაცოცხლა თავისი საქმიანობა საბჭოთა სასკოლო განათლების წინააღმდეგ. ვააფართოვს თავიანთი გავლენის წრე მედრესებმა. ამ დროის სასულიერო სასწავლებლები (მედრესები) მოქმედებდნენ მუსულმანური მოსახლეობის თითქმის ყველა რაიონში. მუსულმანური სარწმუნოებისათვის ახალი კადრი მზადდებოდა აჭარაში. ზოგიერთი ცნობით, ამ დროს აქ სწავლობდა 160 ბავშვი. ამის გარდა, აჭარაში მოქმედებდა 147 მედრესი — რელიგიური სკოლა, სადაც განათლებას ღებულობდა 4000 ბავშვი. ეს იმ დროს, როდესაც აჭარაში იყო მხოლოდ 117 საბჭოთა სკოლა, სადაც 6880 ბავშვი სწავლობდა. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ამ სკოლათა და მათში მოსწავლეთა რაოდენობა ძირითადად ქ. ბათუმზე მოდიოდა<sup>71</sup>.

ახალციხეს, აჭარასა და ბორჩალოში რელიგიურ განწყობას ზრდიდა თურქეთიდან გადმოსული მოლა-მჭადაგებელთა საქმიანობა. გადმოსულ მოლა-მჭადაგებლების ირგვლივ თავს იყრიდა საბჭოთა ხელისუფლებისაგან განაწყენებული კლასების წარმომადგენლები — კულაკები, ბეგები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები. ყოველივე ეს ერ-

69 იქვე. 1928.

70 საქ. ორცსია, გ. 284, ანაწ. I, საქ. 1083, ფურც. 47—49, 50—52, 1927.

71 იქვე. საქმე 207, ფურც. 10—19, 1928.

თობ აწნელებდა ამ რაიონებში ანტირელიგიური პროპაგანდის ორგანიზაციას. მიუხედავად ამისა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების თავდადებული შრომის შედეგად ჩვენმა ხალხმა იხეიმა პირველი, მართალია ჭერ მცირე, გამარჯვება ანტირელიგიური პროპაგანდის დარგში. 1928 წელს, მუსულმანთა შორის, პირველად ჩატარდა ანტირელიგიური ღონისძიება ყურბან-ბაირამისა, მაგაროაამისა და შაჰსეივაჰსეის წინააღმდეგ. აჭარის ქალთა ნაწილში მოიხსნა ჩადრი, საქაოდ შემცირდა რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეთა რაოდენობა.

ოციან წლებში განსაკუთრებით გამოცოცხლდა სექტანტების ანტისაზოგადოებრივი საქმიანობა. საგრძნობლად ვაძლიერეს თავიანთი გავლენა ახალგაზრდობაზე დუხობორებმა. სულ. ქაქართველოში ყველა სექტა ითვლიდა დაახლოებით 20000 კაცს. განსაკუთრებით იზრდებოდა ბაბტისტებისა და ევანგელისტ-ქრისტიან სექტანტების რიცხვი ქალაქად<sup>72</sup>.

იზრდებოდა სექტანტების რიცხვი აფხაზეთში. მაგ., სოფ. გნაიტებურგში (გერმანელთა სოფელი იყო) ადგილობრივი კულაკის, მეფისდროინდელი სტარშინის, ახლა კი ლუთერანული მღვდლის ინიციატივით შეიქმნა ბაბტისტთა სექტა, რომელშიც გაერთიანდნენ არა მარტო ლუთერანული ეკლესიის მიმდევრები, არამედ სომხებიც, ესტონელები, ბერძნები, აფხაზები და სხვ. სულ მოკლე დროში ამ სექტაში გაერთიანდა მოსახლეობის 50% მეტი. მართალია, ამ სექტაში ზალე, წარმოიშვა უთანხმოება და ნაწილი გამოვიდა კიდევაც მისი შემადგენლობიდან, მაგრამ სექტანტები ზოგიერთ შემთხვევაში კიდევ მოქმედებდნენ ორგანიზებულად. მორწმუნეთა გადმობირების მიზნით, ისინი მიმართავდნენ მათ მოსყიდვას, დაშინებას და სხვ. ზოგიერთ შემთხვევაში სექტანტები მაინც გამოდიოდნენ საბჭოთა კანონმდებლობის წინააღმდეგ. მაგ., ახალქალაქის მაზრის დუხობორები გამოდიოდნენ მიწის რეფორმისა და ქონების აღწერის წინააღმდეგ. თავიანთ ახალგაზრდებს მოუწოდებდნენ უარი ეთქვათ სამსახურზე საბჭოთა არმიაში, გამოდიოდნენ უკოდინარობის ლიკვიდაციის წინააღმდეგ. სექტანტების მესვეურთა გავლენით შეცდენილი ღარიბები გამოდიოდნენ მათ სოფლებში პარტიული და საბჭოთა მმართველობის ორგანოების შექმნის წინააღმდეგ, სკოლების შექმნისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს უცხადებდნენ პროტესტს. საბჭოთა ღონისძიებებს, ხალხთა გადაბირების მიზნით, სექტანტები უპირისპირებდნენ თავიანთ ღონისძიებებს, ისინი გეგმავდნენ სხვადასხვა კულტურულ გართობებს. მაგ., გორელოეს და სხვა მიმდებარე სოფლების სექტანტებმა ჩამოაყალიბეს მუსიკალური წრეები, ორგანიზაციას უკეთებდნენ ბავშვთა საღამოებს, სადაც მათ ურიგებდნენ სა-

72 საქ. ორცისა, ფ. 284, ანაწ. 207, ფურც. 10—19, 1929.

ჩუქრებს. ეწყობოდა საღამოები მოზრდილთათვის. მაგ., „მთვარიანი ლამეები“, „ქალიშვილის კოცნა“, „სიყვარულის საღამოები“, „მეი-ხანი“ (მუსულმანებთან) და სხვ. აღსანიშნავია, რომ სექტანტებს შორის 1921 წელს გაიხსნა 41 ახალი სამლოცველო<sup>73</sup>.

სექტანტურმა მოძრაობამ, ამ დროისათვის ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ მიზანშეწონილად მიიჩნია განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება. დაევალა ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს გაეძლიერებინათ თავიანთი საქმიანობა რელიგიური სექტანტების წინააღმდეგ, გამოენახათ ახალი ფორმები და მეთოდები ანტირელიგიური პროპაგანდისა და სხვ. 1927 წელს (10—13 ივნისი) შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მდგომარეობა. პლენუმმა აღნიშნა, რომ სექტანტებს შორის სუსტად მიმდინარეობდა ან ზოგიერთ რაიონში სრულიად არ წარმოებდა ანტირელიგიური პროპაგანდა. შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად პარტია მოითხოვდა ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერებას<sup>74</sup>.

1930 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ სხდომაზე მოისმინა კომისიის მოხსენება ახალქალაქის მაზრის დუხობორთა შორის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ამ მხარეში, რთული სპეციფიკური პირობების გამო, საგრძნობლად გააძლიერეს თავიანთი გავლენა მოსახლეობის ფართო მასებზე სექტანტებმა. დაბალი იყო ამ მხარის კულტურული მდგომარეობა. ამ დროისათვის დუხობორებში მოსახლეობის 92% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მათ შორის თითქმის არ იყვნენ პარტიისა და კომკავშირის წევრები. საგრძნობლად სუსტი იყო და თითქმის არ იგრძნობოდა პარტიული და საბჭოთა აქტივის მუშაობა ღარიბთა ორგანიზაციისა და დარაზმვის საქმეში. ცენტრალური კომიტეტი მიუთითებდა ახალქალაქის პარტიულ ორგანიზაციას გადახრებზე ანტირელიგიური მუშაობის სფეროში, ამ საქმეში მკაცრ ადმინისტრირებაზე. პარტიული ორგანიზაციების ასეთი შეცდომებით სარგებლობდნენ კულაკები, ანტისაბჭოთა ელემენტები და ზოგიერთ შემთხვევაში ორგანიზაციას უწყობდნენ ანტისაბჭოთა გამოსვლებსაც კი, აძლიერებდნენ თავიანთ გავლენას მოსახლეობის ღარიბ და საშუალო ფენებზე. სარგებლობდნენ რა შექმნილი მდგომარეობით, კულაკები გამოდიოდნენ დუხობორთა სექტის დამცველად, ნაციონალური ინტერესების სა-

73 საქ. ორცისა, ფ. 284, საქმე 207, ფურც. 10—19, 1929.

74 საქართველოს კ. რეზოლუციებსა, დადგენილებებსა. გვ. 243.

დარაჯოზე და სხვ. როგორც ვიცით, მათი ასეთი საქმიანობის შედეგი იყო ე. წ. „დუხობორთა ამბავი“.

ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მთელი რიგი ღონისძიებების გაძლიერების შესახებ ამ მხარეში საბჭოთა ორგანიზაციების როლის გამაგრებისათვის. რათა აღმოფხვრილიყო დარღვევები სექტანტებთან მუშაობის დროს და არ მომხდარიყო ამ დარგში პარტიის მითითებების დარღვევა, ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა ახალქალაქის სამაზრო კომიტეტს: სექტანტებს შორის ანტირელიგიური კამპანიების ჩატარების დროს არ დაეშვათ აღმინისტრირება და დუხობორთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა. ანტირელიგიური პროპაგანდის დროს ძირითადი სიმძიმე უნდა გადაეტანათ ქობსამკითხველოებსა და სკოლებზე. უნდა ჩამოყალიბებულიყო წრეები ბუნების მოვლენათა მატერიალისტურად ახსნისათვის და ა. შ. ფარდა უნდა აეხადათ კულაკური ელემენტების ანტისაზოგადოებრივი საქმიანობისათვის, რომლებიც, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ექსპლოატაციას უწევდნენ მორწმუნეთა გრძნობებს, იყენებდნენ მას თავიანთ ინტერესებისათვის. სხვა პუნქტებში პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყურადღებას ამახვილებდა შშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ამ მხარეში გასაგზავნ მასწავლებელთა შერჩევას. აქ უნდა გაეგზავნათ ისეთი ამხანაგები, რომლებიც კარგად იცნობდნენ დუხობორთა ზნე-ჩვეულებებს და შესძლებდნენ პარტიის დირექტივების ცხოვრებაში გატარებას. განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული ქალებთან მუშაობაზე. ამავე დროს, პარტიის მითითებით, საქართველოს სხვადასხვა სასწავლებლებში უნდა გამოყოფილიყო ადგილები დუხობორებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პიონერებსა და კომკავშირლებთან მუშაობას, საქიმო პუნქტის მშენებლობას გორელოეში და სხვ.<sup>75</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ წლებში ნაციონალურ უმცირესობათა დიდ ნაწილში ფართოდ იყო გავრცელებული რელიგიური გადმონაშთები და ცრუ-რწმენები. ჯერ კიდევ ბატონობდნენ გვაროვნულ-პატრიარქალური ყოფისათვის დამახასიათებელი ადათ-წესები: კალიში (ჩალის გაყიდვა და შესყიდვა), ჩადრის ტარება, მრავალჯოლიანობა, მცირეწლოვანთა გათხოვება, სისხლის აღება, ბეშიკ-კარდიმა (აკვანში დანიშვნა), სეგი (დროებითი ქორწილი თურქებთან), რიტუალური აბა-ზანა ქალთა განბანვისათვის (მიქვე), შაბათი დღე ქართველ ებრაელობისათვის, საბახტა (ფულის შეგროვება ასირიელებთან ახლად შეუღლებულთა სასარგებლოდ), ბილთა-ბათთინ (ტურქების აკვრა), ვაისადინ

<sup>75</sup> საქ. პარტ. არქივი, ტ. 14, ანაწ. I, ნაწ. III, საქ. 3492. ფურც. 92—93, 1930—1932.



(ფეხზე დგომა), ხისტი (ქელეხი) ოსებში, ქალის მოტაცება ქურთებთან და მრავალი სხვ.

ერუ რწმენებისა და რელიგიურობის გავლენა დიდია აგრეთვე პარტიულ-კომკავშირულ და საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებზე, რომელთაგანაც ბევრი იხდიდა ნათლობას, ემთხვეოდა მღვდლის ხელს, დაკრძალვის დროს სარგებლობდა მღვდლის სამსახურით. ბევრი მათგანი ფარავდა კიდევაც სასულიერო პირების ანტი-საზოგადოებრივ საქმიანობას, უადიოდა მეჩეთში ან ეკლესიაში, ასრულებდა რელიგიურ რიტუალს, ბავშვებს ასწავლიდა მედრესში და სხვ. რელიგიური რიტუალების შესრულებისათვის 1929 წელს კომკავშირის რიგებიდან გარიცხეს 50 კომკავშირელზე მეტი<sup>76</sup>.

1928 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის და პიონერთა ცენტრალური ბიუროს მოხსენება ნაციონალურ უმცირესობაში ახალგაზრდებს შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს ყურადღება უნდა გამამხვილებინა ახალგაზრდობის ანტირელიგიურ აღზრდაზე, განსაკუთრებით სექტანტ ახალგაზრდობაში<sup>77</sup>. ამავე წლის აპრილში პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დაამტკიცა დებულება ეროვნულ უმცირესობათა კომისიების შესახებ. ამ კომისიების მიზანი იყო ეროვნულ უმცირესობათა შორის წარმოებულ მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება. ამავე დადგენილების თანახმად, საოქმო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტებთან სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებთან არსებობდა ეროვნულ უმცირესობათა შორის მუღმივმოქმედი კომისიები. უპირატესად ეს კომისიები არსდებოდა ამ ადგილებში, სადაც ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობდნენ<sup>78</sup>.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ღონისძიებები მიმართული ნაციონალურ უმცირესობათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობისა და უკულტურობის ლიკვიდაციისაკენ თვითმიზანს კი არ შეადგენდა, არამედ პირდაპირ კავშირში იყო ახალი საზოგადოების მშენებლობასთან. კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანი თავისუფალი უნდა ყოფილიყო ერურწმენებისა და რელიგიის გავლენისაგან. აქედან გამომდინარე, ჩვენი პარტიის ღონისძიებები მოსახლეობის განათლებისათვის პირდაპირ უკავშირდებოდა მათ განთავისუფლებას ეკლესიისა და რელიგიის ბატონობისაგან. 1930 წელს საქართველოს პარტი-

76 საქ. ოქცია, დ. 284, საქმე 207, ფურც. 10—19; 1929.

77 საქ. პარტ. არქივი, დ. 14, ანაწ. 1, ნაწ. 11, საქ. 2740, 1928.

78 საქ. ცბა, დ. 14, ანაწ. 1, ნაწ. 11, საქმე 2739, 1928.

ულმა თათბირმა მოისმინა მოხსენება ნაციონალურ უმცირესობათა შორის მუშაობის შემდეგი პერსპექტივების შესახებ. ამ თათბირმა შეაჯამა ნაციონალურ უმცირესობათა შორის ჩატარებული მუშაობა და აღნიშნა, რომ მიუხედავად მუშაობაში არსებული ნაკლებანებებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამეურნეო-კულტურულ სფეროში, რაც ძირითადად გამოიხატებოდა მოსახლეობის უმეტესობაში რელიგიური ფანატიზმისა და პატრიარქალურ-გვაროვნული ყოფისათვის დამახასიათებელი გადმონაშთების სიძლიერით, შეიმჩნეოდა მიღწევებიც. კერძოდ, საბჭოთა წყობილების არსებობის მანძილზე გაიზარდა მოსახლეობის სამეურნეო კეთილდღეობა, განვითარდა საკოლმეურნეო წყობილება, ფეხი აიდგა ადგილობრივმა მრეწველობამ. საგრძნობლად გაფართოვდა სასკოლო დაწესებულებათა ქსელი, მოხდა უცოდინარობის ლიკვიდაცია, გაიზარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი.

თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, სადაც მითითებულია კონკრეტული წინადადებები ნაციონალურ უმცირესობათა შორის შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებაზე.

ამავე დადგენილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ნაციონალურ უმცირესობათა შორის უნდა გაძლიერდეს და მეტი ყურადღება დაეთმოს ღონისძიებებს მავნე ცრურწმენებისა და რელიგიური გადმონაშთების აღმოსაფხვრელად. თათბირმა გაითვალისწინა შეცდომები, რომელიც დაშვებული იყო ამ დარგში და დასახა მისი გამოსწორების გზები.

პარტიულმა თათბირებმა მიუთითა სექტანტური მოძრაობის გაძლიერებაზე და მიზანშეწონილად ჩათვალა „ძველი ყოფისა და რელიგიის წინააღმდეგ“ ბრძოლის მხოლოდ პროპაგანდისტული საშუალებები. პროპაგანდისტებს უნდა ეჩვენებინათ, განემარტათ მოსახლეობისათვის ეკლესიისა და რელიგიის კლასობრივი არსი, ანტირელიგიური პროპაგანდიდან მთლიანად უნდა ამოღებულიყო ძალდატანების მეოთხედი და მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფის შემთხვევები.

როგორც აღვნიშნეთ, ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდის ორგანიზაცია განსაკუთრებით რთული იყო მრავალეროვან რაიონებში, სადაც სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები ცხოვრობდნენ. ასეთ რაიონად ამ დროს ჩვენთან იყო ახალციხე და ბორჩალო. ახალციხეში ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდით: ქართველები, სომხები, თათრები, რუსები, ებრაელები, ქურთები; და სხვ. ამ მრავალეროვან მოსახლეობაში 96% უცოდინარი იყო. სუსტი იყო პარტიული ფენა. კომუნისტებისა და კომკავშირლების რიცხვი არ აღემატებოდა 327. ამათგან, წერა-კითხვის უცოდინარი იყო 42, მცირემცოდნე — 56, დაბალი განათლებით — 10, საშუალო განათლებით — 15, უმაღლესი განათლებით — 3. ამავდროს საკმაოდ სუსტად იყო დაყენებული კულტუ-

რულ-სავანმანათლებლო მუშაობა, რაიონი განიცდიდა სკოლების ნაკლებობას. ძლიერი იყო ეკლესიის გავლენა. ამ დროისათვის ახალციხის მაზრაში იყო 66 მეჩეთი, 51 ეკლესია, 2 სინაგოგა, სულ მაზრაში იყო 119 სასულიერო დაწესებულება<sup>79</sup>, რომლებსაც ემსახურებოდა 125 მღვდელი და მოლა. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის მსახურთა დასახელებული რაოდენობიდან სოფელზე მოდიოდა 117. სოფელი ამ დროს წარმოადგენდა იდეოლოგიური ბრძოლის ყველაზე რთულ უბანს. ამ დროის სოფლის მოსახლეობის რელიგიურ აღზრდას ემსახურებოდა (ახალციხის მაზრაში) — 93 მოლა, 15 გრიგორიანი მღვდელი, 4 ქართველი მღვდელი, 5 კათოლიკე. თვითონ ქალაქ ახალციხეში ამ დროს იყო 3 გრიგორიანი, 2 ქართველი კათოლიკე მღვდელი და 1 რაბინი.

ახალციხის მაზრაში ყველაზე ძლიერი იყო მუსულმანური რელიგიის გავლენა, რასაც ხელს უწყობდა სასულიერო პირთა — მოღვების დიდი რაოდენობა. მოღვების პოზიციას ისიც ამაგრებდა, რომ ისინი ამ დროს აქ ყველაზე განათლებულნი იყვნენ. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც თემსაბჭოს წევრი (წერა-კითხვის უცოდინარი) მოლას მიმართავდა წაეკითხა რომელიმე ოფიციალური საბუთი ან ცირკულარი. ხშირად მოლა გლეხობას იმავე თემკომის თხოვნით უკითხავდა გაზეთს და არც ისე იშვიათი იყო როდესაც იგი თავისი პოზიციებიდან განუმარტავდა წაკითხულს. სარწმუნოების გავლენასა და ძლიერებაზე მიუთითებს ისიც, რომ ისევ შენდებოდა ახალი მეჩეთები. 1923—1925 წლებში შეკეთდა ძველი მეჩეთებიც. ფულს მეჩეთების შესაკეთებლად აგროვებდნენ მოსახლეობაში შეწირულების სახით. რომელიმე ღონისძიების ჩატარების საშუალებას მოღვები მოსახლეობას აცნობდნენ სოფლის ყრილობებზე, რომლებსაც ისინი იწვევდნენ, ან წერილობითი მოწოდებებით. ეს მშენებლობები მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევებოდა. მაგ., ადიგენში მეჩეთის მშენებლობა (ქვისა და ხე-ტყის გარეშე) დაჯდა 1500 მანეთი. მშენებლობა დამთავრდა 1927 წელს. ამავე თემის სოფელ ფიატაში (?) (პიატა?) ამავე საქმისათვის დაიხარჯა 2500 მანეთი. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ხშირად მეჩეთი უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე სკოლის ან ქოხ-სამკითხველოს შენობა. ახალციხეში რელიგიის სიძლიერეზე მიგვიითითებს აგრეთვე მუსულმანთა სასულიერო საწავლებლების — მედრესების რაოდენობა. სასკოლო ასაკის (8—14 წლამდე) ბავშვების 80%, როგორც წესი, სასწავლებლის გარეშე რჩებოდა. ამ ბავშვების მეტ ნაწილს მშობლები აგზავნიდნენ მოღვებთან, რომლებიც წერა-კითხვასთან ერთად მათ ასწავლიდნენ რელიგიურ წესებს, ყურანსა და სხვ. მაზრაში მოღვების მოსამზადებლად დაარსებული იყო არაოფიციალური სასწავლებლები, სადაც ისწავლებოდა არაბული ენა, ლოგიკა, რიტორიკა და ყურანი.

<sup>79</sup> საქ. ორცისი, ფ. 1547, ანაწ. 1, საქმე 2, ფურც. 10, 14.

ხშირად მოლები კულაკობასთან ერთად გამოდიოდნენ სახელმწიფო ღონისძიებების წინააღმდეგ და იშვიათი არ იყო ამ ღონისძიების ჩაშლა ან შეფერხება. ხშირი იყო შემთხვევები მუსულმანურა და კათოლიკე გრიგორიან სასულიერო პირთა ერთობლივი თანამშრომლობისა. მაგ., 1928 წელს სოფ. ჩარილში (?) მთავრდებოდა მეჩეთის შენობა, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სომეხ გრიგორიანთა ეკლესია. მან ფულიც კი გამოალებინა მოსახლეობას ამ საქმისათვის. სომხურ-გრიგორიანული ეკლესია ასეთ აქციას ამართლებდა იმიტომ, რომ „ყველა ხალხისათვის ღმერთი ერთია“<sup>80</sup>.

ახალციხის მაზრაში შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა ჩარევას და ამიტომაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ 1929 წელს თავის სხდომაზე მოისმინა „კომისიის მოხსენებები ახალციხის ორგანიზაციის მიერ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ“<sup>81</sup>.

როგორც მოხსენებიდან ჩანს, ახალციხის მაზრაში მოლების წარმატება აიხსნება პარტიული ორგანიზაციის სისუსტით, რომელსაც არ შეეძლო ეწარმოებინა შეტევათი ბრძოლა. ამ მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ მოლებმა უფრო გააქტიურეს ანტისაზოგადოებრივი და ანტისაბჭოთა საქმიანობა. ისინი გამოდიოდნენ მოსახლეობის წინაშე მოწოდებით, არ შეხებოდნენ სხვის ქონებას. მოლები, სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებთან ერთად, გააფთრებით იბრძოდნენ საბჭოთა კანონების ცხოვრებაში განხორციელებისა და კოლექტიური მეურნეობების შექმნის წინააღმდეგ. ისინი მოუწოდებდნენ ღარიბ გლეხობას: „ყურანში ნათქვამია, წართმეული მიწა და საერთოდ წართმეული ქონება და მისი გადაცემა ერთი ადამიანიდან მეორისათვის არის ცოდვა“ ან „ჩვენ, ჩვენ ხალხთან ერთად, ყოველ დროს მზადა ვართ გამოვიდეთ კოლმეურნეობების წინააღმდეგ, თუნდაც ამისათვის მოგვიხდეს ბრძოლა“. ან კიდევ, „საბჭოთა მთავრობა რომ არ ავიწროებდეს ჩვენს რწმენას და არ აყალიბებდეს კოლექტივებს, ჩვენ სხვა საქმეში დავემორჩილებოდით, მაგრამ თუ საბჭოთა ხელისუფლება გააგრძელებდა აღებულ კურსს, ისინი არ აპირებდნენ იარაღის დაყრას“<sup>82</sup>.

რელიგიის გავლენის შენარჩუნებას ამ მაზრაში ხელს უწყობდა აგრეთვე სკოლების სიმცირე. აქ მათი გავლენა თითქმის არ იგრძნობოდა. ახალციხის მაზრის 200 სოფელზე, რომლებშიც თურქები ცხოვრობდნენ, მოდიოდა 40 სკოლა და 56 მასწავლებელი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ პარტიულ-კომკავშირულ და სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლებთან შედარებით მოლებს ხალხთან

<sup>80</sup> საქ. ცბა, ფ. 14, ანაწ. 1, ნაწ. II, საქმე 3164, ფურც. 132, 1929.

<sup>81</sup> იქვე.

<sup>82</sup> საქ. პარტ. არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, ნაწ. II, საქ. 3164, ფურც. 142, 1929.

მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. სამლოცველოები სკოლებთან შედარებით უკეთესად იყო მოწყობილი. მათი პოლიტიკაც უფრო მოქნილი იყო. მაგ., მუსულმანი სასულიერო პირები იბრძოდნენ ახალი ალფაბეტის შემოღების წინააღმდეგ. მაგრამ, როცა შეამჩნიეს, რომ ამ ღონისძიებას წინ ვერ აღუდგებოდნენ, მათ პირველებმა მოკიდეს ხელი მის შესწავლას და არა მარტო თვითონ, არამედ ოჯახის ახალგაზრდა წევრებსაც ავალდებულებდნენ ესწავლათ. მეჩეთის ავტორიტეტისა და ვავლენის გაზრდის მიზნით, ისინი ხშირად სცვლიდნენ მოქმედების ტაქტიკას. მუსულმან ქალს 45 წლამდე უფლება არ ჰქონდა შესულიყო მეჩეთში. მათ მხოლოდ მოლის სახლში მისვლის უფლება ჰქონდათ. შექმნილ ვითარებაში მოლებმა გაითვალისწინეს ქალის მდგომარეობა ოჯახში, მისი როლი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში და მათ ნება დართეს ქალს ევლო მეჩეთში.

ხშირად საქართველოს სხვადასხვა მხარის მუსულმანთა სასულიერო პირები ცდილობდნენ ერთიანი ბლოკი შეეკრათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რისთვისაც ერთმანეთთან ამყარებდნენ დანაშაულებრივ კავშირს. ასეთივე კავშირის დამყარების ცდები ჰქონდათ მათ ჩრდილო კავკასიის მუსულმან სამღვდელელოებასთან<sup>83</sup>.

ახალციხის მაზრის ხუთწლიანი გეგმით სახალხო განათლებისათვის გამოყოფილი იყო 1302219 მანეთი, რაც სამაზრო კომიტეტის ბიუჯეტის 30%-ს შეადგენდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროს ახალციხის მაზრის 206 სოფელში სულ 59 სკოლა მოქმედებდა. ახალციხის მაზრაში სასკოლო ასაკის ბავშვთა საერთო რაოდენობა უდრიდა (8—14 წლამდე) 15292 კაცს. ამათგან, სკოლაში სწავლობდა მხოლოდ 4350, დანარჩენი 10942 ბავშვი კი სკოლის გარეშე იყო დარჩენილი. სკოლის გარეშე დარჩენილი ბავშვების უმეტესობა მედრესში სწავლობდა<sup>84</sup>. ქალაქის მცხოვრებთა შორის უცოდინართა რიცხვი შეადგენდა 56%. სოფლად წერაკითხვის მკოდნეთა რიცხვი მერყეობდა 3—4% შორის. თანხები ქალაქად და სოფლად უცოდინრობის შესამცირებლად ყოველწლიურად იზრდებოდა. მაგ., თუ 1923—24 წლებში განათლებაზე გამოყოფილი თანხა შეადგენდა სამაზრო კომიტეტის საერთო ბიუჯეტის გააჯლის 8,8%, 1925—26 წლებში ამ თანხამ მიაღწია 26,4%<sup>85</sup>. 1928—29 წლებში კი ის უკვე უდრიდა 29,9%<sup>85</sup>. ამავდროს საკმაოდ დიდი იყო ხარჯები, რომელსაც მოსახლეობა იღებდა მუსულმანი სასულიერო პირების შესანახად.

<sup>83</sup> იქვე.

<sup>84</sup> იქვე.

<sup>85</sup> საქ. ორცისა, ფ. 1547, ანაწ. 1, საქმე 2, ფურც. 10—14, 1929.

წიუხედავად მუშაობის ასეთი რთული პირობებისა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია მრავალ ღონისძიებას ატარებდა ანტირელიგიური და ათეისტური სამუშაოების გაუმჯობესებისათვის, მოსახლეობის გამოსაყვანად არსებული ჩამორჩენილობიდან. 1929 წელს სამაზრო პარტიულმა კომიტეტმა შეადგინა ანტირელიგიური ღონისძიებების ვრცელი პროგრამა, რომელიც 80—90%—ით შესრულდა. ახალციხეში ჩამოყალიბდა 3 ანტირელიგიური უჯრედი, მაგრამ მათ ზაფხულში შეწყვიტეს თავიანთი საქმიანობა. უღმერთოთა კავშირის ჩამოყალიბება კი ვერ მოხერხდა.

ანტირელიგიური პროპაგანდის უკეთ დაყენების მიზნით, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასაბა ღონისძიებების ვრცელი გეგმა უპირველეს ყოვლისა, ახალციხის რაიონში უნდა გაფართოებულყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, სკოლების, კლუბებისა და ქოხ-სამკითხველოების რიცხვი. ადგილობრივ ხელისუფალთ მიეთითათ, სასულიერო პირებს არ დაებეგრათ მოსახლეობა.

მოქმედება შეწყვიტა მედრესების ნაწილმა. შეიქმნა აქტივა, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა და უხელმძღვანელებდა ანტირელიგიური წრეებისა და უჯრედების ჩამოყალიბებას. მთელი ანტირელიგიური მუშაობა უნდა გატარებულიყო კლუბების, ქოხ-სამკითხველოებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით. ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩაებათ მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, პარტიულ-კომკავშირული აქტივი. სამაზრო კომიტეტს დაევალა შეესწავლა სასულიერო პირების ეკონომიკური მდგომარეობა. ჩამოერთმიათ მათთვის ზედმეტი ნაკვეთები და გადაეცათ ისინი ღარიბებისათვის.

ასეთივე რთული უბანი ანტირელიგიური მუშაობის სფეროში იყო ბორჩალოს მაზრა, სადაც ამ წლებში საგრძნობლად გამოცოცხლდა მიურიდთა მოძრაობა. 1927 წელს აღნიშნული საკითხი განიხილა ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, რომელმაც საჭიროდ სცნო მთელი რიგი ღონისძიებების გატარება. კერძოდ: ანტირელიგიური პროპაგანდა დაუკავშირა კომკავშირულ მუშაობას. აღირიცხა ის კომკავშირეები, რომლებიც ხარჯს უხდიდნენ რელიგიას. დამყარდა კავშირი ბაქოს „უღმერთოთა საზოგადოებასთან“, რომლებსაც ამ დროს მუსულმანურ სარწმუნოებასთან ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა. გაფართოვდა მოძრავი სკოლებისა და პოლიტწრეების ქსელი, რომელთა მუშაობის გეგმებშიც შეტანილი უნდა ყოფილიყო ანტირელიგიური მუშაობის ციკლი.

მხედველობაში მიიღო რა მაზრის თავისებურება (რელიგიის ძლიერი გავლენა, მიურიდთა სექტის არსებობა), ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა სპეციალური კურსების დაარსება, რომელიც

წარმართავდა უღმერთოთა წრეების მუშაობას. პირველ რიგში ასეთ წრეებში უნდა ჩაბმულიყვნენ პარტიისა და კომკავშირის წევრები. რო- როგორც ყველგან საქართველოს რაიონებში, აქაც ანტირელიგიური მუ- შაობა მიმდინარეობდა პოლიტგანათლების პუნქტებში, ქოხ-სამკითხვე- ლოებში და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სკოლებში. სისტემატურად გამოდიოდა ანტირელიგიური ფურცე- ლი. რელიგიური დღესასწაულის დღეებში პარტიული და კომკავში- რული ორგანიზაციების აქტივისტები მასებში უნდა გამოსულიყვნენ ლექცია-მოხსენებებით, გაეწიათ ორგანიზაცია მოსახლეობის კულტუ- რული დასვენებისათვის. დიდი ადგილი ეკავა ამ დღეობების დროს ხალხური თვითშემოქმედების ჩვენებას. პარტიის ცენტრალურ კომი- ტეტთან არსდებოდა ანტირელიგიური კომისია, რომელსაც უნდა წა- რემართა ანტირელიგიური პროპაგანდა საერთოდ და კერძოდ მუსულ- მანთა რაიონებში<sup>86</sup>. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით, გა- იზარდა მუშაობა მიურიდ ქალთა შორის, რომელთათვისაც შეიქმნა მოძრავი სკოლები და დაარსდა სპეციალური ჯგუფები. ამასთანავე დაარსდა ერთწლიანი კურსები მუსულმან მასწავლებელთა სასწრაფოდ მოსამზადებლად<sup>87</sup>.

ბორჩალოს რაიონის მოსახლეობის რელიგიურობის საკითხი 1928 წელს განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და მიიღო სათანადო დადგენილება აქ ანტირე- ლიგიური მუშაობის გაშლის შესახებ. დადგენილებაში აღნიშნული იყო „ანტირელიგიური პროპაგანდის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს რელიგიურ მიმართულებათა (მიუზრადეში, სექტები ბორჩალოს, კახეთსა და ახალქალაქის მაზრებში) წინააღმდეგ ბრძოლაზე<sup>88</sup>.

მეთრნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში ფარ- თოდ გაიშალა ანტირელიგიური სამუშაოები ავტონომიურ ოლქებში — ოსეთში, აჭარასა და აფხაზეთში. ამ დროისათვის განსაკუთრებით მძი- მე მდგომარეობა შეიქმნა აჭარაში. ანტირელიგიური პროპაგანდის- დარგში დაშვებულმა შეცდომებმა, ამ დარგში პარტიული ხაზიდან გადახვევამ, მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამის მთა- ვარი მიზეზი იყო ჩადრის მოხსნა და მედრესეების დახურვა. მედრე- სეების დახურვის გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს ცენტრალურ- მა კომიტეტმა 1924 წელს. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ არ-

<sup>86</sup> საქ. ცკა, ფ. 14, ანაწ. 1, საქმე 2257, ფურც. 248; საქმე 2258. ფურც. 278— 280, 1929.

<sup>87</sup> იქვე. საქმე 2257. ფურც. 247.

<sup>88</sup> იქვე, ანაწ. 1, ნაწ. 2, საქ. 2740, ფურც. 316, 1928.

სებითად მდგომარეობა არ შეცვლილა. სკოლები მაინც არ იყო დატვირთული. მაგ., სკოლაში, რომელიც გათვალისწინებული იყო 80 ბავშვზე, დადიოდა 20.

1929 წელს პლენუმმა კიდევ ერთხელ განიხილა აჭარის საკითხი და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. პლენუმმა აღნიშნა, რომ რელიგიური გადმონაშთებისა და ყოფაში შემორჩენილი მავნე წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის დროს ყოვლად დაუშვებელია აღმინისტრაციული ჩარევა, როგორც ფორმითაც არ უნდა იყოს ის. პლენუმმა უარყო აჭარის პარტიული ყრილობის გადაწყვეტილება ჩადრის მოხსნის შესახებ. შესაძლებლად მიიჩნია ამ მიმართულებით ერთხილი პროპაგანდის წარმოება და არა ლოზუნგებით (ძირს ჩადრი და სხვ.). პირველ რიგში ჩადრის მოხსნის მაგალითი უნდა ეჩვენებინათ პასუხისმგებელი პარტიული და კომკავშირული მუშაკების ოჯახის წევრებს<sup>89</sup>. ანტირელიგიური მუშაობის დარგში აჭარაში სხვა სახის დარღვევებსა და გადახრებსაც ჰქონდა ადგილი. 1925 წელს აჭარის იუსტიციის სახკომსაბჭოსთან შექმნილმა კომისიამ 25 ივნისის სხდომაზე განიხილა საკითხი აჭარაში უქმე და დასასვენებელი დღეების შესახებ და მიიღო კიდევაც სათანადო დადგენილება. ამის საფუძველზე აჭარაში უქმე დღეებად ცხადდებოდა:

ა) მუსულმანთა უქმეები: რამაზან ბაირამი — 1 დღე; ყურბან ბაირამი — 4 დღე; ლეი-დეი მიპრაჯ — 1 დღე; ლეი-დეი ბარათ — 1 დღე; ლეი-დეი რეალიბ — 1 დღე; ლეი-დეი ვერობ — 1 დღე; მევლუდა შერიფ — 1 დღე,

ბ) ქრისტიანული უქმეები: შობა — 1 დღე; ნათლისღება — 1 დღე; მირქმა — 1 დღე; აღდგომა 1 დღე; ამაღლება — 1 დღე; სულიწმინდის მოფენა — 1 დღე; ფერისცვალება — 1 დღე; მარიამობა — 1 დღე; ღვთისმშობლობა — 1 დღე; ჯვართ ამაღლება — 1 დღე; ტაძართ მიყვანა — 1 დღე.

გ) რევოლუციური უქმეები: ახალი წელი — 1 იანვარი; 1905 წ. 9 იანვარი და ლენინის ხსოვნის დღე; საქართველოს გასაბჭოების დღე — 25 თებერვალი; თვითმპყრობელობის დამხობის დღე 12 მარტი; პარიზის კომუნის დღე და აჭარისტანის გასაბჭოების დღე — 18 მარტი; ინტერნაციონალის დღე — 1 მაისი; პროლეტარული რევოლუციის დღე — 7 ნოემბერი; 26 ბაქოს კომისრის დღე — 20 სექტემბერი<sup>90</sup>.

ამავე დროს ამავე სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება პარასკევი ყველგან აჭარაში გამოცხადებულიყო დასვენების დღედ<sup>91</sup>. განიხი-

89 საქ. კპ. რევოლუციებსა..., გვ. 327—329. თბ., 1976.

90 საქ. პარტ. არქ., ფ. 14, ანაწ. 1, საქმე 1757; ფურც. 82, 1926.

91 იქვე.



ლა რა ეს საკითხი (1926 წ.) საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა მიუღებლად მიიჩნია მისი ცხოვრებაში გატარება და თხოვნით მიმართა აქარის სახკომსაბჭოს, უარეყო ის.<sup>92</sup>

ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხი შედარებით უკეთ იყო დაყენებული აფხაზეთში. ჯერ კიდევ 1927 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის სხდომაზე მოსმინა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობის ანგარიში, რომელმაც აღინიშნა ის ნაკლოვანებები და წარმატებები, რომლებიც გააჩნდა ამ სამუშაოებს. ამის შესახებ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება. საოლქო კომიტეტს მიეთითა, დაეწყო სამაზრო ცენტრებში უღმერთოთა უჯრედების შექმნა. უნდა შეესწავლათ პარტიის წევრებისა და კომკავშირლების დამოკიდებულების საკითხი რელიგიისა და ძველი წეს-ჩვეულებებისადმი. სისტემატურად უნდა დამუშავებულიყო ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხები აფხაზეთის ქართულ, რუსულ და აფხაზურ გაზეთებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერებას მოსწავლეთა შორის. საჭიროდ ჩაითვალა პროპაგანდისტების მომზადება პედაგოგიურ ტექნიკუმებში<sup>93</sup>.

1930 წელს შეიქმნა აფხაზეთის მებრძოლ უღმერთოთა კავშირი. ხოლო 1932 წელს კი შედგა I კონფერენცია, რომელზედაც აირჩიეს მებრძოლ უღმერთოთა აფხაზეთის საოლქო საბჭო. უღმერთოთა კავშირის შექმნამდე აფხაზეთში მოქმედებდნენ ცალკეული „უღმერთოთა“ უჯრედები. უღმერთოთა პირველი უჯრედი აფხაზეთში ჩამოყალიბდა 1925 წელს. ასეთივე უჯრედი გამოვიდა გალში ეკლესიების დახურვის ინიციატორად. აქ 1924 წელს ყველა ეკლესია დააქცა<sup>94</sup>.

ანტირელიგიურ მუშაობას აფხაზეთში თავისი სიძნელებიც გააჩნდა. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოწვეული იყო რელიგიური მიმდინარეობის სიმრავლით. აქ ცხოვრობდნენ ქრისტიანი მართლმადიდებლები, გრიგორიანელები, ლუთერანები, კათოლიკეები, მთლიანად შესასწავლი იყო აფხაზეთის წარმართული რელიგია. არ არსებობდა ანტირელიგიური ლიტერატურა. მომზადებული იყო წიგნი „აფხაზთა რელიგიური სარწმუნოებანი“, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ გამოიცა. თავიანთი აქტიურობით გამოირჩეოდნენ ყველა სახის სექტანტური მიმდინარეობები. მყარ საფუძველზე იყო დაყენებული ათეისტური მუშაობა სოხუმში, გალის რაიონში და სხვ. გალის რაიონში 1937 წლისათვის მოქმედებდა 15 ანტირელიგიური უჯრედი, რომელიც

<sup>92</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>93</sup> საქ. პარტ. არქ., ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 2257, გვ. 722—723, 1927.

<sup>94</sup> საქ. ორცხია, ფ. 1547, ანაწ. 1, საქმე 87, ფურც. 22—29, 1938.

420 წევრს აერთიანებდა. მაგრამ, ეს მაინც ცოტა იყო. 1929 წელს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საავიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობის ანგარიში და მიიღო პრაქტიკული წინადადებები. სამდივნომ მიუთითებდა, დაეწყათ აფხაზეთში უღმერთოთა უჯრედების შექმნა. რუსულ და აფხაზურ პრესას სისტემატურად უნდა გაეშუქებინა ათეისტური საკითხები. ასეთივე მუშაობა უნდა გაძლიერებულიყო სკოლებსა და ტექნიკუმებში. სკოლებშივე უნდა შექმნილიყო უღმერთოთა უჯრედები<sup>95</sup>. თავისი საქმიანობით გამოირჩეოდა გალის რაიონი. აქ გამოწერილი ჰქონდათ 1 ეგზემპლარი „მებრძოლი უღმერთო“. ლექციები ტარდებოდა პარტიული განათლების კაბინეტებსა და კლუბებში. ამ მუშაობის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ კომკავშირლები, რომელთათვისაც სისტემატურად ტარდებოდა სპეციალური სემინარები. აფხაზეთის სხვა რაიონებში ანტირელიგიური მუშაობა თითქმის არ ივრძნობოდა და ძალზე სუსტი იყო.

განსაკუთრებით ძნელი იყო ბრძოლა ადგილობრივი წარმართული სარწმუნოების წინააღმდეგ. მთავარი ხელისშემშლელი დაბრკოლება იმაში მდგომარეობდა, რომ ამხანაგებმა, ვისაც ევალეობოდათ ანტირელიგიური სამუშაოების წარმართვა, და თვით საოლქო კომიტეტმაც არ იცოდა დღეობების არსი, არ იყო შედგენილი დღეობათა კალენდარი და სხვ. 1937 წ. აფხაზეთში მოქმედებდა 211 უღმერთოთა უჯრედი, რომლებშიც გაერთიანებული იყო 8099 კაცი. საერთო სურათი ასე წარმოგვიდგებოდა: ვალში შექმნილი იყო 24 უჯრედი 1511 წევრით, ოჩამჩირეში 31 უჯრედი — 1325 წევრით, გაგრაში 30—679 წევრით, გულაუთაში — 25—425 წევრით, მეურნეობა „პსირცხაში“ 2 უჯრედი — 200 წევრით, სოხუმის რაიონში 15—720 წევრით, ქ. სოხუმში 86 უჯრედი — 3239 წევრით.

თავისი კარგი მუშაობით აქ გამოირჩეოდა ცხენოსანთა ესკადრონის მებრძოლ უღმერთოთა კავშირი, რომელიც განუწყვეტლივ მოქმედებდა 1933 წლიდან. როგორც ბევრგან საქართველოში, აქაც ერთ-ერთი მეთოდი სოფლად ცოდნის შეტანის შეფობა იყო. სოხუმის მოწინავე უჯრედები შეფობას უწევდნენ სხვადასხვა სოფლების კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს. როგორც ცხოვრებამ დაგვანახა, ასეთი პრაქტიკა კარგ შედეგს იძლეოდა. მაგ., ქალაქის პოლიკლინიკის უჯრედი საში წლის განმავლობაში შეფობას უწევდა კოლმეურნეობა „რევოლუციის ნაპერწკალს“. შეფების ინიციატივით აქ შეიქმნა „უღმერთოთა კავშირი“, რომელიც 76 წევრს აერთიანებდა. რაიონში საინტერესო

<sup>95</sup> საქ. ცბა, ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 2257, ფურც. 722, 1927.

მუშაობას ეწეოდნენ ქალთა კონსულტაციის ექიმები, ისინი გამოდი-  
ოდნენ ლექციებით მედიცინის საკითხებზე. საუბრობდნენ საბჭოთა  
კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ფარდას ხდიდნენ სექ-  
ტანტებისა და ეკლესიის მსახურების ანტისაბჭოთა საქმიანობას. 1936  
წელს აფხაზეთში დაკეტეს რამდენიმე ეკლესია. ასეთი შემთხვევები აქ  
იშვიათი არ იყო. ამ ფაქტში საინტერესოა ის, რომ ეკლესიის გაუქმე-  
ბის ინიციატორებად გამოდიოდნენ თვითონ მშრომელები. მაგ., 1936  
წელს სოხუმის ეკლესიის გაუქმებას ხელი მოაწერა 17000 კაცმა. ამ  
დროს სოხუმში იყო: 5 ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესია,  
1 სინაგოგა და 1 მეჩეთი<sup>96</sup>. ამავე დროს, ეკლესიები დაიკეტა სოხუ-  
მის რაიონის 5 სოფელში. აფხაზეთის უღმერთოთა კავშირი აქტი-  
ურად აბამდა ანტირელიგიურ პროპაგანდაში არდადაგებზე ჩამოსულ  
სტუდენტებს, რომლებსაც ამარაგებდა ანტირელიგიური ლიტერატუ-  
რით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტირელიგიური მუშაობა ცხოვრე-  
ბიდან მოწყვეტით, თავისთავად კი არ გვესახებოდა, არამედ ის მჭიდ-  
რო კავშირში იყო სოფლისა და ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებასთან,  
იმ ჭეშმარიტად ისტორიულ ამოცანებთან, რომლებსაც ასრულებდა  
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ამით იყო გამოწვეული, რომ  
სოფლად ჩასული აგიტატორები მართო ანტირელიგიურ თემებზე  
ჩატარებული ლექცია-საუბრებით კი არ კმაყოფილდებოდნენ, არა-  
მედ ისინი მშრომელებს განუმარტავდნენ პარტიის ყოველდღიურ პო-  
ლიტიკას, აცნობდნენ მშრომელებს საერთაშორისო საკითხებს, ესა-  
უბრებოდნენ კონსტიტუციაზე, სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე.  
მონაწილეობას ღებულობენ მოსაველის ალებში, საარჩევნო კამპა-  
ნიების ორგანიზაციაში და სხვა.

ანტირელიგიური და ათეისტური მუშაობა საგრძნობლად გაუმჯო-  
ბესდა მას შემდეგ, რაც საქართველოში შეიქმნა მეზობელ უღმერთო-  
თა კავშირი, რომელმაც გააერთიანა აქამდე მთელ საქართველოში დაქ-  
საქსული უღმერთოთა უჯრედები. ასეთი კავშირის შექმნის აუცილებ-  
ლობა განაპირობა ისტორიულმა ვითარებამ, რომელიც შეიქმნა ჩვენ-  
ში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როგორც ზემოთაც  
ვთქვით, კავშირის შექმნამდე ამ სამუშაოებს უძღვებოდა ცენტრალური  
კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

1928 წლის 28 ივნისს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტ-  
რალური კომიტეტის სამდივნომ დაამტკიცა სააგიტაციო-საპროპაგან-  
დო განყოფილების სამუშაო გეგმა 1928 წ. 1 ივნისიდან 1929 წლის 1

<sup>96</sup> საქ. ორცხია, ფ. 1547, ანაწ. 1, საქ. 87, ფურც. 23—29, 1938.

იანვრამდე. ამ გეგმაში პირდაპირ იყო მითითებული: „1. დამთავრებულ იქნეს უღმერთოთა კავშირის ორგანიზაციების ჩამოყალიბება ადგილებზე. 2. გამომუშავებული იქნეს ღონისძიებები ანტირელიგიური მუშაობის გასაუმჯობესებლად. 3. მომზადებულ იქნეს და ჩატარდეს ანტირელიგიური კამპანია. 4. გამოშვებულ იქნეს ქართულ ენაზე პოპულარული ბროშურები მაჰმადის და კათოლიკური სარწმუნოების წინააღმდეგ“<sup>97</sup>.

1929 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის სრულიად საქართველოს ცენტრალური საბჭო“. მანამდე კი საქართველოს ყველა მაზრაში შეიქმნა უღმერთოთა უჯრედები. ამის შესახებ სამდივნოს დადგენილებაში აღნიშნული იყო: „ანტირელიგიური პროპაგანდის დარგში საჭირო იქნეს ცნობილი უღმერთოთა უჯრედების დაარსება და მათში ცენტრალური კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების დირექტივების თანახმად მუშაობის წარმოება“<sup>98</sup>.

1929 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მიზანშეწონილად მიიჩნია უღმერთოთა ცენტრალური საბჭოს შექმნა და გამოიტანა კიდევაც სათანადო დადგენილება.

„1. საქართველოს განსახკომმა ბიუჯეტში გამოყოს განსაზღვრული თანხა ანტირელიგიური პროპაგანდისათვის; 2. წინადადება მიეცეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, კულტგანათლების სახსრებიდან შეინახოს უღმერთოთა ცენტრალური საბჭოს მუშაკები. 3. საოლქო განათლების განყოფილებებს, იყოლიონ ინსპექტორები ანტირელიგიური მუშაობისათვის. ამავე წელს მიიღეს „უღმერთოთა“ კავშირის წესდება, სადაც განსაზღვრული იყო ამ კავშირის მიზნები და სტრუქტურა“<sup>99</sup>.

საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირი სათავეში ჩაუდგა ანტირელიგიურ და ათეისტურ სამუშაოებს რესპუბლიკის მასშტაბით. 1937 წელს დაიწყო გამოსვლა კავშირის ბეჭდვითმა ორგანომ „მებრ-

<sup>97</sup> საქ. პარტ. არქ. ფ. 1, ანაწ. 1, ნაწ. II, საქმე 2740, 1928, ფურც. 210—212.

<sup>98</sup> იქვე,

<sup>99</sup> იქვე, ანაწ. I, ნაწ. 2, საქმე 3164, ფურც. 188, 1929.

<sup>100</sup> „მებრძოლი ათეისტის“ როლისა და მუშაობის შესახებ იხ. დ. გეგეშიძისა და თ. პაპუაშვილის სტატია კრებულში: — „რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში“, წიგნი VI, 1980, გვ. 46—67.

ძალი ათეისტი<sup>100</sup>, რომელმაც იარსება 1941 წლამდე. სამამულო ომის დაწყების შემდეგ როგორც კავშირმა, ასევე ურუნალმა შეწყვიტა არსებობა.

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

## § 5. ქართული ხალხური დღეობების ტრანსფორმაცია და ახალი ტრადიციები

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მაცნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებების შესახებ“ მეთოდოლოგიური ხასიათის დოკუმენტია. ამ დოკუმენტის საფუძველზე შესაძლებელია შედარებით სრულყოფილად გაირკვეს ქართული ხალხური დღეობების ხასიათი, აიხსნას ამ დღეობების ტრანსფორმაციის მიზეზები და დასაბუთდეს ახალი, საბჭოთა ტრადიციების დამკვიდრების აუცილებლობა.

თვდაპირველად აუცილებელია იმ მასშტაბების წარმოდგენა, რომლითაც რევოლუციამდელ საქართველოში ხალხური დღეობები იყო გავრცელებული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე ხალხური დღეობების რიცხვი საკმაოდ დიდი იყო. მეცნიერთა აზრით, მხოლოდ ზემო სვანეთში ეს ციფრი 200-ს აღწევდა. დღეობების ხანგრძლივობა და ციკლი საკმაოდ დიდ როლს მოიკავდა. მაგალითად, წმიდა გიორგის სახელთან დაკავშირებული დღეობა სოფ. გერში, არბოში, ქსუისში, დიკში, ქორდსა და მერეთში 28 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე გრძელდებოდა, ხოლო ალავერდობა (კახეთში) 28 სექტემბრიდან — სამი კვირის მანძილზე. ასეთივე ხანგრძლივი იყო ათენგვნობა საქართველოს მთის რაიონებში და სხვ.<sup>101</sup>

დღეობებზე თავს იყრიდა უამრავი ხალხი. რელიგიური რიტუალი მსხვერპლშეწირვით სრულდებოდა. არსებობდა სასოფლო ხასიათის დღეობები, რომლის მასშტაბიც სოფელს არ სცილდებოდა.

ასეთი იყო მთავარანგელოზობა, ღვთისმშობლობა, კვირაცხოვლობა; იყო სათემო დღეობები, რომლის მასშტაბიც მოიცავდა რამდენიმე სოფელს, რომელთა გაერთიანება თემს შეადგენდა. მაგალითად, ფშავი თორმეტ თემად ყოფილა დაყოფილი, თითოეულ თემს თავისი ხატ-სალოცავი გააჩნდა. ვაჟა-ფშაველას ცნობით, გარდა სათემო ხატ-სალოცავებისა, ფშაველების საერთო მფარველი ხატ-სალოცავი „რომლის

<sup>101</sup> ერთმანეთისაგან ვმიჯნავთ რა ხალხურ დღეობებში არსებულ ხალხურს — არარელიგიურს და მასში შენარჩუნის სახით არსებულს — რელიგიურს, „ხალხური დღეობების“ ცნებაში ვგულისხმობთ არარელიგიურს.

სამსახურიც ყველა ფშაველს ადევს კისრად, არის თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი<sup>102</sup>.

თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი ეთნიკური ჯგუფის ერთიანია ანუ ხატ-სალოცავია. მაგრამ არის ხატ-სალოცავები, სადაც თავს იყრის რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი. იგი სატომო ხასიათის მატარებელი, ასეთად წარმოგვიდგება ალავერდობა. იგი იმართებოდა ალავერდის ეკლესიასთან, რომელიც გაშენებულია თელავიდან 20 კილომეტრზე, ალაზნის მარჯვენა მხარეს გაშლილ მინდორზე. ალავერდის ტაძრის სახელთან დაკავშირებით არის კანონიზირებული სატრაპეზო დღეობა, რომელსაც ალავერდობა ეწოდება. ამ დღეობაზე თავს იყრიდნენ როგორც ქართველების ეთნიკური ჯგუფები (კახელები, ქართლები, თუშები, ფშაველები, ხევსურები), ისე არა ქართველი ეთნიკური ჯგუფები (ქისტები, ელები, დაღესტნელები, აზერბაიჯანელები). ანალოგიურ სურათს ჰქონდა ადგილი თელეთობაზე, ატოცობაზე, ილორობაზე, მცხეთობაზე, გერისობაზე, მარიამობაზე, არბოობაზე და სხვ.

ხალხური დღეობის ბუნება დღესდღეობით ჯეროვნად არ არის შესწავლილი. თითქმის ყველა დღეობას გააჩნდა როგორც წმინდა რელიგიური, ისე არარელიგიური რიტუალი. საბოლოოდ ამ დღეობებში არარელიგიურმა მხარემ უფრო მეტი ადგილი დაიჭირა, ვიდრე ადრეული პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი. მაგალითისათვის მივუთითებთ ანბეტის რაიონის მოსახლეობაში გავრცელებულ დღეობაზე — ალავერდობაზე. თავდაპირველად ალავერდობა მოსავლის აღებად ბინავებასა და ნაყოფიერებასთან დაკავშირებული დღესასწაული იყო. იგი იწყებოდა, როგორც წესი, 28 სექტემბერს და გრძელდებოდა სამ კვირას. 28 სექტემბერს თავი ალავერდობა იწყებოდა, მომდევნო კვირას — შუა, ხოლო მესამე კვირას ბოლო. ამ დღეობაზე მოდიოდნენ როგორც ე. წ. „შეთქმულნი“, ე. ი. ისინი, ვისაც ალავერდისაგან დახმარება სჭირდებოდა (ავადმყოფობიდან განთავისუფლება, სიღარიბისაგან თავის დაღწევა, კარგი მოსავლის მოყვანა, შვილიერება და სხვ.), ასევე ალავერდის კარზე დროსტარებისა და გართობის სურვილის მქონე ადამიანები. „შეთქმულნი“ შაბათს მოდიოდნენ მოჩარდახული ურმებით, ცხენებით, ცხენის ურმებით. მათ მოჰყავდათ შესაწირად ცხვარი ან მოხვერი. მოჰქონდათ სასმელი. „შეთქმულნი“, როგორც წესი, ფეხშიშველნი უნდა მოსულიყვნენ და სამსხვერპლო ცხოველით ალავერდის ტაძრის ირგვლივ, სამჯერ უნდა შემოევილოთ. მლოცველები ტაძრის კუთხეებს კოცნიდნენ, შემდეგ ტაძარში შევიდოდნენ და სანთელს ანთებდნენ. ტაძარში მღვდელი და ეკლესიის სხვა რანგის მსახურნი წირვა-ლოცვას ატარებდნენ და, როგორც წესი, მლოცველთაგან ვასამრჩელოს იღებდნენ. ეკლესიაშივე იყიდებოდა სანთელი. მლოც-

ველები ურმებს აჩერებდნენ გალავნის გარეთ. მოეწყობოდნენ, ცეცხლს ანთებდნენ და საკლავს კლავდნენ. ხატს ხშირად წირავდნენ საკლავის ნაწილს, ვერცხლის ფულს, ვერცხლის ქამარს და ზოგჯერ ჩონასაც კი. გალავნის შიგნით გლეხებს ღამის თევა არ შეეძლოთ. იქ ჩვეულებრივ უმაღლესი სამღვდლოების წარმომადგენლები, თავად-აზნაურები და ჩამოსული საპატიო სტუმრები ჩერდებოდნენ. დღეობის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე აქ მოდიოდნენ ვაჭრები. ისინი სახელდახელო კარვებს აწყობდნენ და სხვადასხვა საქონელს ყიდდნენ. ზოგჯერ 200—300 ასეთი სავაჭრო კარავიც ყოფილა მოწყობილი. დღეობაზე თავისი ნახელავით მოდიოდნენ მეწაღეები, აკვნის მკეთებელი დურგლები, მჭედლები, ოქრომჭედლები, მექუდეები და სხვ. ეწყობოდა სახინკლე და სასადილო ფარდულები.

ღამის თევის შემდეგ მლოცველები ეკლესიაში შედიოდნენ და წირვას ესწრებოდნენ. წირვის შემდეგ იწყებოდა ქეიფი და დროს ტარება. ნაშუადღევს მლოცველები აიშლებოდნენ და სახლებში მიდიოდნენ. ნაწილი მლოცველებისა სწორამდე, ე. ი. ერთი კვირა კიდევ რჩებოდა, რჩებოდნენ აგრეთვე ვაჭრებიც.

ეკლესიაში ნათლავდნენ ბავშვებს. ტაძრის გარშემო ეწყობოდა ლხინი, ცეკვა-თამაში, ჭიდაობა, შეჯიბრება მძიმე ქვების აწევაში; იმართებოდა ჯირითი. აქ ჩამოდიოდნენ ჯამბაზები და თოკზე მოსიარულენი თბილისიდან და დაღესტნიდან. მოდიოდნენ მუსიკოსთა დასტები და ფოტოგრაფები.

დღეობის დღეებში ადგილობრივ მოსახლეობას დიდი რაოდენობით გამოჰქონდა გასაყიდად ან სხვა ნაწარმზე გადასაცვლელად ღვინო, ხორბალი, ტყავი, ცვილი, მატყლი, ხილი, ხალიჩა-ფარდავი, ხურჯინები, ცხენის ასალები და თოქალთოები. გასაყიდად გამოჰყავდათ პირუტყვი. მრავლად მოჰქონდათ კერამიკული ნაწარმი: ღვინის ქვევრები, თონეები, ჭურჭელი, ხის ნაკეთობანი — კვერები, უღლები, ფარცხები, ფოცხები და სხვ.

თუშებს, ფშაველებსა და ხევსურებს გასაყიდად გამოჰქონდათ ყველი, ერბო, გულეები, ტყავეული, ჯამბარა-აეურები და ღვედები. ასეთ სადღესასწაულო დღეებში ერთიმეორეს ხვდებოდნენ მრავალი წლის უნახავი ნათესავები. ახალგაზრდები ეცნობოდნენ ერთმანეთს. ხდებოდა დანათესავება და დამოყვრება.

აღნიშნული დღეობის მსვლელობის დროს რელიგიურს სძლედა არარელიგიური, ყოფითი ხასიათის ჩვევები და ტრადიციები. ეკლესიის კარზე სავაჭრო ფარდულების სიმრავლე კომერციულ მხარეს აქცევდა მნიშვნელოვნად. ეკლესიის მრევლსაც რელიგიის სამსახურის გარდა სხვა ინტერესებიც გაუჩნდა. წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა ხალხის თავმოყრა თავისი ინტერესებისათვის გამოიყენეს.

ამავე გარემოებამ ეკლესიას მრევლი ჩამოაცილა. ცასული საღვთის  
ბოლოს საქართველოს ერთ-ერთი ეგზარქოსი თავის ანგარიშში სწერ-  
და პეტერბურგში უწმინდეს სინოდს: „ქართველები სალოცავად მო-  
დიან ძალიან შორიდან, მთელი ოჯახებით; მოაქვთ აუარებელი საგზა-  
ლი, ღვინო. მოჰყავთ საკლავი, მაგრამ მოსული მლოცველი ეკლესი-  
აში იშვიათად შედის. დაბინავდებიან თუ არა, იწყებენ ქეიფს და რჩე-  
ბიან მანამ, სანამ მოტანილი პურმარილი ეყოფათ, მღვდელი ხშირად  
ცარიელ ტაძარში ატარებს წირვას.<sup>103</sup>

ანალოგიურად მიმდინარეობდა დღეობა სოფელ არბოში (გორის  
რაიონი) მცხეთაში, გავაზში, ატოცში.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი კუთხის, თუშე-  
თის, საერთო დღესასწაულია ლაშარობა, რომელიც იმართებოდა სო-  
ფელ ჩიღის (ომალის სასოფლო საბჭო) აღმოსავლეთით ორი კილო-  
მეტრის დაშორებით მდებარე მთის თხემზე, სადაც სიბი ქვის მშრალი  
წყობით აგებულია ხატ-სალოცავის კომპლექსი. ლაშარის ხატი ზღვის  
დონიდან 2300 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. მასში შედის გალა-  
ვანი, საბერო, დარბაზი და გალავნის კუთხეში დატანებული კოშკები.  
დარბაზის დასავლეთით მდებარე კოშკი (სამსხვერპლო) შემკულია  
ჯიხვის თავითა და რქებით. დღეობის დღეებში კოშკზე გადნოდგმო-  
ლია თეთრი და წითელი ნაჭრებისაგან გაკეთებული დროშა. დროშის  
ტარზე რამდენიმე პატარა ზარია შემკული. ხატს, გალავანში, სამსხვერ-  
პლოს მხარეზე ჩატარებული აქვს აგრეთვე საზარე კოშკი, ხატის აღ-  
მოსავლეთით ღრმა ხევია, დასავლეთით კი მცირე ველია, სადაც დღე-  
საც აქ მისული „ხატის ყმები“ ჩერდებიან ხოლმე. მინდვრის შუა ად-  
გილას ჩადგმულია სიბი. ამ ადგილს საწოდეს უწოდებენ. ღამე ქალები  
და კაცები ცალკევდებიან. საწოდის დასავლეთით ქალები ათევენ  
ღამეს, აღმოსავლეთით კი კაცები. შუაღამის შემდეგ კაცებს ქალთათ-  
ვის განკუთვნილ მხარეზე გადასვლა სასტიკად ეკრძალებათ. ამ წესრი-  
გის დასაცავად ხატის მსახური (შულტა) სათანადო პირებს გამოყოფს  
ხოლმე.

ლაშარობა აღდგომიდან მეასე დღეს მოდის და ამიტომაც აღდგო-  
მის შესაბამისად ისიც ცვალებადი დღეობაა. იგი ივლის-აგვისტოს  
თვეებს ემთხვევა. თუშეთის ყველა თემი ლაშარის ყმად ითვლება.  
დღეობაში (ხატის კუთვნილ ფართობზე) ქალები და კაცები სხვადასხვა  
გზით მიდიან. როგორც მთაში ყველგან, აქაც ქალს ხატთან ახლოს  
გავლა სასტიკად ეკრძალება. ამიტომაც ისინი ხატს შორს მოუვლიან  
და ბინავდებიან მათთვის განკუთვნილ ადგილზე. მამაკაცები მოდიან  
ხატის გვერდით გამავალი გზით. ისინი ხატთან ცხენს მიაჭენებენ, ვერ-

103 ცხიკაძე, ფ. 796, ანაწ. 442, საქ. 1020, ფურც. 75, 1884.



ცხლის ფულს შეწირავენ, დაილოცებიან და მერე მათთვის განკუთვნილი ღამის სათვეი ადგილისაკენ მიდიან. ამის შემდეგ ხატთან მამაკაცებს მიჰყავთ შესაწირი პირუტყვი (ცხვარი, მოზვერი), მიაქვთ ზედაშე (ღვინო, არაყი, ლუდი), ქადის კვერები და რიტუალური საქუთობა პურები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხატს მუდმივი მსახური არა ჰყავს. დღეობის წესრიგის მიმცემი (შულტებს) სოფელი ირჩევს ერთი წლით, სამი კაცის შემადგენლობით. მომავალი წლის დღეობის შულტების დასახელება ხდება დღეობის დასასრულს. თუშეთის თითქმის ყველა სოფლის მოსახლემ, დიდი ხნის წინათ სხვა სოფელში თუ ქალაქში დაბინავებულმაც კი იცის როდის უწევს სასოფლო თუ სათემო ხატში შულტის მოვალეობის შესრულება. დღეობის დღეს მისი ორგანიზატორი მნათე დეკანოზი, იგივე შულტა, საკლავის ხატთან მიმყვანს. დალოცავს, ცხვარს ან მოზვერს შუბლს და ბეჭს შეუტრუსავს, რის შემდეგაც საკლავს სამსხვერპლოზე დაკლავენ და დაბლა დააგორებენ. შეწირულ ცხოველს გაატყავებენ და ხარშავენ. საღამოთი საწდესთან ინთება დიდი კოცონი (კოცონისათვის შეშისა და ფიჩხის მოტანა ყველა მამაკაცის ვალია). კოცონის ერთ მხარეს ერთმანეთის გვერდით დგება ცხრა კაცი (პირველი სამი კაცი — პირველი ხმა, მეორე სამი — მეორე და მესამე სამი — მესამე ხმა), რომლებიც ასრულებენ წმიდა გიორგის საგალობელს. პირველი სამი ხმა იწყებს და მომდევნო ხმები იმეორებენ. მათ მოპირდაპირედ, კოცონთან ნახევარ წრედ სხდებიან ხატში მოსული მამაკაცები (ქალებს აქ მისვლის უფლება არა აქვთ). მათ წინ შულტა ალაგებს რიტუალურ პურებს, ხორცსა და მარილს. შემდეგ რიგრიგობით ჩამოატარებენ ლუდსა და არაყს. შუალამისას ხალხი მიდის დასასვენებლად. ქალები თავის მხარეზე რჩებიან, კაცები კი გადმოდიან მათთვის განკუთვნილ მხარეზე. შულტა მოუხმობს ყარაულებს, რომლებიც ვალდებულნი არიან დაიცვან წესრიგი და ქალების მხარეზე მამაკაცები არ გადაუშვან.

მეორე დღეს, დილით, ხატის მსახურს — შულტას ხატიდან ხალხთან დროშა ამოაქვს. მის ამოტანას ხალხი ფეხზე დგომით ხვდება. დროშას ამაგრებენ კაცების მხარეზე, მაღალ კლდოვან თხემზე. დღის ბოლოს შულტა დროშას ჩააბარებს ერთ-ერთ ფეხმარდ ახალგაზრდას, რომელმაც ის სირბილით უნდა მიიტანოს ხატთან. თუ მედროშე წაიქცა, ეს კულის მაჩვენებლად ითვლება. მედროშეს, დროშა სირბილით ჩააქვს ხატთან და მისთვის განკუთვნილ ადგილზე ათავსებს. ამის შემდეგ მედროშეს ლუდს ან არაყს შეასმევენ.

დღის მეორე ნახევარში, დღეობის დამთავრებამდე, ეწყობა ქორბელეღა. შვიდი ახალგაზრდა ხელიხელ გადაბმული კრავს წრეს, მათ მხრებზე რამდენიმე ახალგაზრდა დადგება. შუაში დგება ერთი კაცი ჩონგურით. ეს ორსართულიანი ქორბელეღა ლაშარის სადიდებელი

სიმღერით, საკმაოდ დიდ თავქვეზე ჩააქეთ ხატის კარამდე ისე, რომ არ უნდა დაიშალოს და არავინ ჩამოვარდეს. ქორბელელას ნაადრევად დაშლა ცუდ ნიშნად ითვლება. დღის მეორე ნახევარში ხატობა მთავრდება. ხალხის აშლამდე ეწყობა შეჯიბრი ცხენოსნობაში. ცხენოსნები ხატის ველის დასაწყისიდან სათანადო ნიშნის მიცემის შემდეგ გამოაქვნიან ცხენებს. მათ საკმაოდ დიდი აღმართი უნდა აირბინონ და საწდესთან მივიდნენ. საწდესთან დგას შულტა, რომელიც პირველად მიწულ მხედარს ტყავით აჯილდოებს. ცხვრის ტყავთან შედარებით უპირატესობა მოზვრის ტყავს ენიჭება, ამიტომაც პირველად მოსულს მოზვრის ტყავს შეუგდებენ ხოლმე ცხენზე. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დღეობის დასასრულს აირჩევენ შულტებს, რომლებმაც მომავალი დღეობისათვის სათანადო სამზადისი უნდა გასწიონ (მოხარშონ ლუდი, გამოხადონ არაყი, დაკლან საკლავი ჯვარისათვის და უხელომძღვანელონ რიტუალს).

ლაშარის ხატის დარბაზში დაცულია სხვადასხვა ნივთები, უმეტესად საწდე ჭურჭელი სპილენძისა. ადრე ვერცხლის ჭურჭელი ჰქონიათ, მაგრამ დროთა ვითარებაში დაკარგულა. აქვე ინახება მლოცველების მიერ შეწირული თეთრ და წითელნაჭრებიანი ბოხჩები<sup>104</sup>. მლოცველები საღამოთი ბრუნდებოდნენ სოფელ ჩიღოში, სადაც გრძელდებოდა ქეიფი.

ჩვენ აღარ შევუდგებთ რევოლუციამდელი საქართველოს მთის რაიონებში არსებული დღეობების აღწერილობას. ყველა მათგანში იყო თავისებური და განსაკუთრებული. საერთო კი ის იყო, რომ მათში მონაწილეობას იღებდა მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობა. ამ დღეობებმა დღეისათვის დაკარგეს როგორც თავდაპირველი ბუნება და ხასიათი, ისე მისთვის დამახასიათებელი რიტუალის შინაარსი.

ავიღოთ იგივე ალავერდობა. დღეისათვის ალავერდობაზე თავს იყრის მლოცველთა ძალიან მცირე რაოდენობა. იშვიათად იკვლება მსხვილფეხა პირუტყვი. ეკლესიის კარზე მხოლოდ მოხუცები მიდიან. ძირითადად ქალები. ახალგაზრდობა ცნობისმოყვარეობისა და სანახაობრივი თვალსაზრისით უფრო დადის<sup>105</sup>.

ალავერდობაზე აღარ იმართება ბაზრობა, აქ გასაყიდად აღარ მოაქვთ არც პროდუქტი და არც სამეურნეო იარაღები. აღარ ეწყობა ჭიდაობა, არც დოღი. თითო-ოროლა მლოცველი კმაყოფილდება შესაწირად მოტანილი ტრაპეზით. ეკლესიაში აღარ სრულდება ღვთისმსახურება. მას არ ჰყავს მსახური და მოსულები თავის მორჩილებასა და პატივისცემას გამოხატავენ ეკლესიის ირგვლივ შემოვლით და შიგნით

<sup>104</sup> დღეობა აღწერილია 1963 წელს.

<sup>105</sup> 1976 წ. ალავერდობაზე ორმოცდაათამდე ოჯახი თუ იქნებოდა. ახალგაზრდობა თითქმის არ იყო.

სანთლების დანთებით. სხვა რაიმე საეკლესიო რიტუალს აქ აღარავინ ასრულებს. მლოცველები ეკლესიის გალავნის გარეთ შლიან სუფრას. იშვიათად მოდიან ღამისთევით. ანალოგიური მდგომარეობაა ქართლ-კახეთის სხვა ხალხურ დღეობებში (არბოობა, ატოცობა, თელეთობა, მცხეთობა, მარიამობა).

ტრანსფორმირებულია მთის ზოლში გავრცელებული რელიგიური დღეობები. ბევრგან დღეობის ძველ რიტუალს ასრულებენ მხოლოდ ღრმა მოხუცები ხატ-სალოცავის კარზე ერთი ნაწილი მხოლოდ იმიტომ მიდის, რომ მათი გამა-პაპა ამ ხატის ყმები ყოფილან. ზოგიერთი „ძლიერი“ ხატი რელიგიურ რიტუალს მოკლებულია, მაგრამ უფრო მასშტაბურია. მაგ., ლომისობა (მლეთაში, დუშეთის რაიონი) და გერისობა (სამხრეთ ოსეთი).

1975 წელს, 4 სექტემბერს წმინდა გიორგის კარზე (სამხრეთ ოსეთი) ჩამოსულნი იყვნენ თბილისიდან, რუსთავიდან, ახმეტიდან; მცხეთის, ქარელის, გორის, ბორჯომის, ცხინვალის, ხაშურის, ქუთაისის, ზნაურის რაიონებიდან. თითქმის ამავე რაიონებიდან მოდიან ლომისობაზე მლეთაში. მაგრამ ახლა მათ მლოცველს ვეღარ უწოდებდით. ბავშვებიც უფრო სასკოლო ასაკისანი ჰყავდათ წამოყვანილი. ახალგაზრდები ეკლესიას არც გაკარებიათ. ეკლესიას მომსახურე პერსონალი დიდი ხანია აღარ ჰყავს. აქ მოსულთ „ღვთის მსახურებას“ უწევენ ადგილობრივი, სოფელ გერის, მცხოვრები ოსები. მლოცველებს თუ სურვილი აქვთ, დამკვრელებს სთხოვენ, რომ გააცილონ დაკვრით. მლოცველები წინ გაიგდებენ ცხვარს, რომელსაც ყელზე წითელი ბაბთით ზანზალაკი აქვს შებმული. ცხვარს უკან მისდევენ ქალები ხაჭაპურით, ქაღებითა და არყით. თან მიაქვთ სანთლებიც. ეკლესიას მუსიკის თანხლებით სამჯერ შემოუვლიან, თან მის კუთხეებს კოცნიან. შემდეგ შედიან შიგ, შეაქვთ ქადა-ხაჭაპური, სანთელი, სასმელი და ზოგჯერ შეჰყავთ საკლავიც, საკურთხეველთან ორი ადგილობრივი ხანში შესული ოსი დგას, ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ. მლოცველთაგან ისინი მორიგეობით იღებენ ქადის ნაწილს და მოტანილი სასმელით დალოცავენ. ზოგი მოსული ფულსაც უტოვებს. სანთელს ანთებენ და ანთებული სანთლით ცხვარს შუბლს შეურუჯავენ, შემდეგ ცხვარს გარეთ გამოიყვანენ. ეკლესიის წინ შეთქმული მლოცველი დამკვრელთ საცეკვაოს დაკვრას უბრძანებს და იცეკვებს, დამკვრელებს გასამრჯელოს უხდის და შემდეგ ცხვარი მიჰყავს იმ ადგილზე, სადაც ბინა დაიდო ღამის გასათევად. ცხვარს ადგილობრივი მცხოვრებნი კლავენ, გასამრჯელოდ მიაქვთ ტყავი, თავფეხი და ბეჭი, საღამოს იშლება სუფრა და იწყება ღვინის სმა. დილით ისაუზმებენ, ეკლესიას ერთხელ კიდევ შემოუვლიან და შინ ბრუნდებიან.

ეკლესიასთან დაკავშირებულ რიტუალში ახალგაზრდობა თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს.

კიდევ ერთი მაგალითი ძველი ქართული ხალხური დღეობის ტრანსფორმაციისა — ნეკრესობა. ეს დღეობა ნეკრესის ღვთისმშობლის სახელთან არის დაკავშირებული. ნეკრესი ყვარლის რაიონში, სოფელ შილდის აღმოსავლეთით, მთის სერზე მდებარეობს. მისი კომპლექსი რამდენიმე სხვადასხვა ეპოქის ნაგებობას შეიცავს. აქ ყოველწლიურად შობის დღესასწაული იმართება. როგორ სრულდებოდა უძველეს ხანაში ეს დღესასწაული, ჩვენთვის ცნობილი არ არის. 1976 წლის 6—7 იანვარს საშუალება მოგვეცა, რომ ეს დღეობა დაგვეფიქსირებინა. საშობაო დღესასწაულზე მოდიან ღამისთევით სოფლებიდან (შილდა, საბუე, ენისელი, სანიორე). სამსხვერპლო ცხოველი ღორია, რომელსაც ადგილობრივები „ლომტახს“ უწოდებენ. იშვიათად მოჰყავთ სხვა სახის შესაწირავიც — ხარი, ძროხა, კამეჩი, ცხვარი და ქათამი.

როგორც ზემოთ ითქვა, ნეკრესი მთის სერზეა გაშენებული, მთის ძირს ვაკე ადგილია. აქ დიდი მუხის ხესთან სანთლებს ანთებენ. აქვე სცოდნიათ აგრეთვე მამლის „შეფრენა“, შესაწირ მამალს მოიყვანენ და ცოცხლად გაუშვებენ. დანარჩენ შესაწირს შობის დღით კლავენ და ამით „იხსნილებენ“, მანამდე კი ზეთში გამომცხვარ ქაღებს შეექცევიან. დაკლული პირუტყვის ტყავს ადგილზე, მუხის ძირას ტოვებენ. ეკლესიას მღვდელი არ ემსახურება. თავისი სურვილით აქ ორი მოხუცი იყო მოსული და ნეკრესის ღვთისმშობლის კარზე მლოცველთ საკურთხეველთან ზედებოდა, ე. ი. ლოცავდა. ლოცვის ტექსტი ძალზე მარტივია: „ღმერთო დიდებულო, ნეკრესის ძალო, შენა სწყალობდე ამის მომტანს, შენი წყალობა გაადეგნე ამის მომტანს, ცუდს ნურაფერს ნუ მოუტან. სიხარულისა და სიუხვის ძალა მიეცი, ცუდს ნურაფერს ნუ მოუტან, სიხარულისა და სიუხვის ძალა მიეცი. პურ-ღვინითა და ხორციით აავსე, ნეკრესის ღვთისმშობელი იყოს თქვენი მფარველი ანგელოზი“. აქვე ჩვენ დავაფიქსირეთ საეკლესიო ვალობა. ვალობას ასრულებდნენ ეკლესიის კარზე მოსული მლოცველები, რომლებსაც მეთაურობდა ყვარლელი მკითხავი.

ნეკრესს საკუთარი საწინახელი და მარანი გააჩნდა. როგორც ჩანს, მას თავის დროზე საკმაოდ დიდი მეურნეობა ჰქონია. ძველი მარნის ტერიტორიაზე ჩვენ დავთვალეთ ოცდაათზე მეტი ქვევრი და ნაქვევრალი ადგილი. ნეკრესის კედლებთან მრავლადაა დაწყობილი ცარიელი ქვევრებიც, რაც როგორც ჩანს, იმ მრევლის მოტანილია, რომელმაც ნეკრესის სახელზე ზედაშის დაყენება შეწყვიტა და, ამიტომ, საზედაშე ქვევრი ნეკრესის კარზე მიიტანა. ქვევრების შეწირვა საქართველოში ბევრ ეკლესიასთან დასტურდება. ნეკრესში რაიმე განსაკუთრებული რიტუალი არ სრულდება. მოხუცი მამაკაცებიდან თითო-ოროლა გამოჩნდა, რომლებმაც ქალებთან ერთად, მკლავზე წითელთავშალ შებმულეზმა, ეკლესიას სამჯერ შემოუარეს, შემდეგ შიგნით შევიდნენ, საკურთხეველთან თავშალი დატოვეს, მნათეს დაამწყალობებინეს და მუ-

ხებთან დაბრუნდნენ. მლოცველები ღამეს დაბლა, ქალაში ათევენ. აქედან ნეკრესამდე ორი კილომეტრი მაინც იქნება. სამსხვერპლო ცხოველი ეკლესიასთან არ მიჰყავთ. ეკლესიასთან მიაქვთ ერთი-ორი ნიგვზიანი ან ზეთში გამომცხვარი ქადა და ნახევარი ან ერთი ლიტრი ღვინო. დანარჩენ ნამზადს დაბლა ტოვებენ. ღორების („ლომ-ტახების“) წობა დილით ადრე იწყება. მლოცველები ოჯახებად არიან დაბინავებული ან შეერთებულია რამდენიმე ოჯახი ან მეზობელი ერთი ცეცხლის გარშემო, სადაც ხორცს ხარშავენ, მწვადებს წვავენ. ქეიფის შემდეგ დარჩენილი ხორცი კი სახლში მიაქვთ.

ადრე ეკლესიის სახელზე მიყვანილ საკლავის დამარილება არ შეიძლებოდა, მას მეზობლებს ურიგებდნენ. მაგრამ ახლა აქ კლავენ ღორს არა მარტო შეწირვის მიზნით, არამედ ამარილებენ კიდევ. ნეკრესის კარზე გაიმართა ცეკვა-სიმღერაც. სალოცავად მოსულები იყვნენ თელავის, ყვარლის, ახმეტისა და სხვა ახლომახლო რაიონების სოფლებიდან. თვით ყვარლის მოსახლეობა ნეკრესის კარზე არ დადის. ნეკრესი, ჩვენი აზრით, გალმა მხარის (ალაზნის მარცხენა სანაპიროს სოფლების) კახეთის იმ ძველი სოფლების (წილდა სანიორე, საბუე, გავაზი და სხვ.) სალოცავია, რომლებიც მელორეობას მისდევენ. მელორეობა ამ მიკრორაიონში ძლიერი დარგი იყო მეურნეობისა. ამაზე ჭერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა<sup>106</sup>.

როგორც ცნობილია, ესა თუ ის ხალხური დღეობა გარკვეულად გამოხატავდა ამა თუ იმ კუთხის მეურნეობის ხასიათს, ან თვით დღეობა იყო დაკავშირებული მეურნეობასთან. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული იყო და ზოგან დღესაც ტარდება, თიბვის დაწყების წინა დღესასწაული, რომელიც ათენგენობის სახელს ატარებს. ათენგენობა აღდგომის მეასე დღეს იწყება. იგი მოძრავია და მოდის ივლის-აგვისტოს თვეში. ეს იყო თიბვის წინა დღესასწაული, რომელიც ფშავ-ხევსურეთს და თუშეთში სერობის, თამარობის და ლაშარობის სახელით არის გავრცელებული. ათენგენობა თავისი შინაარსითა და ბუნებით წარმართული ხასიათისაა. იგი სრულდება ხატის კარზე მსხვერპლშეწირვით და სათანადო რიტუალის შესრულებით. ათენგენობა მთიელთა საერთო დღესასწაულს წარმოადგენდა. ხატის ყმები ამ დღისათვის საგანგებოდ ემზადებოდნენ. ხატს, ისე როგორც თუშეთში ლაშარის ხატს, თავისი მნათე ჰყავდა, რომელიც ორგანიზაციას უწევდა დღეობის მსვლელობას. მნათე ხარშავდა ლუდს, ხდიდა არაყს. ამწყალობებდა მლოცველს, უკლავდა სამსხვერპლო საკლავს და ეხმარებოდა მის გატყავებაში. სამაგიეროდ, მიჰქონდა ბეჭი და ტყავი.

დღეისათვის მთაში არსებულ ეკლესიებს და ჭვარ-ხატებს ოფიცია-

<sup>106</sup> აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 102.

ალური მსახური არა ჰყავთ, მლოცველები რიტუალს ასრულებენ თავისი სურვილის შესაბამისად. მამაპაპურ წეს-ჩვეულებებს დაკარგული აქვს თავისი ფორმა და შინაარსი. აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობაში ბარად ჩამოსახლებამ გამოიწვია ხატმსახურების მრევლთა შემცირება. ამასვე მოჰყვა ხატის მსახურთა ფუნქციების შეცვლა. ხატის მსახურად წინათ ან მორიგეობით არჩეული კაცი უნდა ყოფილიყო, ან რომელიმე ამ საქმის მცოდნე პირი, რომელსაც ხატი თვითონ „აირჩევდა“. ხატის მსახურს, დეკანოზს, ხევისბერს, შულტას, მნათეს უნდა სცოდნოდა ხატის კარზე შესასრულებელი წეს-ჩვეულებები, დალოცვის ტექსტები და ხატობასთან დაკავშირებული ადამი და რიგი. ამგვარი პირები სოფლად აღარ არიან.

როგორც დავინახეთ, ხატის კარზე მოსულთ ადგილზე ზვდებიან თვითმარქვია ხატის მსახურები, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ ხატის კარზე შესასრულებელ რიტუალზე. უარესი მდგომარეობაა ბარის რაიონებში გავრცელებულ დღეობებში. დღეობის მთელი შინაარსი დამორჩილებული აქვს ერთ მიზანს, რომ „კარგი სუფრა“ გააწყონ და „კარგად იქეფონ“. ბარის რაიონებში გავრცელებული დღეობები უმთავრესად მასპინძელთა ოჯახში „ქეიფით“ შემოიფარგლება. აღარ ტარდება შეჯიბრება სპორტის ძველ სახეობებში. იშვიათად იმართება ლხინი საერთო თავშეყრის ადგილზე. აღარ ეწყობა ქარბი ფიზიკური ძალის განტვირთვის საშუალებანი კიდაობისა და ჯილდაობის (ძიმე ქვების აწევა) სახით. თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებამ გააადვილა მიმოსვლა. დღეობაში ეკლესიასთან მსხვერპლშეწირვით მოხუცები თუ მიდიან. მონაწილეთა შორის ქარბობენ ახალგაზრდები, რომლებიც უმთავრესად დღეობის გადამხდელ სოფლებში სტუმრებად გვევლინებიან. სტუმარი ახალგაზრდები უმთავრესად დღეობის დღესვე ტოვებენ მასპინძელს და თავის სოფლებში ბრუნდებიან. დღეობაში მისასვლელად, ასევე აქედან წასასვლელად სტუმრები, გარდა საზოგადო ტრანსპორტისა, იყენებენ საკუთარ ავტომანქანებს, რომელსაც ხშირად მთვრალეებიც კი მართავენ.

მავნე წეს-ჩვეულებებისა და დრომოკმული ტრადიციების აღმოსაფხვრელად ღონისძიებების დასახვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე დაიწყო. საზოგადოებისათვის მავნე, დრომოკმული ტრადიციები, მოქმედების ხასიათის მიხედვით, სამ სხვადასხვა კრილში წარმოგვიდგება: ადამიანთა საწარმოო, საზოგადოებრივ და საოჯახო ურთიერთობაში.

შემჩნეულია, რომ საწარმოო ყოფაში შემორჩენილი მავნე ზნე-ჩვეულებები იწვევს შრომის დისციპლინის ერთგვარ მოდუნებას და მის დარღვევას; უარყოფითად მოქმედებს იგი შრომის ნაყოფიერებაზე და ხარისხზე; შრომით კოლექტივში შეაქვს დეზორგანიზაციის ელემენ-

ტი. საზოგადოებრივ ურთიერთობაში რელიგიური გადმონაშთები და ცრურწმენები ხელს უწყობენ საზოგადოებისაგან გათიშვის, კერძომე-საკუთრული განკერძოების, ყველა სიახლისადმი უნდობლობის ტენ-დენციას.

საოჯახო ყოფაში იგივე მიზეზები გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის ახალი თაობის მაღალი მორალური სულისკვეთებით აღზრდას, რელი-გიური ცრურწმენებისა და ზნე-ჩვეულებების მიმდევარნი ებლაუჭე-ბიან ყოველგვარ ძველს, ამახინჯებენ და ხელს უშლიან შრომითი კო-ლექტივის და ოჯახის წევრთა ნორმალურ შრომასა და სულიერ ცხოვრებას.

როგორც აღვნიშნეთ, მავნე წეს-ჩვეულებები და რელიგიური ხა-სიათის გადმონაშთები სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ამ მხრივ ჯერ კიდევ საკმაო პოპულარობა შერჩა რელიგიური ხასიათის რიტუალებსა და დღეობებს. დღეობათა ერთი ნაწილი საოჯახო სფეროს უკავშირდე-ბა, მეორე შრომითი საქმიანობიდან გამომდინარეობდა, ზოგი სახალხო გმირების სახელებთან, ზოლო უმრავლესობა რელიგიური პანთეონის პერსონაჟებთან იყო დაკავშირებული.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ გატარებული ლო-ნისძიებების შედეგად, რომლებსაც მხარს უჭერდნენ მოსახლეობის ფართო ფენები, ცალკეულ რაიონებსა თუ სოფლებში დაგმობილ იქნა რელიგიური ხასიათის დღესასწაულები და მავნე ტრადიციები. აღსა-ნიშნავია, რომ ყველაზე ადვილად ხალხმა დათმო ისეთი რელიგიური დღესასწაულები, რომელთაც არ გააჩნდათ მკვიდრი სამეურნეო სა-ფუძველი და დაკავშირებული იყო საეკლესიო ცხოვრებასთან. ასეთე-ბია: კვირაცხოვლობა, მცხეთიჯვრობა, ამაღლება, ზღუდრობა, ძელი-ცხოვლობა, დავითობა, იენაობა, ივანემახარობლობა, პეტრეპავლობა, სამებობა და სხვ.

ის ფაქტი, რომ ჩვენმა მშრომელებმა ასე მასიურად მიატოვეს ძვე-ლი დღესასწაულები, შემთხვევითი არ არის. ჩვენ ხალხს საამისო წა-ნამძღვრები გააჩნდა. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელი-სუფლების გამარჯვებამდე საქართველოს მშრომელები, მისი ინტელი-გენციის მოწინავე ნაწილი გამოთქვამდა პროტესტს ყოველგვარი დრო-მოკმეულის წინააღმდეგ, რომელიც აღარობებდა და უკან სწევდა მშრო-მელი კაცის მეურნეობას<sup>107</sup>, უარს ამბობდა ეკლესიისა და მისი მსახუ-რების შენახვაზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდანვე

107 ი. ჩხარტიშვილი, გაზეთ „შრომისა“ და „სასოფლო ვაჭეთის“ ბრძო-ლა ცრურწმენებისა და რელიგიური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ კრებულში — „რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში“, წიგნი 2, თბ., 1975, გვ. 27—49.

დიდი ყურადღება დაეთმო არარელიგიური სახალხო დღესასწაულების დანერგვას, რომლის ინიციატორადაც, უმეტეს შემთხვევაში, თვით მოსახლეობა გამოდიოდა. მოსახლეობა გადაჭრით ამბობდა უარს საეკლესიო უქმეებზე და მის მაგივრად აწესებდა ახალს, მოვეტანოთ რამდენიმე მაგალითი:

სოფელ ტობანიერის, შუამთის უბნისა და დიდი ჭიხაიშის მცხოვრებლებმა 1923 წელს უარი განაცხადეს ედღესასწაულათ მარიამობა და გაზეთის საშუალებით სთხოვდნენ და აცნობებდნენ მეზობლებსა და ნათესაებს, რომ არც თვითონ შეწუხებულიყვნენ და არც მასპინძლები ჩაეყენებინათ უხერხულ მდგომარეობაში ამ დღესასწაულზე ჩასვლით. შუამთის უბნის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს მარიამობის ნაცვლად ედღესასწაულათ 25 ოქტომბერი<sup>108</sup>. ასეთივე ნაბიჯი გადადგეს 1924 წელს სოფელ დირბის მცხოვრებლებმა, რომლებმაც სასოფლო ყრილობაზე დაადგინეს რელიგიური დღეობა „ზედაჯვრობის“ მაგივრად რომელიც ედღესასწაულებოდა ნ მათს, ედღესასწაულათ პირველი მაისი<sup>109</sup>.

ამავე დროს იყო რამდენიმე ცდა დიდი საეკლესიო დღეობის მსვლელობაში ჩარევისა და მისი ახლებურად გარდაქმნისა. ამ მხრივ საინტერესოა თელავის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ 1928 წელს ჩატარებული ღონისძიება ალავერდობაზე. ამ ღონისძიების შესახებ გაზეთი „კომუნისტი“ წერს: „წელს ალავერდობას რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო, იყვნენ კახელები, თუშები, ფშავ-ხვსურები, ქისტები, ლეკები, თათრები და სხვ.

სოფლად საკოლმეურნეო ცხოვრების განმტკიცებამ და საბჭოთა მეურნეობების გამრავლებამ შეცვალა როგორც შრომის პირობები და ნორმები, ისე ცხოვრების სურათი, განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტორია სოფლის სამეურნეო საქმიანობაში მექანიზაციის ფართო მასშტაბით დანერგვა. სოფლის მეურნეობის წარმოებაში მანქანა-იარაღების გამოყენება შრომის ერთგვარი რეგლამენტაციის ჩვევების გამომუშავებას იწვევს და ამალღებს შრომის დისციპლინას, თავისთავად ეს წარმოებაში ახალი ტრადიციის დანერგვაა, ახალი მანქანა-იარაღები, სხვადასხვა დანიშნულების ქიმიკატები, ურომლისოდაც დღეს წარმოდგენელი გახდა სოფელი, მოითხოვს ახალი ტიპის სოფლის მეუშაკს; განათლებულსა და განსწავლულს, თავდაპირილსა და დისციპლინებულს.

წარმოების სფეროში მომხდარი ცვლილებები ადამიანს ამალღებს მორალურად. ახალი საბჭოთა მშრომელი მოქალაქის ფორმირება განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა მეცხრე ხუთწლედში. ეს გა-

108 „კომუნისტი“, 1923, № 90.

109 „კომუნისტი“, 1924, № 108.



მოიწვია იმ გრანდიოზული მასშტაბების მშენებლობებმა, რომლებიც დასახა სკკპ ყრილობებმა. ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე მშრომელი ადამიანი სხვანაირ, ამაღლებულ სულიერ საზრდოს თხოვლობს. მას აღარ აკმაყოფილებს ძველი დრომოჭმული ტრადიციები. იგი ეძებს რაღაც ახალს, ან იმ ძველს უმატებს ახალს და თავისებურს, მაგრამ ზოგჯერ ეს დანაშაუტი უმიზნოა და არაფრის მოქმედი.

სამი ათეული წლის წინათ დასავლეთ საქართველოს რაიონებში (გურია, სამეგრელო, აფხაზეთი) სახლის აივნებზე გაჩნდა შავ ქსოვილზე მხატვრული ასოებით შესრულებული წარწერა — ოჯახი გლოვობს ამასა და ამას. ან „ოჯახი დასტირის საყვარელ ბებიას“. ხშირად ასეთი განცხადების ქვეშ მოთავსებულია ფოტოსურათი. მსგავსმა სამგლოვიარო განცხადებებმა, მართალია, კანტიკუნტად, მაგრამ მაინც იმერეთზე გამოვლით ჯერ ქართლში და შემდეგ კახეთშიც გადაინაცვლა. ქართლსა და კახეთში ამას, საბედნიეროდ, ნაყოფიერი ნიადაგი არ დახვდა და ფართო გავრცელება ვერ მიიღო. სამეგრელოში, ქ. ზუგდიდში სამხატვრო სახელოსნოს (1963 წ.) გამოკრული ჰქონდა ნიმუში წარწერისა — „ვამზადებთ წარწერებს — დავსტირით საყვარელ ბებიას“. იგივე სახელოსნო ამზადებდა გარდაცვლილთა ორმეტრიან პორტრეტებს აივანზე გადმოსადგმელად. დაბა ყვარელში ადგილობრივი კულტურის სახლი ქალაქისა და რაიონის მოსახლეობას აუწყებდა, რომ „კულტურის სახლთან შეიქმნა სასულე ორკესტრი, რომელიც მომსახურებას გაუწევს მოსახლეობას მიცვალებულთა დაკრძალვის დროს“. რაიონულ ცენტრებსა და დიდ სოფლებში გაჩნდა ე. წ. „კეთილი მომსახურების“ ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა ამოიწურება იმით, თუ რა საშუალებები გამოიგონონ მიცვალებულთა პატრონებისაგან რაც შეიძლება მეტი ფულის ამოსაქაჩად. ამგვარი ორგანიზაციების წყალობითა და ხელშეწყობით ქელეხები უფრო ხალხმრავალი გახდა. ჩვენი აზრით, ამ ახალმა ორგანიზაციებმა, რომელთა შექმნაში ერთობ „კეთილშობილური“, „ჰუმანური“ იდეა ჩაქსოვილი, მუშაობა ცალმხრივ გაშალეს და ფულის მოგების მიზნით წარმართეს.

ამგვარ გადმონაშთებსა და დამახინჯებებზე მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება. მსგავსი მოვლენები კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ეთიკისაგან საკმაოდ შორს დგანან და ცხოვრების პოზიტიურ სურათს ნეგატიურ ელფერს აძლევენ, რაც ყოველად მოუთმენნელი და დასაგმობია.

საქართველოში, როგორც ყველგან საბჭოთა კავშირში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდანვე დაინერგა ახალი, რევოლუციური, საყოველთაო დღესასწაულები. ოქტომბრის დღესასწაული, მაისობა, ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის დღესასწაული, 1945 წლიდან ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე, 9 მაისი და სხვ. აღ-

სანიშნავია, რომ დასახელებულ დღესასწაულებს სოფლად ახლა უფრო ფართოდ აღნიშნავენ, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ამ ორი ათეული წლის წინ. ეს იმიტომაც არის განპირობებული, რომ სოფლის მოსახლეობის ერთმა, საკმაოდ დიდმა ნაწილმა ხელი აიღო ძველ რელიგიურ დღესასწაულებზე.

ძველი, დრომოკმული რელიგიური დღესასწაულების საპირისპიროდ ინერგება ახალი არარელიგიური დღეობები. ჩვენში უკვე გაჩნდა და დამკვიდრდა ახალი დღეობების სახელები, რომელთა ჩატარებას საზოგადოების დიდი ყურადღება ექცევა. ასეთებია: „შოთაობა“, „ილიაობა“, „ვაჟაობა“, „გრემქალაქობა“, „მწყემსის დღე“, „გაზაფხულის დღესასწაული“ (შილდა, ყვარლის რაიონი) და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალმა დღეობებმა დიდი როლი შეასრულეს მოსახლეობის მორალურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

ყაზბეგისა და დუშეთის რაიონებში ძველი რელიგიური დღეობის ათენგენას ნაცვლად, წარმატებით ტარდება დიდი დღესასწაული „მწყემსის დღე“. დღეობის ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები. დღეობის მონაწილენი აგებენ სახელდახელო ტრიბუნას, სადაც იწვევენ მოწინავე ადამიანებს — მწყემსებს და საზეიმო ვითარებაში გადასცემენ ფასიან საჩუქრებს, უცხადებენ მადლობას. ამავე ტრიბუნიდან ისმენენ მხატვრული თვითმოქმედების კონცერტს, ეწყობა დოლი და სხვა გართობები. ასევე საინტერესოდ ტარდება ჩვენი სასიქადულო პოეტის, ვაჟა-ფშაველას სახელთან დაკავშირებული დღესასწაული „ვაჟაობა“ სოფელ ჩარგალში. ახალმა სახალხო ტრადიციებმა თანდათან პოპულარობა მოიპოვეს.

სოფელ იყალთოში (თელავის რაიონი) იმართება დიდი დღესასწაული „შოთაობა“. აღნიშნული დღეობა შოთა რუსთაველის სახელთან არის დაკავშირებული. ამ სოფლის მესვეურებმა გააუქმეს რელიგიური დღესასწაული „ამაღლება“, რომელიც ისეთ პერიოდს ემთხვეოდა, როცა ბაღ-ვენახებში და მინდვრებზე ბევრი საქმე იყო გასაკეთებელი. ამ დღეობის გამო უპირავი მუშახელი ცდებოდა. „ამაღლების“ ნაცვლად სოფელმა დააწესა ახალი დღესასწაული „შოთაობა“, რომელსაც ოქტომბრის ბოლო კვირას ობდიან. ამ დროისათვის მოსავალი აღებულია და დაბინავებული.

მეტად მდიდარია და თავისებური „შოთაობის“, როგორც დღეობის შინაარსი. იყალთოს ძველი აკადემიის ტერიტორიაზე ეწყობა შეხვედრა ქართველ მოწინავე მეცნიერებთან და მწერლებთან. აქვე საზეიმო ვითარებაში გადასცემენ დიპლომებს სახალხო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს. რუსთაველის ძეგლთან ეწყობა მიტინგი<sup>100</sup>.

100 მ. გუგუტიშვილმა ახალი ტრადიციები საქართველოში 1976, გვ. 137.

აქვე ხდება მეცნიერულ ცოდნა-გამოცდილებათა გაზიარება. კულტურის სახლში ეწყობა სოფლის წლიურ მიღწევათა გამოფენა. როგორც ვხედავთ, დღეობა ამავე დროს წარმოადგენს სოფლის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში ჩატარებული მიღწევების დათვლიერებას. ყოველივე ეს ახალგაზრდობას სტიმულს აძლევს უკეთესად იზრომოს და ისწავლოს. ამ ტიპის თანამედროვე ტრადიციები გვევლინება ერთგვარ სახალხო სკოლადაც, სადაც მისი მონაწილე მოქცეულია შრომისა და კულტურული ცხოვრების ატმოსფეროში.

სკკპ და საქართველოს კომპარტიის ყრილობებმა ახალი ამოცანები დააყენა ადამიანების იდეური აღზრდის საქმეში. ამ ისტორიული ხასიათის დოკუმენტებში ხაზგასმით არის აღნიშნული ის, რომ ახალი საზოგადოების მშენებლის შეგნებულობის, მის იდეურობის ფორმირებაში ძირითადი ადგილი უკავია მის აღზრდას კომუნისტურ პრინციპებზე, რაშიც დიდი და, ზოგიერთ შემთხვევაში, გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია სწორედ ახალ, თანამედროვე, ურელიგიო ტრადიციებს.

საჭიროა კონკრეტულ მაგალითებზე შევისწავლოთ ყოველივე რაციონალური, რაც გააჩნიათ ტრადიციებს და რაც შეიძლება დაინერგოს დღევანდელი ცხოვრების პირობებში. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ახალი, ურელიგიო საბჭოური წეს-ჩვევებისა და ტრადიციების დანერგვისას. უეჭველია, დადებით შედეგს მოიტანს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველ რელიგიურ დღეობებს თავისი პირვანდელი ელფერი დაკარგული აქვთ. მათ განიცადეს ცვლილებები, მაგრამ შერჩათ ხალხური, ურელიგიო ელემენტი, რომელიც დღეს მისი რიტუალის ძირითად ნაწილს შეადგენს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ დღეობაზე მოსულთა ძირითად ნაწილს ხანშიშესულები შეადგენენ, რომელთა უმეტესობა აქ ტრადიციების ძალით უფრო მოდის, ვიდრე რწმენით. დღეობა-ხატობას ესწრებიან ახალგაზრდებიც, რომელთა ერთ ნაწილს აქ იზიდავს დროსტარებისა და გართობის სურვილი. როგორც წესი, ისინი რელიგიურ რიტუალში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ.

თუ კრიტიკის თვალთ გადავხედავთ ჩვენში შემორჩენილ ქართულ ხალხურ დღეობებს, რომლებიც დღემდე შემოგვრჩნენ და რომლებსაც ჯერ კიდევ ესწრება ადამიანთა ერთი ნაწილი, შევნიშნავთ, რომ არსებობს დიდი შესაძლებლობა მათი თანამედროვეობის სამსახურში ჩაყენებისა, საჭიროა მხოლოდ ამ საკითხის გადაწყვეტას მივიუდგეთ შემოქმედებით, შეგნებითა და გულისხმიერებით. ყოველივე ზემო თქმულის შემდეგ, ჩვენი აზრით, უეჭველად უნდა წახალისდეს, ხოლო სადაც აღარ ტარდება, იქ აღსდგეს ქართული ხალხური გართობა „ბერეკობა“ და „ყეენობა“ (ეს ხომ იგივე დღესასწაულია, რომელიც რსფსრ-ში იღღესასწაულება როგორც „რუსული ზამთრის გა-

ცილება“), რომელიც დღესდღეობით კიდევ ტარდება (და საკმაოდ კარგადაც) ადიგენის რაიონის რამდენიმე სოფელსა და კახეთის ზოგიერთ სოფელში.

საქართველოს ბარში ქართული ხალხური დღეობების ნაწილი ემთხვევა საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას (კობინჯვრობა, შვიდმაისობა და სხვ.). ასეთი დღეობები შეიძლება „მაისობას“ ან „გაზაფხულის დღესასწაულს“ დავეუკავშიროთ ისე, როგორც ეს თავის დროზე მოხდა სოფ. კარალეთში (გორის რაიონი), ახალსოფელში (ყვარლის რაიონი), ყაზბეგის რაიონში, ახმეტის რაიონსა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ქართული ხალხური დღეობა ათენგენობა შეიძლება დავეუკავშიროთ „მწყემსის დღეს“. შემოდგომის ხალხური დღეობები შეიძლება დავეუკავშირდეს მოსავლის აღება-დაბინავებას და სხვ.

როგორც ზოგიერთი რაიონის პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, დღეობების ბუნების გარდაქმნა (ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავლესობისა) თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელია და განსაკუთრებულ სირთულესა და სიძნელესთან არ არის დაკავშირებული. ამის მაგალითს წარმოადგენს „გრემქალაქობა“ (ყვარლის რაიონი) რომელიც უკვე ათეულ წელზე მეტია ტარდება.

თანამედროვე ელემენტები შეიძლება შევიტანოთ „ჰელიშობაში“ (სვანეთი, მესტია) და ლაშარობაში (თუშეთი, ფშავი). ორივე დღეობის ძირითადი შემადგენელი ნაწილია შეჯიბრება ცხენოსნობაში, სიძიძეების აწევაში, ცეკვა-თამაში და ჭიდაობა.

ახალი, ურელიგიო, საბჭოთა დღესასწაულების ორგანიზატორები და სულს ჩამდგმელები უნდა იყვნენ ადგილობრივი პარტიული და სახელმწიფო ორგანოები, კომკავშირული აქტივის წარმომადგენლები და პროფკავშირები. საჭიროა ქართული ხალხური დღეობების ჩატარებისას კულტივირებულ იქნეს ის ხალხური სახეობანი, რომლებიც ტრადიციულია ამ რაიონისათვის და ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ორგანიზებული ხასიათი უნდა მიეცეს ხალხურ თვითშემოქმედებას. სადღეობო პერიოდთან დაკავშირებით უნდა მოეწყოს სამეცნიერო სესიები ამ კუთხის წარსულისა და აწმყოს შესახებ. კულტივირებულ უნდა იქნეს ძველი ქართული ხალხური სანახაობანი. წინასაადღეობო და დღეობის დღეებში იმართებოდეს გამოფენები, ეწყობოდეს ფესტივალები და კარნავალები.

ძველი ხალხური დღეობების მიზანდასახული ტრანსფორმაცია ხელს შეუწყობს ამ დღეობებში არსებული ხალხური არარელიგიური, ჯანსაღი ტრადიციების ბაზაზე მათ ახალ, ჩვენი სინამდვილის შესატყვის დღეობებად გარდაქმნის საქმეს.

## СОЦИАЛЬНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ ПОЗИЦИЯ ГРУЗИНСКОЙ ПРАВОСЛАВНОЙ ЦЕРКВИ (XIX—XX ВВ.)

### Резюме

В начале XIX в. грузинский народ навеки связал свою судьбу с великим русским народом. Происшедшие в результате этого исторического факта сдвиги в политической и культурной жизни народа в корне изменили путь дальнейшего развития Грузии, направили его по новому руслу, способствуя разложению феодального хозяйства и возникновению капиталистических отношений. В Грузии была введена новая система административного управления. Вместе с тем «Русский капитализм втягивал... Кавказ в мировое товарное обращение, нивелировал его местные особенности — остаток старой патриархальной замкнутости — создавал себе рынок для своих фабрик»<sup>1</sup>.

Царизм устанавливал в Грузии тяжелый колониальный режим, вызывающий резкий протест грузинского народа. На протяжении всего XIX и в начале XX вв. (до 1917 г.) грузинский народ не прекращал борьбу против колониальной политики царского самодержавия.

Оправданию колониальной политики и созданию идеологической основы мероприятий царизма служил грузинский экзархат, учрежденный правительством в 1811 году. Реакционные и антинародные мероприятия, проводимые им, накладывали свой отпечаток на все сферы общественно-политической жизни страны.

Реакционная сущность этой церковной организации особенно ярко проявилась в конце XIX и начале XX веков, когда царизм развернул яростную борьбу против национально-освободительного и революционного движения трудящихся.

Освещение антинародной деятельности грузинского экзар-

<sup>1</sup> В. И. Ленин, ПСС. изд. 5-е, т. 3, с. 594.

хата позволит глубже осознать всю остроту и значение борьбы прогрессивных сил грузинского общества против царизма и его колониальной политики.

Историю грузинской церкви и экзархата освещали историки дореволюционной Грузии (Пл. Иоселиани, Д. Пурцеладзе, М. Джанашвили, А. Хаханашвили, Ев. Николадзе, Ал. Цагарели, епископ Кирион (Садзаглишвили), Д. Гамбашидзе, В. Карбелашвили, П. Карбелашвили и др. В работах этих авторов отсутствует классовый подход к вопросам истории церкви, мало уделяется внимания политической роли экзархата. Однако их труды дают богатый фактический материал.

Отдельные вопросы грузинской церкви и экзархата освещены во многих трудах советских историков. В трудах грузинских ученых: А. Я. Киквидзе, Г. Я. Тавзишвили, Т. И. Хундадзе, Ф. М. Бегнашвили и др. исследованы вопросы истории духовных учебных заведений (духовная семинария и духовные училища) и духовного образования.

Некоторые вопросы антинародной деятельности грузинского экзархата и антицерковного выступления населения Грузии затрагиваются в трудах русских советских ученых-историков: Я. М. Прыткина, Е. Ф. Грекулова, Н. Ф. Платонова, И. М. Шахновича и др.

После присоединения Грузии к России и упразднения Карталино-Кахетинского царства, царское правительство по природе своей не могло допустить сохранения автокефалии Грузинской церкви. Была проведена реформа церковного управления. В 1811 году был упразднен Грузинский каталикосат и была учреждена духовная дикастерия, а в 1815 г. последняя была заменена Грузино-Имеретинской синодальной канторой. Выборная должность каталикоса-патриарха Грузии сменилась назначаемой должностью экзарха.

Правительство приступило к сокращению числа епархий в Грузии, в результате чего из существующих в Грузии 21 епархий к 20-м годам XIX века осталось 5.

По-новому были перераспределены приходы с соответствующим числом прихожан. Были введены благочинные. Таким образом церковно-административное деление было приведено к государственно-административному, и благодаря этому система правления церкви стала более гибкой. Самодержавие получило возможность беспрепятственно избавляться от оппозиционно настроенных духовных лиц, правительство наименьшими затратами могло улучшить экономическое положение служителей церкви.

В 1819 году было учреждено штатное расписание духовного ведомства, определившее количество церквей и духовен-

ства, которых государство брало на свое содержание.

В результате секуляризации церковных и монастырских имений, проведенной правительством в 1852—1864 гг. в Восточной Грузии, огромные угодья и большое количество церковных крестьян перешло в казну, за что соответствующие епархии взамен получили 72053 руб. 51 коп. В 1871 г. в государственную казну перешли также имения Имеретинской епархии. Имеретинское духовенство взамен получило 28886 руб., Гурийское — 1114 руб., Мингрельское — 2000 руб. Этим правительство якобы избавляло служителей церкви от «неприятных обязанностей» по уходу за епархиальными имениями. В действительности же церковь теряла экономическую почву, становилась целиком зависимой от правительства.

С первых же дней присоединения Грузии к России правительство стало привлекать грузинскую церковь на службу своей колониальной политики. Оно использовало в своих интересах всякий удобный случай, имевший какую-либо связь с религиозной жизнью народа. Например, в 1801 году для обретения авторитета среди грузин правительство с особым торжеством осуществило перенесение креста св. Нины из Петербурга в Тбилиси.

Воспитанию преданных правительству служителей культа служила большая сеть духовно-учебных заведений. В 1917 г. в Тбилиси была открыта духовная семинария, позднее духовные училища были открыты в Гори, Телави, Хони, Сигнахи, Кутаиси и т. д.

Правительство уделяло большое внимание духовному обучению и воспитанию женщин. В 1866 г. в Тбилиси было основано первое женское епархиальное училище. В 1876 г. число таких училищ в Грузии достигло 15, а в 1887 г. — 32, где обучалось 9500 девочек.

В целях укрепления своего влияния среди населения горских районов Кавказа, самодержавие умело использовало христианскую церковь. Распространение христианства среди горского населения Кавказа являлось составной частью политики правительства в данном регионе. В 1745 г. в Моздоке была основана Осетинская духовная комиссия. В 1860 г. вместо осетинской комиссии было образовано «Общество восстановления православного христианства на Кавказе». Эти духовные миссии способствовали росту влияния правительства на горное население Кавказа, культурному и экономическому сближению горцев с грузинским и русским народом.

XIX и начало XX вв. характеризуется в Грузии ростом антирежимного и антицерковного движения. Широкий размах принимает национально-освободительное и революционное

движение. Назревшая революционная ситуация оказала большое влияние на религиозность населения, которая вследствие этого значительно ослабла как в городе, так и в деревне. Антицерковное движение этого периода проявляется в экономическом бойкоте духовенству, в отказе выплачивания каких-либо налогов в их пользу. Население хладнокровно относилось к таким христианским таинствам, как крещение, причастие, исповедь и др.

Сложившаяся революционная ситуация оказала большое влияние на молодежь. В духовных училищах участились выступления и протесты, направленные как против режима училища, так и против существующего государственного строя. Выступления учащихся тех времен также характеризуются антицерковной направленностью.

В годы революционного движения духовенство особое внимание уделяло религиозному воспитанию трудящихся, с этой целью при больших промышленных предприятиях открывались воскресные и вечерние школы рабочей молодежи. Эти школы часто становились очагами возникновения разных революционных и антиправительственных кружков и организаций, поэтому они подвергались строгому надзору со стороны властей.

В период подготовки и проведения первой буржуазно-демократической революции в России антицерковное движение в Грузии поднялось на новую ступень. В 1902 г. оно приняло такой широкий размах, что стало предметом обсуждения газеты «Искра».

Под влиянием революции 1905—1907 гг. в самом духовенстве экзархата нарастает недовольство и оппозиционное настроение к существующему режиму и церковному управлению. Значительная часть духовенства в годы революции и после нее равнодушно относилась к исполнению своих обязанностей, а одна, хотя и малая часть, поддерживала революционное движение, принимала участие в нем и внесла свой вклад в его успехи.

В период подготовки и проведения Октябрьской социалистической революции борьба трудящихся против церкви и религии под руководством большевистской партии приняла более организованный и целеустремленный характер.

С установлением Советской власти в Грузии широко разворачивается атеистическая и антирелигиозная работа среди населения. Успех атеистической и антирелигиозной пропаганды был обусловлен большими многовековыми традициями грузинского народа. Антицерковное движение в Грузии имеет исторические предпосылки и своими корнями уходит в глубины веков.



ი 377/15



### შინაარსი

შესავალი . . . . .	3
პირველი თავი	
საპარტიზოს უპირთიბა რუსეთთან და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია	15
§ 1. ცელილები საქართველოს ეკლესიის მმართველობაში. ავტოკეფალიის გაუქმება და საეკლესიო გამგებლობის რეორგანიზაცია	15
§ 2. ანტირეფიშული გამოსვლები საქართველოში და მართლმადიდებლური ეკლესია	27
§ 3. საეკლესიო-სასულიერო განათლების ორგანიზაცია საქართველოში	35
§ 4. სასულიერო მისიების ადგილი და როლი ცარიზმის საგარეო პოლიტიკაში	41
მეორე თავი	
საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში და მართლმადიდებლური ეკლესია (1801—1890 წწ.)	66
§ 1. ეკლესიის საწინააღმდეგო განწყობილების ზრდა საქართველოში	66
§ 2. მატერიალისტურ-რევოლუციური იდეოლოგიის გავრცელება საქართველოში და მართლმადიდებლური ეკლესია (XIX საუკუნის 80—90-იანი წლები)	86
მესამე თავი	
რევოლუციური მოძრაობა საქართველოში და მართლმადიდებლური ეკლესია 1900—1917 წლებში	107
§ 1. ეკლესიის საწინააღმდეგო მოთხოვნები საქართველოს მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობაში	107
§ 2. საქართველოს საეგზარქოსო რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ	119
§ 3. საქართველოს საეგზარქოსო სტოლიპინის რეაქციისა და ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში	146
მეოთხე თავი	
მართლმადიდებლური ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკურ უზიარებლობა და ათეისტური მუშაობის თავისებურებანი საქართველოში	
§ 1. ათეისტური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში	168
§ 2. ათეისტური მსოფლმხედველობის გამარჯვების ხელისშემწყობი პირობები საბჭოთა საქართველოში.	176
§ 3. 1921—1925 წლებში საქართველოში ჩატარებული ათეისტური მუშაობის თავისებურებანი	130
§ 4. ანტირელიგიური და ათეისტური პროპაგანდა საქართველოში 1926—1941 წლებში	202
§ 5. ქართული ხალხური დღეობების ტრანსფორმაცია და ახალი ტრადიციები	228
Социально-политическая позиция Грузинской православной церкви (XIX—XX вв.) (резюме)	244



Хуцишвили Мириан Николаевич

СОЦИАЛЬНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ  
ПОЗИЦИЯ ГРУЗИНСКОЙ  
ПРАВОСЛАВНОЙ ЦЕРКВИ  
(XIX—XX ВВ.)

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ  
1987

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3562

გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე  
მხატვარი თ. კოხრეიძე  
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე  
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია  
კორექტორები ლ. შაბურიშვილი, მ. მაისურაძე  
გამომწვეები ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 29.6.87; ხელმოწერილია დსაბეჭდად 26.11.87;  
ქაღალდის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;  
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 15,5;  
პირ. საღ. გატ. 15,8; საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14;  
უე 09752; ტირაჟი 1200; შეკვეთა № 2362;  
ფასი 2 შან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

